

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

გახტანგ ჩალაფეიქრიშვილი

**მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის გავლენა საქართველოს  
ეკონომიკაზე**

დისერტაცია

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია  
ფილოსოფიის დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
ეკონომიკაში

სამეცნიერო სელმძღვანელი  
რევაზ გვალესიანი  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი  
თსუ სრული პროფესორი

თბილისი 2013წ



## შინაარსი

შესავალი .....	3
<b>თავი 1. საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის არსი და ფორმირების პანონზომიერებები.....</b>	<b>8</b>
1.1 ეკონომიკური წესრიგის არსი და ძირითადი სუბიექტები .....	8
1.1.1 საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების თავისებურებების	8
1.1.2 სახელმწიფოს როლის ცვლილებები საერთაშორისო წესრიგის სხვადასხვა ეტაპზე.....	16
1.1.3 საერთაშორისო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები.30	30
1.2. საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის თანამედროვე პრობლემები .....	...
1.2.1 სახელმწიფოსა და ტნკ-ების ურთიერთობები.....	48
1.2.2 საერთაშორისო ტერორიზმი.....	60
<b>თავი 2. საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე.....</b>	<b>67</b>
2.1 მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის არსი, წანამდგრები და მიზეზები .....	67
2.2 მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ფორმირებაზე .....	79
2.2.1 კრიზისის დაძლევის სტრატეგიები და პროგრამები.....	79
2.2.2 პროგრამათა გავლენა ეკონომიკური წესრიგის ფორმირებაზე.....	101
<b>თავი 3. პოსტსოციალისტური ქვეყნების და საქართველოს ახალ მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა.....</b>	<b>115</b>
3.1 აღმოსავლეთ და ცენტრალური ეკონომიკური კონსულენტები .....	115
3.2 პოსტსაბჭოთა სივრცე .....	133
3.3 საქართველო .....	149
დასკვნები და რეკომენდაციები.....	177
გამოყენებული ლიტერატურა.....	183
დანართი .....	188

## შესავალი

თემის აქტუალობა განპირობებულია მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებით, მათი მნიშვნელოვანი და სწრაფი ცვლილებებით, რომელთა გავლენა სხვადასხვა ქვეყნისათვის განსხვავებულია, მათი განვითარების სტრატეგიის და ტემპების გათვალისწინებით.

მსოფლიო ეკონომიკაში ბოლო საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი ძვრები მიმდინარეობდა და ერთმანეთს ცვლილებისა თუ ეკონომიკური აღმავლობის ეტაპები, იხვეწებოდა საერთაშორისო ურთიერთობების ფორმები და იცვლებოდა იმ სუბიექტთა რაოდენობა და შინაარსი, რომელებიც განაპირობებდნენ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებში საყოველთაოდ აღიარებულ წესებს, რომელთა ერთობლიობასაც ჩვენ გუწოდებთ მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგს.

თუმცა, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო წესრიგი არ უნდა გაგაიგივოთ აბსოლუტურ წესრიგთან და იდეალურ გარემოსთან, სადაც მსოფლიოს ყველა ქვეყანა თავს კომფორტულად გრძნობს. წესრიგი უნდა განვიხილოთ სწორედ იმ “თამაშის წესების” ფარგლებში, რომელიც შეთანხმებულია ქვეყანათა უმრავლესობას შორის. შეიძლება არსებობდეს ქვეყანათა ჯგუფი, რომელიც არ აღიარებდეს უმრავლესობის პრინციპებს და ცდილობდეს საკუთარი ინტერესების დაცვას დამოუკიდებლად, მიღებული წესების გვერდის ავლით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი შესწავლის ძირითადი საგანი გახლავთ სწორედ წესრიგის ფარგლებში მოქმედი კანონზომიერებები, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს არც მის მიღმა არსებული ურთიერთობები, რადგან შეიძლება მას მნიშვნელოვანი გავლენა ქონდეს წესრიგის ფორმირებაზე და განვითარებაზე.

საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის ფორმირების ეტაპები განსხვავდებოდა მისი მთავარი სუბიექტების ჩამოყალიბებისა და ფორმირების თავისებურებების გათვალისწინებით. იცვლებოდა მათი როლი და ფუნქციები ეკონომიკური წესრიგის ფორმირების სხვადასხვა საფეხურზე, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებდა საერთო მიდგომებსა და კანონზომიერებებს.

თუ XX საუკუნემდე საერთაშორისო ეკონომიკის მთავრი სუბიექტები სახელმწიფოები იყვნენ, უკვე XX საუკუნეში გადრმავებულმა საერთაშორისო ურთიერთობებმა და განვითარებულმა ტექნოლოგიებმა საერთაშორისო

ორგანიზაციების წარმოქმნას შეუწყო ხელი, რათა ერთიანი ძალით გადაწყვეტილიყო ის პრობლემები, რომლებიც საერთო იყო ყველა ქვეყნისთვის და რომელთა რაოდენობაც წლიდან წლამდე იზრდებოდა. საერთო პრობლემების მოგვარების მეტ-ნაკლები წარმატებით მოწესრიგების ფონზე, მათი დადებითი შედეგების გაცნობიერების შემდეგ, კიდევ უფრო გაღრმავდა ინტეგრაციული პროცესები და გართულდა საერთაშორისო ორგანიზაციების სტრუქტურები და გაიზარდა მათი ფუნქციები.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაწყებული საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების და ერთიანი სივრცის შექმნისკენ მიმართული პროცესები, ცნობილია გლობალიზაციის სახით, რომლის დაჩქარებაში და გაღრმავებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეიტანეს ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა. უდიდესმა ფინანსურმა შესაძლებლობებმა მათ პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობებიც მისცეს და თანდათან ჩამოყალიბდნენ მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ სუბიექტებად.

საერთაშორისო ეკონომიკაში მიმდინარე ცვალებადი პროცესები ძირითადად განპირობებული იყო ამ სუბიექტების ურთიერთანამშრომლობის პრინციპების ცვალებადობით. ტერმინი “ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი” პირველად გაჟღერდა 1973 წელს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონგრესზე, რის შემდეგაც ერთ წელიწადში უკვე გაეროს კონფერენციის განხილვის მთავარ საგნად იქცა. ამ ტერმინის უკან იდგა განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნა გაზრდოდათ მათ უცხოური კაპიტალის და ტრანსაციონალურ კორპორაციებზე კონტროლის საშუალება, ჩამდგარიყვნენ სხვა განვითარებული სახელმწიფოების მსგავს საერთაშორისო სავაჭრო პირობებში და ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნებს პქონოდათ საერთაშორისო ორგანიზაციებში მეტი ხმის უფლება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ძალთა გადანაწილებას და ფუნქციების ცვლილებებს იწვევდა აგრეთვე მსოფლიო ეკონომიკური რყევები და კრიზისები, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაც კრიზისის სიღრმისა და მასშტაბების შესაბამისად ხშირად გლობალურ ხასიათს იღებდა. ამგვარი ცვალებადი ეკონომიკური კონიუნქტურის პირობებში მნიშვნელოვანია თითოეული სახელმწიფოს უნარი, სწორად შეაფასოს მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის დადებითი და ურყოფითი ეფექტები მის ეკონომიკაზე და შესაბამისად მოახდინოს საკუთარი პოლიტიკის კორექტირება.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია შეისწავლოს მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ცვლილებების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და გამოკვეთოს ის პრობლემები, რაც ამ კაგშირის არსებობის ან არარსებობის პირობებში წარმოიშობა. ამ მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები:

- მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების თავისებურებების ანალიზი;
- საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის სუბიექტების განვითარების ტენდენციებისა და გავლენის შესწავლა საერთო წესრიგის ფორმირებაზე;
- მნიშვნელოვანი საფრთხეების და მათ შორის ეკონომიკური კრიზისების გავლენა ახალი ეკონომიკური წესრიგის ფორმირებაზე;
- ყოფილი სოციალისტური ქვეყნების სტრატეგიისა და ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე;
- საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის მიმოხილვა საერთაშორისო კონიუნქტურის ცვლილების გათვალისწინებით;
- საქართველოს ეკონომიკაზე მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ფორმირების, ტენდენციების და კაგშირების გავლენის ანალიზი.

**კვლევის საგანია მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებისა განვითარების ტენდენციები. ეკონომიკური კრიზისები და მათი გავლენა საერთო ეკონომიკური განვითარების მიმართულებებზე, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე. ამიტომ ნაშრომის კვლევის ობიექტია ამ ტენდენციების საქართველოს ეკონომიკაზე ზემოქმედების თავისებურებები.**

**კვლევის თეორიული საფუძველია მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებასთან და ეკონომიკურ კრიზისებთან დაკავშირებით არსებული პრინციპები და თეორიები. გამოყენებულია როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევარების ნაშრომები. ნაშრომში ჩატარებული კვლევებისა და ანალიზისათვის მონაცემთა ბაზას წარმოადგენს მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის სამსახურის და საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები. აგრეთვე საერთაშორისო და ქართულ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები და კვლევები.**

**ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველია მონაცემების სისტემატიზაცია, მათი კერძალური განხილვა და ანალიზი, მიღებული შედეგების და კაგშირურთიერთობების ფორმულებითა და გრაფიკებით წარმოდგენა, ამ კაგშირების მათემტიკურ-სტატისტიკური მეთოდებით, კერძოდ რეგრესიული ანალიზით გამოსახვა.**

**პვლევის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის სისტემური გააზრება და მისი კლასიფიკაცია ისტორიული სპეციფიკის გათვალისწინებით. საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის მთავარ სუბიექტთა შორის გამოყოფილია მისი მთავარი აქტიორები და მათი ევოლუციის მიხედვით განსაზღვრულია საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის ეტაპები.**

გამოკვეთილია ის საფრთხეები და წინააღმდეგობები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მსოფლიო ეკონომიკაზე და აფერხებენ მსოფლიო სტაბილურ ეკონომიკურ განვითარებას. თემაში განხილულია სახელმწიფოს როლის ევოლუცია, საერთაშორისო ტერორიზმი, ტრანსნაციონალური კომპანიების პოლიტიკა, საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისები და მათი კაგშირი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ფორმირებასთან.

ახალი მსოფლიო ეკონომიკური ტენდენციების და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მთავარი მიმართულებები.

დამუშავებულია მონაცემთა საკმაოდ დიდი ბაზა და მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების საშუალებით ნაპოვნია კონკრეტული კაგშირები და კონკრეტულ რიცხვებშია გამოსახული მსოფლიო ეკონომიკური ტენდენციების საქართველოს ეკონომიკურ ინდიკატორებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობები.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს მსოფლიო ეკონომიკური ტენდენციების საქართველოს ეკონომიკაზე ზემოქმედების და გავლენის შეფასებაში. კვლევის შედეგები და რეკომენდაციები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც ქართული და უცხოური საერთაშორისო საწარმოების ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების დროს, ასევე, მსოფლიო ეკონომიკური ტრანსფორმაციის პირობებში ქვეყნის კონკრეტული პრობლემების გადაჭრისას და განვითარების პოლიტიკის შემუშავებისას.**

აკადემიური კუთხით მიზანშეწონილია კვლევაში განხილული საკითხების გამოყენება “ეკონომიკური პოლიტიკის”, “მსოფლიო ეკონომიკის” და “საერთაშორისო ეკონომიკის” სწავლების დროს.

**პუბლიკაციები.** ნაშრომში მიღებული კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ სტატიებში:

- “საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის გავლენა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე” თსუ, სამეცნიერო ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი” ივლისი-აგვისტო 2011წ
- “ანტიკრიზისული სტრატეგიებისა და პროგრამების გავლენა მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაზე” სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი “ახალი ეკონომისტი” №1 2013წ
- “ანტიკრიზისული პოლიტიკის აღმოსავლეთევროპული გამოცდილება და საქართველო” თსუ, სამეცნიერო ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი” მაისი-ივნისი 2013წ

# თავი 1. საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის არსი და ფორმირების კანონზომიერებები

## 1.1 ეკონომიკური წესრიგის არსი და ძირითადი სუბიექტები

### 1.1.1 საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების თავისებურებები

საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგზე მსჯელობისას თავდაპირველად აუცილებელია განვმარტოთ და კარგად გავაცნობიეროთ ზოგადად წესრიგის არსი და ამის ფონზე განვიხილოთ თვით ეკონომიკური წესრიგიც.

საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი ეს არის გლობალური მასშტაბით შეთანხმებული და აღიარებული იმ ე.წ. “თამაშის წესების” ერთობლიობა, რომელთაც იზიარებს მისი ნებისმიერი სუბიექტი და ცდილობს ამ გარემოში მიაღწიოს მისთვის სასურველ შედეგს. ამ განმარტებაში არსებობს რამოდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა გარეშეც შეიძლება წესრიგის სრულყოფილად გააზრება შეუძლებელი გახდეს.

ახალ საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგზე პირველი ოფიციალური დისკუსია გაიმართა გაერთიანებული ერების ვაჭრობისა და განვითარების 1974 წლის კონფერენციაზე. ტერმინი თავის თავში მოიცავდა სამ ძირითად პრობლემას: პირველ რიგში საჭირო იყო იმის აღიარება, რომ არსებულ საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში რაღაც ფუნდამენტური შეცდომაა, რომელიც უნდა შესწორდეს სისტემის გარკვეული კომპონენტების ცვლილებით; მეორე, რომ ეს გამოწვეული იყო დასავლეთის განვითარებული ქვეყნების არასწორი პოლიტიკით და ისინი თავის დანაშაულს იმით გამოისყიდიდნენ, რომ წავიდოდნენ დათმობებზე განვითარებადი ქვეყნების სასარგებლოდ; მესამე, რომ საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის ცვლილებასთან ერთად მოხდებოდა ხმის უფლებების გადანაწილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შიგნით.<sup>1</sup>

თავდაპირველად იგი გაქდერდა 1973 წელს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონგრესზე, რის შემდეგაც ერთ წელიწადში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკვე გაეროს კონფერენციის განხილვის მთავარ საგნად იქცა.

<sup>1</sup> Harry G. Johnson , The New International Economic Order. Graduated School of Chicago. paper #49

მთავარი საკითხი შეეხებოდა ვაჭრობას და იმ სავაჭრო საქონლის ფასებს (ძირითადად სამომხმარებლო საქონელი), რომლებიც კ.წ. მესამე ქვეყნების (ამ პროგრამაში ისინი მოხსენიებული იყვნენ, როგორც დიდი 77, G77) მთავარ საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა. ახალი წესების თანახმად ამ პროდუქციაზე უნდა მომხდარიყო ფასების მატება, რაც განვითარებად ქვეყნებს საშუალებას მისცემდა “გამოემუშავებინათ” მეტი უცხოური ვალუტა და აგრეთვე გაეუმჯობესებინათ კ.წ. საგარეო სავაჭრო პირობები. სამხრეთის ქვეყნების მსყიდველობითი უნარიანობის ასამაღლებლად უნდა მომხდარიყო სამომხმარებლო საქონლის საერთაშორისო ვაჭრობის ახლებურად მოწესრიგება.

ამ პროგრამის თანახმად მესამე სამყაროს ქვეყნებს უნდა გაზრდოდათ საკუთარ ექსპორტზე კონტროლი, რამეთუ იქ ბაზირებულ ტრანსნაციონალურ კომპანიებს პატივი უნდა ეცათ ეროვნული სახელმწიფოების წესებისათვის. იმისათვის, რომ მსოფლიო მასშტაბით შეცვლილიყო პროპორცია ინდუსტრიულ და სამომხმარებლო საქონელს შორის, უნდა გამარტივებულიყო ახალი კაპიტალისა და ტექნოლოგიების იმპორტი განვითარებული ქვეყნებიდან. პროგრამა აგრეთვე ეხებოდა ვალის საკითხს, და მოითხოვდა, რომ მესამე სამყაროს ქვეყნებს გაწეოდათ უფრო მეტი დახმარება, მათთვის კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გამხდარიყო ვალის აღება და გაზრდოდათ ძალაუფლება საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის მმართველ წრეებში.<sup>2</sup>

ამ პროგრამის ძირითადი საფუძვლები შეიძლება მოკლედ შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. განვითარებად ქვეყნებს მიეცეთ უფლება მოაწესრიგონ მათ ქვეყანაში მყოფი ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა;
2. მათ უნდა ქონდეთ საშუალება მოახდინონ უცხოური კაპიტალის ნაციონალიზაცია, თუ ეს ეროვნული ეკონომიკისათვის აუცილებელი გახდება.
3. განვითარებად ქვეყნებს საშუალება უნდა ქონდეთ შექმნას სამომხმარებლო საქონლის მწარმოებელთა ასოციაციები; ყველა დანარჩენმა ქვეყანამ უნდა აღიაროს მათი ეს უფლება და ამის წინააღმდეგ არ გამოიყენოს ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო ძალაუფლება;

<sup>2</sup> [http://globalautonomy.ca/global1/glossary\\_entry.jsp?id=EV.0027](http://globalautonomy.ca/global1/glossary_entry.jsp?id=EV.0027)

4. საერთაშორისო ვაჭრობა უნდა ეფუძნებოდეს სტაბილურ, სამართლიან ფასებს და ყველა ქვეყნისათვის უნდა არსებობდეს არადისკრიმინაციული პირობები, როგორც ვაჭრობაში, ისე კაპიტალისა და ტექნოლოგიების მოძრაობაში. უზრუნველყოფილი უნდა იყოს განვითარებადი ქვეყნების, როგორც ფინანსური, ისე ტექნიკური დახმარება გამონაკლისის გარეშე.

ეს გახლდათ უმნიშვნელოვანები გარდატეხა მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ფორმირებაში, როდესაც მესამე სამყაროს ქვეყნებმა წამოაყენეს კონკრეტული წინადაღებები საკუთარი უფლებების დასაცავად და დაასაბუთეს ახალი წესრიგის ჩამოყალიბების აუცილებლობა.

ადსანიშნავია, რომ წესრიგის პოლიტიკის გამტარებლები არიან საკანონმდებლო ორგანოები, რომლებიც ადგენენ მნიშვნელოვან ჩარჩო პირობებს, როგორიცაა კონკურენციის წესრიგი, ფულადი წესრიგი, საფინანსო კანონმდებლობა, სამართლებრივი ნორმები და ა.შ. მთავრობა, როგორც აღმასრულებელი ორგანო, პასუხისმგებელია საკანონმდებლო საფუძვლების გატარებაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია მართლმსაჯულება, განსაკუთრებით საკონსტიტუციო სასამართლო, რომელმაც მთელ რიგ განაჩენებში უნდა დაადგინოს კანონების ან სამართლებრივი დადგენილებების საკონსტიტუციო კონფორმულობა ან მათი შეუთანხმებლობა სამართლებრივ ნორმებთან. გარდა საკანონმდებლო ჩარჩოებისა, რომელიც სახელმწიფოს ან კერძო ეკონომიკური სუბიექტების მოქმედებისათვის განმსაზღვრელია, გამტარებლები უფლებამოსილი არიან წესრიგის პოლიტიკის ინსტრუმენტების შექმნასა და დანერგვაში.<sup>3</sup>

ამასთან, საერთაშორისო წესრიგი არ უნდა გავაიგივოთ აბსოლუტურ წესრიგთან და იდეალურ გარემოსთან, სადაც მსოფლიოს ყველა ქვეყნა თავს კომფორტულად გრძნობს. წესრიგი უნდა განვიხილოთ იმ “თამაშის წესების” ფარგლებში, რომელიც შეთანხმებულია ქვეყანათა უმრავლესობას შორის. შეიძლება არსებობდეს ქვეყანათა ჯგუფი, რომელიც არ აღიარებდეს უმრავლესობის პრინციპებს და ცდილობდეს საკუთარი ინტერესების დაცვას დამოუკიდებლად გაბატონებული წესების გვერდის ავლით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი შესწავლის ძირითადი საგანი არის წესრიგის ფარგლებში მოქმედი კანონზომიერებები, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს არც მის მიღმა

<sup>3</sup> რეგაზე გველესიანი, ირინა გოგორიშვილი. ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I, გამომცემლობა „უნივერსალი”, თბილისი 2008 წელი. გვ. 69

არსებული ურთიერთობები, რადგან შეიძლება მათ მნიშვნელოვანი გავლენა ქონდეთ წესრიგის ფორმირებაზე.

საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების ეტაპები შეიძლება განვიხილოთ მისი მთავარი სუბიექტების ფორმირების ეტაპების მიხედვით. შემდეგ ქვეთავებში დავახასიათებთ ამ სუბიექტების განვითარების თავისებურებებს და მათი როლის ცვლილების ტენდენციებს საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის ფარგლებში.

საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის მთავარ სუბიექტებად უნდა გამოვყოთ:

- ეროვნული სახელმწიფო
- საერთაშორისო ორგანიზაციები
- ტრანსნაციონალური კორპორაციები

პირველ ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ 1648 წლის 24 დეკემბერს დადგებული ე.წ. “ვესტფალიის ზავი”. ამ ზავით თითქმის შეწყდა გაუთავებელი ევროპული ომების ერა და მშვიდობამ დაისადგურა. ზავის პირობებით ევროპაში დომინირებადი სახელმწიფო გახდა შვედეთი, რომელმაც ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიერთა. თუმცა ამ ზავს სხვა ასპექტით პქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა საერთაშორისო საზოგადოებისათვის.

ზავმა ფაქტობრივად ახალ ერას დაუდო საფუძველი, რომელმაც თითქმის პირველ მსოფლიო ომამდე გასტანა. პოლანდია აღიარებულ იქნა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, აღიარებულ იქნა შვეიცარიის კაფშირი, მნიშვნელოვნად შესუსტდა რომის პაპის გავლენა ევროპის სამხედრო და პოლიტიკურ წყობაზე. ამან მნიშვნელოვანი გასაქანი მისცა იმ დროს არსებული ქვეყნების პოტენციალს. გარდა ამისა საღვთო რომის იმპერიის ფარგლებში არსებულ ტერიტორიებს მიეცათ ე.წ. “*jus foederationis*”-უფლება, გამხდარიყვნენ სხვა პოლიტიკურ ძალთა მოკავშირეები იმ წინაპირობებით, რომ მათი ალიანსი არ შეეწინააღმდეგებოდა იმპერიისა და შეთანხმების ინტერესებს. ამით პატარა სახელმწიფოებს მიეცათ განვითარების ძალიან დიდი საშუალება. ჩამოყალიბდნენ საერთაშორისო აღიარებული სუვერენული სახელმწიფოები და გახდნენ საერთაშორისო წესრიგის სრულუფლებიანი წევრები.

ამან მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა იმ ტიპის სახელმწიფოების ჩამოყალიბებას, რომლებიც შემდგომ გახდნენ ძლიერი ერი-სახელმწიფოების ჩამოყალიბების წინაპირობა.

საერთაშორისო ასპარეზზე სუბიექტების რაოდენობის ზრდამ  
მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიო თამაშის წესები. ბევრი მოთამაშის არსებობამ  
საჭირო გახდა ყველას ინტერესის მეტნაკლები დაკმაყოფილება, თუმცა ხშირად  
საკუთარი ინტერესების დაცვა კვლავ ომის და ძალადობის საშუალებით ხდებოდა.  
ხოლო მშვიდობიან პერიოდებში საერთაშორისო ურთიერთობები  
მრავალრიცხოვანი ზავების საშუალებით რეგულირდებოდა. ასეთი არამყარი და  
სწრაფად ცვალებადი ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო დიდ პრობლემებს  
ქმნიდა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისათვის.

კოლონისტური სისტემის პირობებში ჩამოყალიბებული ურთიერთობები  
ქმნიდა ე.წ. ორდონიან ეკონომიკურ სისტემას, სადაც ცენტრსა და პერიფერიას  
შორის არსებული ეკონომიკური კავშირები წარმოადგენდა მთავარ გაქტორს.  
კაპიტალის და სამუშაო ძალის გადაადგილება გაკონტროლებული იყო  
მეტროპოლიის მიერ, რომლისთვისაც კოლონიები წარმოადგენდნენ მთავარ  
სანედლეულო ბაზას. ამ პერიოდს უკავშირდება მსხვილი სავაჭრო კომპანიების  
წარმოშობა, როგორებიც იყვნენ: ბრიტანეთის ოსტინდონის კომპანია,  
საფრანგეთის, დანიის, შვედეთის, პოლანდიის ვესტინდონის კომპანიები და ა.შ.

ადნიშნული კომპანიები შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე  
ტრანსნაციონალური კომპანიების პირველად ჩანასახოვან ფორმად, რომელთაც  
გააჩნდათ საკმაოდ მძლავრი ფინანსური შესაძლებლობები. მათი უმრავლესობა  
შექმნილი იყო ადგილობრივი ფეოდალების ფინანსური მონაწილეობის  
საფუძველზე, მთავრობები არ იყვნენ ამ კომპანიების მფლობელები, თუმცა მათ  
მაინც გააჩნდათ მათზე ირიბი ზემოქმედების საშუალება. ისინი აქტიურად  
მონაწილეობდნენ ქვეყნების, როგორც საშინაო, ისე საგარეო ცხოვრებაში. ასეთი  
ძლიერი კომპანიები ხშირ შემთხვევაში თავს უფლებას აძლევდნენ ყოლოდათ  
საკუთარი არმიაც კი და დაეცვათ საკუთარი ინტერესები მთავრობების გვერდის  
ავლით.

ამ კომპანიების ძირითადი მიზანი იყო ცენტრსა და პერიფერიას შორის  
საკმაოდ ხელსაყრელი სავაჭრო პოტენციალის გამოყენება. მოგების მიღებასთან  
ერთად მათი საქმიანობის მნიშვნელოვანი შედეგი იყო მეტროპოლიიდან  
კოლონიაში იმ კულტურის შეტანა, რომელიც დააკავშირებდა ცენტრსა და  
პერიფერიებს და ამ საერთო ფასულობების გაზიარება კიდევ უფრო გაამყარებდა  
კავშირებს.

აღნიშნული კომპანიები წარმოადგენდნენ საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის მნიშვნელოვან სუბიექტებს, თუმცა სახელმწიფო კვლავ წარმოადგენდა წამყვან სუბიექტს.

XIX საუკუნის დასასრულამდე საერთაშორისო წესრიგის მთავარი აქტიორები მაინც სახელმწიფოები რჩებოდნენ, რადგან ეს პერიოდი გამოირჩეოდა, როგორც სამოქალაქო, ისე ქვეყანათაშორისი ომებით. ასეთ დროს სახელმწიფო არის ის მთავარი გამაერთიანებელი დასაყრდენი ძალა, რომელსაც ძალუბს მოახდინოს ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის კონცენტრაცია. სახელმწიფოები დებდნენ სავაჭრო ხელშეკრულებებს, აკონტროლებდნენ საქარავნე გზებს და მთავარ სავაჭრო არტერიებს.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე უკვე ყველა სფეროში გახდა თვალშისაცემი ტექნოლოგიური პროგრესი: ტრანსპორტის, კომუნიკაციის, მრეწველობის და ა.შ. სფეროებში. მსოფლიო თანდათან, სულ უფრო და უფრო ხდებოდა “ერთიანი სივრცე”, რომელიც მოითხოვდა საერთო თამაშის წესების ჩამოყალიბებას. მნიშვნელოვნად დაიხვეწა საომარი ტექნოლოგიებიც, რისი დემონსტრირებაც იყო პირველი მსოფლიო ომი, სადაც რადიკალურად შეიცვალა ბრძოლის მეთოდები და მსხვერპლმა არნახული მასშტაბები მიიღო.

XX საუკუნის დასაწყისში უკვე დადგა ერთიანი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობა, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა ქვეყანათაშორის ურთიერთობებს, რომელიც სულ უფრო და უფრო ინტენსიური ხდებოდა. პირველმა მსოფლიო ომმა ბიძგი მისცა საერთაშორისო ორგანიზაციას “ერთა ლიგის” შექმნას, რომლის უმთავრესი მიზანი იყო კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება და მსოფლიოში მშვიდობის დამყარება, თუმცა ორგანიზაცია არაეფექტურიანი აღმოჩნდა.

ამ პერიოდს უკავშირდება ონამედროვე ტრანსნაციონალური კორპორაციების ჩამოყალიბებისა და პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმის ეტაპი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნაც, მაგრამ უმთავრესი მოთამაშე კვლავ სახელმწიფო რჩებოდა.

მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგში მნიშვნელოვანი ძვრები უკვე XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე შეინიშნებოდა, რაც უმთავრესად ვაჭრობის განვითარებით იყო გამოწვეული. ადსანიშნავია ფინანსური სისტემის ეფოლუციის თავისებურებები. თავდაპირველად მსოფლიოში გამეფებული იყო ე.წ. ვერცხლის სტანდარტი, როდესაც საერთაშორისო ვალუტის ფუნქციას ვერცხლის მონეტები ასრულებდნენ.

ფიქსირებული საგალუტო კურსი ხელს უწყობდა მზარდ საერთაშორისო ვაჭრობას, თუმცა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ინდოეთთან და განსაკუთრებით ჩინეთთან გაზრდილმა საგაჭრო ურთიერთობებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ევროპაში და ამერიკაში არსებული ვერცხლის მარაგები.

ამის ფონზე, უკვე 1870-80-იანი წლებიდან, ქვეყნებმა ვერცხლის მონეტებთან ერთად აქტიურად დაიწყეს ოქროს გამოყენებაც, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ამოქმედდა “ოქროს სტანდარტი”, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დასრულებასთან ერთად თანდათან დაკარგა პოპულარობა, რამეთუ ბევრი ქვეყანა ომის პერიოდში გაზრდილი სამხედრო ხარჯების დასაფინასებლად ზრდიდა გამოშვებული მონეტების რაოდენობას, სადაც ოქროს შემცველობა თანდათან კლებულობდა, ამ მონეტასთან დაფიქსირებული ქაღალდის ფული კი მნიშვნელოვნად უფასურდებოდა.

ქვირფასი ლითონის დეფიციტი, სხვა მიზეზებთნ ერთად კვლავ გახდა საერთაშორისო ფინანსური სისტემის კრახის მიზეზი. როდესაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბევრმა ქვეყანამ უარი თქვა ოქროს სტანდარტზე, გარკვეული პერიოდის შემდეგ რამოდენიმეტ კვლავ სცადა მისკენ მიბრუნება, თუმცა უშედეგოდ. ამის ნათელი მაგალითია გერმანია და მისი 20-იანი წლების ცნობილი პიპერინფლაცია, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო გადახდილი რეპარიაციის მოცულობა, რის შედეგადაც ქვეყანაში ოქროს მარაგი საგრძნობლად შემცირდა და ბიძგი მისცა ინფლაციის მაღალ ტემპებს.

მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე მნიშვნელოვან ცვლილებებს თან დაერთო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი - ე.წ. “დიდი დეპრესია” და მეორე მსოფლიო ომი. ამის შემდეგ ნათელი გახდა, რომ მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციისათვის აუცილებელი იყო ახალი, ერთიანი და ეფექტური ინსტიტუტების ჩამოყალება, რომლებსაც რეალური ძალაუფლება, რეალური გავლენა ექნებოდათ მსოფლიო თამაშის წესებზე.

სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მნიშვნელოვანი ფინანსური და ეკონომიკური, ბრეტონ-გუდსის სისტემის ინსტიტუტები; საერთაშორისო საგალუტო ფონდი (IMF) და მსოფლიო ბანკი (WB), რომელთა შექმნითაც მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო მსოფლიო ეკონომიკაში, გაჩდნენ ზესახელმწიფოებრივი ინსტიტუტები, რომელთაც გააჩნდათ მნიშვნელოვანი ბერკეტები სუვერენული სახელმწიფოების საქმეებში ჩარევისათვის.

ამავე პერიოდში იწყება ქვეყანათა შორის მრავალმხრივი მოლაპარაკებების რაუნდები ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით, რომელიც ძირითადად გამოიხატებოდა სატარიფო ბარიერების დაწევაზე შეთანხმებებით **General Agreement on Tariffs and Trade (GATT)**. ამ მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეცვალა სახელმწიფოს როლი და ფუნქციების დელეგირების აუცილებლობის წინაშეც დააყენა.

მსოფლიო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ეტაპია 60-იანი წლები, როდესაც დაიწყო დეკოლონიზაციის პროცესი, გაიზარდა სუვერენული სახელმწიფოების რიცხვი. ხოლო 70-იანი წლებიდან მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვან აქტიორებს დაემატა ტრანსაციონალური კომპანიები (ტნკ), რომლებიც ამ პერიოდისათვის მძლავრ ძალად ჩამოყალიბდნენ. ამ დროიდან მოყოლებული ტნკ-ების გავლენა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს გლობალიზაციის ტემპების დაჩარებაში.

ტნკ-ების მასშტაბების და სიძლიერის ზრდასთან ერთად გამოიკვეთა მათი, როგორც უარყოფითი, ისე დადებითი გავლენა ეროვნულ ეკონომიკებზე. მნიშვნელოვნად შეიცვალა სახელმწიფოების მიდგომა ამ საერთაშორისო აქტიორების მიმართ, რამეთუ თავიანთი მძლავრი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე ტნკ-ს ხშირად შეუძლია გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარების ტემპებზე.

სახელმწიფოს ფუნქციებისა და შესაძლებლობების ცვლილებების და ახალი საერთაშორისო სუბიექტების გაჩენის ფონზე იცვლებოდა საერთო ეკონომიკური კავშირურთიერთობების ტიპები. შეიძლება ითქვას, რომ ყველა ეპოქას ახასიათებდა საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის თავისებური ფორმა. ხშირად ეს შეიძლება გაუცნობიერებელი და დოკუმენტურად აღრიცხულიც არ ყოფილიყო.

2000-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგში, რამეთუ ეჭვებებ დააყენა ბევრი ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკის სისტორე და მოითხოვა მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის გადახედვა.

ქვემოთ კიდევ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ საერთაშორისო ეკონომიკის მთავარი სუბიექტების ეკოლუციის თავისებურებებს, რადგან როგორც აღვნიშნეთ მათი ფუნქციების და როლის ცვლილებები მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგს და მის თავისებურებებს.

## 1.12 სახელმწიფოს როლის ცვლილებები საერთაშორისო წესრიგის სხვადასხვა ეტაპზე.

თანამედროვე სოციალური ცხოვრება ასოცირდება სახელმწიფოსთან, როგორც საზოგადოებრივი ქმედებების ფაქტობრივად უკელა ფორმის გამსაზღვრელთან. სახელმწიფო გვესახება, როგორც უკელგან მყოფი და მუდამ არსებული ფენომენი, რომელიც არეგულირებს ცხოვრების პირობებს ადამიანის სიცოცხლის მთელ მანძილზე. ხოლო ის, რომ თავის საზღვრებს შიგნით იგი ძალაუფლების ერთადერთი მატარებელია, იცავს წესრიგს, უზრუნველყოფს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას, განათლებას და ჯანმრთელობის დაცვას - საყოველთაო ჭეშმარიტებაა. ნებისმიერი ადამიანი მიეკუთვნება რომელიმე ერს და ცხოვრობს განსაზღვრულ სახელმწიფოში. ამდენად, სახელმწიფო ადამიანის ცხოვრებაში რაღაც ხელშეუხებელი და მფარველი ფენომენის სახით წარმოგვიდგება.


მაქს ვებერზე დაყრდნობით, პოლიტიკური თეორეტიკოსები და სოციოლოგები აღნიშნავენ, რომ თანამედროვე სახელმწიფოს განსაკუთრებული თვისება მოცემულ ტერიტორიაზე საბრძოლო საშუალებებზე მონოპოლიის ფლობაა. თანამედროვე სახელმწიფოები წარმოიშვნენ დასავლეთ ევროპაში და მათ კოლონიებში XVII–XIX საუკუნეებში, თუმცა პირველი ასეთი სახელმწიფოები XVI საუკუნის ბოლოს შეიძლება მივაკუთვნოთ. ისინი განსხვავდებოდნენ მანამდე არსებული პოლიტიკური ერთობებისაგან ნათლად გამოკვეთილი ტერიტორიით, სუვერენიტეტით და ლეგიტიმაციით. სწორედ ეს ფაქტორები გახდა გამსაზღვრელი ახალი ტიპის ანუ ერი–სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის.

მმართველობაზე მონოპოლიური უფლება თანამედროვე სახელმწიფოს მხოლოდ საკუთარი ძალისხმევის ფასად არ მიუღია. ვესტფალიის ხელშეკრულების შემდეგ 1648 წელს მთავრობებმა თანდათანობით დაიწყეს საკუთარ სახელმწიფოსთან რელიგიური სახის კონფლიქტების წინააღმდეგ ბრძოლა. თანამედროვე ეტაპზე თითოეული ქვეყნის მიერ ერთმანეთის სუვერენულობის ცნობა და რელიგიური რწმენის ხელშეუხებლობა ნიშნავდა იმას, რომ სახელმწიფოები სტაბილურობისა და კონტროლის შენარჩუნებისათვის მზად იყვნენ დაეთმოთ გარკვეული პოლიტიკური მიზნები.

სახელმწიფოთა და პირველ რიგში ერი-სახელმწიფოთა რიცხვი სწრაფად გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. თუ 1871-1914 წლებში 12 ახალი სახელმწიფო წარმოიქმნა, 1918-1945 წლებში კი-16, 1945-1997 წლებში ახლად შექმნილმა სუვერენულმა სახელმწიფოების რიცხვმა 110 შეადგინა ანუ ორჯერ და უფო მეტი ვიდრე მანამდე იყო.

ნახ. 1.1.2.1

#### **საერთაშორისოდ აღიარებული სუვერენული სახელმწიფოების რაოდენობა<sup>4</sup>**



უკვე ის ფაქტი, რომ სახელმწიფოთა რიცხვი იზრდება, ხოლო ახლად შექმნილი სახელმწიფოების ძირითადი მიზანი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების გაძლიერებაა, ანტიგლობალისტებს აძლევს იმის მტკიცების საშუალებას, რომ ერი-სახელმწიფოების დრო კი არ მთავრდება, არამედ პირიქით, უფრო მეტ მნიშვნელობას იღებს.

ტენდენცია ნამდვილად დასაფიქრებელია თუმცა მხოლოდ ტენდენციაზე დაყრდნობით ასეთი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა ალბათ არ იქნებოდა სამართლიანი. უპრიანი იქნებოდა კარგად გაგვეანალიზებინა და შეგვეფასებინა ის ვითარება, რომელიც სუფეს თანამედროვე მსოფლიოში. გლობალიზაცია უფრო მეტ საფრთხეს შეიცავს თანამედროვე ერი-სახელმწიფოსათვის, ვიდრე ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩენოს. უფრო მეტიც, მრავალი პოლიტოლოგი და

<sup>4</sup> [http://www.thefullwiki.org/List\\_of\\_sovereign\\_states](http://www.thefullwiki.org/List_of_sovereign_states)

ეკონომისტი გამოთქვამს აზრს, სახელმწიფოს უმნიშვნელო როლზე თანამდროვე ტრანსნაციონალურ ეკონომიკაში. რეალური ანალიზისათვის საჭიროა უფრო ღრმად შევისწავლოთ სახელმწიფოს ეკოლუციის თავისებურებები და მხოლოდ ამის ფონზე გამოვიტანოთ საბოლოო დასკვნა.

ამრიგად, ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს უმთავრეს სუბიექტს, ინსტიტუტს, რომელიც ახდენს საერთაშორისო დონეზე ეკონომიკური საქმიანობის წესებისა და რეგულაციების შემუშავებასა და მათ რეალიზაციას. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო გლობალიზებად ეკონომიკაში იძენს სხვა ფუნქციებს, რომელთა შორის გამოსაყოფია: საერთაშორისო წესების შემუშავებაში მონაწილეობა, რომელიც ყოველთვის ეკონომიკური მიზნებით განისაზღვრება, ამ წესებთან ეროვნული ეკონომიკის ადაპტაცია, ეკონომიკის დაცვა, რაც ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიული მიზნითაა განპირობებული, ეროვნული ეკონომიკის გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში სრულყოფლილი ინტეგრირების ხელშეწყობა, რომელიც ძირითადად კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში სრულყოფლილი მონაწილეობით და ამ ქვეყნის მოსახლეობის განვითარების დონით განისაზღვრება, ასევე ეროვნული მწარმოებლებისათვის მისადები საერთაშორისო წესების დამკვიდრების ხელშეწყობა, პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ცალკეულ ქვეყნებზე ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირების, უცხოური ინვესტიციების დივერსიფიკაციის აუცილებლობას განაპირობებს, ორმხრივი და კოლექტიური დიპლომატიის გამოყენება საერთაშორისო წესების დასამკვიდრებლად და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, ტრადიციული წარმოდგენა სახელმწიფოზე, როგორც მსოფლიო წესრიგის ძირითად ერთეულზე, გულისხმობს მის შედარებით პომოგენურობას, ანუ იგი გვევლინება როგორც უნიტარული, ერთიანი მიზნების მქონე სუბიექტი. მაგრამ თანამედროვე ეპოქაში საერთაშორისო და ტრანსნაციონალური ორგანიზაციების რიცხვის ზრდამ, შეცვალა როგორც სახელმწიფოს ისე სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მიმართულებები.

გლობალიზაციას განსაკუთრებით კრიტიკულად აფასებენ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნების მეცნიერთა უმრავლესობა, ისინი უპირატესობას ანიჭებენ სახელმწიფოს მონაწილეობით ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებელ განვითარებას და გლობალიზაციის პროცესს განიხილავენ ეროვნული ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად. ამავე დროს,

აღნიშნული ქვეყნების მეცნიერები ურადღებას ამახვილებენ ეროვნულ ტრადიციებზე, ფასეულობებზე, კულტურულ თვითმყოფადობაზე, გლობალიზაციის უარყოფით ზეგავლენაზე, ანუ აქცენტს აკეთებენ გლობალიზაციის შესაძლო ნეგატიურ კულტურულ-პოლიტიკურ შედეგებზე.

გლობალური ეკონომიკის ფორმირება და მისი შემდგომი განვითარება გულისხმობს გარკვეული მარეგულირებელი ორგანიზაციული სტრუქტურების არსებობას, რომელთა მიერ გატარებული პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს გლობალური ეკონომიკის ფუნქციონირების ხასიათს და წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის, როგორც ორგანული მთლიანობის სტრუქტურულ ერთეულებს. აღნიშნული სტრუქტურების მოქმედების არეალი მოიცავს, როგორც განსაზღვრულ ტერიტორიებს, ისე მთელ მსოფლიოს. აღსანიშნავია, რომ ყოველი სტრუქტურული ერთეულის წარმოშობა დაკავშირებულია განსაზღვრული მიმართულებით მოქმედებასთან ან გარკვეული საქმიანობის ხელშეწყობასთან. ყოველი სტრუქტურის ჩამოყალიბება განპირობებულია დროის მოთხოვნით, რამდენადაც ადამიანის ცოდნის გაფართოება, როგორც გარესამყაროს, ასევე თვით ადამიანის შესახებ, ეკონომიკური პროცესების ინტენსიფიკაცია და გართულება, რომელმაც მოიცვა ადამიანისეული საქმიანობის მთელი სპექტრი, ხელს უწყობდა მსოფლიო ეკონომიკის შემადგენელი ინსტიტუციური სტრუქტურების განვითარების პროცესს. მსოფლიო ეკონომიკის შემადგენელ ინსტიტუციურ სტრუქტურებს განსხვავებული ისტორია, საქმიანობის მიმართულებები და ეკონომიკაზე ზემოქმედების განსხვავებული ბერკეტები გააჩნია, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მათ განსხვავებულ წონას გლობალური ეკონომიკის განვითარების პროცესში

გლობალიზაციის პროცესში სახელმწიფო და მასთან დაკავშირებული მმართველობითი სტრუქტურები სერიოზულ გამოწვევას უჯახებიან. საერთაშორისო სტრუქტურები ფორმალურად არ წარმოადგენენ ზეეროვნული მმართველობის ინსტიტუციურ სტრუქტურებს, მაგრამ რეალურად ისინი არსებით ზეგავლენას ახდენენ ეროვნული სახელმწიფოების მმართველი ელიტის მიერ მიღებულ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებზე და ეს გავლენა განუხრელად ძლიერდება. ურთიერთობა სულ უფრო მეტად ხდება ასიმეტრიული, ანუ პოლიტიკური ელიტის ანგარიშვალდებულება გლობალური აქტიორების წინაშე ძლიერდება, ხოლო საკუთარი მოქალაქეების მიმართ კი სუსტდება. ამასთანავე, მოქალაქეებს არ აქვთ გლობალურ აქტიორებზე ზემოქმედების ინსტიტუციური მექანიზმები (ბერკეტები).

მაშასადამე, მთელი რიგი პოლიტიკურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებები, რომლებსაც ეროვნულ სახელმწიფოთა მთავრობები იღებენ, არ ექვემდებარება მოქალაქეთა მხრიდან კონტროლს და გამორიცხავს მათ მონაწილეობას უმნიშვნელოვანეს პროცესებში.

საქართველოს სინამდვილეშიც აღნიშნული პრობლემა ორ გარემოებაში შეიძლება გამოვლინდეს. პირველი, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებში ანგარიშვალდებულია გლობალური აქტიორების წინაშე, რის გამოც ხშირ შემთხვევაში იძულებული იქნება მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც შეთანხმებული არ არის საკუთარი მოსახლეობის შეხედულებებთან და მოთხოვნებთან (ინტერესებთან). მეორე, ბევრი გადაწყვეტილება ლეგიტიმურად მიიჩნევა არა მათი დემოკრატიულობის მიზეზით, არამედ იმის გამო, რომ მათ მხარს უჭერენ გლობალური აქტიორები. ნათელია, რომ ხშირად ეს ერთი და იგივე არ არის. ასეთ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილების დროს ერთადერთი არგუმენტია ის, რომ იგი ამკვიდრებს საზღვარგარეთ აპრობირებულ რადაც მოდელს.

ეკონომიკის გლობალიზაციის ამჟამინდელი მოდელი, როგორც აღნიშნავს მრავალი ეკონომისტი თუ ჩვეულებრივი მოქალაქე, უპირატესად პასუხობს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ინტერესებს, თუმცა მისი ზემოქმედება ამ ტიპის ქვეყნებზეც არ არის ერთმნიშვნლოვანი და მხოლოდ პოზიტიური. ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს განვითარებულ ქვეყნებში გლობალიზაციის შედეგად დასაქმების პრობლემის გამწვევება. ამ პრობლემამ კველაზე მეტად იჩინა თავი გასული საუკუნის 70-იან წლებში (რა თქმა უნდა, თუ მხედველობაში არ მივიღებათ 30-იანი წლების „დიდ დეპრესიას“). იგი დაკავშირებული იყო რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების მასობრივ გამოყენებასთან, რამაც ცოცხალი სამუშაო ძალის დიდი ეკონომიკა გამოიწვია და გაზარდა უმუშევართა რიცხოვნობა. ამასთან, იმ პერიოდში ეკონომიკური კონიუნქტურის საერთო გაუმჯობესებამ მნიშვნელოვნად შეარბილა პრობლემა. უმუშევრები შედარებით სწრაფად ახერხებდნენ ახალი სამუშაოს პოვნას და მათი ცხოვრების დონე საგრძნობლად არ დაქვეითებულა. სიტუაცია არსებითად შეიცვალა 90-იან წლებში და გლობალიზაციის პროცესის გაღრმავებას დაუკავშირდა. საერთაშორისო გაჭრობის ლიბერალიზაციამ განაპირობა განვითარებულ ქვეყნებში საქონლის მასობრივი შემოდინება იმ ქვეყნებიდან, რომლებიც გამოირჩეოდნენ მუშახელის სიიაფით. ამის გამო ბევრი ადგილობრივი

საწარმო დაიხურა და იქ დასაქმებული ადამიანები უმუშევარი დარჩენენ. ბუნებრივია, რომ ამ პრობლემით შეწუხებული ქვეყნების მთავრობებმა მისი გადაწყვეტის ალტერნატიული გზების ძიება დაიწყეს.

თეორიულად მოიაზრებოდა საკითხისადმი სამი მიდგომა. პირველი: ქვეყნის ეკონომიკური გახსნილობის შემცირება და ბაზრის დაცვა. გლობალიზაციის ნეოლიბერალური მოდელი საფუძველშივე გამორიცხავს ამ მიდგომის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობას. მეორე: უახლესი ტექნოლოგიური ბაზისის გამოყენებით ეკონომიკის ძირებული სტრუქტურული გარდაქმნა, რომელიც შესაძლებელს გახდის მაღალი კონკურენტუნარიანობის მქონე პროდუქციის წარმოებას და რეალიზაციას. ყოველივე ეს მწარმოებელ ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს არა მარტო აანაზღაუროს ტრადიციული მასობრივი მოხმარების საქონლის იმპორტის ხარჯები, არამედ სოლიდური მოგებაც მიიღოს. მესამე: სამუშაო ძალის დირებულების ხელოვნური შემცირება და სოციალური ხარჯების შეზღუდვა, რაც უადრესად არაპოპულარული დონისძიებაა და საზოგადოებაში იწვევს სოციალურ დაძაბულობას. მაშასადამე, ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში გლობალიზაციის ზეგავლენით წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის: ზოგიერთი მათგანი ორიენტირებულია წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, სხვებს კი პირველ რიგში დასაქმებისა და სოციალური გარანტიების მაღალი დონე აინტერესებთ.

საინტერესოა ამ მხრივ ცნობილი ეკონომისტების მოსაზრებები: გლობალიზაციის ნეოლიბერალური მოდელის საპირისპირო ჯ. სტიგლიცი საზოგადოებას სთავაზობს ე.წ. „პოსტგაშინგტონის კონსესუს“, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს როლის გააქტიურებას ეკონომიკაში და საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეორგანიზაციის პროექტს: ფონდის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურის გადასინჯვას მისი დემოკრატიზაციის და გამჭვირვალობის გაძლიერების თვალსაზრისით და მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ პასუხისმგებლობის დონის ამაღლებას. ცნობილი გერმანული უურნალის „შპიგელის“ თანამშრომლებმა ჰ. მარტინმა და კ. შუმანმა 1996 წელს გამოაქვეყნეს ნაშრომი „გლობალიზაციის ხაფანგი, შეტევა დემოკრატიასა და კეთილდღეობაზე“, სადაც აღნიშნულია: „გლობალიზაციის ძალა აერთიანებს მსოფლიოს და ამავე დროს ანგრევს მას. უდიდესი ინვესტიციური სახსრებისა და მსოფლიო

კონცერნების მფლობელები თავიანთ პირობებს კარნახობენ სუსტ ეროვნულ სახელმწიფოებს<sup>5</sup>

გლობალიზაციამ მთელ მსოფლიოში განაპირობა მიგრაციული ნაკადების განუხელი და მაღალი ტემპებით ზრდა და ეს განსაკუთრებით შეეხო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს. იმიგრაცია იქ თავდაპირველად განიხილებოდა მხოლოდ დადებით კონტექსტში, როგორც იაფი მუშახელის მოზიდვის გზით ეკონომიკური ზრდის დაჩქარების საუკეთესო საშუალება. გასული საუკუნის ბოლოს იმიგრაციის ზრდა დაემთხვა ამ ქვეყნებში ეკონომიკური კონიუნქტურის საერთო გაუარესების გამო დასაქმების პრობლემის გამწვავებას. უცხოეთიდან ჩამოსულ იაფ მუშახელზე მოთხოვნა პრაქტიკულად შეწყდა, მაგრამ შემოდინების პროცესი კვლავ ინტენსიურად მიმდინარეობდა. ადგილობრივ მოსახლეობაში ამან მზარდი უკმაყოფილება გამოიწვია, კერძოდ, უცხოელ მუშებში შრომის ბაზარზე საკუთარ კონკურენტებს ხედავდნენ. სიტუაციას ამწვავებდა ის გარემოება, რომ შემოსულთა უმეტესობა მუსულმანური ქვეყნებიდან იყო, რომლებმაც დასავლეთ ევროპაში შეიტანეს ადგილობრივი მოსახლეობისათვის უცხო, ზოგჯერ კი საერთოდ მიუდებელი მენტალიტები, ფასეულობათა სისტემა და ცხოვრების წესი.

ზემოაღწერილი პროცესების მასშტაბურობაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები: 1970-იანი წლების დასაწყისში დასავლეთ ევროპაში ცხოვრობდა დაახლოებით 300 ათასი არაევროპელი, ხოლო 2025 წლისათვის, ექსპერტთა გაანგარიშებით, იცხოვრებს დაახლოებით 37 მილიონი უცხოელი მოქალაქე, რომელთა უმეტესი ნაწილი მიგრირებული იქნება აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მრავალ განვითარებულ ქვეყანაში მიგრაციის მასშტაბების ზრდის პარალელურად მცირდება ადგილობრივი მოსახლეობის ხვედრითი წილი. მაგალითად, აშშ-ს კალიფორნიის შტატში ადგილობრივი მოსახლეობა უკვე უმცირესობას წარმოადგენს. აშშ-ში სწრაფად მატულობს ცენტრალური ამერიკიდან, ჩინეთიდან და ინდოეთიდან ჩამოსული მოსახლეობა. გერმანიაში თურქების, ხოლო საფრანგეთში არაბების სწრაფი მატება შეინიშნება. დღევანდელი ემიგრანტები, მათი წინა თაობებისაგან განსხვავებით, ნაკლებად ცდილობენ ადგილობრივი სახელმწიფო ენის შესწავლას, ადგილობრივი ყოფისა და კულტურის ელემენტების შეთვისებას, პირიქით, ისინი ესწრაფიან საკუთარი მყარი უმცირესობების შექმნას და ამ გზით მათვის უცხო გარემოში საკუთარი ეროვნული, ეთნიკური და რელიგიური თვითმყოფადობის

<sup>5</sup> <http://geoeconomic.com/print.php?lp=1&id=1607>

შენარჩუნებას. ამგვარი ქცევა ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის გადიზიანებას იწვევს. ისინი უფრო მეტად უჭერენ მხარს იმ მემარჯვენე რადიკალურ ნაციონალისტურ პარტიებსა და პოლიტიკურ ლიდერებს, რომლებიც მთავრობებს მოუწოდებენ იმიგრაციული წესების გამკაცრებისკენ.

სამუშაო ძალის გადაადგილების პრობლემა ერთ-ერთ იმ პრობლემათაგანია, რომელიც დიდი ხნის მანძილზე აწუხებდა მრავალ სახელმწიფოს. გლობალიზაციის პროცესმა არალეგალური მიგრაციის პრობლემა კიდევ უფრო მწვავე გახდა. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში “დროებითი” მიგრანტების ხვედრითმა წილმა მთელ მოსახლეობაში საკმაოდ მაღალ ციფრს მიაღწია. გერმანიაში, მაგალითად 4 მილიონზე მეტი თურქია, ხოლო საფრანგეთში აფრიკელებისა და არაბების რაოდენობა ოფიციალური მონაცემებით ქვეყნის მოსახლეობის 15%-ზე მეტია. მარტო ქალაქ მარსელში მუსლიმანთა ხვედრითმა წილმა მთელი ქალაქის მოსახლეობის ნახევარზე მეტს გადააჭარბა. დასავლეთის ქვეყნების ბევრი ლიდერი შიშობს, ემიგრაციის ასეთი გააქტიურებისა და ქვეყანათაშორის ლიბერალიზაციის პირობებში შეიძლება სერიოზული პოლიტიკური პრობლემებიც წამოიშვას.

მიგრაციის ამგვარი ტალღა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის პრობლემატურია. პირველი ის, რომ ქვეყნიდან გადის თითქმის ყოველთვის მაღალკვალიფიციური მუშახელი და მოსახლეობის ყველაზე აქტიური და ჯანსაღი ნაწილი. ეს პრობლემა ამ ქვეყნისათვის, მაგრამ ამ პროცესმა შესაძლოა უფრო მეტი პრობლემა შეუქმნას მიმდებ ქვეყანას, რაგინდ მაღალგანვითარებულიც არ უნდა იყოს იგი.

მიგრაციის დიდი ტალღა მართალია ზრდის მუშახელის რაოდენობას, თუმცა ესენი თუ თავიანთ ქვეყანაში ითვლებოდნენ მაღალკვალიფიციურად, უცხო ქვეყანაში ისინი წარმოადგენენ უბრალო შავ მუშახელს, რომელთა კვალიფიკაციაც არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და ხშირად მუშაობენ დაბალანაზღაურებად და არაშესაფერის ადგილებზე. მიუხედავად ყველაფრისა, მუშახელის რაოდენობის ზრდა მაინც დადებითად უნდა აისახოს მიმდებ ქვეყანაზე, მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდია.

ეს ემიგრანტები წარმოქმნიან იგივე მოთხოვნას ბაზარზე, რასაც ადგილობრივი მკვიდრნი და საჭიროებენ იგივე მომსახურებებს, რასაც სხვები, მაშინ როცა მათი უმრავლესობა არალეგალურად საქმიანობს და არავითარი წვლილი არ შეაქვს ბიუჯეტში გადასახადის სახით. ამ პრობლემის წინაშე მრავალი ქვეყანა აღმოჩნდა, თუმცა გამოსავალი არც ისე ადგილი საპოვნელი

გახდა, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც ამ პროცესებმა უკვე წარმოშვა პერმანენტული მოთხოვნა ამგვარ დაბალკვალიფიციურ მუშახელზე.

გლობალიზაცია იმის საშიშროებას ქმნის, რომ ცალკეული ქვეყნების ეკონომიკის კონტროლის სუვერენული სახელმწიფოდან სხვის ხელში გადასვლამ (ეს შეიძლება იყოს უფრო ძლიერი სახელმწიფოები, მრავალეროვნული ან გლობალური კორპორაციები და საერთაშორისო ორგანიზაციები) გამოიწვიოს უკიდურესი ნაციონალიზმი და ქსენოფობია, პროტექციონიზმის გაძლიერება, ექსტრემისტული პოლიტიკური მოძრაობის გააქტიურება, საბოლოოდ კი სერიოზულ კონფლიქტებში გადაიზარდოს.

ეკონომიკურად სუსტი ქვეყანა ძალაუნებურად დამოკიდებული ხდება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა პროცესის მონაწილე ძლიერ სუბიექტებზე და ეს იდებს არა მარტო წმინდა ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ და სამხედრო ხასიათსაც. ასეთი დამოკიდებულება კიდევ უფრო მტკიცდება ინსტიტუციონალურად, საერთაშორისო სამართლებლივი აქტებით, მათ ფარგლებში აღებული ვალდებულებებით, რამაც ქვეყანა შესაძლოა აქციოს გლობალურ ურთიერთობათა და ცალკეულ სუბიექტთა მორჩილად და ხელქვეითად.

სახელმწიფოს ფაქტობრივად რჩება მნიშვნელოვნად შეზღუდული სუვერენიტეტი, რომლის ფარგლებშიც შეუძლებელია დამოუკიდებელი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის გატარება. საფრთხე ექმნება მთლიანად ქვეყნის თვითმყოფადობას, ეთნოფსიქიკას, კულტურას, დემოგრაფიულ სურათს. იწყება აქტიური მიგრაცია, განსაკუთრებით კი მაღალინტელექტუალური პოტენციალის საზღვარგარეთ გადინება.

არსებობს მოსაზრება გლობალიზაციის პროცესების გავლენის შესახებ ეროვნული სახელმწიფოს, როგორც ერთი მთლიანობის აღქმაზე თვით საკუთარი მოსახლეობის მიერ. გლობალური სამყაროს ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება და დაახლოვება, ეკონომიკური და პოლიტიკური დაჯგუფებების და გაერთიანებების ჩამოყალიბება (ევროპაგშირი, NAFTA,...). ეს ყოველივე დადებითად მოქმედებს ადამიანთა ცხოვრების პირობებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

არსებობს გარკვეული სფეროები, სადაც სახელმწიფოს როლი რადიკალურად შეიცვალა და ამის შედეგად, მისი უნარი, რომ გააკონტროლოს საკუთარი მოსახლეობა და სოციალური პროცესები, შემცირდა. ერთ-ერთი მათგანი არის

ომი. სახელმწიფომ მის შიგნით საბრძოლო საშუალებების მონოპოლიზაცია იმისთვის მოახდინა, რომ საგარეო კონფლიქტების დროს უკეთ შესძლებოდა ტერიტორიის რესურსების მობილიზება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეთექსგმეტე საუკუნიდან დღემდე თანამედროვე სახელმწიფოს უპირველესი განმსაზღვრელი პირობა მის მიერ ომის წარმოების შესაძლებლობა და ძალა, და მისი მოქალაქების სიცოცხლისა და სიმდიდრის შენარჩუნება იყო. როგორც პრაქტიკამ აჩვენა “ცივი ომი” ამ ძალას მნიშვნელოვნად აძლიერებდა.

კლასიკური გაგებით ომი დანახული იყო, როგორც სახელმწიფოებს შორის წარმოშობილი დავის გადაჭრის საშუალება, რომლის მოგვარებაც შეუძლებელი იყო სხვა რომელიმე გზით. ბირთვული იარაღის განვითარებამ და მისმა დამანგრეველმა ძალამ, ბირთვულ სახელმწიფოებს შორის ომი შეუძლებელი გახადა იმის მიუხედავად, ეს ქვეყნები რა პოზიციებზე და რომელ ბანაკში იქნებოდნენ. ამან განვითარებულ ქვეყნებს შორის ომის საშიშროება საერთოდ ამოწურა (პატარა კონფლიქტები შეიძლება მხოლოდ პერიფერიულ რეგიონებში მოხდეს, სადაც ერთი მხარის დამარცხება არ გამოიწვევს ბირთვულ ომს) საერთაშორისო ურთიერთობებში. ასე რომ, შეიარაღებული ძალების არსებობა განვითარებული სახელმწიფოების მხრიდან ქვეყნების ორმხრივი მოლაპარაკებების დარეგულირების პროცესში შეუსაბამოც კი გახდა.

ომისა და მტრების გარეშე სახელმწიფო ნაკლებ მნიშვნელოვანი ხდება მოქალაქისათვის. როდესაც ხალხები რეალურად ხედავდნენ მტრებსა და დამპყრობლებს, მათ საკუთარი სახელმწიფოებრიობის საჭიროების შეგრძნება უჩნდებოდათ. თუკი ლიბერალური სახელმწიფო განაცხადებდა, რომ საკუთარ მეზობელთან მშვიდობიანი თანაცხოვრება სურდა და მიხედავად ამისა მასზე შეტევა მაინც განხორციელდებოდა, ასეთ შემთხვევაში ის უდიდეს ლეგიტიმურობას მოიპოვებდა ძალის კონცენტრაციის და გამოყენებისათვის. ასეთი ლეგიტიმაცია, უკვე წარსულს ჩაბარდა და მასთან ერთად გაქრა “ეროვნული” საჭიროებების გამო წარმოებული ომის ფაქტორები.

განვითარებულ მსოფლიოში სახელმწიფოები აღარ ომობენ, მათი უდიდესი ნაწილი სხვადასხვა თვალსაზრისით არის ურთიერთდამოკიდებული. ისინი გაერთიანებულნი არიან სხვასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში თუ ურთიერთთანამშრომლობის საბჭოებში. მათ აქვთ საერთო პრობლემები, საერთო ინტერესები და ამ ინტერესთა დაკმაყოფილების პროცესში ეს ქვეყნები არიან ერთმანეთის ნამდვილი მეგობრები და კეთილი მეზობლები. რაც უფრო იმატებს ამ

საერთო ინტერესთა და პრობლემათა მოცულობა, მით უფრო მყარი ხდება ქვეყანათა შორისი ურთიერთობები, მით უფრო იმატებს იმის განცდა, რომ ისინი წარმოადგენენ ერთიანი იდეების მატარებელ ხალხთა ერთობლიობას, რომელთა შორის კონფლიქტი და შედლი საერთოდ წარმოუდგენელიც კია. ამის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ევროკავშირი, სადაც ეს პროცესები კიდევ უფრო გააღრმავა ერთიანმა ფულმა, ევრომ.

ეს ტენდენცია თავისთავად მისასალმებელი და სასარგებლოა კაცობრიობისათვის, მაგრამ მას ჩვენ განვიხილავთ, როგორც ეროვნული სახელ-მწიფოს როლის და მნიშვნელობის ერთ-ერთ დამაკნინებელ ფაქტორს. ამ დროის განმავლობაში ქვეითდება ეროვნული თვითშეგნების აღქმა, ერთ დროს დაუძინებელი მტრები ხდებიან გულითადი მეგობრები, წარსულს ბარდება ეროვნულ ნიადაგზე გაჩადებული კონფლიქტები, რომლებიც დიდ სამსახურს უწევდნენ ნაციონალიზმის შეგრძნებას და გამძაფრებას. ეროვნული სახელმწიფოს როლი ბევრისთვის გაუგებარი ხდება, როდესაც აღმოაჩენენ რომ მშვენივრად თანაცხოვრებენ სხვა ეროვნების ადამიანთანაც, რომელთა შორის ურთიერთობები დარეგულირებულია გაერთიანების ან საერთაშორისო სამართლით.

ამგვარი მიდგომა ძალიან გავრცელებულია დღევანდებულ საზოგადოებაში და მრავალი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სახელმწიფოს როლის დაკნინებაზე კი არ უნდა ვისაუბროთ, არამედ მათ საერთოდ გაქრობაზე და ერთიანი მსოფლიოს ჩამოყალიბებაზე. ეს მეტად რადიკალური მოსაზრება გახდა თანამედროვე გლობალიზაციასთან დაკავშირებულ პროცესებთან. ეს რა თქმა უნდა არ გახლავთ გლობალიზაციის თავდაპირველ მნიშვნელობასთან დაკავშირებული და არის მისი დამახინჯებული აღქმა.

მიუხედავად იმ მრავალი ფაქტორისა, რომელიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფოს, როგორც ერთი მთლიანობის, არსებობის საკითხზე საუბარი ალბათ არასამართლიანი იქნებოდა. მართალია იგი სრულყოფილად ვედარ აკონტროლებს სავალუტო კურსებს, ფულად ნაკადებს, ინფორმაციისა და საქონლის ნაკადებს, ხდება მის ინტერესებთან მძაფრი დაპირისპირება ტრანსნაციონალური კორპორაციების მხრიდან და ხშირად ისინი მის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე დიდი გავლენას ახდენენ, რაც მართლაც დიდი საფრთხეა ეროვნული სახელმწიფოს თვითმყოფადობისათვის, მაგრამ არ იძლევა იმის საფუძველს, რომ დაუინებით ვამტკიცოთ ეროვნული სახელმწიფოს აღსასრულის მოახლოება.

უკელა ამ პრობლემის მიუხედავად, უნდა აღვნიშნოთ ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევენ. რადიკალური გლობალიზაციის მომხრეთა მტკიცებით პირველ დარტყმას მიიღებდნენ ისეთი მცირე სახელმწიფოები, რომელთა გავლენაც საერთაშორისო პროცესებში არც თუ მნიშვნელოვანია, თუმცა მათ წინააღმდეგ მრავალი ფაქტორი და ტენდენცია მეტყველებს:

1. დღეს ცხოვრების დონის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებულები ქვეყნები მცირე სახელმწიფოები არიან; (თუ შევხედავთ ქვეყნების განვითარების ინდექსებს და მთლიან ეროვნულ პროდუქტს ერთ სულ მოსახლეზე)
2. მცირე სახელმწიფოებს პეგემონისტური პრეტენზია არა აქვთ და ამის გამო ისინი დიდ სახელმწიფოებზე უფრო მეტი ნდობით სარგებლობენ;
3. თუ მსოფლიო ეკონომიკა ისე იქნება მოწყობილი, რომ გაუქმდება სავაჭრო ბარიერები და ცალკეული ქვეყნის ინტერესებს განგებ არ შელახავენ, მაშინ უფრო მცირე სახელმწიფოებიც შეძლებენ თავიანთი სპეციფიკური ნოუ-ჰაუს და მრავალფეროვანი იდეების გამოყენებას გლობალურ კონკურენციასთან გამკლავებისათვის:
4. მსოფლიო არენაზე სწორედ მცირე სახელმწიფოების არსებობაა მთლიანობაში საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების სიჯანსაღის ნიშანი.

იმის ფონზე, რომ იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციათა რიცხვი და გავლენა, სახელმწიფოს ადგილი მსოფლიო პოლიტიკაში უმნიშვნელო გვეჩვენება. თუკი საერთაშორისო ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სო-ციალური მმართველობა გაიზრდება, ასევე გაიზრდება საერთაშორისო სამართლის როლიც. თუმცა საერთაშორისო სამართალს არ შეუძლია მოქმედება ერი-სახელმწიფოს გარეშე, არა უბრალოდ იმიტომ, რომ სახელმწიფოები მის მატერიალურ უზრუნველყოფას და იმ აგენტებს წარმოადგენენ, რომლებსაც ეს ნორმები შეეხება, არამედ იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენენ აგენტებს, რომლებიც ქმნიან და აუქმებენ კანონებს.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესები ვითარდება იმ ფარგლებში, რომელსაც ეროვნული სახელმწიფოები ადგენენ. ასევე მნიშვნელოვანია ეროვნული სახელმწიფოების მხრიდან საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ გატარებული პოლიტიკის

შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში მონაწილეობის მაღალი ხარისხი. ეროვნული სახელმწიფოები (უმთავრესად განვითარებული სახელმწიფოები) იღწვიან იმ წესების გლობალურ დონეზე დასამკვიდრებლად, რომელიც თანხვედრაშია მათ ეკონომიკურ ინტერესებთან, რაც ხშირ შემთხვევაში ტნკ-ების მიერაა ნაკარნახევი და მათ მიერვე არის ინიცირებული.

საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოთა მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობის გარეშე, რომლებიც კანონის უზენაესობის წყაროდ გვევლინება, წინააღმდეგობრივი მოვლენაა. საერთაშორისო საზოგადოება, როგორც სახელმწიფოთა ასოციაცია, ვერ დაეყრდნობა ზესახელმწიფოებრივ ორგანოებს იმისათვის, რომ მათთვის კანონები შექმნან და განახორციელონ კიდეც ისინი; თუმცა სახელმწიფოს როლის შესუსტების ერთ-ერთ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ გლობალიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული რეალობა მოითხოვს ისეთი სახელმწიფოების არსებობას, რომლებიც ადიარებენ იმ კონსტიტუციურ შეზღუდვებს, რომლებიც ან აღემატება ან პირიქით ჩამორჩება მათ პასუხისმგებლობას.

მსოფლიო ეკონომიკის მდგრადი განვითარება ობიექტური აუცილებლობით მოითხოვს გლობალიზაციის პოლიტიკისა და ცალკეული ქვეყნის ინტერესებს შორის თავსებადობას. გლობალიზაციის პოზიტიური შედეგებით სარგებლობა გულისხმობს ყველა ეროვნული ეკონომიკისა და მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის მოდერნიზაციას, რომლის საფუძველი უნდა გახდეს ეროვნულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით შემუშავებული, მოდერნიზებული და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარჩოებში ურთიერთშეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკა, რათა აღნიშნული ყოვლისმომცველი პროცესის დადებითი შედეგით ისარგებლოს მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყანამ.

გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს როლის გაძლიერების გარეშე გარდაუვალია ცალკეულ ქვეყნებს და საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებს შორის უფსკრულის ზრდა, რაც განპირობებულია გლობალიზაციის პირობებში ცალკეული სოციალური ჯგუფების შემოსავლების ასიმეტრიული ზრდით.

გლობალური ეკონომიკის შემდგომი მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი ნეოლიბერალური და სოციალური საბაზო ეკონომიკის მოდელების გარკვეული სინთეზით წარმართვა, რამდენადაც ნეოლიბერალური გლობალიზაციის ერთ-ერთი უარყოფითი თავისებურების –

მსოფლიო მასშტაბით შემოსავლების მკვეთრი დიფერენციაციის, ასევე სხვა სოციალური პრობლემების სიმწვავის შემცირება სოციალური საბაზო ეკონომიკის გარკვეული პრინციპების გლობალური მასშტაბით დამკვიდრებას შეუძლია. ამრიგად, აუცილებელია გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირება, რომელშიც საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკაში არსებული ეროვნული სახელმწიფოს როლის გარკვეული ნაწილი.

ზემოთადნიშნული მწვავე პრობლემები საფუძველს აძლევს მსოფლიო საზოგადოებას შემფორება გამოხატოს თანამედროვე გლობალიზაციის მიმართ იმ თვალსაზრისით, რომ ეს უკანასკნელი საფრთხეს უქმნის ცალკეული ქვეყნების სუვერენიტეტს და ეროვნულ ფასეულობებს. ამიტომ სულ უფრო აქტუალური ხდება არჩევანი: გლობალიზაციის ალტერნატივა თუ ალტერნატიული გლობალიზაცია? პირველს ემსრობა თანამედროვე მსოფლიო ანტიგლობალისტური მოძრაობის ყველაზე რადიკალური ფრთა: რიგი ბუნებადამცველი ორგანიზაციები, სტუდენტური მოძრაობის ნაწილი, ბევრი ისლამური დაჯგუფება, ანარქისტები და სხვ. ისინი ცდილობენ ნებისმიერი მეთოდების გამოყენებით გლობალიზაციის პროცესების შეჩერებას. უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემისადმი ამგვარი მიღება არ შეესაბამება ობიექტურ რეალობას და უპერსპექტივობა. კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ გლობალიზაცია კანონზომიერი პროცესია და ძალისმიერი მეთოდებით მისი შეჩერება შეუძლებელია.

ამ მიმართებით, დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკური რეალობა იცვლება გლობალური და ინტერნაციონალური მსოფლიოს ჩამოყალიბებისაკენ, სადაც ქვეყნები აღიარებენ საერთაშორისო კანონიერ პასუხისმგებლობებს და ამასთან, საერთაშორისო დონეზე მართვას კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვით ახორციელებენ. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო, როგორც კანონთა წყარო და მათი განუხრელად დამცველი ორგანო, კვლავაც ერთ-ერთ მთავარ როლს შეასრულებს ინტერნაციონალიზებულ ეკონომიკასა და საზოგადოებაში.

### 1.1.3 საერთაშორისო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები.

სახელმწიფოსთან ერთად მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის მთავარი სუბიექტები არიან საერთაშორისო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური კომპანიები. როგორც ზემოთ აღვნოშნეთ, საერთაშორისო ორგანიზაციების ისტორია XX საუკუნიდან იწყება, როდესაც შეიქმნა ერთა ლიგა, როგორც ზესახელმწიფოებრივი წარმონაქმნი.

ორგანიზაციის მთავარი მიზანი იყო კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისათვის ხელშეწყობა და საომარი მოქმედებების თავიდან აცილება. დაარსებიდან ორგანიზაციის მთავრი პრობლემა გახლდათ ის, რომ იმდროინდელ მსოფლიო ლიდერებიდან არც აშშ და არც სსრკ არ გახლდნენ ორგანიზაციის წევრები (სსრკ მიიღეს 1934 წელს, თუმცა ფინეთის ომის გამო გარიცხეს 1939 წელს). ორგანიზაციამ ვერ შეძლო შეესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობები, თუმცა შექმნა კარგი საფუძველი უფრო ეფექტიანი ორგანიზაციის შექმნისათვის. მისი რამოდენიმე კომიტეტი წარმატებით ტრანსფორმირდა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა გაეროს სხვადასვა პროფილის ორგანიზაცია, როგორებიცაა: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (International labour Organization- ILO), საერთაშორისო სასამართლო (International Court of Justice) და ჯანდაცვის ორგანიზაცია, რომელიც ტრანსფორმირდა როგორც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (World Health Organization).

ერთა ლიგა გახლდათ პირველი მცდელობა ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებისა, მსოფლიო თამაშის წესებში ახალი მოთამაშის გამოჩენით, თუმცა ორგანიზაცია მაინც შორს იდგა რეალობისაგან. არსებულმა გადაწყვეტილების მიღების კონსესუსის წესმა კიდევ უფრო გააძნელა გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები და არაეფექტიანი გახადა მისი მუშაობა. ორგანიზაცია ვერ გასცდა სტრუქტურებში წევრ ქვეყანათა სამართლიანი თანამონაწილეობის და სოლიდარობის პოლიტიკის გატარების ეტაპებს. ამაზე მოწმობს ის ფაქტი, რომ სხვა ოფიციალურ ენებთან ერთად ცდილობდნენ სამუშაო ენად დაენერგათ ხელოვნური ენა ესპერანტო. სურდათ წევრი ქვეყნების სკოლებში ერთ-ერთ ოფიციალურ უცხო ენად შემოიღოთ იგი და ამით გადაეწყვიტათ ბევრი პრობლემა, რაც ენობრივ ბარიერს შეიძლება მოპყოლოდა.

“დიდმა დეპრესიამ” და მეორე მსოფლიო ომმა ცხადყო ახალი ორაგანიზაციის შექმნის აუცილებლობა. ამ პერიოდში იქმნება ერთა ლიგის

სამართალმემკვიდრე გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც უფრო კომპლექსური და ეფქტუანი აღმოჩნდა წინამორბედთან შედარებით.

ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა ე.წ. “ბრეტონ-ვუდსის” სისტემის ორგანიზაციებიც, რომლთა შესახებ მოლაპარაკებები ორგანიზებული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, საერთაშორისო საგალუტო ფონდი (International Monetary found - IMF) და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, შემდეგში მსოფლიო ბანკი (World Bank-WB). ისინი დღეს წარმოადგენენ გაეროს სისტემის სპეციალიზებულ ორგანიზაციებს, თუმცა სხვა ამავე სისტემის ორგანიზაციებისაგან საკმაოდ განსხვავდებიან მასშტაბებით და მნიშვნელობით.

ამ ორმა საერთაშორისო ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ფორმირებაზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არსებული ეკონომიკური მდგომარეობა მოითხოვდა მნიშვნელოვან ცვლილებებს მსოფლიო ეკონომიკაში. როგორც ცნობილია 1920-30-იან წლებში ქვეყანათა უმრავლესობამ მიატოვა ოქროს სტანდარტი და მცურავი საგალუტო კურსი აირჩია. ზოგიერთმა კვლავ სცადა ოქროს სტანდარტზე გადასვლა, თუმცა წარუმატებელი გამოდგა, რასაც “დიდი დეპრესიაც” დაერთო. ბრეტონ-ვუდსის კონფერენციის შემდეგ წამყვან ქვეყანათა უმრავლესობა შეთანხმდა ახალ საერთაშორისო ფინანსურ სისტემაზე, რომლის მთავარი მამოძრავებელი ვალუტა იყო აშშ დოლარი. ქვეყნები განსაზღვრავდნენ საკუთარი ვალუტის კურსს დოლარის მიმართ, რომელიც თავის მხრივ დაფიქსირებული იყო ოქროს მიმართ.

ამ სისტემის ფარგლებში ქვეყნები იღებდნენ ვალდებულებას, რომ ეკონომიკური კონიუნქტურის მიუხედავად შეინარჩუნებდნენ ადგილობრივი ვალუტა/დოლარის გაცვლით კურსს, ხოლო აშშ-ს მთავრობა, თავის მხრივ, იღებდა ვალდებულებას, რომ არ შეცვლიდა დოლარი/ოქროს ფიქსირებულ კურსს.

ფინანსური სისტემა ემსახურებოდა საერთაშორისო ეკონომიკაში მიმდინარე კრიზისული ვითარებიდან თავის დაღწევას, რადგან საერთაშორისო კრიზისმა და მსოფლიო ომმა მნიშვნელოვნად შეამცირა ქვეყანათა შორის არსებული ეკონომიკური კაგშირები და საერთაშორისო ვაჭრობა. ფიქსირებულ კურსს ხელი უნდა შეეწყო ამ კაგშირულთიერთობების აღდგენისა და გამყარებისათვის.

აღნიშნული ფინანსური სიტემა იყო ქვეყანათაშორისი შეთანხმებების ის პირველი მცდელობა, როდესაც სუვერენული სახელმწიფოს მთავრობებმა

ნებაყოფლობით უარი თქვეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ ბერკეტზე—მონეტარულ პოლიტიკაზე. თუმცა ქვეყნებს მიეცათ უფლება შეეცვალათ საკუთარი კურსი მხოლოდ საგადამხდელო ბალანსის ე.წ. “ფუნდამენტური უწონასწორობის” დროს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მთავარი მისია იყო არსებული ფინანსური სისტემის მდგრადობის შენარჩუნება. ფონდი ცდილობდა ქვეყნების გადახდისუნარიანობის კონტროლს და “ფუნდამენტური უწონასწორობის” დროს ქვეყნებს ნებადართული პქონდათ სესხად აეღოთ საერთაშორისო ვალუტა მათივე ქვოტის შეაბამისად და შეეცვალათ სავალუტო კურსი. საფრანგეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც სესხი აიღო სავალუტო ფონდისაგან 1947 წელს.

1971 წლიდან, მას შემდეგ რაც ფიქსირებულმა სავალუტო სისტემამ შეწყვიტა ფუნქციონირება, გარკვეულწილად შეიცვალა ფონდის მისია და ფუნქციები. თუ მანამდე მთავარ მიზნად საგადამხდელო ბალანსის მდგრადობის მიღწევა იყო დასახელებული, დღეს უკვე მას სხვა მიზნებიც დაემატა და ოფიციალურ ვებ-გვერდზე ვკითხულობთ: “საერთაშორისო სავალუტო ფონდი არის 188 წევრი ქვეყნისაგან შემდგარი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზნებია: ხელი შეუწყოს საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობას, უსაფრთხო ფინანსურ სტაბილურობას, საერთაშორისო ვაჭრობას, დასაქმების მაღალ დონეს, მდგრად ეკონომიკურ ზრდას და მსოფლიოში სიღარიბის შემცირებას.”<sup>6</sup>

70-იანი წლებიდან ფონდის მიზნების და ფუნქციების ცვლილებები აგრეთვე განაპირობა დეკოლონიზაციის შედეგად გაჩენილმა ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბებამაც. კიდევ უფრო გაფართოვდა პრობლემათა არეალი და სიმწვავე-ამას თან დაერთო სანავთობო შოკების შედეგად წარმოქმნილი რეცესიები და 90-იანი წლების ფინანსური კრიზისები. გახშირდა სავალუტო ფონდის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებიც.

სავალუტო ფონდი გახდა გლობალიზაციის და კაპიტალიზმის “სახე”. ხშირად ისმის ანტიგლობალისტების განცხადებები მის საწინააღმდეგოდ, თუმცა გამოთქმულ კრიტიკის ნაწილი ობიექტურ რეალობასაც ემყარება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის, როგორც ერთიანი ზესახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ხელში არსებული ბერკეტების და მცდელობების მიუხედავად ვერ იქნა თავიდან აცილებული ეკონომიკური კრიზისები.

<sup>6</sup> <http://www.imf.org/external/about.htm>

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის და განასაკუთრებით გამწვავებული ევროპული კრიზისის ფონზე გაიზარდა სავალუტო ფონდის დახმარებათა და პროგრამათა რაოდენობა, თუმცა კვლავ აქტუალურია თემა ფონდის პოლიტიკის მოდერნიზაციის შეასახებ. როგორც კრიტიკოსები აცხადებენ: ბრეტონ-ვუდსის სისტემის ამ ორგანიზაციის შექმნისას არსებული პრობლემები მნიშვნელოვნად განსხვავდება თანამედროვე პრობლემებისაგან, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ უფრო წარმოაჩინა.

ბრეტონ-ვუდსის სისტემის მეორე უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია მსოფლიო ბანკი, რომელიც სავალუტო ფონდთან ერთად შეიქმნა. მისი მთავარი მიზანი გახდავთ მსოფლიოში სიღარიბის დაძლევა. თუ სავალუტო ფონდის თავდაპირველი უმთავრესი მიზანი გახდდათ საერთაშორისო სავალუტო სისტემის სტაბილურობის და ეფექტუანობის ზრდისათვის ხელისშეწყობა და საგადამხდელო ბალანსის პრობლემების მოგვარებაში დახმარება, მსოფლიო ბანკის მთავარი მიზანი არ შეცვლილა დაარსების დღიდან.

თავდაპირველად სავალუტო ფონდთან ერთად შეიქმნა ორგანიზაცია “რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი” (International Bank for Reconstruction and Development (**IBRD**)), რომელიც დღეს მსოფლიო ბანკის სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტია. დღეს მსოფლიო ბანკის ქვეშ **IBRD**-ისთან ერთად მოიაზრება კიდევ 4 ძირითადი ინსტიტუტი: **International Development Association (IDA)**, **International Finance Corporation (IFC)**, **Multilateral Investment Guarantee Agency (MIGA)**, **International Centre for Settlement of Investment Disputes (ICSID)**.

**IBRD** მიზნად ისახავს სიღარიბის შემცირებას საშუალოშემოსავლიან და ნაკლებკრედიტუნარიან ქვეყნებში მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობით, აგრეთვე დაბალპროცენტიანი სესხებით, გარანტიებით, რისკის მართვის პროდუქტების შეთავაზებით და ანალიტიკურ და საკონსულტაციო მუშაობაში დახმარების გაწევით. იგი საქმიანობს მიხი წევრი 188 ქვეყნის პრობლემების მოსაგვარებლად.<sup>7</sup>

**IBRD** არის ფინანსურად ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც საკუთარ აქტივებს ათავსებს მსოფლიო ფინასურ ბაზრებზე და 1947 წლიდან მსოფლიოში ყველაზე დიდი გამსესხებელია. წლების განმავლობაში დაგროვილი ფინანსური სახსრები

<sup>7</sup><http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/EXTABOUTUS/EXTIBRD/0,,menuPK:3046081~pagePK:64168427~piPK:64168435~theSitePK:3046012,00.html>

ორგანიზაციას საშუალებას აძლევს განახორციელოს საკუთარი კომპეტენციის ქვეშ არსებული საქმიანობა, გასცეს საკმაოდ დაბალპროცენტიანი სესხები განვითარებადი ქვეყნებისათვის და მათ შესთავაზოს საკმაოდ ხელსაყრელი პირობები.

მსოფლიო ბანკის ჯგუფის ამ ორგანიზაციათა მთავარი მიზანი, როგორც აღვნიშნეთ, არის მსოფლიოში სიდარიბის შემცირება, საკუთარი გამოცდილების გაზიარება და ტექნიკური მხარდაჭერა განვითარებადი ქვეყნებისათვის, მთავრობათა გამჭვირვალობის ზრდა, ინვესტიციური პროექტების მხარდაჭერა და ა.შ. თითოეული ინსტიტუტი ემსახურება ერთ საერთო მიზანს და მიზნის მისაღწევად თავიანთი საქმიანობის სპეციფიკის ფარგლებში ახორციელებენ მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

სავალუტო ფონდის მსგავსად მსოფლიო ბანკშიც გადაწყვეტილებების მიღების დროს ქვეყნებისათვის არსებობს ე.წ. “შეწონილი კენჭისყრის” სიტემა, ანუ ქვეყანას თავისი 250 ხმასთან ერთად აქვს დამატებითი ხმა მის მფლობელობაში არსებულ ორგანიზაციის ყოველ დამტებით აქციაზე. ამჟამად აქციათა ყველაზე დიდი წილის მფლობელია 5 ქვეყანა: ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო. შესაბამისად ამ ქვეყნებს აქვთ ყველაზე დიდი გავლენა ბანკის პოლიტიკის გასაზღვრისას და გადაწყვეტილების მიღებისას.

2010 წელს გადაიხედა ხმის უფლებების პროპორციები და შესწორებულ იქნა განვითარებადი ქვეყნების სასარგებლოდ. ეს განსაკუთრებით აისახა ჩინეთზე, რომელსაც უკვე გერმანიაზე და საფრანგეთზე დიდი გავლენა აქვს გადაწყვეტილების მიღებისას.

მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის არსებობს ინსტიტუციონალური კავშირიც. იმისათვის რომ ქვეყანა გახდეს მსოფლიო ბანკის, პირველ რიგში IBRD-ის წევრი. ის აუცილებლად უნდა იყოს სავალუტო ფონდის წევრი, რომელსაც თავისი მოთხოვნები აქვს, კერძოდ როგორიცაა: სავალუტო კურსის რეჟიმი, წევრი ქვეყნების მონაცემების შესადარისობის სტანდარტები და ა.შ. ამის შემდგა IBRD-ის წევრი ქვეყანა შეიძლება გახდეს მსოფლიო ბანკის ჯგუფის დანარჩენი ორგანიზაციების წევრი.

ეს ორი ორგანიზაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ფორმირებაში, აქვს დამოუკიდებლობის გარკვეული შესაძლებლობაც, რადგან მათი ფინანსური მდგომარეობა არ არის დამოკიდებული

წევრი ქვეყნების რეგულარულ შენატანებზე. ეს ორგანიზაციები შემოსავალს იღებენ გასესხების ოპერაციებიდან და მათ მიერ განხორციელებული საინვესტიციო პროექტებიდან. ფინანსური დამოუკიდებლობა მათ აძლევთ შესაძლებლობას თავიდან აიცილონ სახელმწიფოთა გავლენები და არ მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილებები.<sup>8</sup>

გაერთიანებული ერების ამ ორი ორგანიზაციის მმართველობითი სტრუქტურაც მნიშვნელოვნად განსხვავდება გაეროს სისტემის სხვა ორგანიზაციებისაგან. აქ არ მოქმედებს რაიმე ქვოტა ან რაიმე ეროვნულობის, პრინციპი. თანამშრომლები აირჩევიან მხოლოდ მათი პროფესიონალიზმის შესაბამისად, მათი პოლიტიკური შეხედულების და ეროვნების მიუხედავად. ამის გამო თანამშრომელთა დიდი ნაწილი მოდის განვითარებული ქვეყნების ეკონომისტებზე. ამით ხაზგასმულია ის ფაქტორი, რომ ეს ორგანიზაციები არიან ახალი ტიპის ზესახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, სადაც მუშაობა შეუძლია ყველას მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან შეზღუდვების და ბარიერების გარეშე.

როგორც ადგნიშნეთ, ფინანსური დამოუკიდებლობა და თანამშრომელთა შერჩევის ასეთი ფორმა ორგანიზაციებს განასხვავებს სხვა ორგანიზაციებისაგან, ანიჭებს რა პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევის უდიდეს შანსს, თუმცა სხვანაირად ფიქრობენ ანტიგლობალისტები.

ანტიგლობალისტების ვებგვერდებზე და მათ გამოსვლებში საპირისპირო აზრსაც ხშირად მოვისმენთ, რომ ეს ორგანიზაციები გამოხატავენ მხოლოდ განვითარებული ქვეყნების ინტერესებს. ამას მოწმობს ისიც, რომ მათ აქვთ ხმის უფლების დიდი ნაწილი და სხვა ორგანიზაციებისაგან განსხვავებით მათი სათაო ოფისები მდებარეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ ვაშინგტონში.

მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი გახდნენ ის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთანაც ასოცირდება თანამედროვე გლობალიზაციის პროცესები და ანტიგლობალისტთა “რისხვაც” ძირითადად მათკენ არის მიმართული. მათ თავიანთი საქმიანობით შეძლეს ის, რომ გახდნენ საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის უმნიშვნელოვანესი სუბიექტები, რომელთაც თავის თავზე აიღეს სუვერენული სახელმწიფოს ფუნქციების ნაწილი და გარკვეულ ჩარჩოებში მოაქციეს მათი საქმიანობა.

ამ ორ ორგანიზაციასთან ერთად აუცილებლად უნდა განვიხილოთ კიდევ ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა

<sup>8</sup> Thomas G. Weiss Sam Daws. Bretton Woods Institutions. Oxford University Press 2006, p.4

მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე და ზემოთმოცემულ ორგანიზაციებისგან გასხვავებით, ის არის სახელმწიფოთა პარმონიული თანამშრომლობის კარგი მაგალითი. ეს გახდავთ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ვმო) World Trade Organization (WTO).

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია დაარსდა 1995 წელს. ვმო წარმოადგენს მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის სამართლებრივ და ინსტიტუციონალურ საფუძველს, არის ურუგვაის რაუნდის 8 წლიანი (1986-1994 წ.წ.) კომპლექსური და ხშირად სადაც მოლაპარაკებების შედეგი. ურუგვაის რაუნდის შეთანხმებებმა ფაქტობრივად მომავალი საქმიანობის განრიგი დაადგინა.

ვმო მართავს სავაჭრო შეთანხმებებს, რომლებიც მიღებულია მისი წევრი ქვეყნების მოლაპარაკების შედეგად: **GATT** (ტარიფებისა და ვაჭრობის ძირითადი ხელშეკრულება), **GATS** (გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობაზე) და **TRIPS** (ინტელექტუალური საკუთრებით ვაჭრობა), მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიც არის საავტორო უფლება, სავაჭრო ნიშნები, პატენტები, სამრეწველო კონსტრუქციები და სავაჭრო საიდუმლოებები. შეთანხმებები ძალაში შევიდა 1995 წლის 1 იანვარს. ამ დროისათვის, GATT-ის ფორმატში არსებულმა საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებამ განიცადა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება:

- ვაჭრობის ეროვნული წესები სულ უფრო მეტად მოდიოდა შესაბამისობაში ვმო-ს მასშტაბურ ნორმებთან, პრინციპებსა და ამოცანებთან;
- დროთა განმავლობაში განვითარებული ინსტიტუციონალური პრაქტიკა მნიშვნელოვნად განმტკიცდა ოფიციალური ადმინისტრაციული სტრუქტურის (ორგანიზაციის) დაარსებით;
- სხვადასხვა ცხრილები, კოდექსები და შეთანხმებები, რომლებიც დაემატა 1947 წლის GATT-ს, პარმონიზებული იქნა ვმო-ს ერთიან სისტემაში და მისი განუყოფელი ნაწილი გახდა;
- მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია საქონელზე საიმპორტო ტარიფების შემცირებამ, ხოლო გლობალური სავაჭრო სისტემის მასშტაბები გაფართოვდა მასში ისეთი სფეროების ჩართვით, როგორიცაა მომსახურება, ინვესტიცია, ინტელექტუალური საკუთრება, დავების მოგვარება;
- ეროვნული სავაჭრო წესების გამჭვირვალობა აღიარებულ იქნა, როგორც სამართლიანი კონკურენციის განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტი, რომლის უზრუნველყოფისათვის ძალისხმევას ვმო-ს ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება;

- შეიქმნა დავების მოგვარების სავალდებულო მექანიზმი.

ვმო-მ გააგრძელა GATT-ის მიერ დაწყებული პოლიტიკა ბაზარზე დაშვების პირობების ლიბერალიზაციის და ეკონომიკური დაპირისპირების ურთიერთშეთანხმებული დათმობების შეცვლის მიმართულებით. ამ თვალსაზრისით ვმო-მ ბევრი მნიშვნელოვანი და ახალი ფუნქციაც შეიძინა, სავაჭრო დავების მოგვარების მექანიზმების ჩათვლით.

ქვეყნები, რომლებიც წარმოადგენენ 1947 წლის GATT-ის ხელმომწერ მხარეებს და, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ურუგვაის რაუნდის მოლაპარაკებებში, ითვლებიან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის თავდაპირველ წევრებად.<sup>9</sup> მათ მიერ ვმო-ს დამაარსებელი მარაკეშის შეთანხმების (XII მუხლი, მიერთება) მიღების თანახმად ხებისმიერი სახელმწიფო და კალკეული საბაჟო ტერიტორია, რომელიც სარგებლობს სრული ავტონომიით საგარეო კომერციული საქმიანობის განხორციელებისას, შეუძლია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობა-გაწევრიანების პროცესის წარმატებით დასრულების შემდეგ.

ვმო იმით განსხვავდება სხვა ზემოთგანხილული ორგანიზაციებისაგან, რომ გადაწყვეტილებები მიიღება კონსესუსის მეშვეობით და ერთი ქვეყანა აქ წარმოადგენს ერთ ხმას. აღნიშნულ პირობებში გადაწყვეტილების მიღება და შესრულება მთლიანად დამოკიდებულია წევრი ქვეყნების სურვილზე და კეთილსინდისიერებაზე.

სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მსგავსად არც ვმო-ს აკლია კრიტიკა ანტიგლობალისტების მხრიდან. მის თითქმის ყველა მინისტერიალს თან სდევს მოწინააღმდეგეთა საპროტესტო აქციები და ორგანიზაციას ყოველთვის ადანაშაულებენ მხოლოდ განვითარებული ქვეყნების ინტერესების ლობირებაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვნად იზრდება განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნები და პრეტენზიები საკუთარი ინტერესების დასაცავად. მიმდინარე დოპას რაუნდი აჩვენებს, რომ არსებობს ბევრი წინააღმდეგობები წევრ ქვეყნათა შორის და მათი გადაჭრა შეუძლებელია მნიშვნელოვანი დათმობების გარეშე.

ეს აისახა პონგ-კონგის კონფერენციის მეტად დაძაბულ მსვლელობაში და უნდა აღინიშნოს, რომ ვმო-ს გენერალური დირექტორის დიდი ძალისხმევისა და წევრი ქვეყნების ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად ეწ. “მწვანე ოთახების”

---

<sup>9</sup> URUGUAY ROUND AGREEMENT; Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization; 1994 Article XII: Accession

ფორმატით, კონფერენციაზე მიღებული იქნა მინისტრთა დეპლოაცია, რომელიც მოლაპარაკებათა მიმდინარეობის ფონზე საქმაოდ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

მინისტრთა კონფერენციის წარმატება ასევე განაპირობა განვითარებული წევრი ქვეყნების (განსაკუთრებით ევროკავშირი და აშშ) მხრიდან მნიშვნელოვან კომპრომისზე წასვლამ, რამაც შესაძლებელი გახადა კონსესუსის მიღწევა მოლაპარაკებებში ამ ეტაპისათვის. სოფლის მეურნეობის სექტორში მოლაპარაკებათა წარმატება, ასევე დამოკიდებული იყო 4 აფრიკული ქვეყნის (ბენინი, ბურკინა-ფასო, ჩადი და მალი) ინიციატივის შესახებ შეთანხმების მიღწევაზე, რომელიც ითხოვს აშშ-სა და ევროკავშირის მიერ ბამბის სექტორში სუბსიდიების აღმოფხვრას, რათა ამ პროდუქციის წარმოებაზე ორიენტირებულმა ქვეყნებმა შეძლონ კონკურენტულ პირობებში მისი ექსპორტი.

მიუხედავად უამრავი მოლაპარაკებებისა და შეხვედრებისა, მაინც ვერ ხერხდება განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ინტერესების თანხვედრა, ხოლო პრობლემები კიდე უფრო გაამწვავა მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა.

გლობალური ორგანიზაციები იქმნება გლობალური პრობლემების გადასაჭრელად. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს მნიშვნელოვნად განაპირობებენ აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ქმნიან ერთიან მსოფლიო პოლიტიკას და ერთიანი მიზნების ჩამოყალიბებით კიდევ უფრო აჩქარებენ გლობალიზაციის პროცესებს.

როგორც აღვნიშნეთ, გლობალიზაციის პროცესისათვის დამახასიათებელია საერთაშორისო ვაჭრობის მკვეთრი ზრდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გადიდება და ეროვნულ ეკონომიკათა კიდევ უფრო დაახლოება და ურთიერთშეღწევა. ამ პროცესებში მთავარ მოქმედ პირებს წარმოადგენენ სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და მსხვილი საერთაშორისო კორპორაციები, რომელთა უმრავლესობა მოიხსენიება, როგორც ტრანსნაციონალური კორპორაციები.

ტრანსნაციონალური კორპორაციები თანამედროვე გლობალიზაციის პირშობა და ეკონომიკური გლობალიზაციის ერთგვარ ლოკომოტივს წარმოადგენენ. ტნკ-ების მრავალი განმარტება არსებობს, XX ს. 60-იან წლებში გაერო ტნკ-თა რიცხვს მიაკუთვნებდა ფირმებს, რომელთაც უნდა ჰქონდათ წლიური ბრუნვა არანაკლებ 100 მილიონის მოცულობით და მათი ფილიალები და შვილობილი კომპანიები განთავსებულნი უნდა ყოფილიყვნენ 6 ქვეყანაში მაინც. მოგვიანებით

ნაკლებად მკაცრი კრიტერიუმების გამოყენება დაიწყეს. ამჟამად გაერო ტრანსნაციონალურს იმ კორპორაციას მიაკუთვნებს, რომელიც შემდეგ მახასიათებლებს მოიცავს: მათ გააჩნიათ საწარმოო რგოლები არანაკლებ ორ ქვეყანაში; ტარდება შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკა ცენტრალიზებული ხელმძღვანელობით; საწარმოო რგოლები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ.

გაეროს მონაცემებით, 1970 წელს მსოფლიოში არსებობდა 7 ათასი ტნკ, 1995 წელს 40 ათასი, ხოლო ბოლო მონაცემებით დღეს 65 ათასზე მეტი ტნკ არსებობს, რომლებიც აკონტროლებენ 850 ათას შვილობილ კომპანიასა და განყოფილებას საზღვარგარეთ.<sup>10</sup> ტნკ-ებს დომინირებადი ადგილი უკავიათ დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში. მათ სტრატეგიულ მიზნებში შედის: საკუთარი წარმოების უზრუნველყოფა უცხოური ნედლეულით; სხვა ქვეყნების ბაზარებზე შედწევა ფილიალების შექმნის გზით; საწარმოების განლაგება იმ ქვეყნებში, სადაც ხარჯები საკუთარ ქვეყანასთან შედარებით უფრო დაბალია; ძველი საწარმოების მოდერნიზება და ა.შ. მათზე მოდის მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 2/3, ტნკ-ები აწარმოებენ მსოფლიო წარმოების ნახევარს და აკონტროლებენ მსოფლიოში არსებული პატენტების, ლიცენზიების და ნოუ-ჰაუს დაახლოებით 4/5-ს.

ტნკ-ების კონტროლის ქვეშაა ხორბლის, ყავის, სიმინდის, ხე-ტყის მასალების, თამბაქოს, ჯუთის და რკინის მადნის მსოფლიო ბაზრის 90%, სპილენძის და ბოქსიტების ბაზრის—85%, ჩაის და კალის—80%, 75% ბანანების, ნატურალური კაუჩუკის, ნავთობის ნედლეულის ბაზრის ამერიკული ექსპორტის ნახევარს ახორციელებენ ამერიკული და უცხოური ტნკ-ები. დიდ ბრიტანეთში ეს წილი აღწევს 80%-ს, სინგაპურში 90%-ს; გადასახადთა დიდი წილი, რომელიც დაკავშირებულია ახალი ტექნოლოგიების ტრანსფერთან, ხორციელდება ტნკ-ების შიგნით. აშშ-ში ტნკ-თა წილი ტექნოლოგიის ტრანსფერში შეადგენს 80%-ს, დიდ ბრიტანეთში—90%-ს.

ტნკ-ის საქმიანობის ყველაზე მიღებული და საყოველთაოდ აღიარებული მახასიათებელია ტრანსეროვნულობის ინდექსი, რომელიც თავისთავად წარმოადგენს შემდეგი მაჩვენებლების საშუალო სიდიდეს: უცხოური აქტივების მოცულობისა ერთობლივ აქტივებთან, საზღვარგარეთული გაყიდვებისა გაყიდვების საერთო მოცულობასთან და ტნკ-ების საზღვარგარეთულ ფილიალებში

<sup>10</sup> [www.unctad.org](http://www.unctad.org)

დასაქმებულთა რიცხვისა დასაქმებულთა საერთო რიცხვთან. ტრანსეროვნულობის ინდექსი გვიჩვენებს რამდენად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ კომპანიებისათვის საზღვარგარეთული ფილიალები და უცხოური ბაზრები.

ტრანსნაციონალიზაციის ინდექსის გაანგარიშება შემდეგი ფორმულით ხდება:

$$\text{TNI} = 1/3 (\text{A1/A} + \text{R1/R} + \text{S1/S}) \times 100\%$$

სადაც

**TNI** – არის ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, %;

**A1** – საზღვარგარეთული აქტივები;

**A** – მთლიანი აქტივები;

**R1** – უცხოური ფილიალების მიერ საქონლისა და მომსახურების გაყიდვების მოცულობა;

**R** – საქონლისა და მომსახურების გაყიდვების მთლიანი მოცულობა;

**S1** – საზღვარგარეთულ ფილიალებში დასაქმებულთა რაოდენობა;

**S** – კომპანიის მუშაკთა მთლიანი რაოდენობა.

მაშასადამე, ტრანსნაციონალიზაციის პროცესში მონაწილეობს, როგორც მინიმუმ თვით ტრანსნაციონალური კორპორაცია და ორი ქვეყანა-პაზირების ქვეყანა, რომელშიც განლაგებულია კომპანიის სათაო განყოფილება და მიმღები ქვეყანა, რომელშიც საერთაშორისო კორპორაციას აქვს ფილიალები, ქალიშვილი ან ასოცირებული კომპანიები პირდაპირი ინვესტიციების საფუძველზე.

ტნ-მა ისტორიულად განვითარების რიგი ეტაპები განვლო<sup>11</sup>. პირველი თაობის ტნ-ის (XIX ს-ის ბოლო) ჩასახვის პერიოდიდან მათ განიცადეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ევოლუცია. პირველი თაობის ტნ-ების საქმიანობა ძირითადად დაკავშირებული იყო ყოფილი კოლონიების ნედლეულის რესურსების დამუშავებასთან. ისინი თავისი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმითა და ფუნქციონირების მექანიზმებით კარტელები, სინდიკატები და პირველი ტრესტები იყვნენ. ამის შემდეგ მსოფლიო არენაზე გამოდის ტრესტელი ტიპის ტნ-ები, რომლებიც დაკავშირებული არიან სამხედრო-ტექნიკური პროდუქციის წარმოებასთან— მეორე თაობის ტნ-ები. დაიწყეს რა საქმიანობა ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში, ზოგიერთმა მათგანმა შეინარჩუნა თავისი პოზიციები მსოფლიო ეკონომიკაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომაც.

<sup>11</sup> ა.გ. მოვსესიანი, ს.ბ. ოგნივცევი, მსოფლიო ეკონომიკა, ტ I, თბ., 2003, გვ.149.

60-იან წლებში სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქართული თაობის ტნკ-ები, რომელთა საქმიანობა ეფუძნება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა ფართო გამოყენებას. ამ ტნკ-ების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმის სახით გამოდიოდნენ უკვე კონცერნები და კონგლომერატები. 60-80-იან წლებში მესამე თაობის ტნკ-ების საქმიანობაში ხდება ეროვნული და საზღვარგარეთული წარმოების ელემენტების შეზღუდული შეერთება: საქონლის რეალიზაცია, პერსონალის მართვისა და მუშაობის ორგანიზაცია, სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოების მარკეტინგი და გაყიდვათა შემდგომი მომსახურება. მესამე თაობის ტნკ-ები ხელს უწყობდნენ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევათა გავრცელებას მსოფლიო მეურნეობის პერიფერიულ ზონებში და რაც მთავარია, ქმნიდნენ ეკონომიკურ წანამდგრებს აღმოცენებულიყო საერთაშორისო წარმოება ერთიან საბაზო და საინფორმაციო სივრცესთან, კაპიტალის და სამუშაო ძალის, სამეცნიერო-ტექნიკური მომსახურების საერთაშორისო ბაზართან ერთად.

თანდათანობით ჩნდებოდა და 80-იანი წლების დამდეგს კი დამკვიდრდა მეოთხე თაობის გლობალური ტნკ. მათი განმასხვავებელი ნიშნებია: 1. ბაზრების პლანეტარული ხედვა და კონკურენციის განხორციელება მსოფლიო მასშტაბით.. 2. მსოფლიო ბაზრების დაყოფა რამდენიმე ტნკ-ს მიერ. 3. თავისი ფილიალების ქსელის მოქმედებათა კოორდინაცია ახალი ქსელური ტექნოლოგიების საფუძველზე, თითოეული მწარმოებლური კვანძის მოქნილი ორგანიზაცია, კორპორაციის მთელი ორგანიზაციული სტრუქტურის აღაპტაცია და მოქნილობა. 4. საკუთარი ფილიალების, ქარხნების და ერთობლივი საწარმოების ინტეგრაცია მართვის ერთიანი საერთაშორისო ქსელში, რომელიც თავის მხრივ ინტეგრირებულია ტნკ-ების სხვა ქსელებთან. 5. ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის განხორციელება სახელმწიფოზე, რომელშიც განთავსებულია ტნკ-ს ბიზნესი.

ახლა შეიძლება ვისაუბროთ ტნკ-ს მეხუთე თაობის წარმოშობასა და განვითარებაზე. მათი განმასხვავებელი თვისებები დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე ტნკ-ების ფუნქციონირების გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებთან, რომლებიც იქცნენ ფინანსური და ეკონომიკური სიმძლავრით დამოუკიდებელ მოთამაშეებად მსოფლიო ეკონომიკაში სახელმწიფოსთან ერთად.


როგორც აღვნიშნეთ, ტრანსნაციონალური კორპორაციები, დინამიური განვითარების შედეგად, გადაიქცნენ მსოფლიო სამურნეო სისტემის

უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტად და სუბიექტად. UNCTAD-ის (united nations conference on trade and development) მონაცემებით 2003 წელს უცხოური ფილიალების წილმა მსოფლიო მშპ-ს 10 პროცენტზე მეტი შეადგინა, ხოლო მათი წილი მსოფლიო ექსპორტში არის 33%, საზღვარგარეთულ ფილიალებში დასაქმებული იყო დაახლოებით 54,170 მლნ. კაცი, ხოლო 1990 წელს მუშაობდა მხოლოდ 24,2 მლნ. მათი გაყიდვის მოცულობა 2003 წელს შეადგენდა თითქმის 17,5 გრლნ. დოლარს, რაც ორჯერ აჭარბებს მსოფლიო ექსპორტის მოცულობას (9,3 გრლნ. დოლარი). 1990 წელს ეს ორი მაჩვენებელი თითქმის ერთი და იგივე იყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკვე 70-80-იანი წლებიდან იწყება ტრანსნაციონალური კორპორაციების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც პირდაპირ აისახავა მსოფლიო ეკონომიკაში პირდაპირი ინვესტიციების რაოდენობის მკვეთრი ზრდით. თუ 1970 წელს 13 მილიარდის ინვესტიციები ხორციელდებოდა, უკვე 2011 წლისათვის ეს მაჩვენებელი დაახლოებით 115-ჯერ გაიზარდა და 1 524 მლრდ დოლარი შეადგინა.

#### ნახ. 1.1.3.1

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 1970-2011წწ (მლრდ. დოლარებში )<sup>12</sup>**




ტნკების ზრდასთან ერთად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრი ზრდა შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვა – მესამე ფაქტორის გავლენითაც,

<sup>12</sup>[www.unctad.org](http://www.unctad.org)

როგორიცაა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმატებული მუშაობა, მაგრამ ამ ორი ცვლადის ისტორიულ მაჩვენებლებზე დაკვირვებით შეიძლება ვთქვათ, რომ მათ შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. ამას გვიდასტურებს კორელაციის საკმაოდ მაღალი კოეფიციენტიც  $0.84$  და კარგად გვაჩვენებს გრაფიკული გამოსახულებაც.

### 6ას. 1.1.3.2

**ტნკ-ები და პუი 1970-2003წწ (ცალი; მრავდ. დოლარი)**



ტნკ-ების განვითარება უშუალო გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის ზრდაზე. შეიძლება გამოვყოთ გავლენის რამდენიმე ძირითადი მიმართულება:

1. ტნკ-ები ბევრად განსაზღვრავენ საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზრის დინამიკასა და სტრუქტურას, კონკურენტუნარიანობის დონეს.
2. ტნკ-ები აკონტროლებენ კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. ისინი ძირითადი ინვესტორები არიან განვითარებად ქვეყნებში და აქტიურად ახდენენ გავლენას მათ ეკონომიკურ განვითარებაზე, იმავდროულად გააჩნიათ გავლენის ფართო სფეროები განვითარებულ ქვეყნებში. ეს საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ იმაზე, რომ თანამედროვე ტნკ-ებს უნარი შესწევთ გავლენა მოახდინონ მთელი რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეზე.

3. ტნკ-ები დიდ როლს თამაშობენ ტექნოლოგიების და ცოდნის გადაცემაში, ახდენენ რა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამოშაოების (სკსს) კონცენტრირებას საკუთარ ცენტრებში. ტნკ-ების საწარმოო და ფინანსური შესაძლებლობების წყალობით ისინი თავიანთ ხელში აქცევენ ყველაზე მეცნიერებადტევად დარგებს. ტნკ-ები ამუშავებენ უახლესი სახეობის პროდუქციას ყველაზე კარგი სამომხმარებლო თვისებებით, რითაც წარმოების ტექნოლოგიური განვითარების პროცესს უწყობენ ხელს.
4. ტნკ-ები საერთაშორისო შრომითი მიგრაციის სტიმულატორები არიან. ისინი ხელს უწყობენ პროფესიული ცოდნის გავრცელებას, გამოცდილების გაცვლის პროცესს სხვადასხვა ქვეყნის თანამშრომლებს შორის. ამით კი საერთაშორისო შრომის ბაზარი იქმნება, რომლისთვისაც დამახასიათებელია სხვადასხვა ქვეყნიდან პერსონალის პროფესიული მომზადების კონვერგენციის პროცესები.

საკუთარი საერთაშორისო საწარმოო კომპლექსის შექმნით ტნკ-ები იძენენ სხვა ქვეყნების ეკონომიკურ სტრუქტურებში დამკვიდრების დამატებით შესაძლებლობებს. მათ შეუძლიათ თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენონ ამ ქვეყნების ბუნებრივი, საწარმოო, ტექნოლოგიური და შრომითი რესურსები, საზღვარგარეთ უკვე არსებული ვიწრო სპეციალიზებულ საწარმოთა ბაზაზე გააღრმავონ შრომის საფირმო დანაწილება.

საზღვარგარეთ მოწყობილი წარმოება იმ უპირატესობებს აძლევს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, რომლებიც სათაო კომპანიის ბაზირების ქვეყნებისა და ფილიალების ადგილსამყოფელი ქვეყნების ეკონომიკურ პირობებში არსებული განსხვავებებიდან გამომდინარეობს. ეს განსხვავებები შეიძლება იყოს ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფასა და მათ ღირებულებაში, ხელფასის განაკვეთებში, დაბეგვრაში, საამორტიზაციო ანარიცხების ნორმებში, ეკოლოგიურ სტანდარტებში, შრომის კანონმდებლობაში, სამუშაო ძალის კვალიფიკაციაში, გალუტის კურსებში და სხვა მრავალ კომპონენტში, რომლებიც წარმოებული პროდუქციის ღირებულებას აყალიბებენ. ორგანიზაციული სტრუქტურა ისეთ სპეციფიკურ უპირატესობებს ანიჭებს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, როგორიცაა საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების გადატანა საფირმო ოპერაციებში. ეს კი იძლევა ახალ ტექნოლოგიასა და ნოუ-ჰინჩები მონოპოლიის შენარჩუნების, საბაჟო ბარიერების გვერდის ავლის, საერთაშორისო კონკურენციისაგან თავის

დაცვის და პროდუქციის თვითდირებულების შემცირების შესაძლებლობას, რადგან ტრანსფერული ფასები 4-5-ჯერ ნაკლებია მსოფლიო ფასებზე.

სწორედ ამიტომ ქალიშვილი ფირმების შესაქმნელად ადგილის შერჩევისას მთავარი როლი იმ საწარმოო დანახარჯების ანალიზს ენიჭება, რომლებიც ხშირად განვითარებად ქვეყნებში უფრო დაბალია. პროდუქცია კი იმ ქვეყნებში იყიდება, სადაც მასზე მაღალი მოთხოვნაა – მირითადად განვითარებულ ქვეყნებში. ამიტომაა, რომ, მაგალითად, თანამედროვე გერმანიის მაცხოვრებლები გერმანული ფირმა “Bosch”-ის ტექნიკას ყიდულობენ, რომელიც არა გერმანიაში, არამედ სამხრეთ კორეაშია წარმოებული.

როგორც ტნკ-ები ბიზნესის ელიტას წარმოადგენენ, ასევე ტნკ-ებს თავისი ელიტა ჰყავთ – სუპერმსხვილი კომპანიები, რომლებიც მეტოქეობას უწევენ მრავალ სახელმწიფოს წარმოების, ბიუჯეტის და “ხელქვეითების“ რაოდენობის მიხედვით. მსოფლიოს 100 უმსხვილესი ტნკ (საერთო რაოდენობის 0,2%-ზე ნაკლები) საზღვარგარეთული აქტივების და საზღვარგარეთული გაყიდვების ერთობლივი მოცულობის შესაბამისად 12%-ს და 16%-ს აკონტროლებს.

ტრანსნაციონალიზაციის პროცესების მნიშვნელოვანი განზოგადებისას კლინდება, რომ ცალკეული ქვეყნის ტნკ-ებს გააჩნიათ განსაზღვრული თავისებურებები, რომელიც დაკავშირებულია მათ გენეზისთან, ევოლუციასთან, შინაგან სტრუქტურასთან, მეგაკორპორაციებად და ჯგუფებად გაერთიანებასთან, საკუთარ სახელმწიფოებთან და განვითარების ტენდენციებთან დამოკიდებულებასთან.

პოსტკრიზისულ პერიოდში, წინა მონაცემებიდან განსხვავებით შემცირებულია აშშ-ს ტნკ-ების რაოდენობა მოწინავე ოცულები (იხ. დანართი I). ამ მონაცემებიდანაც ჩანს, რომ 20 უმსხვილეს არასაფინანსო ტრანსნაციონალურ კორპორაციას შორის 3 აშშ-შია ბაზირებული, მაშინ როცა 2004 წლისათვის იმავე ცხრილში 9 აშშ-ს ტნკ ფიგურირებდა. ამერიკულმა ტნკ-ების საზღვარგარეთულმა ფილიალებმა და შვილობილმა კომპანიებმა შეადგინეს ახალი მძლავრი სისტემა, რომელსაც ზოგჯერ ამერიკის მეორე ეკონომიკას უწოდებს. მნიშვნელოვანი ტენდენცია ჩამოყალიბდა აშშ-ში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში: ე.წ. ახალი ეკონომიკის სახით დამოუკიდებელი კომპლექსების გამოჩენა და გამოყოფა, რაც წარმოდგენილია საინფორმაციო და ვენტურული კომპანიების სახით და მიდის განვითარების ინვაციური გზით. ახალი ეკონომიკის ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად აჭარბებს ტრადიციული ეკონომიკის ზრდის ტემპებს.

ევროპული ტნკ-ების განმასხვავებელ თვისებას წარმოადგენს მათი მჭიდრო ურთიერთკავშირი სახელმწიფოსთან. ეს ეხება გერმანიაში წამყვანი როლის შემსრულებელ დიდ ბანკებსაც და საფრანგეთის ეკონომიკაში გაბატონებულ სამრეწველო კორპორაციებსაც. აგრეთვე იაპონიისათვისაც დამახასიათებელია სახელმწიფოსთან ძალიან მყარი პარტნიორული ურთიერთობები ტნკ-პეირეცუებთან და მათ არაფორმალურ ზეპორპორაციულ სტრუქტურებთან.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ტრანსნაციონალური საფინანსო კორპორაციები, რომელთა უმრავლესობა წარმოდგენილია ტრანსნაციონალური ბანკების სახით (ტნბ). მათი ჩამოყალიბების ისტორია დაიწყო პირველი ევროდოლარების გაჩენასთან ერთად, როდესაც მიმზიდველი ევროდოლარები საშუალებას იძლეოდნენ კომპანიებს მიედოთ ის დამატებითი სარგებელი, რაც გამოწვეული იყო რომელიმე ქვეყნის ცენტრალური ბანკის კონტროლისაგან თავის დაღწევით.

ცალკეული ბანკის უცხოური ფილიალი თავისუფალი იყო ე.წ. სავალდებულო რეზერვებისაგან, რაც მას საშუალებას აძლევდა დეპოზიტორისათვის მიეცა უფრო მაღალი პროცენტი, ვიდრე ეს პქნედათ ადგილობრივ ბანკებს. კოველივე ეს მათ მომგებიან სიტუაციაში აყენებდათ და აძლევდათ დიდ შესაძლებლობებს შემდგომი განვითარებისა და გამსხვილებისაკენ.

გლობალიზაციის პირობებში ტნკ-ები და ტნბ-ები ქმნიან ე.წ. “სტრატეგიულ ალიანსებს” ისეთ საკითხებზე, რომელიც დაკავშირებულია გლობალური ბაზრის დანაწილებასთან და ამ ბაზარზე “თამაშის წესებთან”. სტრატეგიული ალიანსები უმთავრესად იქმნება სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში თანამშრომლობისათვის, რის შედეგადაც მცირდება აღნიშნულ სფეროზე დანახარჯები, რაც უკანასკნელ წლებში ტნკ-ების საერთო დანახარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

როგორც აღვნიშნეთ, ტრანსნაციონალური ბანკები წავიდნენ მათ ქვეყანაში ბაზირებულ ტნკ-ებთან ერთად, ევროვალურისა და სხვა ფინანსური საშუალებების ფორმით. ტნბ-ები მისდევდნენ თავის ტნკ-ებს და ემსახურებოდნენ მათ და არამარტო მათ მზარდ მოთხოვნებს მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე.

დღეისათვის ჩამოყალიბებულია სამი მსხვილი ძირითადი რეგიონი, სადაც კონცენტრირებული არიან ეს მსხვილი საფინანსო ინსტიტუტები: აშშ, დასავლეთ ევროპა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზია. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ XXI საუკუნის პირველ ათწლეულში უკვე საკმაოდ დიდი პროგრესი განიცადეს ჩინურმა ბანკებმაც, რომელთა მაჩვენებლებიც უკვე დიდად აღარ ჩამოუგარდება ჩვენთვის

ნაცნობ ამა თუ იმ მსხვილი ტრანსნაციონალური ბანკების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ფინანსური ტნკებისათვის მნიშვნელოვანი მახასიათებელია ინტერნაციონალიზაციის ინდექსი I.I. (International Index), რომელიც გამოითვლება, როგორც კომპანიის უცხოური ფილიალების რაოდენობა შეფარდებული ფილიალების მთლიან რაოდენობასთან. ამ მხრივ შვეიცარიული ფინანსური ისტიტუტები გამოირჩევიან, თუმცა ბაზირების ქვეყანათა რაოდენობით ფინანსური სიძნელეების მიუხედავად კვლავ ამერიკული ჩიტიგროუპ IBC ლიდერობს (იხ. დანართი 2).

თანამედროვე ეკონომიკაში აგრეთვე ფართო გავრცელება ჰქოვეს ოფშორულმა ბანკებმა. მათ გარეშე არ სრულდება არც ერთი ტნბ-ს ოპერაცია. პრინციპში, ოფშორული ბანკების ორგანიზაცია ხდება დაახლოებით იმავე მიზნებით, როგორც ოფშორული კომპანიების. ამ ბანკებს აქვთ შემდეგი თავისებურებები: 1. მას უფლება არა აქვს იმუშაოს რეგისტრაციის ქვეყნის რეზიდენტებთან. 2. რეგისტრაციისათვის გადახდილი საწესდებო კაპიტალის საჭირო სიდიდე ბევრად ნაკლებია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. 3. ბანკს ეძღვა გადასახადებისაგან პრაქტიკულად სრული თავისუფლება. 4. რეზერვების და სხვა საბანკო მოთხოვნები ოფშორებში, როგორც წესი, ნაკლებად მკაცრია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ხოლო სავალუტო კონტროლი საზღვარგარეთულ ოპერაციებზე არ არსებობს.

ოფშორულმა ბანკებმა შექმნეს ტრანსეროვნული ბანკების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფენა. თანამედროვე პირობებში მსოფლიოში პრაქტიკულად ტრანსეროვნული კაპიტალის ვერც ერთი ფინანსური სქემა მათ გარეშე ვერ იმუშავებს.

## 2.1 საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის თანამედროვე პრობლემები

### 1.2.1 სახელმწიფოსა და ტნკ-ების ურთიერთობები

დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში ტრანსნაციონალური კორპორაციები სულ უფრო მეტად გვევლინებიან ამა თუ იმ ქვეყნის შემდგომი განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა საერთაშორისო სისტემაში.

პრაქტიკაში ტნკ-ების სამ ძირითად სახეს განასხვავებენ:

პირველი. კომპანიები, რომლებიც შექმნილია ერთი ქვეყნის აქციონერული კაპიტალის გამოყენებით, მმართველობითი კონტროლისა და საქმიანობის ინტერნაციონალური სფეროთი. ტნკ-ების სათაო კომპანია განლაგებულია ბაზირების ქვეყანაში, ხოლო ქალიშვილი კომპანიები და ფილიალები მთელ მსოფლიოში. ამგვარი კომპანიების ტიპური მაგალითია „ფორდი“, „ექსონი“, „ნესტლე“.

მეორე სახის მრავალეროვნულ კორპორაციებს მიეკუთვნებიან ისინი, რომლებიც ინტერნაციონალურია გამოყენებული კაპიტალის, კონტროლისა და საქმიანობის სფეროს მიხედვით. ისინი აერთიანებენ მსოფლიო მეურნეობის ორი ან მეტი ქვეყნის ეროვნულ კომპანიებს. მოცემული ჯგუფის ყველაზე ტიპიური წარმომადგენლები არიან „როიალ დატჩშელი“, „იუნიველური“, „ფიატ–სიტროენი“. კორპორაციების აღნიშნული ტიპი ტნკ-ებზე ადრე წარმოიქმნა, მაგრამ ამჟამად არ არის ფართოდ გავრცელებული. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ განვითარებული ქვეყნების კორპორაციები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ განვითარებად ქვეყნებში.

მესამე სახის ორგანიზაციები საერთაშორისო კორპორაციული კავშირებია, რომლებიც წარმოადგენენ სამრეწველო, საბანკო და სხვა კონცერნების გაერთიანებებს მსხვილი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის მიზნით. ასეთი კავშირები ძირითადად იქმნება ელექტრონულ, ელექტროტექნიკურ, ქიმიურ, სანავთობო, საავტომობილო, ავიამშენებელ და ინფორმატიკის სფეროებში, მაგალითად, დასავლეთ–ევროპული კონცერნი „ეარბას ინდასტრი“.

ტნკ-ების საქმიანობა სასიკეთოდ მოქმედებს, როგორც მიმღები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, ისე იმ ქვეყნებისაზეც, საიდანაც მათ კაპიტალი გააქვთ.

მიმღები ქვეყნები (ქვეყნები, რომლებშიც მოქმედებენ სათაო ფირმის ფილიალები და შვილობილი კომპანიები) ინვესტიციების ნაკადიდან მოგებული რჩებიან მრავალი ასპექტით. უცხოური კაპიტალის ფართო მოზიდვა ხელს უწყობს ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებას, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას. ქვეყანაში იმ პროდუქციის წარმოების ორგანიზებით, რომელიც ადრე შემოჰკონდათ, იმპორტის აუცილებლობა ისპობა. მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის მწარმოებელი და ძირითადად ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიები მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობენ ქვეყნის საგარეო-სავაჭრო პოზიციების განმტკიცებას.

ტნკ-ს საქმიანობა ადგილობრივ კომპანიებს აიძულებს კორექტივები შეიტანონ წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში, მეტი ყურადღება დაუთმონ პროდუქციის ხარისხს, სამომხმარებლო თვისებებს და ა.შ. ყოველივე ეს დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრებაზე.

ხშირად ქვეყანაში ახალი ტნკ-ს შემოსვლას ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, პროდუქციის ახალი სახეობების გამოშვება, საზღვარგარეთის პრაქტიკიდან საუკეთესო გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობა მოყვება, დასაქმებულთა უმრავლესობა ითვისებს უახლეს ტექნოლოგიებს, იმადლებს კვალიფიკაციას და ქვეყნის სამუშაო ძალა თანდათან ხდება კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე.

აცნობიერებს რა ტნკ-ების საქმიანობის ამ დადებით შედეგებს, მრავალი ქვეყანა ცდილობს მიიზიდოს ტნკ-ები ახალი ტექნოლოგიების ასათვისებლად და ქვეყანაში დამატებითი სამუშაო ადგილების შესაქმნელად. განვითარებადი ქვეყნები აქტიურად ცდილობენ, რომ რაც შეიძლება მეტი მსხვილი ტნკ დააინტერესონ ქვეყანაში ინვესტიციების შემოტანით. ამისათვის ისინი მრავალ ხერხს იყენებენ, რაც მთავარია ცდილობენ შექმნან კარგი საინვესტიციო გარემო უცხოური კომპანიებისათვის და ხშირად ტნკ-ს პრივატურებულ მდგომარეობასაც სთავაზობენ ადგილობრივ ბაზარზე, ამცირებენ მთელ რიგ საგადასახადო თუ საბაჟო განაკვეთებს მხოლოდ ამ ფირმისათვის. ამის მრავალი მაგალითი არსებობს თანამედროვე პრაქტიკაში.

როდესაც "ჯენერალ მოტორს"-ი არჩევანის წინაშე იდგა, თუ სად აეშენებინა ქარხანა-ფილიპინებზე თუ ტაილანდში— მან არჩევანი ფილიპინებზე შეაჩერა, რადგან იქ უფრო შედავათიანი საგადასახადო განაკვეთები შესთავაზეს, ვიდრე კონკურენტ ქვეყანაში. მან ეს გადაწყვეტილება მიიღო მიუხედავად იმისა, რომ

სპეციალისტები და ექსპერტები უპირატესობას ტაილანდს ანიჭებდნენ, სადაც შედარებით უკეთესად იყო განვითარებული საავტომობილო ბაზარი. ცნობილი ფაქტია ისიც, რომ ბრაზილიის მთავრობა მრავალ დათმობაზე წაგიდა იმის სანაცვლოდ, რომ "ფორდს" თავისი ახალი ქარხანა სწორედ ბრაზილიაში აეშენებინა.

ტნკ-ების საქმიანობას დიდი სარგებელი მოაქვს იმ ქვეყნებისათვისაც, საიდანაც მათ გააქვთ კაპიტალი. რამდენადაც ეს პროცესები ზრდიან საშუალო მოგებას და მისი მიღების საიმედოობას, ტნკ-ს აქციათა მფლობელებს შეუძლიათ მაღალი და მდგრადი შემოსავლის იმედი იქონიონ.

ტნკ-ს საწარმოებში დასაქმებული მაღალკვალიფიცირებული მუშაკებისათვის დიდი სარგებლობა მოაქვს შრომის მსოფლიო ბაზრის ფორმირებას: გადადიან რა ქვეყნიდან ქვეყანაში, ისინი ახალ სამუშაო ადგილს პოულობენ; და რაც მთავარია, ტნკ-ების საქმიანობის შედეგად ხორციელდება იმ ინსტიტუტების ექსპორტი (შრომითი და ანტიმონოპოლიური საკანონმდებლო ნორმების, დაბეგვრის პრინციპების, კონტრაქტების დადგების პრაქტიკის და ა.შ.), რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა.

ტნკ-ების საქმიანობის აქტიური საწარმოო, საინვესტიციო და სავაჭრო საქმიანობა ორი ფუნქციის განხორციელების საშუალებას იძლევა: ეკონომიკური ინტეგრაციის სტიმულირება და პროდუქციის წარმოებისა და განაწილების საერთაშორისო ხასიათი.

ტრანსნაციონალიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამეცნიერო-საცდელი, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების (სკსს) წარმართვის თავისებურება. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ მისი ეფექტიანობა იზრდება გეომეტრიული პროგრესით შესაბამისად, დაბანდებული სახსრების არითმეტიკული პროგრესის შესაბამისი ზრდის ხარჯზე<sup>13</sup> ანუ უდიდესია სხვადასხვა სახის რესურსების მობილიზების და გაერთიანების მნიშვნელობა სკსს-ის პროცესისათვის, რისი ყველაზე მეტი საშუალებაც სახელმწიფოს და ტრანსნაციონალურ კორპორაციას გააჩნიათ, ამ უკანასკნელის ფინანსური შესაძლებლობები კი ხშირად ბევრი სახელმწიფოსას აღემატება (რასაც ქვემოთ კიდევ შევეხებით). ამასთან ტნკ-ს სახელმწიფოსთან შედარებით ერთი უპირატესობა გააჩნია – მის მიერ წარმოებული სკსს-ს პროცესი უფრო

<sup>13</sup> ბადრი რამიშვილი „ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკაში“ შერნალი სოციალური ეკონომიკა 2007წ. №11. გვ. 92

მიზნობრივ ხასიათს ატარებს. თუმცა ეს ეფექტიანობა შეიძლება არც ისე მომგებიანი იყოს მთლიანად მსოფლიოსათვის, რადგან ამ პროცესების კონტროლიდან გასვლამ, თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, შეიძლება მსოფლიო მასშტაბის ტრაგედიაც კი გამოიწვიოს.

ტნკ-ების ქცევის ტრადიციული მოდელი, რომლის დროსაც ინოვაციური პროდუქტები ძირითადად იქმნებოდა წარმოშობის ქვეყანაში და შემდეგ ხდებოდა მისი ექსპორტირება საზღვარგარეთულ ფილიალებში, იცვლება უფრო რაციონალური ქცევით. თანამედროვე ტრანსნაციონალური კორპორაციები სულ უფრო ხშირად ცდილობენ საკუთარი კვლევითი სამუშაოების უფრო რაციონალურ ტერიტორიულ განთავსებას სამუშაოს ნაწილის გადატანით იმ ქვეყანაში, სადაც მათი ჩატარების უკეთესი პირობები და შედარებით იაფი და ხშირად არც თუ დაბალგვალიფიციური მუშახელია.

ეკონომიკის გლობალიზაცია ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთობებს აქცევს მათი და შესაბამისად, გლობალური ეკონომიკის განვითარების უმთავრეს ფაქტორად. გლობალიზაცია ვითარდება ქვეყნებს შორის საქონლის, კაპიტალის, მომსახურების, ცოდნის, ტექნოლოგიების, კულტურული მიღწევების გაცვლით და ამ გაცვლით განპირობებული ცვლილებებით საზოგადოების ცხოვრებაში. ეკონომიკის გლობალიზაციის მამოძრავებელი მოტივია შეფარდებითი და კონკურენციული უპირატესობის ძიება, დანახარჯების შემცირება წარმოების ფაქტორების გლობალური დანაწილების ახალი კომბინაციების გზით. გლობალიზაციის პირობებში ადგილი აქვს ეკონომიკური საქმიანობის გარკვეულ უნიფიკაციას, რაც გამოიხატება ტექნოლოგიებზე, გარემოს მდგომარეობაზე, საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობაში, სტატისტიკაში, განათლების სფეროში ყველა ქვეყნისათვის ერთიანი სტანდარტების შემუშავება-გამოყენებაში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით ადგილი აქვს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთიანი კრიტერიუმების დანერგვის პროცესს.

როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ტრანსნაციონალური კომპანიები არიან ის სუბიექტები, რომელთაც ძალუბო ყველა ამ სიკეთეთა ექსპორტირება ერთი ქვეყნიდან მეორეში, რითაც საშუალებას აძლევენ ყველა ქვეყანას გამოიყენონ გლობალიზაციის ეს დადებითი ასპექტი.

ტნკ ხელს უწყობს ეკონომიკურ ინტეგრაციას და მდგრად ეკონომიკურ კავშირებს ქმნის სხვადასხვა ქვეყნებს შორის. მათი მეშვეობით ეროვნული ეკონომიკის ერთიან მსოფლიო ეკონომიკაში “შეღწევა” მიმდინარეობს, რის

შედეგად წმინდა ეკონომიკური საშუალებებით, ყოველგვარი ძალადობის გარეშე, სპონტანურად იქმნება გლობალური ეკონომიკა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბაზრებისათვის ბრძოლა გადავიდა სასტიკი სამხედრო-პოლიტიკურიდან, უარეს შემთხვევაში, უსისხლო ეკონომიკურ სფეროში.

ამ გლობალური კომპანიების მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდება ფინანსური და სხვა სახის კრიზისების დროს, როდესაც სუსტ კომპანიებს არ შესწევთ ძალა გაუძლონ ამ სახის წინააღმდეგობებს. მაგ.: 1997–1998 წლებში ე.წ. “აზიური კრიზისის” დროს აღნიშნული რეგიონის ქვეყნების საფონდო ბაზრები დატოვა წვრილმა და საშუალო კაპიტალმა, რომელიც ძლიერაა დამოკიდებული ეკონომიკის კონიუნქტურულ რყევაზე და მათი ჩანაცვლება უდიდესი კომპანიების კაპიტალით მოხდა.

ამ კუთხით მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობა შეიძლება დადებითად შეფასდეს, როგორც სტაბილიზაციის ერთ-ერთი გარანტი. მაგრამ ტრანსერვნული კაპიტალის მაღალი წილი ქვეყანაში თავისთავად მაინც საფრთხის შემცველია, რადგან მას ყოველთვის შეუძლია გავიდეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ ძალიან მოკლე ხანში და დაბრკოლებების გარეშე. თუ ეს მოხდება თვით კრიზისის დროს ეს აღმოჩნდება დამატებითი დამანგრეველი ფაქტორი ქვეყნისათვის, რამაც ქვეყანა შეიძლება სრულ კოლაფსამდე მიიყვანოს.

მსხვილმა ტრანსნაციონალურმა კორპორაციამ სოციალური პასუხისმგებლობის გააზრებით და სწორი პოლიტიკის წარმართვით შესაძლებელია მნიშვნელოვნად დადებითი როლი შეასრულოს ქვეყნის ჯანსაღი ეკონომიკის მშენებლობაში. ამის მაგალითად გამოდგებიან იაპონური ტრანსნაციონალური კორპორაციები. კორპორაციული სული დრმად შეიჭრა იაპონელთა ცხოვრებაში. ყოველი იაპონელი ამაყობს თავისი ფირმით და მის ნაწილად მიაჩნია თავი, რის შეგრძნებასაც თვით კორპორაციის პოლიტიკა უმძაფრებს. მაგ., კონცერნ “მიცუის” თანამშრომელს უფრო ხალისით სთავაზობენ კრედიტს ბანკში, ვიდრე ბევრად უფრო უზრუნველყოფილ, მაგრამ ნაკლებად ცნობილ ფირმის წარმომადგენელს. ეს ბუნებრივიცაა. იაპონიაში ხომ ყველასთვის ცნობილია, რომ კონცერნი ნებაყოფლობით იღებს თავის თავზე თანამშრომლების კეთილსინდისიერების გარანტიას.

ტნკ-ების საქმიანობის შედეგების შესახებ ყველაზე გავრცელებული მცდარი მოსაზრებაა ის, თითქოს საერთაშორისო ოპერაციების შედეგად ზოგიერთი ქვეყანა აუცილებლად მოგებული რჩება, დანარჩენი კი ზარალდება. რეალურ ცხოვრებაში

შესაძლებელია სულ სხვა შედეგიც: ორივე მხარე შეიძლება მოგებული ან წაგებული დარჩეს. ტნკ-ების საქმიანობიდან მოგება-ზარალის ბალანსი ბევრადაა დამოკიდებული მთავრობების, საზოგადოებრივი და ზესახელმწიფოებრივი ორგანიზაციების მხრიდან მათ საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებაზე.

ტნკ-ები თავიანთი წარმოების მასშტაბებით და მსოფლიო ბაზრის პლანეტარული ხედვით, უდავოდ დადებითი ეკონომიკური შედეგების მომტანია, როგორც მთლიანი მსოფლიო ეკონომიკისათვის, ასევე თითოეული ბაზირების ქვეყნისათვის, მაგრამ მათი ფინანსური სიძლიერე და ფართო მასშტაბით მანევრირების საშუალება, ხშირად მრავალი სახელმწიფოსათვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს.

როგორც აღვნიშნეთ, ტნკ-ებს შეუძლიათ დადებითი როლი შეასრულონ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, თუმცა ხშირად რეალობა სულ სხვა სურათს გვთავაზობს. ტნკ-ებს შეუძლიათ უარყოფითი ზეგავლენაც მოახდინონ ქვეყნის განვითარებაზე, როდესაც მათი ინტერესები არ დაემთხვევა ეროვნული მთავრობების ინტერესებს.

ეს უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია იმით, რომ ტნკ-ები კაპიტალის მოცულობით, ეკონომიკური სიძლიერით ხშირად აღემატებიან განვითარებული ქვეყნების ეროვნული კაპიტალის მთლიან მოცულობებს. მაგ.: "General Electric"-ის მთლიანი აქტივები აჭარბებს შვედეთის მშპ-ს, "BP"-ის აქტივები ისრაელის მშპ-ზე მეტია, "Vodafone"-ს აქტივები ჩეხეთის მშპ-ს მოცულობას აჭარბებს, ხოლო "Exxon Mobil"-ს აქტივები კუვეიტის მშპ-ს აღემატება.

**ტრანსნაციონალური კორპორაციები მათი აქტივების და სახელმწიფოები მათი მშპ-ს მიხედვით (მდნ. აშშ დოლარი)<sup>14</sup>**

N	ტრანსნაციონალური კორპორაცია	აქტივები	ქვეყანა	მთლიანი შიგა პროდუქტი
1	General Electric Co	551 585	შვედეთი	577 595
2	Royal Dutch Shell plc	271 672	სინგაპური	259 849
3	BP plc	243 950	ისრაელი	242 897

<sup>14</sup> [www.imf.org](http://www.imf.org) , [www.worldbank.com](http://www.worldbank.com)

4	Vodafone Group Plc	224 449	ჩეხეთი	215 265
5	Toyota Motor Corporation	211 153	პაკისტანი	210 566
6	Exxon Mobil Corporation	193 743	კუვეიტი	178 312
7	Total SA	175 001	ყაზახეთი	176 667
8	Volkswagen Group	167 773	ახალი ზელანდია	161 851
9	EDF SA	165 413	უკრაინა	164 960
10	GDF Suez	151 984	უნგრეთი	140 303
11	Telefonica SA	140 882	ვიეტნამი	122 722
12	E.ON AG	135 272	ირანი	115 388

ამ მონაცემებიდან კარგად ჩანს, თუ რა დონის მოთამაშეები არიან თანამედროვე ტნკ-ები. ყოველივე ამას უფრო აძლიერებს გლობალიზაციის უარყოფითი გავლენა სახელმწიფოებზე. დღევანდელი სახელმწიფოს როლი სულ უფრო და უფრო არასახარბიელო ხდება, იგი სრულყოფილად ვეღარ აკონტროლებს სავალუტო კურსებს, ფულად ნაკადებს, ინფორმაციისა და საქონლის ნაკადებს. ამის მიუხედავად სწორედ მას ეკისრება პასუხისმგებლობა მოქალაქეების განათლებაზე და ეკონომიკური წესრიგის დაცვაზე, ანუ იმ ორ ფუნქციაზე, რომელზეც ეკონომიკის საერთო განვითარებაა დამოკიდებული.

შეიძლება გამოვყოთ ტრანსეროვნული კაპიტალის ეროვნულზე უარყოფითი გავლენის საკვანძო მომენტები:

1. ტნკ-ები მძლავრ კონკურენციას უწევენ ადგილობრივ კომპანიებს და ავიწროვებენ მათ შიდა ბაზარზე, არ აძლევენ განვითარების საშუალებას.
2. ტრანსეროვნული კაპიტალის თავისუფალმა გადაადგილებამ შეიძლება შეარყიოს ეროვნული ვალუტის სტაბილურობა და საფრთხე შეუქმნას განვითარებადი ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოებას.
3. ტნკ-ები აღწევენ დარგში, რომელიც დაკავშირებულია ეროვნულ უსაფრთხოებასთან და შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ მათ განვითარებაზე.
4. ტრანსეროვნული კაპიტალისათვის შინაგანად თანმდევ კოსმოპოლიტიზმს შეუძლია ჩაახშოს განვითარებადი ქვეყნების ჯერ კიდევ სუსტი

სახელმწიფო ებრიობა და დანერგოს ისეთი იდეოლოგია, რომელიც ეროვნული ბიზნესის განვითარების ინტერესებს ეწინააღმდეგება.

5. ტრანსეროგნულ კაპიტალს, იცავს რა თავის ინტერესებს, შეუძლია მძლავრი პოლიტიკური ზეწოლის მოხდენა მიმღებ ქვეყნებზე ისეთი მიმართულებით, რომელიც ზოგჯერ არ ემთხვევა ეროვნულ ინტერესებს.

ამის გარდა აუცილებელია აღინიშნოს ტნკ-ების ზემოქმედების შემდეგი ძირითადი უარყოფითი ნიშნები მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე, რომელიც საფრთხეს უქმნის უკვე მათ ეროვნულ უსაფრთხოებას:

– მიმღები ქვეყნის კომპანიებზე შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში არაპერსპექტიული მიმართულებების თავსმოხვევის შესაძლებლობა, მიმღები ქვეყნის მოძველებული და ეკოლოგიურად საშიში ტექნოლოგიების განთავსების ადგილად გადაქცევის საშიშროება;

– უცხოური ფირმების მიერ მიმღები ქვეყნის სამრეწველო წარმოების და სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურების ყველაზე განვითარებული და პერსპექტიული სეგმენტების დაპყრობა;

– რისკების ზრდა საინვესტიციო და საწარმოო პროცესების განვითარებაში;

– სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება ტნკ-ების მიერ შიდა (ტრანსფერული) ფასების გამოყენების შედეგად;

თუ ეროვნული ხელისუფლება თავისი მოქალაქეების, ხოდო ზესახელმწიფოებრივი ორგანიზაციები თანადამფუძნებლების კონტროლის ქვეშ იმყოფება, ტრანსნაციონალური ბიზნესის ლიდერებს არავინ ირჩევს და არავის წინაშე არ არიან ანგარიშვალდებული. მოგების გამო საერთაშორისო ოლიგარქებს შეუძლიათ სერიოზული ზიანი მიაყენონ მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკასაც კი, ამასთან თავი აარიდონ ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

ტნკ-ები შეზღუდულები არ არიან რომელიმე სახელმწიფოს საზღვრებით, მათ აქვთ ფართო მასშტაბით მანევრირების საშუალება და აქვთ მატერიალური შესაძლებლობები დაუპირისპირდნენ ეროვნულ სახელმწიფოებს და მოახდინონ მათი გადაწყვეტილებების იგნორირება, ზოგჯერ იმოქმედონ მათი პოლიტიკის საწინააღმდეგოდ.

მათი ინტერესები ხშირად წინააღმდეგობაში მოდის, როგორც ეროვნულ სახელმწიფოსთან, ისე მცირე და საშუალო ბიზნესთან. კორპორაციები იწყებენ ფუნქციონირებას მთავრობების მსგავსად. მაგალითად IBM ფაქტობრივად

წარმოადგენს მთელ ქვეყანას. მას, ისევე, როგორც სხვა მსხვილ ტნკ-ებს, პყავს დიპლომატ-თანამშრომლების კადრები, რომლებიც ურთიერთობას ეწევიან ეროვნულ მთავრობებთან და ა.შ. არსებობს იმის პრეცენდენტიც, რომ ტნკ-მ ხელოვნურად, სულ რამოდენიმე წელიწადში შექმნა საკმაო სიდიდის ქალაქი, მთელი თავისი საჭირო ინფრასტრუქტურითა და მუნიციპალიტეტით.

ტრანსნაციონალური კაპიტალი, რომელსაც მხარს უჭერენ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის სხვა სუბიექტები, თავისი განვითარების ობიექტები კანონზომიერების ძალით მიისწრაფის ეკონომიკური, მაგრამ უფრო მეტად პოლიტიკური და იდეოლოგიური ძალაუფლების გაფართოებისაკენ. ეს განაპირობებს ორხელისუფლებიანობის სიტუაციას და დინამიკურ წონასწორობას, რომელიც ჩამოყალიბდება, ერთი მხრივ, ტრანსნაციონალური კაპიტალსა და მეორე მხრივ, ეროვნულ სახელმწიფოებს შორის.

ტნკ-ები თავის საკუთარ რისკებს ამცირებენ ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების მრავალ ქვეყანაში განთავსებით, მაგრამ ზრდიან მათ მიმღები ქვეყნებისათვის. საქმე ისაა, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ ადვილად შეუძლიათ თავიანთი კაპიტალის ქვეყნებს შორის გადაადგილება. ქვეყანაში არაჯანსაღი ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების შემთხვევაში, ტნკ-ებს შეუძლიათ კაპიტალის გატანა სხვა ქვეყანაში. ბუნებრივია, რომ ამით ვითარება იმ ქვეყანაში, საიდანაც კაპიტალი გადის, დამბიმდება, ვინაიდან ეს გამოიწვევს უმუშევრობას და არასასურველ სოციალურ ფონს.

გარდა ამისა, ტნკ-ები "ისრუტავენ" ადგილობრივ დანაზოგებს და სამეწარმეო ტალანტებს, რითაც ხელს უშლიან ადგილობრივი საწარმოების შექმნას და ამდენად ეროვნული ეკონომიკის განვითარებას.

ეროვნული სახელმწიფოების მიდგომა "საკუთარი" ტნკ-ებისადმი ორგვაროვანია, ერთი მხრივ ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ კორპორაციის განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ ცდილობენ თავიდან აიცილონ დიდი რაოდენობის ეროვნული კაპიტალის საზღვარგარეთ გატანა.

მსოფლიო მასშტაბით ტნკ-ების საქმიანობის უმთავრეს ხელშემწყობ ფაქტორს მათი ბაზირების ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს. განვითარებული სახელმწიფოები ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს მათ გასვლას მსოფლიო ბაზრებზე. ამ ქვეყნებში ხორციელდებოდა მიზანმიმართული პოლიტიკა ამ კომპანიების გასაძლიერებლად. ტნკ-ების საქმიანობა არ არის დაკავშირებული მარტო ეკონომიკურ მიზნებთან, არამედ მას თან სდევს პოლიტიკურ-კულტურული

და იდეოლოგიური მიზნებიც. ტნკ-ებს მიმღებ ქვეყნებში საქმიანობის განვითარებით შეაქვთ ბაზირების ქვეყნებისთვის დამახასითებელი თავისებურებები, რასაც ხშირად “კულტურის ექსპორტს” უწოდებენ.

იმ შემთვევაში, როცა ტნკ-ს ინტერესი ობიექტურად ემთხვევა ეროვნულ სახელმწიფოს ინტერესებს, მას შეუძლია უზრუნველყოს მათვის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი უპირატესობებიც კი სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ კონკურენციაში. "საკუთარი" ძლიერი ტნკ-ები გარევეულწილად უზრუნველყოფენ ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ ექსპანსიას მიმღები ქვეყნების მიმართ. ამის კლასიკური მაგალითია გერმანული ტნკ-ბისა და ჩეხეთის მაგალითი. გერმანიამ სულ რამოდენიმე წელიწადში საკუთარი ტნკ-ების მეშვეობით არანაკლებ ეფექტიანი კონტროლი დაამყარა ჩეხეთის ეკონომიკაზე, ვიდრე მასზე სამხედრო ძალის გამოყენებით II მსოფლიო ომის დროს.

ამ მხარდაჭერისა და ინტერესთა თანხვედრის მიუხედავად სახელმწიფოს დამოკიდებულება "თავისი" ტნკ-ს მიმართ მაინც ორგვაროვანია. სახელმწიფო აძლევს მას ყოველგვარ კრედიტს, სუბსიდიას, შედავათებს დაბეგვრაში, თუმცა საერთაშორისო მონოპოლიის სიმძლავრის ზრდას მივყავართ ქვეყნიდან კაპიტალის გადინების გაზრდისკენ პირდაპირი ინვესტიციების არხებით, რაც საერთოდ ქვეყნისათვის სასიკეთოა მთლიანობაში, მაგრამ ახდენს არასასურველ უარყოფით გავლენას დასაქმების და უმუშევრობის დინამიკაზე, შრომის მწარმოებლურობაზე, სამრეწველო წარმოების ტემპების ზრდაზე და შესაბამისად, მეპ-ს მოცულობაზე მათი ქვეყნის ეკონომიკის ჩარჩოებში.

მსხვილ კორპორაციებს ზოგჯერ შეუძლათ წარმართონ მათი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა საკუთარი ინტერესებისათვის. ცნობილია არაერთი შემთხვევა, როცა აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის და სხვა ქვეყნების მთავრობები აღმოჩნდნენ ჩათრეული ძვირადლირებულ საერთაშორისო კონფლიქტებში საკუთარ ტნკ-ების ინტერესების დაცვის მიზნით, რომლებიც საგსებით არ ეთანხმებოდა სხვა მოქალაქეთა ინტერესებს. ზოგჯერ სახელმწიფო რიგ ზომებს დებულობს "თავისი" ტნკ-ბზე ზემოქმედების მიზნით, რათა შეიზღუდოს მათი საზღვარგარეთული ოპერაციები იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეწინააღმდეგება ეროვნულ იტერესებს. ასეთ შეზღუდვად, მაგალითად, შეიძლება იქცეს გადასახადი პირდაპირი ინვესტიციების გადინებაზე, რომელიც მოიცავს გადასახადს თანმდევი სარგებლიანობისათვის ახალი ტექნოლოგიებიდან, მაგრამ მაინც შეზღუდვის ხარისხი საკმაოდ განუსაზღვრელია.

ამდენად, ტნკ-ები მოქმედებენ რა გლობალური მასშტაბით, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ მიმღები ქვეყნების პოლიტიკაზე, რომლებიც ხშირად იძულებული არიან ეროვნული ეკონომიკის გლობალურ ეკონომიკაში სრულყოფილი ინტეგრირების სტრატეგიული მიზნიდან გამომდინარე, ადაპტაცია მოახდინონ ტნკ-ების მოთხოვნებთან. ადსანიშნავია, რომ მიმღები ქვეყნების მხრიდან ტნკ-ების საქმიანობის კონტროლი მინიმუმამდე არის დაყვანილი, რაც განპირობებულია ტნკ-ების საქმიანობის მრავალფეროვნებით, მათი ინსტიტუციონალური სტრუქტურით და ა.შ. ტნკ-ებს შეძლია გარკვეულწილად შეცვალოს ცალკეული ქვეყნის როგორც შიდა, ასევე საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომლის საფუძველს, თავის მხრივ, ამ კომპანიების უდიდესი ფინანსური რესურსები წარმოადგენს. ამ რესურსების მეშვეობითაც მათ შეუძლიათ ძლიერი ლობის შექმნა მიმღები სახელმწიფოს ხელისუფლებაში, რაც არცთუ იშვიათია განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში.

უამრავი ნაციონალური მთავრობა (განსაკუთრებით, მესამე სამყაროს ქვეყნებში) დაინტერესებულია თავიანთი ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ამაღლებაში და სამამულო ბიზნესის სტიმულირებაში. ამისათვის მათ სურთ მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნის ჩამოყალიბებული სპეციალიზაციის შეცვლა, ან უკიდურეს შემთხვევაში, ტნკ-ების მოგებაში თავიანთი წილის გაზრდა. ფლობენ რა უზარმაზარ ფინანსურ შესაძლებლობებს, საერთაშორისო კორპორაციებს შეუძლიათ თავიანთი შემოსავლების ხელყოფის მცდელობის აღკვეთა ძალისმიერი მეთოდების ორგანიზების გზით, დაწყებული ადგილობრივი პოლიტიკოსების მოსყიდვით და დამთავრებული მათვის მიუღებელი მთავრობების წინააღმდეგ შეთქმულებების დაფინანსებითაც კი.

ბევრი, განსაკუთრებით კი განვითარებული სახელმწიფო ხვდება რა ტნკ-ების მნიშვნელობას საკუთარი ქვეყნის განვითარებისათვის და ამავე დროს აცნობიერებს რისკებს თანამედროვე მსოფლიოში, ცდილობს დაამყაროს კონტროლი. შედეგად წარმოშვა სპეციფიკური სახელმწიფო ტნკ (სტნკ). დღეს ტრანსნაციონალური კორპორაციების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი არსებობს სახელმწიფოს მონაწილეობით. ამასთან, ბევრი მათგანი შედის მსოფლიოს უმსხვილესი სამრეწველო კომპანიების რიცხვში.

ამგვარი ვითარება აიძულებს არაურთ განვითარებად ქვეყნას დააწესოს უცხოური ინვესტიციების რეგულირების ისეთი რეჟიმი, რომელიც შეარბილებს აღნიშნულ უარყოფით ეფექტებს, აამაღლებს ქვეყნის ეკონომიკურ

დამოუკიდებლობას და მეტად გაზრდის მათ შესაძლო შემოსავლებს ტნკ-ების მოგებიდან. ზოგიერთი მათგანი იძლევა მხოლოდ ერთობლივი საწარმოების შექმნის ნებას, აწესებს ტექნოლოგიის გამოყენებისა და ადგილობრივი სამუშაო ძალის სწავლების მარეგულირებელ წესებს, იღებს გარემოს დაცვის კანონებს და ა.შ.

ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაციის პროცესმა, მისმა თანამედროვე პარამეტრებმა და ტენდენციებმა გარკვეულწილად გაამწვავა ცალკეული ქვეყნის ეროვნული სუვერენიტეტის, ეროვნული ფასეულობების და კულტურული ტრადიციების პრობლემა, რომელიც ყველა ქვეყანაში არსებობს.

გლობალიზაციის პროცესის შემდგომი პროცესები აუცილებლად მოითხოვს ეროვნული ტრადიციებისა და ფასეულობების გათვალისწინებას, საზოგადოებრივ ურთიერთობებში საბაზრო მიდგომებისა და სტანდარტების, საბაზრო საზოგადოების ფორმირების ტემპების შემცირებას. ყოველივე ეს იქნება იმის წინაპირობა, რომ სუვერენული სახელმწიფოების როლის ზრდა გამოიწვევს მსოფლიო ეკონომიკის შემდგომი განვითარების პროცესში სოციალური ორიენტაციის ამაღლებას.

ტრანსნაციონალური კორპორაციები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენენ გიგანტ ორგანიზაციებს, რომლებიც თავისი ორგანიზაციის მასშტაბით ნერგავენ საერთო ფასეულობებსა და ტრადიციებს. გახდნენ ე.წ. “კულტურის ექსპორტიორები”. მათ მრავალ ქვეყანაში გააჩნიათ თავიანთი ფილიალი თუ განყოფილება და ერთგვაროვანი პოლიტიკის გატარებამ და ეროვნულ სახელმწიფოსთან ფარულმა დაპირისპირებამ, მრავალ მათგანში პროტესტის ფართო ტალღა გამოიწვია, რომლის შემდგომი ყველაზე სახიფათო გამოვლინებაც, ჩვენი აზრით, გახდა საერთაშორისო ტერორიზმი. რომელიც ნამდვილად გახდავთ XXI საუკუნის უბედურება და რომლის გამომწვევი მიზეზებიც სერიოზულ ყურადღებას და გააზრებას საჭიროებს.

## 1.2.2 საერთაშორისო ტერორიზმი

ტრანსნაციონალური კორპორაციებსა და სახელწიფოზე საუბრისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა საერთაშორისო ტერორიზმი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტერორიზმი როგორც საერთაშორისო ფენომენი, განსაკუთრებით გააქტიურდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მოხდა ე.წ. დეკოლონიზაცია და დაიწყო ბრძოლა ყოფილ კოლონიებსა და ნახევრად კოლონიებზე გავლენის შენარჩუნებისათვის.

ამ პერიოდში დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყანა, რომლებმაც სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედებით დატოვეს ყოფილი კოლონიები, ისევ დამოკიდებულნი დარჩენენ ამ ქვეყნების სახედლეულო ბაზაზე. კოლონისტები მრავალი წლის განმავლობაში ახორციელებდნენ პოლიტიკას, რომლის მთავარი მიზანი იყო იაფი ნედლეულის და მუშახელის გამოყენება. გასაღების ბაზრის გაფართოვება და ამ ქვეყნებიდან მაქსიმალური სარგებლის “ამოქაჩვა”. აღნიშნულმა დეკოლონიზაციამ რადიკალურად შეცვალა მსოფლიო პოლიტიკა. მსოფლიო ეკონომიკურ რუკაზე გაჩდნენ ახალი სუვერენული სახელმწიფოები, რომელთა უმრავლესობა თავისი არსებობის მანძილზე ერთიან თანამედროვე სახელწიფოდ ჩამოყალიბდა რომელიმე ქვეყნის მბრძანებლობის ქვეშ. ამ ქვეყნებს გაუჩნდათ სრულიად ახალი მოთხოვნილებები, დაიწყეს ბრძოლა აღგილისათვის მსოფლიო ცის ქვეშ.

ყოფილ კოლონისტებს უკვე აღარ შეეძლოთ პირდაპირი კონტროლი დაემყარებინათ და თავისი სურვილისამებრ ემართათ ესა თუ ის ქვეყანა და გამოეყენებინათ მათი იაფი ნედლეული. აღსანიშნავია, რომ სწორედ ე.წ. დეკოლონიზაციის შემდეგ დაიწყო მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების აღზევების ხანა. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა მიხვდა, რომ აზრი აღარ ჰქონდა სისხლისდგრას ახალი ბაზრების ხელში ჩასაგდებად, მაშინ როდესაც, მათ თავიანთი მაღალტექნოლოგიური კაპიტალით შეეძლოთ თავისუფლად შეეღწიათ ამა თუ იმ ქვეყნის ბაზარზე და ხელში ჩაეგდოთ ქვეყნის ეკონომიკის მართვის სადავები, რომლის საშუალებითაც არავითარ პრობლემას აღარ წარმოადგენს მთლიანად ქვეყნის მართვაც.

ამ ტაქტიკის გამოყენებამ თავდაპირველად ყველაზე დიდი სარგებელი მოუტანა აშშ-ს; კოლონიური სისტემის ნგრევის შედეგად ამერიკულმა მაღალტექნოლოგიურმა კაპიტალმა თანდათან შეავიწროვა თავისი მთავარი კონკურენტები – ინგლისი და საფრანგეთი, რომლებმაც მრავალწლიანი

კოლონიური პოლიტიკით საკუთარ დისკრედიტაციას შეუწყეს ხელი და მათ ყოფილ უზარმაზარ იმპერიაში აშშ-მ თავისუფლად შეძლო ადგილის დამკვიდრება.

60-70-იანი წლებიდან აშშ-ს (და არა მარტო მისმა) მსხვილმა ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა დაიწყეს “მესამე სამყაროს ქვეყნების” ექსპანსია. განსაკუთრებული ინტერესის საგანი აღმოჩნდა ლათინური ქვეყნები და აზიური სახელმწიფოები, რომელთა შორის აღსანიშნავია არაბული ოეგიონი. ეს ოეგიონი წარმოადგენს ნავთობის მსოფლიო მარაგის უდიდეს ცენტრს და განვითარებული ქვეყნების ენერგეტიკული ნედლეულის ძირითად წყაროს. კომპანიები თავიანთი კაპიტალის კონცენტრაციით განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ და ხელს უწყობდნენ მის ინტეგრირებას მსოფლიო მეურნეობაში.

განვითარებად ქვეყანათა უმრავლესობა და მათ შორის არაბული ქვეყნებიც, თავდაპირველად დიდი ენტუზიაზმით გამოიჩეოდნენ ხსენებულ კომპანიებთან ურთიერთობისას. ისინი სულ უფრო და უფრო ინტერესდებოდნენ ამ ქვეყნებთან და კომპანიებთან კავშირებით, უპირველეს ყოვლისა, ნედლეულის ექსპორტით და უახლესი ტექნოლოგიების იმპორტით, რომელთა მიწოდება ძირითადად ტრანსნაციონალური კორპორაციების საშუალებით ხდება.

ამ პერიოდში დაიწყო მრავალი განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ტემპით აღმავლობა, რაც სხვა მიზეზებთან ერთად მსხვილი ტრანსნაციონალური კაპიტალის შემოდინებით იყო განპირობებული.

როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების გააქტიურება როგორებიცა: “მსოფლიო ბანკი”(WB), საერთაშორისო საგალუტო ფონდი”(IMF) და “ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია”(WTO), რომელიც იმ პერიოდში წარმოდგენილი იყო, “როგორც გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ” (GATT). ეს ორგანიზაციები თავიანთი ხასიათისა და ბუნებიდან გამომდინარე მსოფლიო სტაბილურობის გარანტი უნდა ყოფილიყვნენ, თუმცა მათ შესახებ წარმოდგენა სრულიად შეიცვალა მრავალ განვითარებად ქვეყანაში.

მრავალი ქვეყნის უქმაყოფილების მიზეზი იყო ის, რომ ეს ორგანიზაციები არ ასრულებდნენ თავიანთ გაცხადებულ მოვალეობებს და მათი შექმნის მიზანი იყო მხოლოდ მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციებისათვის ხელის შეწყობა. რაც გამოიხატებოდა სხვადასხვა დებულებებსა და რეკომენდაციებში. მათი ქრიტიკის საგანს წარმოადგენდა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ განვითარებად

ქვეყნებს, უმეტეს შემთხვევაში, აღებული სესხები ამა თუ იმ ორგანიზაციიდან უნდა დაეხარჯათ დონორი ორგანიზაციის მითითებით და არა თავიანთი სასიცოცხლო პრიორიტეტებისათვის.

მრავალი ტრანსნაციონალური კორპორაციის წინააღმდეგ გამოითქვა მოსაზრება მათი არაკეთილსინდისიერი საქმიანობის შესახებ. საერთაშორისო ორგანიზაციების უმოქმედობაზე და სუბიექტურ ქმედებებზე სულ უფრო და უფრო მეტი ბრალდებებიც გაისმოდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ბრიტანელი მეცნიერის როჯერ სქრუთონის მოსაზრება: “ბოლოს და ბოლოს, ისინი ვაჭრობას ხომ დოლარებით აწარმოებენ და მათ, ვინც იდებს ან სესხულობს, შეუძლიათ ამ ფულის დახარჯვა იმ ეკონომიკაში, რომელიც დომინირებულია დასავლური ტექნოლოგიებითა და დასავლური ექსპორტით. ამ ფულის მიღებით სახელმწიფო უთუოდ არის ჩათრეული გლობალურ მორევში. კიდევ უფრო მეტიც ასეთ ვითარებაში (ზემოთხსენებული ორგანიზაციები) იძულებული არიან მოლაპარაკებები აწარმოონ მთავრობებთან – მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი აფინანსებენ ტირანებსა და განგსტერებს, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს პოლიტიკური ცხოვრება იმ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლებაში მოვიდნენ”.<sup>15</sup>

შზარდი ტრანსნაციონალური კორპორაციები საჭიროებდნენ გასაღების სულ უფრო დიდ ბაზარს და მეტ სივრცეს განვითარებისათვის. ეროვნული ინტერესების დამცველთა პროტესტს იწვევდა ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც მიმართული იყო ბაზრების გახსნილობის ხარისხის ზრდის და ვაჭრობის ლიბერალიზაციისაკენ. ტნკ-ების და საერთაშორისო ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობაზე მიუთითებს ის მოსაზრებაც, რომ ამ გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კომპანიები საჭიროებდნენ ბარიერების მოსპობას და მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციას. ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებსაც მსოფლიოს უმდიდრესი ოლიგარქები მართავენ, შემოაქვთ ისეთი კანონმდებლობა, რომელიც მათ სრულ თავისუფლებას მიანიჭებს.

თავდაპირველად ეს პროცესი თუ არასერიოზულად აღიქმებოდა, სულ უფრო და უფრო ანგარიშგასაწევი ხდებოდა სხვადასხვა სუბიექტების მხრიდან. ამის საფუძველს იძლეოდა ის, რომ თვით არაბული ქვეყნების მმართველმა წრეებმა უდიდესი კაპიტალი დააგროვეს, რაც საშუალებას აძლევდა მათ ზეგავლენა მოეხდინათ არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკაზე არამედ გამოეთქვათ საფუძვლიანი პრეტენზია საკუთარი ადგილის დასაკავებლად ახალ (უფრო

<sup>15</sup> ურუშაძე მერაბ, ”გლობალიზაცია—გლობალური ტერორიზმის საფრთხე”, თბ., 2007. გვ98.

გლობალურ) მსოფლიო ეკონომიკაში. განვითარებადმა მუსლიმანურმა ქვეყნებმა უდიდესი ტემპით იწყეს განვითარება. გარკვეულწილად განთავისუფლდნენ იმ საერთაშორისო კაპიტალის ტუველიდან, რომელმაც მათ განვითარებაში დიდი როლი შეასრულა. მართალია ისინი კვლავ საჭიროებდნენ დასავლურ მაღალ ტექნოლოგიებს, მაგრამ ფინანსურმა დამოუკიდებლობამ და უზარმაზარმა სახსრებმა მათ საშუალება მისცათ საკუთარი პრეტენზიები წამოეყენებინათ ნებისმიერი სუბიექტის წინაშე.

უკვე ნავთობთან დაკავშირებული მეორე შოკის შემდეგ იწყება დასავლური ქვეყნების ინტერესების კიდევ უფრო გაძლიერება ნავთობის მომპოვებელი ქვეყნების ბაზრებზე შესვლისათვის. ეს რა თქმა უნდა შეამცირებდა მათ რისკებს შემდგომი შოკების შემთხვევაში. მრავალმა ტრანსნაციონალურმა კორპორაციამ გააფართოვა ბიზნესი ამ მიმართულებით და სცადა არაბული ქვეყნების ბაზრებზე ფეხის მყარად მოკიდება.

როგორც აღვნიშნეთ, უცხოური ტნკების მრავალწლიანმა გაბატონებულმა მდგომარეობამ, გარკვეულად შეცვალა ზოგიერთი ქვეყნის განვითარების გექტორი, მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთი ქვეყნებიც, რომელთა მრავალსაუკუნოვანმა კულტურამ ადვილად ვერ მიიღო ის ფასეულობები და ტრადიციები, რომელიც ამ კორპორაციებმა შეიტანეს საკუთარი ქვეყნებიდან.

ხშირად ტრანსნაციონალური კორპორაციები იყენებდნენ თავის ეკონომიკურ ბერკეტებს, რომ გარკვეული ზეგავლენა მოეხდინათ მიმღები ქვეყნის მთავრობებზე. ყოველივე ეს გარკვეული პროტესტის გრძნობას უყალიბებდა ამ ქვეყნის მოქალაქეთა დიდ უმრავლესობას, რამაც დროთა განმავლობაში ტნკების და სხვა საერთაშორისო სუბიექტების მიმართ წარმოშვა გარკვეული სტერეოტიპები.

გაჩნდა საერთო აზრი, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლას და მათი მხრიდან მსხვილი ინვესტიციების ჩადებას გააჩნდა უფრო მეტი უარყოფითი ეფექტი, ვიდრე შეიძლება მათ მოეტანათ რაიმე სასიკეთო ქვეყნის ეკონომიკისათვის. ამ ქვეყნებში მიმდინარეობდა ძალდატანებითი გლობალიზაცია, რომელიც უფრო ამერიკანიზაციის ნიშნით ხორციელდებოდა, ვიდრე ამას გლობალიზაციის კლასიკური განმარტება გულისხმობს. ყოველივე ეს გამოიწვევდა ამ ქვეყნების ხალხთა მრავალსაუკუნოვანი კულტურის, მათი ისტორიული მეხსიერების დაკნინებას და მათი სულიერი ფასეულობების იგნორირებას.

ყოველგვარ დანაშაულთან და უზნეობასთან დასავლეთის გაიგივება უკვე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. არაბული ქვეყნების ცნობიერებაში შეიქმნა მტრის

ხატი დასავლეთის სახით, რომელთა მთავრობები და მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციები ცდილობენ ამ ქვეყნების სიმდიდრის მისაკუთრებას და თავიანთი კულტურის ძალით თავზე მოხვევას.

კველა თანხმდებოდა იმაზე, რომ “ეს პროცესები მსოფლიოში, ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური და ეკონომიკური ჯგუფების (ოლიგარქების, ტრანსნაციონალური კორპორაციების, მაფიის, ნარკომაფიის და სხვ.) “ფარული ხელით” იმართება და მიზნად ისახავს: ეროვნული სახელმწიფოების მოსპობას, მონდიალიზმის დამკვიდრებას, ერთიანი რელიგიისა და ტრანსნაციონალური მთავრობის შექმნას, არსებული მორალურ-ეთნიკური და კულტურული ფასეულობების რეფორმირებას დასავლური მოდელის მიხედვით იმისათვის, რომ “რჩეულთა” მცირერიცხოვანმა ჯგუფმა ხელში ჩაიგდოს მსოფლიო ფინანსური და პოლიტიკური ბერკეტები.”<sup>16</sup>

დასავლეთი აღიქმებოდა პრაგმატიზმთან, უკიდურეს რაციონალიზმთან გაიგივებული, რომელსაც თითქმის უარყოფილი აქვს სულიერება, ტრადიციული დირებულებები და დრმა კრიზისშია მისი ეთიკა და მორალი. ამ სტერეოტიპმა მკვეთრად უარყოფითად განაწყო ისლამური სამყარო დასავლური ცივილიზაციის მიმართ.

სწორედ აქ, ამ ერთმანეთთან დაკავშირებულ მოვლენათა გრძელ ჯაჭვში უნდა ვეძებოთ საერთაშორისო ტერორიზმის საფუძვლები. ტერორიზმისა, რომელიც უკვა მიმართულია მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ, რომელიც სრულად არ იზიარებს ხშირად პატრიოტების სახელს ქვეშ ამოფარებულ დამნაშავების მოსაზრებებს.

ტერორიზმი, როგორც საერთაშორისო ფენომენი, ძალიან საშიში ტენდენციაა და ალბათ მისი აღმოფხვრის გარეშე წარმოუდგენელია ვისაუბროთ მსოფლიო განვითარების რაიმე მიმართულებაზე. ამ წინააღმდეგობის მთავარი სამიზნები ხდებიან ის ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც ასოცირდებიან თავიანთი ქვეყნის მთავრობასთან, თუმცა მრავალი მათგანი ცდილობს გავიდეს რომელიმე ქვეყნის კონკრეტული ჩარჩოებიდან და დაიმკვიდროს ჭეშმარიტად მრავალეროვნული, ტრანსნაციონალური კორპორაციის იმიჯი.

წარმოუდგენელია ტნკების მომავალზე და იმ დადებით უფლებებზე საუბარი, რომელთა მოტანაც მათ შეუძლიათ, თუ ისინი აქცეპტაბელური არ გახდება მიმღები ქვეყნებისათვის. ძნელია რაიმე პროგრესზე საუბარი, როდესაც არაბული ქვეყნები და სხვა განვითარებადი ქვეყნები მიიჩნევენ, რომ

<sup>16</sup> ურუშაძე მერაბ, ”გლობალიზაცია-გლობალური ტერორიზმის საფრთხე”, თბ., 2007. გვ143

გლობალიზაციის შედეგად დგანან საკუთარი ეკონომიკის, პოლიტიკური სუვერენიტეტისა და ტრადიციული ფასეულობების დაკარგვის წინაშე.

კიდევ უფრო ტრაგიკული ხასიათი მიიღო ამ ფასეულობებისათვის ბრძოლამ, როდესაც იგი “კარგად” იქნა გამოყენებული სხვადასხვა ისლამური ექსტრემისტული ორგანიზაციების მიერ და გადატანილი იქნა რელიგიურ ჭრილში. მუსლიმი ფუნდამენტალისტები მზად არიან ძალისმიერი მოქმედებებით აღუდგნენ წინ ამ დამდუპველ პროცესებს. იმის გამო, რომ მათ რეალურად არ ძალუბთ მსოფლიო ზესახელმწიფოებთან პირისპირ ბრძოლა, ცალკეული ტერორისტული დაჯგუფები და ორგანიზაციები რელიგიურ საფუძველზე ერთიანდებიან “ალაპის მტრების” (არამუსულმანების) წინააღმდეგ. “დასავლური საყაროს მიერ თავსმოხვეულ გლობალიზაციას ისინი უპირისპირებენ “მუსლიმანთა ინტეგრაციას” და ცდილობენ “ისლამის გლობალიზაციის” იდეის რეალიზებას.”<sup>17</sup>

გლობალიზაციის ეს გაუთვალისწინებელი წინააღმდეგობა უკვე უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს მთელი მსოფლიოსათვის. მუდმივ შიშში და ტერორიში მყოფი მწარმოებელი ვერასოდეს შეძლებს სრულყოფილად იმუშაოს და აკეთოს თავისი საქმე, რომლიდანაც სარგებელი უნდა მიიღოს ორივე მხარემ, როგორც ტნკ-მ, ასევე იმ ქვეყანამაც, რომლის ნედლეულსა და იაფ მუშახელსაც ეს კომპანია იყენებს.

ამ მიმართულებით გადასახედია ტნკ-ების და არა მარტო მათი სტრატეგია. საჭიროა უფრო ფრთხილი პოლიტიკის გატარება და იმ წეს-ჩვეულებების გათვალისწინება, რომლის გულისათვისაც უამრავი მოქალაქე მზად არის საკუთარი სიცოცხლეც კი გაწიროს. ეროვნული სახელმწიფოს როლის მეტნაკლები შემცირების ფონზე, ტნკ-ების ხისტი პოლიტიკა კიდევ უფრო მტკიცნეულად აღიქმევა და ბრალდებათა მთელი სიმძიმე სწორედ მათ ატყდებათ თავს, რადგან ისინი ნერგავენ მაღალი ტექნოლოგიების და დახვეწილი სამომხმარებლო სტანდარტების გვერდით ახალ ფასეულობებს და წესებს, რომლის მიღებისა და გაზიარებისათვის მრავალი სახელწიფო მზად არ აღმოჩნდა, ან პირიქით მათ იქ დახვდათ მაღალი კულტურული მემკვიდრეობის, მდიდარი ტრადიციების მქონე საზოგადოება, რომლისთვისაც ნაციონალიზმის, რელიგიის და ადათ-წესებისადმი ერთგულება და დაცვა ღირსების საკითხი აღმოჩნდა, რათა მათ დაიკავონ თავიანთი შესაფერისი ადგილი ახალ, გლობალურ მსოფლიოში და არ გახდნენ რომელიმე ზესახელმწიფოს ბაზრის სანედლეულო დანამატი.

<sup>17</sup> ურუმაძე მერაბ, ”გლობალიზაცია-გლობალური ტერორიზმის საფრთხე”, თბ., 2007. გვ. 149

ტერორიზმის საფრთხის გაძლიერება წმინდა „ტექნოლოგიური“ მიზეზებითაც არის გამოწვეული, კერძოდ, მასობრივი განადგურების საშუალებათა „მინიატურიზაცია“; გლობალური კომუნიკაციური საშუალებების არნახული განვითარება; ტრანსსასაზღვრო გადაადგილების თავისუფლება, მიგრაციული ნაკადების ზრდა, რაც უკიდურესად ართულებს ტერორისტების აღმოჩენას; ტერორისტული საქმიანობის ორგანიზაციაში თანამედროვე ქსელური მოდელების გამოყენება და ა.შ. როგორც გამოცდილებიდან ჩანს, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ძალისმიერ-პოლიციური კომპონენტი დაბალეფექტიანია და მთავარი აქცენტი მისი წარმოშობის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მიზეზების დაძლევაზე უნდა გაკეთდეს.

საერთაშორისო ტერორიზმმა შეიძლება ითქვას, რომ კიდევ უფრო გაამჟარა ქვეყანათაშორისი ურთიერთობები, გაზარდა მათი თანამშრომლობის აუცილებლობა და შეიძლება გლობალიზაციის დამაჩქარებელ ფაქტორადაც კი მივიჩნიოთ. მაგრამ ეს გლობალური საფრთხე, საერთაშორისო ტერორიზმი საბოლოდ შეძლებს ეკონომიკური განვითარების დამუხრუჭებას. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ახალ გლობალურ მსოფლიო რუკაზე განვითარებად ქვეყანებისათვის და განსხვავებული ხალხებისათვის ღირსეული ადგილის დათმობა და იმ მსოფლიოს ნახევარზე მეტი მოსახლეობის ინტერესების დაცვა, რომელთა უმრავლესობა მოკლებულია ელექტრიფიკაციური საკონსულტაციო პირობებს.

აღნიშნულ წინააღმდეგობებთან ერთად მსოფლიო ეკონომიკური წესრიგისათვის მნიშვნელოვანი „გამოცდა“ აღმოჩნდა 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც მრავალი კითხვა წარმოშვა და მსოფლიო აალაპარაკა წესრიგის ცვლილებებზე.

## თავი 2. საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე

### 2.1. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის არსი, წანამდღვრები და მიზეზები

ეკონომიკური კრიზისი თავისუფალ საბაზრო სისტემის პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკის მთავარი ხარვეზია. მემარცხენე ეკონომისტების, რომლებიც ეკონომიკაში მთავრობის აქტიურ როლს მხარს უჭერენ, ძირითადი არგუმენტი ყოველთვის იყო ის, რომ სრულად თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა არც ისე ეფექტიანია, როგორც ეს “უხილავი ხელის” მოქმედების შედეგად უნდა ფუნქციონირებდეს. ამ სისტემას ე.წ საბაზრო ჩავარდნები ყოველთვის ახასიათებს და პერმანენტულად ფერქებადი კრიზისები ხომ საერთოდ ანგრევს “Laissez faire laissez passer”-ს იდეალებს.

საბაზრო ეკონომიკის ციკლური განვითარება მეტ-ნაკლებად ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის საფუძველია. აღმავლობის და დაღმავლობის ფაზების მონაცვლეობის უალტერნატივობა გვაფიქრებინებს, რომ კრიზისი და მასთან დაკავშირებული საფრთხეები მუდამ იქნება პრობლემატური თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური სისტემისათვის. როგორც პ.სამუელსონი და ვ. ნორდჰაუსი აღნიშნავენ, “ციკლები არარეგულარულ ხასიათს ატარებს. შეუძლებელია მოიძებნოს ორი ერთნაირი ციკლი. არ არსებობს ზუსტი ფორმულა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური ციკლების ხანგრძლიობის, დროითი თანმიმდევრობის და პროგნოზირებისათვის.”<sup>18</sup>

ეკონომიკის აღმავლობის ფაზაში იწარმოება სულ უფრო და უფრო მეტი საქონელი და მომსახურება, იზრდება დასაქმების დონე და ეკონომიკა მუშაობს თითქმის სრული დატვირთვით, ამ დროს საზოგადოებაში ჩნდება ეკონომიკის სამომავლო განვითარების, ხშირად რეალობას მოკლებული, არასწორი მოლოდინები, რაც ეკონომიკას უბიძგებს აწარმოოს იმაზე მეტი ვიდრე ამაზე მოთხოვნა იქნებოდა სხვა ნორმალურ პირობებში. (ბანკები აღვილად გასცემენ სესხებს; კომპანიები ქმნიან რეზერვების დიდი მოცულობას შემდგომი მოგების მოლოდინში და აშ.). ეკონომიკაში წარმოიქმნება ე.წ “ბუშტი” რომელიც აუცილებლად “ჩაიფუშება” და იწყება ეკონომიკური რეცესია. არააღექვატურად გაზრდილი მარაგები საწარმოებს ნაკლები წარმოებისაპერ უბიძგებს.

<sup>18</sup> პოლ სამუელსონი, ვილიამ ნორდჰაუსი. ეკონომიკა. თბ., 2000, გ.III, გვ.423.

ეკონომიკური აქტივობის ციკლები განსხვავდებიან თავიანთი ხანგრძლივობით, ცალკეული ფაზების დროითი ინტერვალით, მაქსიმუმის სიმაღლითა და მინიმუმის სიღრმით. თანამედროვე პირობებში აღინიშნება ციკლური და საქმიანი აქტივობების რყევების სიგლუვე. გრძელდება შუალედები კრიზისებს შორის, მცირდება მათი სიღრმეები და დამანგრევები ძალა. თუმცა დრმა რეცესიებს ეკონომიკა თავს მაინც ვერ აღწევს.

ითვლება, რომ საქმიანი აქტივობის ცვლილება პირდაპირ ან ირიბად კავშირშია ეკონომიკურ ციკლთან. არსებობს ეკონომიკის მდგომარეობაზე მოქმედი სხვა ფაქტორებიც. მათ შორის უმნიშვნელოვანებია სეზონური რყევები და ხანგრძლივი ტენდენციები.

აღსანიშნავია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის აქტიური დამცველის, ავსტრიული ეკონომიკური სკოლის მოსაზრება ციკლებსა და რეცესიებთან დაკავშირებით. მათი მტკიცებით, ე.წ. “საწარმოო ციკლები” არის არა საბაზრო ეკონომიკის პირმშო, არამედ პირიქით, ის გამოწვეულია ეკონომიკაში სახელმწიფოს მრავალმხრივი ჩარევით, განსაკუთრებით კი ცენტრალური ბანკის მეშვეობით გატარებული არცთუ ისე ეფექტიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკით.

ფინანსური კრიზისები ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან იდებს სათავეს, როდესაც მანქანათმშებლობის ინდუსტრია ყოველ 8-10 წელიწადში განიცდიდა სტაგნაციას. წარმოება აჭარბებდა მოთხოვნას და იწყებოდა ჭარბწარმოების კრიზისი. თუმცა ყველაზე ფართო მასშტაბებს მან XX საუკუნის დასაწყისში მიაღწია.

ეკონომისტთა მრავალწლიანი დავის საგანია ციკლური რყევებისა და რეცესიების მიზეზები. რა იწვევს ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების რადიკალურ ცვლილებებს? რატომ დგება საბაზრო ეკონომიკა ასეთი რყევების წინაშე? ამის ცალსახა პასუხი არ არსებობს, რამეთუ როგორც აღვნიშნეთ თვით რეცესიებიც არ ჰგვანან ერთმანეთს. თუმცა პოლ სამუელსონი გვთავაზობს არსებულ თეორიათა დაყოფას ორ, საგარეო და საშინაოდ თეორიებად.<sup>19</sup>

“საგარეო” თეორიათა მიმდევრები ეკონომიკური ციკლების საფუძველს ფაქტორთა მერყეობაში ხედავენ, რომელიც გამოწვეულია ეკონომიკური სისტემის გარეთ მოქმედი ფაქტორებით, როგორიცაა: ომები, რევოლუციები, არჩევნები, ნავთობის ფასების ცვლილება, ოქროს ახალ საბადოთა აღმოჩენა, ახალი მიწების და ბუნებრივი რესურსების აღმოჩენა და ა.შ.

<sup>19</sup> პოლ სამუელსონი, ვილიამ ნორდჰაუსი “ეკონომიკა” ტ.III თბილისი 2000, გვ. 425

“საშინაო” თეორიათა მომხრეები, პირიქით, თვით ეკონომიკურ სისტემაში ეძებენ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობით ეკონომიკური ციკლები თვითონ ჩაისახებიან. ამ მიღების თანახმად ნებისმიერი აღმავლობის ფაზა თავის თავში მოიცავს რეცესიის ელემენტებს და რეცესიის ეტაპი თავისთავად ატარებს გამოცოცხლებისა და დაღმავლობის მარცვლებს.

აღსანიშნავია რომ თითქმის ყველა მნიშვნელოვანია რეცესია, რომელიც XX საუკუნეში დაფიქსირდა გამოწვეული იყო საბანკო სისტემაში არსებული გამწვავებული მდგომარეობით და ფინანსური არასტაბილურობით. ფინასური არასტაბილურობის მდგომარეობა შეიძლება დავახასიათოთ 3 კრიტერიუმით<sup>20</sup>:

1. მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივის ფასი დიდად სცილდება მის ფუნდამენტალურ დირექტულებას და/ან
2. ბაზრის ფუნქციონირება და კრედიტზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად დამახინჯებულია, იმის გამო რომ
3. მთლიანი წარმოება და ერთობლივი დანახარჯები გადახრილია პოტენციური დონიდან (ან მოსალოდნელია რომ გადაიხრება ზემოთ ან ქვემო)

პირველი დრმა კრიზისი, რომელმაც მსოფლიო მასშტაბებს მიაღწია, დაფიქსირდა XX საუკუნის დასაწყისში. ამ კრიზისის გამოწვევა და გამადრმავებელ მიზეზთა შორის სახელდება იმ პერიოდში მსოფლიოში მოქმედი შეთანხმებული თამაშის წესები, კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო სისტემა, რომელიც ჩვენთვის ცნობილია, როგორც “ოქროს სტანდარტი”. ამ დროს აშშ და საფრანგეთი განიცდიდნენ საგადამხდელო ბალანსის მნიშვნელოვან პროფიციტს, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო ქვეყანაში დიდი რაოდენობის კაპიტალის შემოდინებით. ამის შედეგი იყო ის, რომ ორივე ქვეყანა ფლობდა მსოფლიო ოქროს მარაგების დაახლოებით 70%-ს. როგორც პოლ კრუგმანის და მაურის ოფსვილდის წიგნში “საერთაშორისო ეკონომიკა”, ვკითხულობთ: “ოქროს სტანდარტის მქონე სხვა ქვეყნებს არჩევანიც აღარ ჰქონდათ და უნდა ჩართულიყვნენ ადგილობრივი აქტივების გაყიდვაში, თუ მათ სურდათ შეენარჩუნებინათ თავიანთი ოქროს შეზღუდული მარაგი. შედეგად მიღებულმა

<sup>20</sup> Ferguson, Roger, 2002, Should Financial Stability Be an Explicit Central Bank Objective? (Washington: Federal Reserve Board)

მსოფლიოს ფულადი მასის შემცირებამ, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის 1929 წლის გაკოტრების ტალღასთან ერთად, მსოფლიო ჩააგდო ღრმა რეცესიაში.”<sup>21</sup>

1929 წლის სექტემბერში აშშ-ში დაიწყო ყველაზე ხანრძლივი და ღრმა რეცესია, რომელიც ყველასათვის “დიდი დეპრესიის” სახელით არის ცნობილი. რეცესიის გალრმავების მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო 29 ოქტომბერს აშშ-ს საფონდო ბირჟაზე დაფიქსირებული ძალიან მკვეთრი ვარდნა, რომელმაც “შავი სამშაბათის” სახელი მიიღო. ამ დღეს საფონდო ინდექსები დაეცა კატასტროფული სისტრაფით, ერთ დღეში გაკოტრდა ბირჟებზე კოტირებული საწარმოთა მრავალი მფლობელი, რამაც გააძლიერა პანიკა, მკვეთრად შეცვალა მოლოდინები და კიდევ უფრო დიდი ტემპით გააღრმავა დაწყებული კრიზისი.

შეიძლება თანმიდვრულად ჩამოვთვალოთ ის 5 ძირითადი მიზეზი<sup>22</sup>, რამაც დიდი როლი ითამაშა დიდი დეპრესიის ამგვარ განვითარებაში:

1. **1929 წლის საფონდო ბაზრის კრახი. 29 ოქტომბერი, შავი სამშაბათი.** შავი სამშაბათის შემდეგ ორი თვის განმავლობაში ბაზარზე არსებული ფირმების აქციონერებმა დაკარგეს 40 მლრდ დოლარზე მეტი;
2. **საბანკო ჩავარდნა.** 30-იან წლებში გაკოტრდა 9 000-ზე მეტი ბანკი. როგორც ცნობილია, საბანკო დეპოზიტები არ იყო დაზღვეული. ბანკების გაკოტრებას მოჰყვა მილიონობით მეანაბრის დეპოზიტებზე არსებული თანხების დაკარგვა;
3. **შესყიდვების შემცირება.** საფონდო ბაზრის კრახმა და ეკონომიკური განვითარების უმყარობით გამოწვეულმა შიშმა და მოლოდინმა, უბიძგა ყველა ფენის მომხმარებელს შეემცირებინა ნებისმიერი საქონლის შეძენა. 1929 წლიდან 1932 წლამდე უმუშევრობის დონე გაიზარდა 25 %-მდე, რაც, რა თქმა უნდა, ნიშნავდა კიდევ უფრო ნაკლები დანახარჯების გაწევას ეკონომიკის გამოცოცხლებისათვის;
4. **აშშ-ის პოლიტიკა ევროპასთან მიმართებით.** როდესაც აშშ-ში დაიწყო ეკონომიკის რეცესია, მთავრობამ მიიღო ცნობილი სმუთ-პოლის კანონი, რომლის მიხედვითაც დაწესდა მაღალი საიმპორტო ტარიფები წამყვანი ევროპული ქვეყნების ექსპორტზე, რათა დაუცვათ ამერიკული ბაზარი და ხელი შეეწყოთ ეკონომიკის გამოცოცხლებისათვის;

<sup>21</sup> პოლ კრუგმანი, მაურის თფსვიდდი. საერთაშორისო ეკონომიკა. თბ., 2000, გვ. 356.


<sup>22</sup> <http://americanhistory.about.com/od/greatdepression/tp/greatdepression.htm>

**5. დიდი გვალვა.** შეიძლება ეს არ არის დიდი დეპრესიის პირდაპირი მიზეზი, თუმცა, მისისიპის ხეობაში 1930 წელს მოხდა საშინელი გვალვა, რამაც შექმნა ისეთი პირობები, რომ უმრავლესობას არ შეეძლო გადასახადების გადახდა ან სხვა დავალიანების გასტუმრება, ასე რომ არავითარი სარგებელიც არ მიუღიათ. ეს მოვლენა კარგად არის აღწერილი ჯონ სტეინბერის “მრისხანების მტევნებში”.

მეოთხე და მეხუთე მიზეზები შესაძლებელია არ წარმოადგენდნენ კრიზისის გამომწვევ უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს, თუმცა მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კრიზისის გაღრმავებაში. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ დიდი დეპრესიის დროს საგარეო სავაჭრო ურთიერთობები არ იყო ისე განვითარებული, რომ მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა პროცესებზე, როგორც ეს 2000-იანი წლების კრიზისების დროს ხდება.

ნახ. 2.1.1

**აშშ. მთლიანი შიგა პროდუქტი 1920-1950წწ (მლრდ აშშ დოლარი)<sup>23</sup>**



დიდი დეპრესიის დროს მთელ მსოფლიოში შემცირდა: მოქალაქეთა პირადი შემოსავლები, კომპანიების მოგება, ქვეყნების სავაჭრო ბრუნვა და საგადასახადო შემოსავლები. დაიკლო ფასებმაც. ერთადერთი რაც გაიზარდა, იყო უმცურავობა (აშშ-ში 25%-მდე, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში 33%-მდე). დეპრესიის ნეგატიური ეფექტი იმდენად დიდი იყო, რომ მისი მიზეზების შესწავლას სხვადასხვა

<sup>23</sup>.<http://www.usgovernmentspending.com>

ეკონომისტებმა მრავალი წლები მოანდომეს, თუმცა ის დღესაც კამათის საგნად რჩება.

კრიზისის გამომწვევ მიზეზთა შორის აზრთა დიდი დაპირისპირებაა. ყველაზე გავრცელებულია XX საუკუნის ცნობილი ეკონომისტის, მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორის პეტერ ტემინის თეორია: „დიდი დეპრესია გამოიწვია აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ წლების განმავლობაში გატარებულმა მცდარმა მონეტარულმა პოლიტიკამ, რომელიც წინ უძღვდა ამ დეპრესიას. ინფლაციის შეკავების მიზნით განხორციელებულმა ფულის მიწოდების პოლიტიკამ მწვავე უკურეაქცია გამოიწვია, ვინაიდან ეკონომიკის ფაქტობრივი პრობლემა დეფლაცია იყო.“<sup>24</sup>

აქ ფედერალური სარეზერვო სისტემის შეცდომა გამოწვეული იყო იმით, რომ მან იმოქმედა არსებული გამოცდილების მიხედვით, გაითვალისწინა წინა წლების უარყოფითი პრაქტიკა და გაატარა ისეთი პოლიტიკა, რომელიც ამ პირობებში არაეფექტურიანი აღმოჩნდა, მან რეცესიაც კი დააჩქარა. დიდ დეპრესიამდე აშშ-ს ეკონომიკას რამდენჯერმე დაატყდა თავს საბანკო კრიზისი, რომლის გამწვავებაც ყოველთვის იწყებოდა საბანკო პანიკით. ბანკებს არ შეეძლოთ ერთდროულად ყველა დეპოზიტორის დაკმაყოფილება ამ უკანასკნელთა სურვილისამებრ. კრიზისების დროს ბანკები უბრალოდ აცხადებდნენ, რომ ისინი გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ აბრუნებდნენ დეპოზიტებს. ასეთი პოლიტიკა კიდევ უფრო ამწვავებდა ეკონომიკურ ვითარებას. სწორედ ასეთი სცენარის გათამაშებას ელოდა ფედერალური სარეზერვო სისტემა 1929 წლის საფონდო კრახისა და საბანკო ჩავარდნის დროს, ამის საპირისპიროდ მან კერძო ბანკები აიძულა გაეზარდათ რეზერვის ნორმა, რათა დეპოზიტორები დარწმუნებულიყვნენ ბანკებში ფულის შენახვის უსაფრთხოებაში.

როგორც ცნობილია კრიზისთან და რეცესიასთან ბრძოლა ძირითადად ფისკალური და მონეტარული პოლიტიკით ხდება და “დიდი დეპრესია” იყო ის პირველი კრიზისი, რომლის დროსაც ფისკალური სტიმულირების პროგრამები და სახელმწიფო უმნიშვნელოვანების როლს ასრულებდნენ.

ამერიკელი ეკონომისტის არტურ სმიტის 1946 წლის კვლევაში ვკითხულობთ: “ფისკალურმა პოლიტიკამ დაამტკიცა, რომ კრიზისთან ბრძოლის დროს იგი ერთადერთი ყველაზე უფექტიანი საშუალებაა”. ელვინ ჰანსენი 1941 წლის ნაშრომში ამტკიცებდა, რომ 1930-იან წლებში ფისკალური პოლიტიკა

<sup>24</sup> <http://fraser.stlouisfed.org/docs/meltzer/gandid77.pdf>

არასაკმარისად იყო გამოყენებული. ხოლო ამერიკელი ეკონომისტი ბრაუნი იყენებდა რა ჩვეულებრივ კეინზიანურ მულტიპლიკატორის მოდელს, ამყარებდა ჰანსენის აზრს და აცხადებდა, რომ 30-იანი წლების ფისკალური პოლიტიკა არაეფექტურიანი კი არ იყო, არამედ მთავარი პრობლემა ის გახდა, რომ სახელმწიფო არასაკმარისად ჩაერია ეკონომიკაში.

30-იანი წლების განმავლობაში ამერიკის მთავრობის შესყიდვები წლიდან წლამდე იზრდებოდა და 1929 წელს 13.6 მლრდ აშშ დოლარიდან 1939 წელს 22.8 მლრდ დოლარამდე გაიზარდა. მნიშვნელოვანი ცვლილებები დაიწყო რუზველტის “ახალი კურსის” გამოცხადების შემდეგ, თუმცა პროგრამის და კეინზიანური მიდგომის მოწინააღმდეგებთა მტკიცებით ამ კრიზისის დაძლევაში მნიშვნელოვანი როლი მეორე მსოფლიო ომის დროს გაზრდილმა ერთობლივმა მოთხოვნამ განაპირობა.

ფედერალური სარეზერვო სისტემის ეკონომისტმა გაუტი ეგერტსონმა 2008 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში გამოიყენა საერთო წონასწორობის სტოქასტური მოდელი და აღნიშნა, რომ ”დიდი დეპრესიის დაძლევაში უმნიშვნელოვანების როლი ითამაშა რუზველტის მიერ გამოცხადებული კურსის და შესაბამისი ქმედების შედეგად გაჩენილმა მოლოდინებმა. 30-იან წლებში გაიზარდა საბიუჯეტო დანახარჯებიც და ბიუჯეტის დეფიციტიც, რამაც მოსახლეობაში ინფლაციური მოლოდინი დეფლაციურ მოლოდინად აქცია, ამან თავის მხრივ შეამცირა რეალური საპროცენტო განაკვეთები და მოახდინა ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირება”<sup>25</sup>

მნიშვნელოვანი ორი რეცესია დაფიქსირდა XX საუკუნის შუა პერიოდში რომელიც “სანავთობო შოკების” სახელწოდებით არის ცნობილი. 1973 წელს დაიწყო ომი ისრაელსა და არაბეთის ქვეყნებს შორის. რადგან აშშ და ნიდერლანდები მხარს ისრაელს უჭერდნენ, პროტესტის ნიშნად “ოპეკის” წევრმა არაბულმა ქვეყნებმა ამ ორ ქვეყნას დაუწესა ემბარგო ნავთობის გადაზიდვებზე. ცდილობდნენ რა ნავთობის ყიდვას დიდი ოდენობით და მარაგების შექმნას, ამის შედეგად გაიზარდა ფასები ნავთობის ბაზარზე. ასეთი საბაზო პროცესებით წახალისებულმა “ოპეკის” ქვეყნებმა დაიწყეს ფასების გაზრდა ნავთობის დიდი კომპანიებისათვის. 1974 წლის მარტისათვის ნავთობის ფასმა 4-ჯერ მოიმატა (ბარელის ფასმა 3 დოლარიდან აიწია 12 დოლარამდე). იმპორტირებული ნავთობის

<sup>25</sup> Eggertsson, Gauti B., 2008, "Great Expectations and the End of the Depression", American Economic Review, Vol. 98, No. 4, pp. 1476-1516.

ფასების მატებამ გააუარესა ბევრი ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. ნავთობის ამ შოკმა გამოიწვია ინფლაციის ძალიან მაღალი დონე, რასაც უმუშევრობის მნიშვნელოვანი მატება მოჰყვა. თუმცა შოკის მიერ გამოწვეული ინფლაცია არ იყო ერთადერთი მიზეზი მიმდინარე რეცესიისა, ამ პერიოდში ეკონომიკა მიწოდების მნიშვნელოვან კლებას განიცდიდა, რაც კიდევ უფრო ზრდიდა საქონლის ფასებს. სწორედ პირველი სანავთობო შოკის პერიოდიდან მოდის ტერმინი “სტაგფლაცია”, რომელიც ეკონომიკაში სტაგნაციის და ინფლაციის ერთდროული შემთხვევის დაფიქსირებას აღნიშნავს.

“საგარეო თეორიის” მიმდევრების მოსაზრებათა დასტური გახლავთ მეორე “სანავთობო შოკი” და მისგან გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი. 1979 წელს ირანის შაპის განდევნის შემდეგ დაიწყო ნავთობზე ფასების ზრდის მეორე რაუნდი ამ ქვეყნიდან ნავთობის ექსპორტის შეწყვეტით. ბარელის ფასი 1978-80 წლებში 12 დოლარიდან 32 გახდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნების მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და კვლავ გაიზარდა ფასების დონე და უმუშევრობა.

თუ პირველ “სანავთობო შოქი” ქვეყნებმა გაფართოებული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკით უპასუხეს, უკვე მეორე რეცესიის დროს ინფლაციის მაჩვენებელი საგანგაშო ნიშნულს აღწევდა და პრობლემასთან ბრძოლა ქვეყნებმა შეზღუდული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკით არჩიეს, რათა დაეძლიათ კრიზისის წარმომშობი პირველმიზეზი-ფასების ზრდა, თუმცა შოკიდან გამოსვლა რომელიც ის-ის იყო უნდა დაწყებულიყო 1981 წელს, არ დაფიქსირდა და ეკონომიკა ჩავარდა ყველაზე ღრმა რეცესიაში 1930-იანი წლების “დიდი დეპრესიის” შემდეგ.

რეცესიებს და მცირე კრიზისებს 90-იან წლებშიც პქონდათ ადგილი, თუმცა XXI საუკუნის დასწყისში ისეთ მნიშვნელოვან (რომელიც დღესაც მძვინვარებს) კრიზისს ნამდვილად აღარავინ ელოდა. ამას მოწმობს პოლ სამუელსონის 90-იან წლებში გაკეთებული განცხადება: “ზოგიერთები თვლიან, რომ დღეს კაპიტალიზმი შინაგანად უფრო სტაბილურია, ვიდრე უწინდელ პერიოდში. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ მაკროეკონომიკის უფრო სიღრმისეული გაგება ახლა მთავრობას ისეთი დონისძიებების გატარების საშუალებას აძლევს ფულად-საკრედიტო და საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის სფეროში, რომლებიც რეცესიებს დეპრესიაში გადასვლის საშუალებებს არ აძლევენ. ისინი, ვინც კაპიტალიზმის დაღუპვას წინასწარმეტყველებს უკანასკნელი კატასტროფული კრიზისის მსვლელობაში, როგორც ჩანს, ტყუილად ელოდებიან მას. ველური

ეკონომიკური ციკლი, რომელმაც წინა წლებში კაპიტალიზმის საფუძვლები შეარყია, დღეს უკვე მოთოკილია.”

ის, რომ პ.სამუელსონი ამ საკითხში ნამდვილად შეცდა, ამას მისი შემდგომი გამონათქვამიც ადასტურებს: “რაც ჩვენ ვიცით გლობალურ ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებით, არის ის, რომ ბევრი რამ არ ვიცით”.

მნიშვნელოვან საბანკო კრიზისს პქნება ადგილი 1996-1997 წლებში აზის ქვეყნებში, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე. პირველი ნიშანი გახდათ იაპონიის ეკონომიკის ქცევა, როდესაც 1996 წელს მცირე გამოცოცხლების შემდეგ 1997 წელს ქვეყანა მნიშვნელოვან რეცესიაში ჩავარდა.

მოლოდინის საპირისპიროდ 1997 წლის აპრილის შემდეგ მკვეთრად შემცირდა შინამეურნეობების დანახარჯები, შემცირდა საგადასახადო შემოსავლები და საგრძნობლად შემცირდა მთლიანი ინვესტიციებიც. დაღმასვლის მეორე ტალღა გამოწვეული იყო კერძო ბანკების მხრიდან გაცემული კრედიტების მნიშვნელოვანი შეკვეცით. კერძო ბანკების ეს საქციელი კი გამოწვეული იყო 1997 წლის ნოემბერში ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ბანკის და ორი დიდი საბროკერო ფირმის გაკოტრებით. ამის საპასუხოდ კერძო ბანკები, მოელოდნენ რა მთავრობის მხრიდან ანტიკრიზისულ, გამკაცრებულ რეგულაციებს, წინასწარ მოახდინეს რისკების პრევენცია, გაამკაცრეს კრედიტზე ხელმისაწვდომობა და გაზარდეს სარეზერვო კაპიტალი. ამის საპასუხოდ დიდი რეცესიის წინააღმდეგ იაპონიის მთავრობამ მნიშვნელოვანი ფისკალური სტიმულირების პაკეტი შეიმუშავა და მნიშვნელოვანი თანხები გამოყო საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციისათვის. კველა ქმედების მიუხედავად, მხოლოდ მცირედით გამოსწორდა საბანკო სისტემის მდგომარეობა, ხოლო ეკონომიკაში კვლავ რეცესია გაგრძელდა.

ამ მდგომარეობის საპასუხოდ მთავრობამ ფინანსური სისტემის მხარდასაჭერად 30 ტრილიონი იენით უზრუნველყო საჯარო ფონდები: აქედან 17 ტრილიონი გამიზნული იყო დეპოზიტების დაზღვევისათვის, ხოლო 13 ტრილიონი კაპიტალის უზრუნველყოფისათვის. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ამ თანხის მხოლოდ 2 პროცენტი იქნა ათვისებული დიდი ბანკების მიერ, მაინც მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მოახდინა ფინანსური სისტემის მოკლევადიანი ლიკვიდურობის უზრუნველყოფაზე.

1998 წელს უმნიშვნელო ეკონომიკური გამოცოცხლების ფონზე კვლავ გაგრძელდა საბანკო სისტემის მხარდაჭერა და აგრეთვე გამოცხადაა 16 ტრილიონ

იენიანი ფისკალური სტიმულირების ახალი პაკეტი, რომელიც გულისხმობდა სამუშაო ადგილების შექმნის მხარდაჭერას და საშემოსავლო გადასახადის შემცირებას, ამას დაემატა 24 ტრილიონიანი სტიმულირების პაკეტი. ამ პროგრამათა შედეგი გამოჩნდა უკვე 1998-1999 ფისკალურ წელს და ქვეყანაში რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის დაახლოებით 3 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა.

ცალკე საუბრის თემაა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომლის დაწყების გამომწვევ მიზეზებთან და განვითარების ტენდენციებთან დაკავშირებით მრავალი მოსაზრება არსებობს.

შეუძლებელია მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყების რომელიმე კონკრეტული თარიღი გამოვყოთ. თუმცა, არსებობს რამდენიმე საკვანძო საკითხი, რამაც მნიშნელოვანი წვლილი შეიტანა პროცესების ამგვარ განვითარებაში. კრიზისის დაწყებაზე, ჯერ კიდევ 2006 წელს აშშ-ს საბანკო სფეროში, განსაკუთრებით მაღალი რისკის მქონე იპოთეკური სასესხო ვალდებულებების რაოდენობის ზრდა მიანიშნებდა. ამ ლოკალურმა კრიზისმა დაიწყო ზრდა და რამდენიმე თვეში გადაიზარდა აშშ-ის ჯერ საბანკო და შემდგომ მთლიანად საფინანსო სექტორის მწვავე კრიზისში. მალე მან გლობალური მასშტაბი მიიღო და უკვე 2008 წლისათვის მსოფლიო ეკონომიკა აღმოჩნდა უმძიმესი ეკონომიკური რეცესიის წინაშე.

2008 წელს მრავალი ბანკი და სადაზღვევო კომპანია აღმოჩნდა მნიშვნელოვანი სიძნეების წინაშე, რამაც გამოიწვია სერიოზული ფინანსური კრიზისი, ამან მყისვე შეაჩერა გლობალური საკრედიტო ბაზრის მუშაობა და მოითხოვა მთავრობის ჩარევა. საფინანსო ბაზრის უმსხვილესი მოთამაშები **Fannie Mae** (The Federal National Mortgage Association) და **Freddie Mac (FRE)** ვერ ახერხებდნენ რა აღებული პასუხისმგებლობის შესრულებას, აღმოჩნდნენ ამერიკის მთავრობის კონტროლქვეშ. 14 სექტემბერს, ვერ იპოვა რა მყიდველი, აშშ-ის ერთ-ერთმა მსხვილმა ბანკმა – “ლეჟან ბრაზერსმა” (Lehman Brothers) თავი გაკოტრებულად გამოაცხადა. **Bank of America** დათანხმდა შეეძინა “მერილ ლინჩი” (Merrill Lynch) და ამერიკის საერთაშორისო ჯგუფს (American International Group) დაჭირდა 85 მლრდ დოლარის კაპიტალის ინექცია ფედერალური მთავრობისაგან. ცოტა სწის შემდეგ, 25 სექტემბერს, “მორგან ჩეიზმა” (Morgan Chase) შეისყიდა უკვე გაკოტრების პირას მისული **Washington Mutual** –ის აქციები, ბანკისა, რომლის

წმინდა შემოსავალი 2007 წელს 14.2 მლრდ დოლარი იყო.<sup>26</sup> ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი საბანკო კრახი. 2008 წლის 17 სექტემბრამდე უფრო მეტმა ფირმამ გამოაცხადა თავი ბანკოტად, ვიდრე მთლიანად 2007 წელს. ეს კრახი გამოწვეული იყო ნდობის დეფიციტით, რამაც უბიძგა ამერიკულ ფინანსურ ინსტიტუტებს მიეცათ სესხი ერთმანეთისათვის ან ნებისმიერი მსურველისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, ამ კრიზისის ფესვები გახლდათ უძრავი ქონების ბაზარზე, რაც შემდგომ სასესხო კრიზისში გადაიზარდა. უძრავ ქონებაზე ფასების ზრდა დაიწყო 90-იან წლებში და ბუმი ათეული წელი გაგრძელდა. უძრავი ქონების ფასების ზრდა დაემთხვა იმ მომენტს, როდესაც საინვესტიციო და საბანკო ინდუსტრიამ საფინანსო ბაზრებზე მნიშვნელოვნად გაზარდა იპოთეკური სესხების მოცულობა. ამ დროს ნებისმიერ არაკვალიფიციურ მყიდველს საშუალება ეძღვავა აიღოს სესხი. იპოთეკური სესხები ფინანსური სისტემის საშუალებით გავრცელდა CDOs (Collateralized Debt Obligation)-ს და სხვა რთული დერივატივების სახით. ბევრმა მსესხებელმა ვერ შეძლო აღებული სესხის დაბრუნება, რამაც ბევრი ბანკი აიძულა გაეყიდა სესხის უზრუნველყოფა-უძრავი ქონება. ქონების დიდი ნაწილის ფასი არ აღმოჩნდა იმის შესაბამისი, რის ამოღებასაც ფინანსური ისტიტუტები გეგმავდნენ. ამის შედეგად ბანკების უმრავლესობა გაკოტრდა.

საბანკო კრიზისმა მოიცვა მთლიანი ფინანსური სისტემა, დაიწყო მნიშვნელოვანი ცვლილებები, ბევრმა საფინანსო ინსტიტუტმა გამოაცხადა თავი გაკოტრებულად. ამ ფინანსურმა პრობლემებმა გამოიწვია, როგორც მათ მიერ გამოშვებული ფასიანი ქადალდების გაუფასურება, აგრეთვე მსოფლიო მასშტაბის უნდობლობა და აქციათა ფასის მნიშვნელოვანი ვარდნა. უმრავლეს მათგანს გარკვეული ვალდებულებები გააჩნდა, რომელთა შეუსრულებლობამაც გამოიწვია ქაოსი ეკონომიკის სხვა სესხა სექტორებშიც.

ყოველივე აღნიშნულმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საფონდო ბაზრებზე დაფიქსირებულ ტენდენციებზე. მნიშვნელოვნად დაეცა სხვადასხვა კომპანიის აქციათა ფასი და აშშ-ს ეკონომიკა ჩავარდა ღრმა რეცესიაში. კომპანიათა უმრავლესობაში გადაჯაჭვულია სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა წილობრივი საკუთრებები. სხვადასხვა საფონდო ბაზარზე კოტირებულია მრავალი კომპანია, განურჩევლად კაპიტალის წარმოშობისა, ამიტომ ერთი ქვეყნის ბაზარზე მომხდარი ძვრები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო ტენდენციებზე. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია აშშ-ის ბაზარი.

<sup>26</sup> [http://www.wikinvest.com/concept/2008\\_Financial\\_Crisis](http://www.wikinvest.com/concept/2008_Financial_Crisis)

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში აშშ-ს მნიშვნელოვანმა როლმა დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო პროცესებზე და იქ დაწყებული მოვლენები სწრაფად აისახა მსოფლიო ეკონომიკაზე.

კრიზისის მსოფლიო მასშტაბით გაშლაში დიდი როლი შეასრულა დოლარის კურსის ცვლილებებმა. მნიშვნელოვნად დაეცა ამერიკული დოლარის კურსი. ეს გამოწვეული იყო ფედერალური სარეზერვო სისტემის (ფედი) პოლიტიკით, რომელმაც კრიზისიდან გამოსვლის მიზნით იაფი ფულის პოლიტიკის გატარება გადაწყვიტა. მსოფლიო ბაზრებზე აშშ-ს გარეთ არსებობს დოლარის მთლიანი მასის ნახევარი, ამიტომ გაუფასურებული დოლარი ყველა ქვეყნისათვის ეროვნული ვალუტის გამყარებაში გამოიხატა, რაც მოცემული ნებისმიერი ქვეყნის ექსპორტს აძვირებს და ამჟარუჭებს წარმოების განვითარებას. ამ პროცესებმა და გლობალიზაციის მაღალმა დონემ განაპირობა სხვა ქვეყნების ეკონომიკების დამატებითი რყევები.

მსოფლიო ეკონომიკაში განვითარდა აშშ-ს ანალოგიური პროცესები. უამრავი კომპანია აღმოჩნდა ფინანსური სისტემების წინაშე, რომელთა გდაჭრაც ძირითადად დანახარჯების მკვეთრი შემცირებით დაიგეგმა. დანახარჯების შემცირება კი გამოიხატა დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებით და წარმოების შემცირებით.

მსოფლიო ეკონომიკა ჩაეწვა დიდი დეპრესიის შემდგა ყველაზე დრმა რეცესიაში.

## 2.2 მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ფორმირებაზე

### 2.2.1 კრიზისის დაძლევის სტრატეგიები და პროგრამები

როგორც ეკონომიკური კრიზისები ადელვებენ მსოფლიო საზოგადოებას, არანაკლებ ვნებათადელვას იწევს ის მოსაზრებები და პროგრამები, რომლებიც ამ პრობლემის დაძლევისათვის იქმნება და ხშირად მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ თითოეული მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

დიდი დეპრესიის მკვლევარებს შორის აღსანიშნავია ინგლისელი ეკონომისტი ჯონ მეინარდ კეინზი, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც დაიწყო ანტიკრიზისული პროგრამის შექმნა და ამოქმედება. შემდგომში კრიზისების ანალიზისისას მთავარი ამოსავალი წერტილი გახლდათ კეინზის პროგრამის კრიტიკული ანალიზი და ახალი თეორიების შექმნა. მნიშვნელოვანი გახლავთ მონეტარისტების და კერძოდ ჩიკაგოს სკოლის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენლის მილტონ ფრიდმანის ხედვა კრიზისის წანამდგვრების და გამომწვევი მიზეზების შესახებ. თითქმის იმავე მოსაზრებებს ავითარებს ავსტრიული ეკონომიკური სკოლა, რომელიც კონკრეტულად მიზეზებზე მიუთითებს და საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანობას ცალსახად აღიარებს.

თანამედროვე ეპოქაში კრიზისების დაძლევის პროგრამები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კეინზიანური და ლიბერალურ მიდგომებით. კეინზიანური მიდგომა კრიზისების დაძლევის მთავარ გზად ყოველთვის სახელმწიფოს აქტიური ჩარევას მიიჩნევს, ხოლო ლიბერალური მიდგომა სახელმწიფოს აქტიურ როლს კატეგორიულად უარყოფს და კრიზისის გამომწვევ მიზეზად სწორედ ამ ჩარევის არაეფექტიანობას ასახელებს.

მნელია ცალსახად აღიარო რომელიმე პოლიტიკის უპირატესობა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც კრიზისიდან გამოსვლის შემდეგ მიღებულ შედეგს ორივე პოლიტიკის მომხრეები თავიანთი შეხედულებებით ხსნიან, ან პირიქით, კრიზისის გაჭიანურების დროს კეინზიანელები თავს იმით იმართლებენ, რომ სახელმწიფო მართალია ჩაერია ეკონომიკაში, მაგრამ ლიბერალების წინააღმდეგობის გამო ჩარევა არასაკმარისი და არაეფექტიანი აღმოჩნდა. ხოლო ლიბერალები ყოველი

კრიზისის წარმოშობას და განვითარებას სახელმწიფოს ნებისმიერი დოზით ჩარევას აბრალებენ.

აქ კამათი დადის ფუნდამენტურ წინააღმდეგობაზე. ლიბერალების მიდგომით ეკონომიკა არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც გადის თავისი ზრდის და განვითარების ეტაპებს, მისი ფუნქციონირება ემორჩილება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის კანონებს და ამ კანონების მოქმედებაზე ნებისმიერი პოლიტიკის გავლენა იწვევს ჰარმონიული განვითარების შეჩერებას და რეცესიას. არასაბაზრო ძალა გავლენას ახდენს ეკონომიკის თავდაპირველ იმპულსებზე და არასწორ ინფორმაციას აძლევს ბაზარს განვითარების შესახებ, შესაბამისად არაეფექტურად ხდება შემდგომი განვითარება და ეს ყველაფერი უკვე შედეგს, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ხარვეზიან მუშაობას ბრალდება.

თავის მხრივ, ლიბერალური მიდგომის საპირისპიროდ კეინზიანელები აღნიშნავენ, რომ ცოცხალი ორგანიზმი მკურნალობის და ჯანსაღ გარემოში არსებობის გარეშე არასწორი მიმართულებით განვითარდება და შესაძლებელია დაიდუბოს კიდევ. არსებობს ე.წ საბაზრო ჩავარდნები, რომელთა დაძლევაც ეგოისტურ ინტერესებზე დაფუძნებულ საბაზრო ეკონომიკას არ შეუძლია და არც მოეთხოვება. სახელმწიფოს ეფექტური ეკონომიკური განვითარების პარალელურად თავის თავზე აღებული აქვს სოციალური სამართლიანობისაკენ მიმართული პოლიტიკის გატარება. გავრცელებული მიდგომა, რომელიც ეკონომისტ ანა შვარცს ეკუთვნის: “კომპანიები, რომელთაც მიიღეს არასწორი გადაწყვეტილებები, უნდა გაკოტრდნენ. დახმარება არ არის საჭირო. ყველაფერი უკეთ მუშაობს, როდესაც არასწორი გადაწყვეტილებები ისჯება, ხოლო სწორი გადაწყვეტილების მიმღებნი მდიდრდებიან. ბოლო წლებში კი მსოფლიო სხვა მიმართულებით მიდის”<sup>27</sup>, არ პასუხობს იმ სახელმწიფოს პოლიტიკას, რომლის მოქმედების მთავარი მიზანი არის თითოეული ადამიანის კეთილდღეობა.

თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის ფონზე მსოფლიო ეკონომიკა კვლავ განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს. ღრმა ეკონომიკური კრიზისი ყოველთვის ხდება ახალი იდეებისა და ახალი ინიციატივების “მშობელი”. მსოფლიოს უდიდესი რეცესიის შესაბამისმა გამოხმაურებებმაც არ დააყოვნა და წარმოიშვა მრავალი ახალი იდეა. ყველას მიზანი იყო ისეთი ეკონომიკური მოდელების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა, რომელსაც შეუძლებოდა სამომავლო კრიზისული მდგომარეობების თუ თავიდან აცილება არა, მისი შედეგების შესუსტება მაინც.

<sup>27</sup> <http://www.tabula.ge/article-2718.html>

ეკონომიკის ექსპერტებისა და პოლიტიკოსების აზრი კვლავ ორად გაიყო: მათი ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საჭიროა ეკონომიკის რეგულირების მექანიზმების გაზრდა, რომელიც თავიდან ააცილებს მსოფლიოს მსგავს ნეგატიურ მოვლენას, ხოლო მეორე ნაწილი კვლავ ეკონომიკის თვითრეგულირების მომხრეა. თითოეულ მათგანს თავისი კონკრეტული არგუმენტები გააჩნია, მაგრამ ფაქტია, რომ მოცემული საკითხი წმინდა ეკონომიკურ თეორიას ცდება და პოლიტიკურ ელფერს იძენს. “საბაზრო ეკონომიკური წესრიგისათვის ერთმანეთს უპირისპირდება ორი ფუნდამენტური მოსაზრება: ერთი მხრივ, ლიბერალური ბაზრის კონცეფცია, რომელიც გამომდინარეობს საბაზრო ეკონომიკური საკოორდინაციო მექანიზმის უპირატესობიდან, ხოლო მეორე მხრივ, ინტერვენციული სახელმწიფოს კოცეფცია, რომლის დროსაც თვით საბაზრო პროცესში ჩარევაც და ბაზრის შედეგების კორექტირებაც საჭიროდ მიიჩნევა.”<sup>28</sup>

ამას მოწმობს პოლიტიკოსთა გაზრდილი აქტივობები ამ მიმართულებით, რაც გვაფიქრებინებს, რომ მოსალოდნელია რეალური ცვლილებები. საინტერესოა აშშ-ში 2010 წლის იანვრის მეორე ნახევარში დაფიქსირებული ფაქტი, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ფინანსურ სექტორში რადიკალური რეფორმების განხორციელების წინადადებით გამოვიდა<sup>29</sup> (აღნიშნული ინიციატივა სენატმა 2010 წლის 20 მაისს დაამტკიცა<sup>30</sup>). მისი განცხადებით საჭირო იყო მსხვილი კომერციული ბანკების მოცულობისა და საქმიანობის შეზღუდვა, რამეთუ დიდი ბანკების “ჩაძირვამ” შესაძლოა მთელი ფინანსური სისტემის კრიზისი გამოიწვიოს. ასე დაიწყო 30-იანი წლების “დიდი დეპრესია” და მიმდინარე ეკონომიკური კრიზისიც სწორედ ფინანსური სექტორის მნიშვნელოვანმა რყევებმა გამოიწვია, რაც, ობამას აზრით, “უსამართლოა”. ობამას ეს ინიციატივა არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფინანსური რეფორმა, რომელიც დიდი დეპრესიის შემდეგ ჩატარდა აშშ-ში. მოცემულმა განცხადებამ უმაღ უარყოფითი ასახვა ჰქოვა ქვეყნის ეკონომიკაზე, თავისუფალმა საბაზრო მოდელმა სწრაფად დაიჭირა სახელმწიფო რეგულირებისა და თავისუფალი მოქმედების შემზღვდებით იმპულსები და ამ ფაქტს მყისიერი რეაგირებაც მოჰყვა. პროგრამის საჯარო გახმაურებიდან რამდენიმე საათში დაფიქსირდა აშშ-ს და შეიძლება ითქვას მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორის ეკონომიკური აქტივობის უმნიშვნელოვანების

<sup>28</sup> გველესიანი რ. ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა: წინააღმდეგობა სოციალურ და კონკურენციულ წესრიგს შორის. უკრნ. “საქართველოს ეკონომიკა”, 2008, №4, გვ. 54.

<sup>29</sup> <http://www.businessinsider.com/obama-new-financial-regulation-2010-1>

<sup>30</sup> <http://www.voanews.com/georgian/news/-----94605849.html>

განმსაზღვრელი ინდექსის – “დოუ ჯონსის” ინდექსის ვარდნა (The Dow Jones Industrial Average – DJIA).

### ნახ. 22.1.1

დოუ ჯონსისა და ნასდაკის ინდექსი 2008-2012წწ<sup>31</sup>



საინტერესოა ის ფაქტი, რომ ობამას ინიციატივის მთავარი თანაავტორია ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოფილი თავმჯდომარე პოლ ვოლკერი, რომელიც ცნობილია თავისი პრინციპული ანტიინფლაციური პოლიტიკით. მისთვის უცხო არაა მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანი დანახარჯების გაწევა შემცირებული პროდუქციის მოცულობისა და უმუშევრობის დონის ზრდის სახით. მან მხოლოდ მონეტარული პოლიტიკის საშუალებით შეძლო ინფლაციის 6%-ით შემცირება, იმის მიუხედავად, რომ რეიგანის ადმინისტრაცია გაზრდილი საბიუჯეტო დანახარჯებით ინფლაციურ პოლიტიკას ატარებდა. დღევანდელი გადმოსახედიდან კიდევ უფრო საინტერესოა ობამას პროგრამა, რამეთუ ვოლკერი უკვე სახელმწიფო პროგრამის თანაავტორად გვევლინება.

მოცემულ განცხადებას ასევე დაერთო საფრანგეთის პრეზიდენტის გამოსვლა 2010 წლის დავოსის ფორუმზე, სადაც ისიც მიესალმა ფინანსურ სექტორში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებას. მისი განცხადებით ფინანსური სექტორის მოდერნიზაციაზე კი არ უნდა ვმსჯელობდეთ, არამედ საჭიროა საერთოდ ახალი სისტემის შექმნა. აქედანვე, ცხადია, რომ მსოფლიოს

<sup>31</sup>.<http://finance.yahoo.com>

წამყვანი ქვეყნების ლიდერები ეკონომიკის რეგულირების ახალი ან თუნდაც უპვენიადი მეთოდების გამოყენების მომხრენი არიან. ეს კიდევ უფრო დიდი პრობლემაა ევროკავშირისათვის, რომელსაც არ გააჩნია ისტორიულად ერთიანი სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი და სისტემა ჯერ კიდევ შორსაა იდეალურისაგან. ამას თან ერთვის გაერთიანების შიგნით არსებული ძლიერი საფინანსო ცენტრების არსებობა, რომელთა ურთიერთობებიც სცილდება კერძო ბანკებს შორის არსებულ უბრალო კონკურენციას.

კრიზისის პერიოდში, მნიშვნელოვნად იზრდება სახელმწიფოთა როლი ეკონომიკის ფუნქციონირებაში. ყველა დარგი თხოვს მთავრობას გარკვეული დახმარების გაწევას და სუბსიდირების გარკვეული დოზით ცდილობები მდგომარეობიდან გამოსვლას. ეს თავის მხრივ ბიზნესს სულ უფრო მეტად ხდის სახელმწიფოზე დამოკიდებულს. კრიზისიდან გამოსვლის პარალელურად ალბათ მართებული იქნებოდა, შემცირებული სახელმწიფო დახმარებები და მთავრობის როლის მეტნაკლებად შემცირება. მაგრამ აღსანიშნავია, რომ თუ ბარაკ ობამამ იანვრის ბოლოს ასეთი განცხადება გააკეთა, უპვენი თებერვლის დასაწყისში ახალი ინიციატივა გაახმოვანა, რომლის მიხედვითაც მან კონგრესმენებს მცირე ბიზნესის დასახმარებლად 30 მლრდ დოლარის გამოყოფა შესთავაზა.

ამ მიმდინარე განცხადებების, პროგრამების და მოვლენების ფონზე გამოიკვეთა ტენდენციები, რომელიც სულ უფრო წინააღმდეგობაში მოდის თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან. ეკონომიკურ კრიზისში, რომელიც ფინანსური კრიზისით დაიწყო, მთავარ დამნაშავედ ერთხმად გამოცხადდა ფინანსური სექტორის კონტროლის მექანიზმების არაეფეტიანობა (სწორედ ამან განაპირობა ობამას აღნიშნული პროგრამა). გაზრდილი კონკურენციისა და შესუსტებული კონტროლის მექანიზმების ფონზე, გაიზარდა მაღალი რისკის შემცველი იპოთეკური სასესხო ვალდებულებების რაოდენობა და ამ ბაზარზე მომხდარმა კრახმა მსოფლიო ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანა. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებულმა ეკონომიკამ ვერ უზრუნველყო იმ პროცესების შეჩერება, რისი ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზიც თვითონ იყო. ამან ხელახლა გახადა აქტუალური კეინზიანური შეხედულებები და მსოფლიოს ლიდერებიც თავისუფალი ეკონომიკის სისტემის მოდერნიზაციაზე აალაპარაკა.

რადგან კრიზისის გამომწვევ უპირველეს მიზეზად ფინანსურ სისტემაში არსებული სისუსტეები დასახელდა, ძირითადი აქცენტი ანტიკრიზისულ

პოლიტიკაზე საუბრისას ფინანსური სისტემის მოდერნიზაციაზე და მისი მდგრადობის ამაღლებაზე არის მიმართული.

უკვე 2008 წელს გაეროს გენერალურ ანსანბლეაზე მნიშვნელოვანი გამოხმაურება მოყვა კრიზისს. 30 ოქტომბერს ანსანბლეის პრეზიდენტმა მიგელ დესკოტომ მოიწვია ექსპერტები დისკუსიაზე, რათა ემსჯელათ ფინანსურ კრიზისზე და გამოსავალზე. მოწვეული იყვნენ ექსპერტები: ჯოზეფ სტიგლიცი (აშშ), პრაბატ პატნაიკი (ინდოეთი), საკიკო ფუკუდა პარი (იაპონია), პედრო პაეზი (ეკვადორი), კალესტუს იუმა (კენია) და ფრანსუაზ პუტარტი (ბელგია).

ჯოზეფ სტიგლიცის განცხადებით ფინანსური კრიზისი, რომელიც დაიწყო ამერიკაში და სწრაფად გავრცელდა ევროპაში, კიდევ უფრო გაღრმავდებოდა და მნიშვნელოვან მასშტაბებს მიიღებდა. მისი მოსაზრებით მნიშვნელოვანია მსოფლიო ფინანსური სისტემის მოდერნიზება, ის აღნიშნავს, რომ “რაც კარგია “ვოლ სტრიტისათვის”, ის აუცილებელად კარგია ყველასათვის”.<sup>32</sup> მისი თქმით, მანამდე არსებული საერთაშორისო სისტემა უფრო მეტად ემსახურებოდა განვითარებული ქვეყნების ინტერესებს. განვითარებული ქვეყნების ბანკები მოტივირებული იყვნენ განვითარებადი ქვეყნებისათვის მიეცათ მოკლევადიანი სესხები, რათა ამ ქვეყნებს მოხსნოდათ მოკლევადიანი ლიკვიდობის პრობლემა, თუმცა ასეთი სესხები ამ ქვეყნებში მომავალში ხდებოდნენ ეკონომიკური დესტაბილიზაციის მთავარი წყაროები. განვითარებადი ქვეყნებისათვის ხშირად თავს იყო მოხვეული არასწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ციკლის გაძლიერებას უწყობდა ხელს, მაშინ როდესაც, განვითარებული ქვეყნები ხშირად ატარებდნენ ანტიკლურ პოლიტიკას.

სტიგლიცის განცხადებით ეს ვითარება აუცილებლად შესაცვლელია, კარგი იქნებოდა შექმნილიყო საერთაშორისო მრავალმხრივი სარეზერვო სისტემა გარე შოკების თავიდან ასაცილებლად. უნდა მოხდეს ფინანსური სისტემის მოდერნიზაცია, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ისე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში. უნდა გაზრდილიყო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გადაწყვეტილებების მიღების ლეგიტიმურობის ხარისხი, მასში საშუალო შემოსავლების მქონე და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მონაწილეობის გაზრდის ხარჯზე.

პროფესორ პრაბატ პატნაიკის განცხადებით: აღნიშნული კრიზისი გამოწვეული იყო თავისუფალი საბაზრო სისტემის ფუნდამენტური დეფექტით,

<sup>32</sup> <http://www.globalresearch.ca/causes-and-solutions-to-the-global-financial-crisis/>

გაზრდილი იყო განსხვავება “რეალურ” და “სპეციალაციურ” ეკონომიკებს შორის. მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციებს განსაზღვრავდნენ სპეციალატორები, რომლებიც დაინტერესებულნი არ იყვნენ გრძელვადიანი აქტივის ფასით, არამედ მათთვის მთავარი იყო ამ აქტივის ფასის მოკლევადიანი რეევებით გამოწვეული შემოსავალი. მისი თქმით ჯონ მეინარდ კეინსს სურდა ამ კავშირის გაწყვეტა, როდესაც ის საუბრობდა ინვესტიციების ყოვლისმომცველ “სოციალიზაციაზე”, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო მოქმედებს რა მთლიანი საზოგადოების სახელით, იღებს ვალდებულებას ეკონომიკური კონიუნქტურის მიუხედავად შეინარჩუნოს ინვესტიციების გარკვეულ ნორმა, რომელიც წარმოშობს ისეთ ერთობლივ მოთხოვნას, რომელიც ხელს შეუწყობს სრული დასაქმების მიღწევას. ბატონი პრაბატის აზრით, ყოველივე ამის მიუხედავად, გლობალიზაციის პროცესში მნიშვნელოვნად შემცირდა ეროვნული სახელმწიფოების როლი და გავლენა მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე.

ბელგიის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორ ფრანსუაზ პუტარტის განცხადებით მსოფლიოს სჭირდება ახალი არჩევანი და არა მხოლოდ ახალი რეგულაციები, საკმარისი არ არის სისტემის განახლება, საჭიროა მისი ფუნდამენტური ტრანსფორმაცია და მისი მორგება ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის გამოწვევებთან. არსებული მდგომარეობა ამორალურია, რადგან 850 მილიონი ადამიანი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება და მსოფლიო კლიმატის ცვლილება სულ უფრო და უფრო დრამატული ხდება, ამ დროს საკმარისი არ არის ყურადღება გამახვილდეს მხოლოდ ფინანსურ კრიზისზე. ყველა სისტემური ჩავარდნა იწვევს საზოგადოების რეალურ კრიზისებს. საჭიროა განახლდეს მსოფლიოს გრძელვადიანი დამოკიდებულება და ხედვა ბუნებასთან დაკავშირებით. დიდი პატივი უნდა ვცეო ჩვენი სიცოცხლის მთავარ წყაროს, იმის მაგივრად, რომ უკონტროლოდ გავანადგუროთ ნედლეულის მოპოვების საბაბით.

ექსპერტებისა და ქვეყნების წარმომადგენლების უდიდესი ნაწილი შეთანხმდა, რომ საჭიროა საერთაშორისო ფინანსური არქიტექტურის რეფორმირება, მაგრამ იყო განსხვავებული შეხედულებებიც რეფორმების ფორმებთან და ხარისხთან დაკავშირებით. მონაწილეობა ერთი ფაზი ამტკიცებდა, რომ საერთაშორისო საგალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მოდერნიზაცია უნდა მომხდარიყო ისეთი მიმართულებით, რომელიც გაზრდიდა განვითარებადი ქვეყნების როლს და ფუნქციებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მეორენი ამტკიცებდნენ, რომ საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის “ზედაპირული

მიდგომა” არასაკმარისი იყო და აუცილებელი იქნებოდა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ნეოლიბერალური პარადიგმის მოდიფიკაცია და უფრო მეტი სოციალური და გარემოს დაცვითი პასუხისმგებლობის გაზიარება.

სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა მოსაზრებასთან ერთად მნიშვნელოვანი იყო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის მიდგომა კრიზისის და მასთან ბრძოლის მეთოდების შესახებ. მისი განცხადებით კვლავ მწვავდება ფინანსური სისტემის მდგომარეობა და საჭირო იყო ყველას გაეზიარებინა პასუხისმგებლობა. მან აღიარა, რომ ამერიკული შიდა ფინანსური სისტემისათვის აუცილებელია რეფორმები, რათა გაიზარდოს გამჭვირვალობა, ზედამხედველობა და რეგულაციები, მაგრამ დიდი პრობლემა იქნება რეგულაციასა და თავისუფალი დია ეკონომიკის პრინციპებს შორის ბალანსის დაცვა.

აშშ-ს წარმომადგენლის განცხადებით ქვეყანა გაატარებდა აგრესიულ პოლიტიკას, რომ დაეცვა შიდა ბაზარი და ეკონომიკური სისტემა კაპიტალის მასიური მოძრაობისაგან, რათა თავიდან აუცილებინათ კრიზისი და ამაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა საერთაშორისო ფინანსურ ინსიტუტებს. მან განაცხადა რომ საჭიროა ფინანსური სისტემის გაძლიერება და ხაზი გაუსვა საერთაშორისო მასშტაბით კოორდინირებული მუშაობის აუცილებლობას. მისი განცხადებით უმნიშვნელოვანესი იყო თეთრი სახლის მიერ ორგანიზებული G20-ს შეხვედრა, სადაც მოწვეულნი იყვნენ მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი და საერთაშორისო სტაბილურობის ფორუმის (Global Stability Forum) ხელმძღვანელი, რათა ემსჯელათ პრინციპებზე, პოლიტიკაზე და იმ მაჩვენებლებზე, რომელთაც გავლენა უნდა მოეხდინათ, როგორც კრიზისზე, ასევე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

იაპონიის წარმომადგენლის განცხადებით მიმდინარე ეკონომიკურ ჩაგარდნას და საკრედიტო კრიზისს გავლენა ექნება განვითარებად ქვეყნებზე, ამიტომ საერთაშორისო საგალუტო ფონდმა უნდა გაზარდოს, როგორც ტექნიკური, ისე ფინანსური დახმარებები ამ პრობლემების დასაძლევად და დააფიქსირა იაპონიის დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა დასაგეგმი პროექტებისათვის.

კანადის წარმომადგენლის განცხადებით თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული სისტემები გამაგრებული უნდა იყოს გარკვეული სახელმწიფო რეგულაციებით. მათი განცხადებით არასწორმა სტიმულებმა და სისტემის რეგულირების არაეფექტურობამ მიიყვანა მსოფლიო ამ კრიზისამდე. საჭიროა, რომ

გაძლიერდეს რეგულაციის რეჟიმები, აღინიშნა, რომ ამ საკითხში მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და რომ ყველა შემოთავაზებული აღტერნატივა უნდა ავსებდეს ერთმანეთს, მათ შორის, როგორც გაეროს, ისე, ბრეტონ-ვუდსის სისტემის ორგანიზაციების მხრიდან.<sup>33</sup>

როგორც აღვნიშნეთ, კრიზისის გამომწვევ და გამაძლიერებულ მთავარ პრობლემად საერთაშორისო ფინანსური სისტემის გაუმართაობა და მასში არსებული რისკები დასახელდა.

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ფინანსური რეგულირების და ფინანსური რისკების თავიდან აცილებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სტრუქტურაა საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი. (Basel Committee on Banking Supervision). მისი პოლიტიკა და მეთოდები იხვეწებოდა წლიდან წლამდე, იცვლებოდა მეთოდოლოგია და ქვეყნების მოცვის არეალიც, ამიტომ მას მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფინანსური რისკების შეფასებასა და ანალიზში, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა კრიზისის მართვის პროცესს.

ბაზელის კომიტეტი ჩამოყალიბდა 1974 წელს მისი 10 წევრი ქვეყნის ცენტრალური ბანკების მიერ. მის ფარგლებში ტარდება მუდმივი ფორუმები საბანკო ზედამხედველობის სფეროსთან დაკავშირებით. მისი მიზანი იყო ზედამხედველობის საკვანძო საკითხების შესახებ ცოდნის ფართოდ გავრცელება და საბანკო ზედამხედველობის სფეროში ქვეყანათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება. კომიტეტის ფარგლებში ასევე აქტიურად მუშავდება სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები სხავდასხვა სფეროში, რომელთა შორის ყველაზე ცნობილია კაპიტალის ადექვატურობის საერთაშორისო სტანდარტი, ეფექტური საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები, შეთანხმება ქვეყანათაშორისი საბანკო ზედამხედველობის შესახებ და ა.შ.

ბაზელის შეთანხმებების მეორე ეტაპია ბაზელი II, რომელიც გამოქვეყნდა 2004 წელს. მისი მთავარი მიზანი იყო შეექმნა საბანკო რეგულაციის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც უზრნველყოფდა სისტემის მდგრად განვითარებას და ფინანსური რისკების თავიდან აცილებას. მთავარი მექანიზმი გახლდათ კაპიტალის მინიმალური ნორმის განსაზღვრა, რომელიც აუცილებლად უნდა ჰქონოდა ფინანსურ ინსტიტუტს რისკების ასაცილებლად.

<sup>33</sup> <http://www.globalresearch.ca/causes-and-solutions-to-the-global-financial-crisis/>

ბაზელი II-ის მხარდამჭერებს იმედი ჰქონდათ, რომ საერთაშორისო სტანდარტების შექმნა და რისკების დაძლევის ერთიანი მიღებობა ხელს შეუწყობდა საერთაშორისო ფინანსური სისტემის მდგრადობის ამაღლებას და თავიდან აგვაცილებდა მნიშვნელოვან საბანკო კრიზისებს, რომლებიც ე.წ. “დომინოს ეფექტით” იწვევენ ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისებს.

დოკუმენტის პირველი ფორმის გამოქვეყნებიდან რამდენჯერმე მოხდა მისი განახლება და შესაბამისად შეიცვალა მაჩვენებელიც. გამოქვეყნების დღიდან ბევრმა ქვეყანამ დაიწყო საბანკო ზედამხედველობის რეგულირების ამ ახალ პრინციპებზე გადასვლა, თუმცა იგი მსოფლიო ფინანსურ კრიზისამდეც და მის შემდეგაც ხშირად იყო განხილვის საგანი ეკონომისტებს და პოლიტიკოსებს შორის. ბევრი მიიჩნევდა, რომ ფინანსურმა კრიზისმა გამოავლინა მისი ნაკლოვანებები, ხოლო ზოგიერთი მას კრიზისის ეფექტების გაძლიერებაშიც კი სდებდა ბრალს.

აღნიშნული კრიზისის საპასუხოდ ბაზელის კომიტეტმა დაამუშვა და გამოაქვეყნა ახალი გლობალური სტანდარტები, რომლებმაც უნდა უპასუხონ მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ახალ გამოწვევებს და თავიდან უნდა აგვაცილოს დრმა ფინანსური კრიზისები. ეს განახლებული ვარიანტი ჩვენთვის ცნობილია, როგორც ბაზელი III.

“ბაზელი III არის ყოვლისმომცველი რეფორმების კომპლექტი, რომელიც შემუშავებულია ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის მიერ, საბანკო სექტორის რეგულირების, ზედამხედველობის და ფინანსური რისკების მართვის გასაძლიერებლად. ეს რეფორმები მიზნად ისახავს:

- გაუმჯობესოს საბანკო სექტორის უნარი, გაუმჯობესოს ფინანსური და ეკონომიკური სტრუქტურისაგან გამოწვეულ შოკებს, რისი წყაროც იქნება
- რისკების გაუმჯობესება,
- გამჭვირვალობის და ინფორმაციის გასსნილობის ზრდა.”<sup>34</sup>

თუ ბაზელი I და II რისკების თავიდან აცილების მთავარ საშუალებად კაპიტალის ადექვატურობის კოეფიციენტებს განიხილავდა, ბაზელ III კიდევ უფრო ამკაცრებს ამ კრიტერიუმებს. ამის გარდა, შემუშავდა ლიკვიდურობის და ფინანსური მდგრადობის სხვადასხვა ინდიკატორები. გამკაცრებული

<sup>34</sup> <http://www.bis.org/bcbs/baseI3.htm>

კრიტიკულების პრაქტიკაში დანერგვა და მის მიხედვით ფინანსური სისტემის ზედამხედველობის გამკაცრება უნდა გახდეს მოსალოდნელი კრიზისების თავიდან აცილების გარანტი.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის სიძლიერემ საერთაშორისო ორგანიზაციებიც დააფიქრა ახალი პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობაზე.

მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს გ.წ. დიდი შვიდიანის (G7), დიდი ოციანის (Group of Twenty Finance Ministers and Central Bank Governors) (G20) და მსგავს შეხვედრებსა და კონფერენციებზე მიღებული გადაწყვეტილებები და შემუშავებული სტრატეგიები, რომელთა გავლენა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში ცალსახად მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია G20, რომელიც კონკრეტულად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის საპასუხოდ ჩამოყალიბდა და მთავარი მიზანი სწორედ მისი დაძლევა და შემდეგი კრიზისების პრევენციაა. მისი მნიშვნელობა მსოფლიო ეკონომიკაში იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც წევრ ქვეყნებზე მოდის მსოფლიო მთლიანი შიგა პროდუქტის 80%-ზე მეტი, მსოფლიო გაჭრობის 80% და მსოფლიო მოსახლეობის 2/3-ზე მეტი.

იგი წარმოადგენს წევრი ქვეყნების ეროვნული ბანკების და ფინანსოა სამინისტროების ხელმძღვანელების და სახელმწიფოს მეთაურებისაგან დაკომპლექტებული სამიტების ერთობლიობას. პირველი სამიტი 2008 წელს შედგა და ყოველი შემდეგი სამიტის ფარგლებში ხდებოდა წინა სამიტის შედეგების შეჯამება, ახალი სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა და მისი შესრულების გზების ძიება.

უკვე 2009 წელს G20-ის დახურულ სამიტზე ქვეყნები თანხმდებოდნენ კრიზისიდან გამოსვლის მიზნით მათ დამატებით 1 ტრილიონი აშშ დოლარი გამოეყოთ დამატებითი ფონდების საშუალებით.<sup>35</sup> როგორც ინგლისის პრემიერ მინისტრმა გორდონ ბრაუნმა განაცხადა: “ძველი ვაშინგტონის კონსესუსი დამთავრებულია, დღეს არის ის მომენტი როდესაც მთლიანმა მსოფლიომ ერთად უნდა იბრძოდოს კრიზისის დასაძლევად არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ ეკონომიკური გამოცვლების რეალური გეგმით და რეფორმებით.” ამ სამიტის ფარგლებში მიღწეულ იქნა ბევრი შეთანხმება, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა უნდა მოჰქმდინა შემდგომ ეკონომიკურ განვითარებაზე.

<sup>35</sup> <http://news.sky.com/story/683229/pm-g20-pledge-1-trillion-for-economy>

გორდონ ბრაუნის განცხადებით სამიტის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იყო სავალუტო ფონდის დაფინანსების 500 მილიარდიანი ზრდა, რომელთაგან ნახევრით წევრი ქვეყნები ისარგებლებენ, ხოლო ნახევარი მსოფლიო ვაჭრობის ზრდის წასახალისებლად დაიხარჯებოდა. სავალუტო ფონდში 40 მილიარდი გადაირიცხებოდა ჩინეთის, 100 მლრდ. - ევროპავშირის, ხოლო 100 მლრდ. - იაპონიის მიერ. ინგლისის პრემიერ მინისტრის განცხადებით სამიტე კიდევ ერთხელ დაისვა საკითხი საერთაშორისო ფინანსური სისტემის “გაჯანსაღების” შესახებ. მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები შედგა უმუშევრობის, სიღარიბის დაძლევის და სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები გაჭირვებული ოჯახების შესახებ. გორდონ ბრაუნის აზრით უმნიშვნელოვანები იყო ის, რომ გადაწყვეტილებები მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი აზრთა სხვადასხვაობის და წინააღმდეგობების გარეშე, რაც გახდებოდა შემდგომში ერთობლივი ეფექტიანი მუშაობის მთავარი გარანტი.

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა სამიტის შედეგს უწოდა: “ძალიან, ძალიან კარგი, თითქმის ისტორიული კომპრომისი”. საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზის თქმით: “ეს იყო უფრო მეტი, ვიდრე ჩვენ წარმოგვედგინა და პრობლემები გახლდათ”<sup>36</sup>

2008 წლიდან 2012 წლამდე გაიმართა 7 კონფერენცია, რომელთაგან ბოლო 2012 წლის ივნისში შედგა მექსიკაში, სადაც მთავარი განსახილველი საკითხები და პრობლემები გახლდათ<sup>37</sup>:

- ეკონომიკური სტაბილიზაციის და მსოფლიო ეკონომიკის სტაბილურობის აღდგენის მხარდაჭერა;
- დასაქმება და სოციალური დაცვა;
- ვაჭრობის გაფართოება;
- საერთაშორისო ფინანსური არქიტექტურის გაძლიერება;
- ფინანსური სექტორის რეფორმირება და გაძლიერება;
- სასურსათო უსაფრთხოების გაზრდა და სამომხმარებლო ფასების რყევები;
- განვითარების და ცვლილებების გამოწვევებისათვის მზადყოფნა;
- გრძელვადიანი კეთილდღეობის ზრდა “მწვანე ზრდის” გათვალისწინებით;

<sup>36</sup> <http://news.sky.com/story/683229/pm-g20-pledge-1-trillion-for-economy>

<sup>37</sup> [www.g20.org](http://www.g20.org) G20 Leaders Declaration, Los Cabos, México.

- კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

სამიტზე მყოფმა ლიდერებმა აღნიშნეს, რომ მზად იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისათვის და მათთან კოორდინირებული მუშაობით მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევის იმედი გამოთქვეს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საბაზო ეკონომიკის კრიტიკისას და მასზე საუბრისას, როგორც კრიზისის ერთ-ერთ გამომწვევა ფაქტორზე, უმთავრეს ნაკლად განიხილავენ თავისუფალ საბაზო სისტემაში არსებულ ე.წ. ინფორმაციის ასიმეტრიულობას. დღეს თითქმის ყველა ეკონომიკული მკვლევარის ნაშრომში შეგვიძლია ამოვიკითხოთ, რომ თუ არა სისტემისათვის დამახასიათებელი ეს თვისება, საბაზო ეკონომიკა შეძლებდა გამართულად მუშაობას.

ამ პრობლემის აქტუალობა გააცნობიერეს საერთაშორისო ორგანიზაციებმაც და უკვე 90-იანი წლებიდან დაიწყო საერთაშორისო მასშტაბით ამ ნაკლოვანებების გამოსწორების მცდელობა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფარგლებში აქტუალური გახდა მონაცემების ხელმისაწვდომობის და გამჭვირვალობის ზრდა.

საერთო სავალუტო ფონდმა მონაცემების გავრცელების სტანდარტებზე მუშაობა 1995 წლის ოქტომბერში დაიწყო, როდესაც დროებითმა კომისიამ დაამტკიცა ძირითადი წესები და პრინციპები წევრი ქვეყნებისათვის. მათ უნდა ეხელმძღვანელათ ამ პრინციპებით და ამ ერთიანი სტანდარტით დამუშავებული ეკონომიკური და ფინანსური ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო მთელი საზოგადოებისათვის. სტანდარტები შედგებოდა ორი ძირითადი სექტორისაგან: ძირითადი მონაცემების გავრცელების სისტემა (General Data Dissemination System, **GDDS**), რომელსაც უნდა ემოქმედა ყველა წევრ ქვეყნაში და საეკიალური მონაცემების გავრცელების სტანდარტი (Special Data Dissemination Standard, **SDDS**), იმისათვის რომ წევრ ქვეყნებს საშუალება ჰქონდათ გაეზარდათ წვდომა ან მოეძიებინათ ახალი, კაპიტალის საერთაშორისო ბაზარი. **SDDS** საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა 1996 წლის მარტში, ხოლო **GDDS** 1997 წლის დეკემბერში.

**GDDS** დანერგვა განხორციელდა ორ ეტაპად. პირველი ეტაპი ფოკუსირებული იყო ტრეინინგებსა და სწავლების სხვდასხვა მეთოდებზე. ის მოიცავდა 9 რეგიონალურ სემინარის სერიას წევრი ქვეყნებისათვის, სადაც ზოგიერთი ქვეყნის მიერ მომზადებული იყო საპილოტო მეტამონაცემები. ეს მონაცემები წარმოადგენდა ნიმუშს ყველა ქვეყნისათვის, თუ რას მოელოდნენ პროგრამის ორგანიზატორები სამუშაოების შესრულების შემდეგ. მეორე ფაზა

დაიწყო 2000 წლის მაისში, როცა ამ სისტემით დამუშავებული ქვეყნების მეტამონაცემები გაეგზავნა სავალუტო ფონდის სტანდარტების გავრცელების ფორუმს.

**GDDS** არის ორგანიზებული პროცესი, რომლის მიხედვითაც წევრი ქვეყნები საკუთარი სურვილით ვალდებულებას იღებენ გააუმჯობესონ ეროვნული სტატისტიკის სამსახურების მიერ სტატისტიკური მონაცემების შეგროვების და გავრცელების ხარისხი, რათა ისინი სანდო და ეფექტიანი იყოს მაკროეკონომიკური ანალიზის საჭიროების შემთხვევაში. გაზრდილი ეკონომიკური და ფინანსური ინტეგრაციული პროცესების ფონზე თანდათან იზრდება მოთხოვნა ერთიან, ფართო სპექტრის ეკონომიკურ და სხვა სახის მონაცემების არსებობაზე, რათა კიდევ უფრო ეფექტიანი გახდეს მაკროეკონომიკური მენეჯმენტი, რომელიც წლიდან წლამდე სულ უფრო რთულდება.<sup>38</sup>

**GDDS-ს** დიზაინის და შინაარსის დახვეწისას სავალუტო ფონდი მჭიდროდ თანამშრომლობდა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და განსაკუთრებით სარგებლობდა მსოფლიო ბანკის სოციო-დემოგრაფიულ მონაცემთა ბაზით. სავალუტო ფონდის სტატისტიკის დეპარტამენტი იაპონიის მთავრობისა და გაერთიანებული სამეფოს აქტიური მხარდაჭერით ცდილობს რაც შეიძლება მუტ ქვეყანას მისცეს საშუალება მონაწილეობა მიიღოს ამ სისტემაში, რეგიონალური პროექტების ჩათვლით შეადგინოს მეტამონაცემები და თანდათან დახვეწოს მისი შედგენის მეორდოლოგია.

**GDDS-ს** მიზნებია:<sup>39</sup>

- წაახალისოს წევრი ქვეყნები, გააუმჯობესონ მონაცემების ხარისხი;
- უზრუნველყოს მონაცემების საიმედოობის შეფასების კრიტერიუმები და გაზარდოს ნდობის ხარისხი მათ მიმართ; და
- წევრი ქვეყნებისათვის გახდეს გზამკვლევი ყოვლისმომცველი, დროული, ხელმისაწვდომი და სანდო ეკონომიკური, ფინანსური, სოციალური და დემოგრაფიული მონაცემების გამოქვეყნებისას.

რაც შეეხება მონაცემთა გავრცელების სპეციალურ სტანდარტებს **SDDS**, მასზე მუშაობა გადაწყდა მექსიკის 1994 წლის კრიზისის შემდეგ, როდესაც საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტებმა აღიარეს, რომ მაკროეკონომიკური მონაცემების სიზუსტეს, გამჭვირვალობას და ხელმისაწვდომობას გადამწყვეტი

<sup>38</sup> <http://dsbb.imf.org/images/pdfs/gddsguide.pdf>

<sup>39</sup> <http://dsbb.imf.org/Pages/GDDS/WhatIsGDDS.aspx>

მნიშვნელობა პქონდა კრიზისების თავიდან აცილებისათვის ან მათი შედეგების შერბილებისათვის.

ამ კრიზისის საპასუხოდ 1995 წლის აპრილში სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების მინისტრთა დროებითმა კომისიამ (რომელიც ამის შემდგომ იწოდა, როგორც “საერთაშორისო მონეტარული და ფინანსური კომიტეტი” IMF) გადაწყვიტა ჩამოეყალიბებინა სტანდარტების პაკეტი, რომლის მიხედვითაც უნდა ეხელმძღვანელათ წევრ ქვეყნებს ფინანსური და ეკონომიკური მონაცემების გამოქვეყნებისას. იმავე წლის ივნისში კანადის სამიზნე შეკრებილმა დიდი შვიდიანის სახელმწიფოს მეთაურებმა იგივე შინაარსის თხოვნით მიმართეს სავალუტო ფონდს. 1995 წლის ოქტომბერში კომიტეტმა გამოაცხადა სტანდარტების სახელმძღვანელოს დაარსებისა და მასთან დაკავშირებული ელექტრონული ფორუმის შექმნის შესახებ სავალუტო ფონდის ვებ გვერდზე.<sup>40</sup>

1996 წელს ფონდმა დაამტკიცა SDDS, როგორც საერთო სტანდარტის პირველი ეტაპი (როგორც აღვნიშნეთ მეორე ეტაპი გახლდათ GDDS-ს ჩამოყალიბება 1997 წელს). 1996 წლის აპრილში ქვეყნებს საშუალება პქონდათ გამხდარიყვნენ სტანდარტების ხელმომწერნი. იმავე წელს შეიქმნა სტანდარტების გავრცელების ელექტრონული ფორუმი (the Dissemination Standards Bulletin Board, DSBB), სადაც ერთიან სივრცეში თავმოყრილი იქნებოდა ყველა ქვეყნის მონაცემები და ეს გაამარტივებდა ქვეყანათა მონაცემების შესადარისობასა და შექმნიდა უფრო მეტი ანალიზის გაკეთების საშუალებას.

SDDS აყალიბებს მონაცემთა გავრცელების ოთხ განზომილებას:

- მონაცემების დაფარვა, პერიოდულობა და გამოქვეყნების დრო;
- მონაცემებზე საზოგადოების წედომა;
- გავრცელებული მონაცემების ერთგვაროვნება და
- გავრცელებული მონაცემების ხარისხი.

ეს ორივე, სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისა და გავრცელების სისტემა და სტანდარტი ერთ მიზანს ემსახურება თუმცა მათ შორის არსებობს არსებითი განსხვავებაც. SDDS-სგან გასხვავებით GDDS ნაკლებ დირექტიულია, მაშინ როდესაც SDDS მკაცრად გასაზღვრული სტანდარტების ერთობლიობაა, რომელთა დაკმაყოფოლებაც მოეთხოვებათ ხელმომწერ ქვეყნებს. GDDS ძირითადად ადგენს რეკომენდაციებს, განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავებისა და

<sup>40</sup> <http://www.imf.org/external/pubs/ft/sdds/guide/2007/eng/sddsguide.pdf>

გავრცელების ე.წ. “კარგ პრაქტიკას” (ერთმნიშვნელოვნად ნაკლებ მკაცრია ვიდრე SDDS-ს მოთხოვნები). მაგრამ იგი ყოველთვის აფასებს და აკონტროლებს გავრცელებული მოაცემების ხარისხს, დროულობას და ხელმისაწვდომობის ვადებს. GDDS პრაქტიკულად დიად ყველა წევრისათვის, მაშინ როცა SDDS გამიზნულია წევრ ქვეყნებს გაუადვილოს წვდომა საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე.<sup>41</sup>

საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკის კორექტირება ჟავე 2008 წლიდან დადგა დღის წესრიგში და საჭირო აღმოჩნდა განსხვავებული გზების ძიება, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა კრიზისის თანმდევი ფაქტორებიც. მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის პრეზიდენტის, პასკალ ლემის 2008 წლის ოქტომბერში გაკეთებულ მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ მიმდინარე ზაფხულიდან მოყოლებული აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა მოლაპარაკებათა ჯგუფის მიერ. მათ დააფიქსირეს ყველა წევრი სახელმწიფოს პოზიცია და აგრეთვე აქცენტები გააკეთეს მიმდინარე ფინანსურ კრიზისზე, მის გავლენაზე, როგორც ორგანიზაციის მუშაობაზე, ისე მოლიანად მსოფლიო ეკონომიკაზე. დაიგეგმა და ყველა წევრ სახელმწიფოს გაეცნო შემდგომი შეხვედრებისა და მინისტერიალების დღის წესრიგი და ნაბიჯ-ნაბიჯ გაგრძელდა მუშაობა ამ მიმართულებით.

პასკალ ლემის აღნიშნულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ “კრიზისს შესაძლებელია ქონდეს პირდაპირი გავლენა განვითარებადი ქვეყნების ექსპორტისა და იმპორტის დაფინანსებაზე. ვმო-ს ფარგლებში ჩვენ გვქონდა რამდენიმე შეხვედრა ამ პრობლემასთან დაკავშირებით, მსხვილ ინსტიტუტებთან და კერძო ბანკებთან. მოცემული გაუარესებული ფინანსური გარემოს და მსოფლიო ბანკის მისასალმებელი 500 მილიონიანი გაჭრობის დაფინანსების პროგრამის მიუხედავად, მე თვალყურს მივადევნებ ვაჭრობის დაფინანსების პროცესებს. ჩვენი 12 ნომბრის შეხვედრაზე განვიხილავთ ამ საკითხს და დავსახავთ პრობლემიდან გამოსვლის გზებს, თუ იმ პერიოდისათვის მდგომარეობა გაუარესდა. კრიზისის დაწყების მიუხედავად, მსოფლიო ეკონომიკის ერთ მესამედს გააჩნია ზრდის დიდი პოტენციალი და ჩვენ უნდა დავარწმუნოთ ისინი, რომ ამ მექანიზმს მუშაობა შეუძლია თავისუფალი გაჭრობის საშუალებით.”<sup>42</sup>

კრიზისის გამწვავებასთან ერთად 2009 წელს გამოიკვეთა ვმო-ს პოზიცია, რომ კრიზისიდან გამოსვლის მთავარ გზად მას კვლავ ლიბერალური ეკონომიკა,

<sup>41</sup> <http://dsbb.imf.org/Pages/SDDS/Overview.aspx>

<sup>42</sup> [http://www.wto.org/english/news\\_e/news08\\_e/tnc\\_chair\\_report\\_oct08\\_e.htm](http://www.wto.org/english/news_e/news08_e/tnc_chair_report_oct08_e.htm)

თავისუფალი გაჭრობა მიაჩნია და არ მიესალმება სახელმწიფოს გაზრდილ აქტივობებს საკუთარი ბაზრის სტიმულირებისათვის. ბაზონმა ლემმა დაუშვა, რომ გარკვეული დოზით სამუშაო აღგილებისა და შემოსავლების შემცირება შესაძლებელია გამოწვეული ყოფილიყო გაჭრობის ლიბერალიზაციით. მაგრამ აქვე დასძინა, რომ იმის ფონზე როდესაც მოქალაქეები მთავრობებს სოხოვენ ამგვარი ზემოქმედებისაგან დაზღვევას, სახელმწიფოთა შიდა პოლიტიკა არ არის მოწოდების სიმაღლეზე. ამ ხარვეზებს სწორედ გმო-ს წესები არეგულირებენ. თუმცა დოპას რაუნდის გაჭიანურებული პროცესის და შეთანხმებების შედეგების შეჯამებისას შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მათი შემდგომი ლიბერალიზაციის არგუმენტები ჯერჯერობით პრაქტიკაში ვერ პოულობს ასახვას.

მსოფლიო კრიზისის შედეგები კიდევ უფრო გაამწვავა და გააღრმავა ევროზონის და მთლიანად ევროპის კრიზისმა. ამან კიდევ უფრო მეტი თავსატეხი გაუჩინა მსოფლიო ლიდერებს.

„ევროზონის კრიზისის გავლენა დასავლეთ ევროპის ქვეყნებზე მსოფლიოს უურადღების ცენტრშია. თუმცა კრიზისი ასევე მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს აღმოსავლეთ ევროპის განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობაზე, განსაკუთრებით კი ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის უდარიბეს ფენაზე“ – აღნიშნა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა რობერტ ბ. ზელიკმა. „მსოფლიო ბანკი ზრდის ამ რეგიონის დაფინანსებას, რათა ამ ქვეყნებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს კრიზისის დაძლევისთვის საჭირო რესურსები.“<sup>43</sup>

ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტის ფილიპ ლე რუს განცხადებით ევროზონასთან მჭიდრო კავშირების გამო, ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში 2012 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპი შესაძლოა შენელდეს. მისი აზრით „ბანკის დამატებითი დახმარება ხელს შეუწყობს ქვეყნებს შეინარჩუნონ ჯანსაღი ფისკალური სისტემა, განაგრძონ სტრუქტურული რეფორმები, უზრუნველყონ საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის და მიზანმიმართული სოციალური პროგრამებით დაეხმარონ მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ფენებს“.<sup>44</sup>

მსოფლიო ბანკი – რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD) და განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA) 2012-2013 ფისკალურ

<sup>43</sup> [www.financial.ge](http://www.financial.ge)

<sup>44</sup> [www.financial.ge](http://www.financial.ge)

წლებში დაახლოებით 16 მლრდ აშშ დოლარამდე შეძლებუნ გაზარდონ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის დაკრედიტება, რაც გასული წლის მაჩვენებელზე 4 მლრდ აშშ დოლარით მეტია. საკრედიტო რესურსების ეს ზრდა მიბმული იქნება საშუალოვადიან პოლიტიკასთან დაკავშირებულ რეფორმებთან, რომელთა მიზანია კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ჯანსაღი და მდგრადი ფისკალური კონსოლიდაციის ღონისძიებების გაძლიერება, საგანგებო მხარდაჭერის უზრუნველყოფა საბანკო კრიზისის ასაცილებლად (ვაჭრობის დაფინანსების და მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საკრედიტო ხაზების დამტკიცების ჩათვლით) და სოციალური სისტემის რეფორმა დაზღვევის, ეკონომიკური ეფექტიანობის და მდგრადი განვითარების გასაუმჯობესებლად.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საინვესტიციო და საკონსულტაციო პროგრამის მოცულობამ მობილიზაციის ჩათვლით 2012-2013 ფისკალურ წლებში შესაძლოა 10 მლრდ აშშ დოლარს მიაღწიოს. აღნიშნული მოიცავს საკუთრივ IFC-ის ინვესტიციების ზრდას დაახლოებით 2 მლრდ აშშ დოლარით. IFC-ის საქმიანობა კრიზისზე რეაგირების მიმართულებით განპირობებულია ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში სისტემური ბანკების მნიშვნელობით და მოიცავს: მოკლეგადიან დაფინანსებას და საგაჭრო დაფინანსების პროდუქტებს, ლიკვიდობის პრობლემების, სასესხო კაპიტალის, ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად. იგი აგრეთვე მოიცავს ინვესტიციების განხორციელებას კაპიტალის ნაკლებობის შევსების, მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსების და, ასევე, არასაფინანსო სექტორში არსებული კლიენტების მხარდაჭერის მიზნით.

ევროკავშირის ლიდერებმა ბრიუსელის სამიტზე (28-29 ივნისი 2012წ.) შეათანხმეს გეგმა, რომელიც ბლოკის ფარგლებში საბიუჯეტო დისციპლინის გამკაცრებას ითვალისწინებს. დიპლომატების ცნობით, ისინი შეთანხმდნენ აგრეთვე, შეიქმნას მუდმივი ფონდი, რომლის მიზანი იქნება თავიდან იქნეს აცილებული საბერძნეთის მსგავსი ფინანსური კრიზისები. მიმდინარე წლის დამდეგს საბერძნეთის კრიზისმა ევროს სტაბილურობას შეუქმნა საფრთხე. ახალი წესები, რომლის ინიციატორებიც გერმანია და საფრანგეთი არიან, საჭიროს ხდის ცვლილებების შეტანას ევროკავშირის მთავარ ხელშეკრულებაში.

ამავე სამიტის მთავარი თემა იყო ლისაბონის ხელშეკრულების გადახედვა და მისი ეფექტიანობის ანალიზი. გერმანია და საფრანგეთი მასში ცვლილებების შეტანით ფიქრობდნენ კრიზისისგან დაცვათ საერთო-ევროპული ვალუტა – ევრო.

თუმცა პარიზისა და ბერლინის ასეთ მიღებობას - ანტიკრიზისული გადაწყვეტილებები სხვა წევრებთან შეუთანხმებლად შეიმუშაონ - უკმაყოფილება მოჰყვა. ამგვარად, პროექტი განხილვის გარეშე იქნა წარდგენილი. თავდაპირველად ქვეყნების ჯგუფმა, რომელშიც შვედეთი, ფინეთი, ნიდერლანდი და ლუქსემბურგი შედიან, წამოაყენეს წინადადება, შექმნილიყო მექანიზმი, რომელიც ავტომატურად იგულისხმებდა სასჯელს ქვეყნისათვის, რომელიც მკაცრად დაწესებულ საბიუჯეტო დეფიციტს გადალახავდა. ამ აზრს ეთანხმებოდა ევროკომისია და, თავდაპირველად, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელიც. შემდგომ, ორმხრივი მოლაპარაკების დროს, მან პოზიცია შეცვალა და მიერთო სარკოზის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, ქვეყნების ჯგუფმა უნდა განსაზღვროს, დასაჯონ თუ არა ის, ვინც საფინანსო ვალდებულება არ შეასრულა.

პროექტის შესავალში მერკელი და სარკოზი გამოთქვამდნენ სრულ რწმენას ამ გეგმის მიმართ, რომელიც ევროკავშირის პრეზიდენტის, პერმან ფონ რუმპეს ანგარიშს ეფუძნებოდა. მათი აზრით, ასეთი მიღება გაზრდიდა საფინანსო დისკიპლინას, ხელს შეუწყობდა ეკონომიკურ გამძლეობას, გააღრმავებდა კოორდინაციას და კრიზისის მოგვარების ჩარჩოსაც შექმნიდა. იქ ერთ-ერთი პუნქტი იყო ასევე ევროპის კავშირში ხმის უფლების ჩამორთმევა იმ წევრისათვის, რომელიც სავალუტო კავშირის პრინციპებს დაარღვევდა.

ფინანსური კრიზისის საპასუხოდ საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკასთან ერთად შეიცვალა სახელმწიფოთა ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა.

ევროპაში შეიქმნა სისტემური რისკების საბჭო (Systemic Risk Board), რომელიც მხარდაჭერილია ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ, თუმცა მოქმედებს მთელი ევროკავშირის მასშტაბით. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დააფუძნა სისტემური ზედამხედველობის საბჭო (Systemic Oversight Council). გაერთიანებული სამეცნის შიგნით ინგლისის ცენტრალური ბანკის ფარგლებში ჩამოყალიბდა ე.წ. “მაკროპრედენციალური ფინანსური პოლიტიკის კომიტეტი” (Macroprudential Financial Policy Committee).

უკვე 2008-2009 წლებში გამოიყო მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარებები ეკონომიკური სტიმულირებისათვის.<sup>45</sup>

- ობამას გაცხადებული ფინანსური რეგულირების პროგრამა და დახარჯული 800 მილიარდი დოლარი;

<sup>45</sup> [www.financial.ge](http://www.financial.ge)

- ჩინეთი: 460 მილიარდი ევრო;
- იაპონია: 210 მილიარდი ევრო;
- რუსეთი: 197 მილიარდი ევრო;
- საფრანგეთი: 26 მილიარდი ევრო;
- დიდი ბრიტანეთი: 23.7 მილიარდი ევრო.

მიუხედავად ამისა დღის წესრიგში მაინც დადგა საბიუჯეტო დანახარჯების შემცირების აუცილებლობა. 2009 წელს გამართულ პრესკონფერენციაზე გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა: „თუ ჩვენ მომავალი გვსურს, ჩვენ ვერ დავაფინანსებთ ყველაფერს იმას რაც ჩვენ გვსურს“.<sup>46</sup>

გერმანიის მთავრობის მიზანია 2014 წლისათვის დაახლოებით 100 მილიარდი დოლარის დაზოგვა. ამ გეგმას გერმანიაში უკვე უწოდებენ საგანგებო ზომების ყველაზე მნიშვნელოვან პაკეტს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. გერმანიის საგარეო ურთიერთობათა საბჭოს პოლიტიკური მიმომხილველი კორნელიუს ადებარი აღნიშნავს, რომ ევროპის მთავრობების ყურადღება საგანგებო ზომებზე მიმდინარე ფინანსური კრიზისით არის განპირობებული. <sup>47</sup>

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ჯორჯ პაპანდრეუმ მსგავსი რამ 9 მილიარდი ევროს გალის გადაუხდელობისა და მისი ქვეყნის გარდაუგალი გაკოტრების პერსპექტივიდან გამომდიანო გააკეთა. ევროპავშირის წევრების 110 მილიარდიანი დახმარების პაკეტიდან პირველი 14.5 მილიარდიანი ტრანზის სანაცვლოდ, მან ბიუჯეტის დაბალანსებისათვის ეკონომიის სასტიკი ზომები გაატარა. შემცირდა პენსიები, გაიზარდა გადასახადები და გამკაცრდა ზომები გადასახადების გადაუხდელობის წინააღმდეგ.

საკუთარი გზის კორექტირება ირლანდიასაც მოუხდა. ძლიერმა რეცესიამ ირლანდიის ფინანსთა მინისტრი ბრაიან ლენიპანი აიძულა საჯარო სექტორის მიმართ მკაცრად ემოქმედა. მისი 2009 წლის დეკემბრის ბიუჯეტი მოიცავდა 4 მილიარდიან დანაზოგს, რომელიც საჯარო სექტორში დასაქმებულთა დაფინანსების 15%-იანმა შემცირებამ, სოციალური სარჯების, ბავშვთა დახმარებისა და საინვესტიციო პროექტების შეზღუდვამ შეადგინა, მაგრამ ამ ზომებმა ბაზრები იმაში დაარწმუნა, რომ ირლანდიის ეკონომიკას გამოჯანმრთელების უნარი გააჩნია.

<sup>46</sup> <http://www.amerikiskhma.com/content/article-----europe-crisis-96486269/530005.html>

<sup>47</sup> <http://www.amerikiskhma.com/content/article-----europe-crisis-96486269/530005.html>

ეს წესი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმაც გაიზიარა და ელექტორატს დაპირდა, რომ ქვეყნის ბიუჯეტის 12.6%-იან დეფიციტს ხუთ წელიწადში გაანახევრებდა. “ამაში დარწმუნება არ სჭირდებოდა არც კონსერვატიული და არც ლიბერალ-დემოკრატიული მთავრობის ახალ კოალიციასაც, რომელმაც ბრაუნი შეცვალა. ის 6 მილიარდი ევროს სასწრაფოდ შეკვეცას გეგმავს და შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში „მაქსიმალურად დაჩქარებულ შეზღუდვებს სტრუქტურულ დეფიციტში“. ხაზინაში ორი საბიუჯეტო ქორის (კონსერვატორი ჯორჯ ოსბორნი და ლიბერალ-დემოკრატი დევიდ ლუისი) პირობებში 22 ივნისს ბიუჯეტში ყველა დიდ შეკვეცებს ელის.”<sup>48</sup>

უკვე 2010 წელს, ბიუჯეტის გიგანტური დეფიციტის შესამცირებლად ბრიტანეთის მთავრობამ საზოგადოებრივი ხარჯების შეკვეცა დაგეგმა, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უდიდესი შემცირება იყო. ხუთწლიანი მკაცრი ეკონომიის პროგრამა ითვალისწინებდა ნახევარი მილიონი სამუშაო ადგილის შემცირებას სახელმწიფო სექტორში, რაც მილიონობით ბრიტანელის შემოსავლების შემცირებას გამოიწვევდა.

სახელმწიფო ხარჯების შემცირების პროგრამა, რომელიც ბრიტანეთის პარლამენტში ფინანსთა მინისტრმა ჯორჯ ოსბორნმა წარმოადგინა 11 პროცენტის მოცულობის სახელმწიფო ვალის/მთლიანი შიგა პროდუქტოან 2 პროცენტამდე შემცირებას ითვალისწინებდა. შემცირების პროგრამით, რომელიც 2015 წლამდე გაგრძელდება, ბრიტანეთის მთავრობა 130 მილიარდი დოლარის დაზოგვას ვარაუდობდა. იმავდროულად, გეგმა ითვალისწინებდა გადასახადების გაზრდას, ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლების სტრუქტურების დაფინანსების შემცირებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მთელი ტვირთი კი მთლიანად გადადიოდა კერძო სექტორზე. ფინანსთა მინისტრმა ჯორჯ ოსბორნმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის საბიუჯეტო დეფიციტი გადამჭრელი ნაბიჯების გადადგმას საჭიროებს:

„ჩვენ ვაპირებთ დავასრულოთ წლები, როდესაც სულ უფრო და უფრო გაზრდილი ვალების აღება ხდებოდა. ჩვენ, როგორც ნებისმიერ გადახდისუნარიან ოჯახს, განზრახული გვაქვს, რასაც უყიდულობთ, შეგვეძლოს მისი ყიდვა, შეგვეძლოს დანახარჯების მიღებული შემოსავლით გასტუმრება და აღარ

<sup>48</sup> Eamonn Butler, An Economic Responsibility Act for Britain “The Wall Street Journal” 25 May 2010y

დავაკისროთ ჩვენს შვილებს ახალ-ახალი პროცენტები იმ ვალებისა, რომელთა გადახდა ჩვენ თავადვე არ შეგვიძლია.“<sup>49</sup>

გარდა სახსრების დაზოგვისა, მთავრობის პროგრამა სრულად ასახავდა პრემიერ-მინისტრ დევიდ კამერონის ეკონომიკურ შეხედულებას, რომ შექმნილი ვითარება იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას შემცირდეს მთავრობის ჩარევა საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ ასპექტში. ასეთი მიღება იდელობიურად ახლოსაა პრემიერ-მინისტრ მარგარეტ ტეტჩერის შეხედულებასთან. როგორც ცნობილია მან 1980-იან წლებში მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება შემცირებინა სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში. თუმცა დევიდ კამერონმა დიდი პასუხისმგებლობა აიღო იმაზე, რომ შემცირების პოლიტიკას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველ სფეროზე განავრცობდა. მაგალითისათვის, ბავშვების სოციალური დახმარება დაახლოებით 12 მილიონ ოჯახს შეუწყდება. ლაპარაკია საშუალო კლასის ოჯახებზე, რომლებსაც სოლიდური შემოსავლები აქვთ. საზოგადოების უფრო დარიბი ფენის წარმომადგენლები კი შედაგათებს კვლავ მიიღებენ.

საბოლოო ჯამში, ხარჯების შემცირების გეგმა არ შეეხებოდა მხოლოდ ორ სფეროს - ჯანმრთელობის დაცვას და საერთაშორისო დახმარებას. ბრიტანეთის ოპოზიციამ გააკრიტიკა მთავრობის აღნიშნული პროგრამა, რომელსაც მათი განცხადებით, შესაძლოა, ბრიტანეთში კვლავ ეკონომიკური ვარდნა და უმუშევრობის ზრდა გამოეწვია, რამეთუ პროგრამა განხორციელების შემთხვევაში სახელმწიფო სექტორში სამუშაო ადგილების ნახევარი მიღიონით შემცირებასაც გამოიწვევდა.

<sup>49</sup> <http://www.tavisupleba.org/content/article/2196439.html>

## 2.2.2 პროგრამათა გაფლენა ეკონომიკური წესრიგის ფორმირებაზე

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე გახშირდა კაპიტალისტური სისტემის მამოძრავებელი მექანიზმის კრიტიკა და ნაკლოვანებების წინა პლანზე წამოწევა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მსოფლიო ემზადება ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებისათვის, რომლის მთავარი მამოძრავებელი ეკონომიკური საფუძველი იქნება არა უპირობო თავისუფალი კონკურენცია, არამედ ე.წ. შერეული საბაზრო ეკონომიკის მოდელი, რომელიც გულისხმობს გარკვეული დოზით დარეგულირებულ ბაზარს და სახელმწიფოს შედარებით გაზრდილ როლს. დღევანდელი მსოფლიო წესრიგიც არ გულისხმობდა აბსოლუტურად თავისუფალ ეკონომიკას, თუმცა მოსალოდნელია ამ შეფარდების გაზრდა სახელმწიფოს როლის ზრდის ხარჯზე. აქ საკამათოა თუ რა დოზით, რა ფორმით და რა სფეროებში ჩარევა იქნება გამართლებული და სად გაივლის ზღვარი თავისუფალ და ნაკლებად თავისუფალ ეკონომიკებს შორის, თუმცა თანამედროვე პოლიტიკოსთა ყველა განცხადება იმას მეტყველებს, რომ მრავალი ლიდერი ქვეყნის მთავრობა კიდევ უფრო აქტიურ როლს შეასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსოფლიოში აღიარებულ ეკონომისტთა უმრავლესობა მოცემულ მიდგომას არ ეთანხმება. ეკონომისტთა ვარაუდით კრიზისის დაძლევის კეინზიანურმა მეთოდმა შესაძლოა კრახი განიცადოს, რადგან სულ სხვა რეალობაში უხდება ამ თეორიას პრაქტიკაში განხორციელება. სახელმწიფოს როლი თანამედროვე მსოფლიოში რამდენადმე შეცვლილია და მისი ეკონომიკაში ჩარევის მექანიზმებიც შედარებით განსხვავებული ეფექტების მატარებელია.

ფინანსური კრიზისი ერთგვარი ისტორიული ეტაპია. მისი მიზეზები დასავლეთში ვალებთან დაკავშირებული ვალდებულებების უპასუხისმგებლო დაგროვებაში იმაღება. წინა ომისშემდგომი ფინანსური კრიზისებისგან განსხვავებით დასავლეთს დღეს არ შეუძლია დამრიგებლის როლში ყოფნა. მას დღეს ისეთი ქვეყნები უპირისპირდებიან, როგორებიცაა ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, ინდონეზია და თურქეთიც კი, რომლებსაც მზარდ და სტრუქტურულად განახლებული ეკონომიკების საფუძველზე საკუთარი ინტერესების დაცვა შეუძლიათ. ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი საერთაშორისო საგალუტო ფონდის (სსფ) რეფორმაში გამოიხატება. მომავალში G7-ის ჯგუფის წევრებს

„ბრიკის“ (BRIC) ოთხი ქვეყანა (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი და ჩინეთი) შეუერთდება და ამგვარად სსფ–ს 11 ძირითადი აქციონერი ეყოლება.<sup>50</sup>

ახალ მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგზე მსჯელობისას არ უნდა დაგვაგიშვდეს, რომ წესრიგზე საუბარი ნაადრევია, ვიდრე არ გაჩნდება საერთო წესები, რომელსაც გაიზიარებს საერთაშორისო ურთიერთობების ყველა სუბიექტი, იქნება ეს სახელმწიფო, თუ გლობალური ორგანიზაცია. მიმდინარე მოვლენები იმის პროგნოზირების საფუძველს გვაძლევს, რომ ეკონომიკურად ერთპოლარული მსოფლიო წესრიგი აუცილებელ კორექციას განიცდის, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალა დიდი ალბათობით იქნება კორექტირებული და მეტნაკლებად რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა.

მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგზე საუბრისას და მასში სახელმწიფოს როლის ცვლილებისას მნიშვნელოვანია ვახსენოთ ე.წ. “ვაშინგტონის კონსესუსი” და მის შემდეგ არსებული მდგომარეობის ანალიზი. იგი გახდათ 1989 წელს ჩამოყალიბებული ეკონომიკური პოლიტიკის ათი ძირითადი პრინციპის ერთობლიობა, რომელიც შემუშავებული იყო ეკონომისტ ჯონ უილიამსონის მიერ და უნდა ყოფილიყო განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მთავრი ორიენტირი.

აღნიშნული “ძირითადი სტანდარტების” პაკეტი შემუშავებული და შეთანხმებული იყო ვაშინგტონში ბაზირებული საერთაშორისო ორგანიზაციების და მსხვილი ამერიკული ეკონომიკური ინსტიტუტების შიგნით, როგორებიცა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და ამერიკის შეურთებული შტატების სახაზინო დეპარტამენტი. სწორედ აქედან მომდინარეობს სახელწოდება “ვაშინგტონის კონსესუსი”

აღნიშნულ რეფორმათა პაკეტი მოიცავდა ეკონომიკური პოლიტიკის ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, სავაჭრო და საინვესტიციო ბაზრების გახსნილობა, შიდა ბაზარზე საბაზრო ეკონომიკის პრინციპების მოქმედების გაძლიერება და ა.შ. შემდგომში ვაშინგტონის კონსესუსი ნეოლიბერალიზმის და გლობალიზაციის სინონიმიც კი გახდა მისი ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე.

აღნიშნული პრინციპები შეიძლება მოკლედ შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. ფისკალური დისციპლინა;

<sup>50</sup> Holger Steltzner. The new world order. “Frankfurter Allgemeine” 25 November 2010y

2. საბიუჯეტო დანახარჯების პრიორიტეტების ცვლილება იმ სფეროების სასარგებლოდ, რომლებიც იძლევიან მაღალ ეკონომიკურ უკუგებას და შემოსავლების გადანაწილების გაუმჯობესებას, როგორიცაა: ჯანდაცვა, დაწყებითი განათლება და ინფრასტრუქტურა;
3. საგადასახადო რეფორმა (ზღვრული საპროცენტო განაკვეთების შემცირება და დასაბეგრი ბაზის გაფართოება);
4. საპროცენტო განაკვეთების ლიბერალიზაცია;
5. თავისუფალი გაცვლითი კურსი;
6. ვაჭრობის ლიბერალიზაცია;
7. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ლიბერალიზაცია;
8. პრივატიზაცია;
9. დერეგულაცია (ბაზარზე შესვლისა და გამოსვლის ბარიერების გაუქმება);
10. პერძო საკუთრების დაცვა.

ამ პრინციპებით უნდა ეხელმძღვანელათ განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობას, რათა სწრაფად გადასულიყვნენ საბაზო ეკონომიკაზე და დაწეოდნენ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების განვითარების ტემპებს. ეს იყო უმნიშვნელოვანესი ცვლილება მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებში, რამეთუ იგი უნდა გამხდარიყო პოსტსოციალისტური ქვეყნების განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა.

უკვე 2005 წელს სან-პაულუს კონფერენციაზე, მოხსენებაში “პოსტვაშინგტონის კონსესუსის კონსესუსი” ამერიკელმა ეკონომისტმა ჯოზეფ სტიგლიცმა განაცხადა, რომ ვაშინგტონის კონსესუსი ქვეყნებისათვის არ გახდება ეკონომიკური განვითარების საკმარისი პირობა.

კ. სტიგლიცის მიხედვით, ვაშინგტონის კონსესუსი მხოლოდ ბაზრის ლიბერალიზაციის მიღწევით ცდილობდა ეკონომიკის სტიმულირებას და წახალისებას, თუმცა მას მხედველობაში არ მიუღია რიგი სკითხებისა. კარძოდ, თავისუფალი საბაზო ეკონომიკის გარკვეული შეზღუდვები და იყენებდა ინსტრუმენტების საკმარიდ მწირ რაოდენობას. იგი მხედველობაში არ იღებდა: მიწის რეფორმას, ინდუსტრიულ პოლიტიკას, ფინანსური სექტორის განვითარებას და მისი როლის გაძლიერებას, განათლების ხარისხის გაუმჯობესების უფასოებს, კონკურენციის პოლიტიკის თავისებურებებს, მთავრობის როლსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორც სახელმწიფო ისე კერძო სექტორში.


ჯ. სტიგლიცმა დღის წერიგში დააყენა რეფორმების აუცილებლობა გლობალურ ფინანსურ სისტემაში, რათა ის უფრო მდგრადი და უსაფრთხო გამხდარიყო, საერთაშორისო ვაჭრობაში და რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნია—ეს იყო რეფორმები გლობალურ მმართველობაში, რომელიც სტიგლიცის აზრით მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიძლება გამხდარიყო კრიზისების თავიდან აცილებისას ან მათი მართვის დროს.

როგორც აღვნიშნეთ, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის კრიტიკა კიდევ უფრო გახშირდა კრიზისის დადგომასთან ერთად. ამას სწორედ კარგი საფუძველი შეუქმნა ზემოთგანხილულმა “ვაშინგტონის კონსესუსისა” და “პოსტვაშინგტონის კონსესუსის” იდეოლოგიათა დაპირისპირებამ, სადაც ეს უკანასკნელი მდგრადი ეკონომიკური ზრდის და კრიზისების მართვის მთავარ მამოძრავებელ ძალად სახელმწიფოს შედარებით გაზრდილ როლსა და ფუნქციებს ასახელებდა.

პოსტკრიზისული ფისკალური პოლიტიკის ანალიზისას შეგვიძლია დავინახოთ, რომ ამგვარმა თეორიებმა მნიშვნელოვანი ასახვა პპოვა რეალობაშიც. 2008 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ბიუჯეტის დანახარჯების წილი ქვეყნების მოლიან შიგა პროდუქტობან მიმართებაში.

#### ნახ. 2.2.2.1

##### ბიუჯეტის დანახარჯები, პროცენტულად მშპ-სთან<sup>51</sup>



<sup>51</sup> [www.imf.org](http://www.imf.org)

აღნიშნული მონაცემები აღებულია საერთაშორისო საგალუტო ფონდის ოფიციალური ვებგვერდიდან. ამ მონაცემების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ ძირითადი ტენდენციები და საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკა პოსტკრიზისული პოლიტიკის შეფასებისას.

როგორც გრაფიკზე ჩანს, კრიზისის დაძლევის პროგრამების გაზრდილმა მოცულობებმა ასახვა პპოვა ქვეყნების ფისკალურ მონაცემებში. 2007-2008 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო დანახარჯების წილი მთლიან შიგა პროდუქტან მიმართებაში და მისმა სიდიდემ თითქმის ყველა ქვეყნისათვის 2009-2010 წლებისათვის პიკს მიაღწია. 2011 წლისათვის შეინიშნებოდა ამ ინდიკატორის უმნიშვნელო კლება, თუმცა მნიშვნელოვნად აღემატებოდა და კვლავ სტაბილურად მაღალი იყო, ვიდრე კრიზისამდელ პერიოდში.

2012-2017 წლების პროგნოზული მაჩვენებელი გახდავთ საერთაშორისო საგალუტო ფონდის შეფასებები. როგორც ჩანს საერთაშორისო ორგანიზაციების (და გასაკუთრებით საერთაშორისო საგალუტო ფონდის) მთავარი რეკომენდაცია კლავ გახდდათ მთავრობის როლის შემცირება ეკონომიკაში, რადგან გაზრდილი დანახარჯები თავისთავში მოიცავს გაზრდილ ფისკალურ დეფიციტს, რაც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დასახელებულია, როგორც საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების ერთ-ერთ ხელშემწყობი ფაქტორი.

ფისკალური დეფიციტი იმდენად გახდა პრობლემაზური, რამდენადაც იგი უდიდეს როლს თამაშობს ვალის მდგრადობის ანალიზისას. სახელმწიფო ვალის პრობლემა გახდა ევროზონის კრიზისის მთავრი მიზეზი, რომელმაც მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა ე.წ. **PiGS** (პორტუგალია, ირლანდია, იტალია, საბერძნეთი და უსპანეთი) ქვეყნებს და განსაკუთრებით საბერძნეთს. საბერძნეთის ვალის კრიზისმა და პრობლემებმა შექმნა იმის საშიშროება, რომ ევროზონა და შემდეგ ევროკავშირი ვერ გაუძლებდა ასეთ პრობლემას და შეწყვეტდა არსებობას.

საერთაშორისო საგალუტო ფონდის რეკომენდაციათა უმრავლესობა სწორედ ამიტომ ამახვილებს უურადღებას ე.წ. პირველადი დეფიციტის სიდიდეზე და მის მნიშვნელობაზე ეკონომიკური მდგრადობის ანალიზისას. თუ განვიხილავთ ძირითად კავშირებს, შეიძლება პოლიტიკის ფუნდამენტურ წინააღმდეგობებსაც შევხვდეთ, რომელთა გადაჭრაც ხშირად პოლიტიკურ ნებაზე და გემოვნებაზეა დამოკიდებული.

საბიუჯეტო შეზღუდვის ძირითადი ფორმულის კომპონენტების ანალიზი საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ ვალის მდგრადობის ანალიზი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე კრიზისის უმთავრესი პრობლემაა.<sup>52</sup>

$$G_t + i_t D_{t-1} = R_t + D_t - D_{t-1} + M_t - M_{t-1} \quad (1)$$

სადაც  $G_t$  არის ბიუჯეტი დანახარჯები  $t$  პერიოდში ვალის საპროცენტო გადახდების გამოკლებით,  $D_{t-1}$  არის ვალი წინა წლისათვის,  $D_t$  ახალი ვალის მარაგი.  $R_t$  ესაა შემოსავალი  $t$  პერიოდისათვის, ხოლო  $M_t$  და  $M_{t-1}$  – სხვა, ვალის შემამცირებელი ნაკადები, რომელთაც განეკუთვნება სენიორაჟი, პრივატიზაციიდან შემოსავალი, ვალის ჩამოწერა და ა.შ.

(1) ფორმულიდან  $R_t - G_t + i_t D_{t-1}$  არის ე.წ. მთლიანი ბალანსი, ხოლო  $PB_t = R_t - G_t$  პირველადი ბალანსი. თუ დავუშვებთ, რომ სენიორაჟის, პრივატიზაციის და ვალის ჩამოწერის მსგავსი ოპერაციები არ იქნება პერმანენტული, შეგვიძლია ვთქვათ, რომ  $M_t - M_{t-1}$  უდრის ნულს.

ამის გათვალისწინებით ვალი შიძლება ჩავწეროთ წინა ვალის და პირველადი ბალანსის მეშვეობით. მივიღებთ ტოლობას საიდანც ჩანს, რომ ვალის მოცულობა დამოკიდებული ყოფილა წინა წლის ვალის მარაგზე  $D_{t-1}$ , საპროცენტო განაკვეთზე  $i_t$  და პირველად ბალანსზე  $PB_t$ .

$$D_t = (1 + i_t) D_{t-1} - PB_t \quad (2)$$

ამ ფორმულების საშუალებით შეგვიძლია წარმოვადგინოთ მრავალწლიანი საბიუჯეტო შეზღუდვის ტოლობა, სადაცა  $t=N$ -ს და მისი გარდაქმნით მივიღებთ

$$D_N = 1 + i^N D_0 - \sum_{j=1}^N (1 + i^{N-j}) PB_j \quad (3)$$

თუ ორივე მხარეს გავყოფთ  $1 + i^N$ -ზე და  $D_0$ -ს გადავიტანთ მარცხნივ, მივიღებთ ახალ ტოლობას

$$D_0 = \sum_{j=1}^N \left( \frac{1}{1+i} \right)^j PB_j + \left( \frac{1}{1+i} \right)^N D_N \quad (4)$$

თუ მივიღებთ მხედველოვაში ე.წ. ტრანსგერსალურობის პირობებს და ვიტყვით რომ

---

<sup>52</sup> Julio Escalano. A Practical Guide to Public Debt Dynamics, Fiscal Sustainability, and Cyclical Adjustment of Budgetary Aggregates. INTERNATIONAL MONETARY FUND. 2010 January

$$\lim_{N \rightarrow \infty} \left( \frac{1}{1+i} \right)^N D_N = 0 \quad (5)$$

მაშინ შეგვიძლია დაავსკვნით, რომ დღევანდელი ვალი ტოლი (ან ნაკლები) იქნება მომავალი პირველადი ბალანსების დღევანდელი დირებულების. აქედან შეიძლება დავინახოთ თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს პირველად დეფიციტს ე.წ. ვალის გადახდისუნარიონბის პირობისათვის (Debts Solvency Condition). IMF-ის ამ ანალიზეს ამყარებს სტატისტიკური მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც იკვეთება მნიშვნელოვანი კავშირი დაბალ პირველად დეფიციტსა და ვალის რაოდენობის კლებას შორის.

მეტი ანალიზისათვის განვიხილოთ ვალის დინამიკა და მისი მონაცემები მთლიან შიგა პროდუქტან მიმართებაში. ამისათვის (2) ტოლობის ორივე მხარე გავყოთ ნომინალურ მთლიან შიგა პროდუქტზე  $P_t Y_t$ . მივიღებთ ახალ ტოლობას

$$\frac{D_t}{P_t Y_t} = \frac{(1+i_t)}{(1+\pi_t)(1+g_t)} \frac{D_{t-1}}{P_{t-1} Y_{t-1}} - \frac{PB_t}{P_t Y_t} \quad (6)$$

იგივე ტოლობა შიძლება გამოვსახოთ (7) განტოლების სახით სადაც თითოეული ცვლადი გაყოფილია.

$$d_t = \frac{(1+i_t)}{(1+\pi_t)(1+g_t)} d_{t-1} - pb_t \quad (7)$$

ამ ტოლობაში  $\pi_t$  არის მშპ-ს დეფლატორის ზრდა ხოლო  $g_t$  გახლავთ რეალური მშპ-ს ზრდა.  $\frac{(1+i_t)}{(1+\pi_t)(1+g_t)}$  გამოსახულება შეიძლება გამოვსახოთ ასო  $\phi$ -ს საშუალებით, სადაც ფიშერის განტოლების თანახმად  $1+r_t = \frac{(1+i_t)}{(1+\pi_t)}$  და დავწეროთ შემდეგი ტოლობა

$$\phi = \frac{(1+i_t)}{(1+\pi_t)(1+g_t)} = \frac{1+r_t}{1+g_t} \quad (8)$$

(7) ტოლობა (8) ტოლობის საშუალებით შიძლება გამოისახოს შემდეგი ფორმით


$$d_t = \phi d_{t-1} - pb_t \quad (9)$$

დავუშვათ რომ  $\phi_t$  და  $p_{bt}$  დამოკიდებული არ არის  $d_t$ -ზე. მაშინ შეგვიძლია გთქვათ, რომ ახლანდელი ვალი წინა ვალის წრფივი ფუნქციაა. ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება  $\phi_t$  კოეფიციენტს, რომლის 1-ზე მეტობა ან ნაკლებობა განსაზღვრავს ვალის სტაბილურობის პირობას.

თუ  $\phi_t$  ნაკლებია 1-ზე, ნიშნავს, რომ რეალური საპროცენტო განაკვეთი ნაკლებია რეალური მშპ-ს ზრდაზე და სხვა თანაბარ პირობებში ვალის დინამიკას მთლიან შიდა პროდუქტობან მიმართებაში კლებადი სახე ექნება.


ნახ. 2.2.2.2

### ვალის სტაბილური დინამიკა



წარმოდგენილ გრაფიკზე მოცემული გვაქვს მიმდინარე და წინა წლის ვალს შორის კავშირი, 45 გრადუსიანი მრუდი გვიჩვენებს ისეთ თანაფარდობას, როდესაც ეს ორი მაჩვენები ერთმანეთის ტოლია. მეორე მრუდი გვიჩვენებს (9) განტოლებით გამოსახულ ურთიერთკავშირს, როდესაც  $\phi_t$  კოეფიციენტი 1-ზე ნაკლებია, ხოლო 2.2.2.3 გრაფიკზე 1-ზე მეტია. ორი მრუდის გადაკვეთის წერტილი გახლავთ ის წონასწორობა სადაც, სრულდება ვალის სტაბილურობის პირობა  $d_t = d_{t-1}$

### გალის არასტაბილური დინამიკა



2.2.2.2 და 2.2.2.3 გრაფიკებზე არსებული კოეფიციენტების განსხვავება გვიჩვენებს გალის მომსახურების საპროცენტო განაკვეთისა და მთლიან შიგა პროდუქტის ზრდას შორის უმნიშვნელოვანებს კავშირს გალის მდგრადობის ანალიზისათვის. პირველ გრაფიკზე გამოსახულია გალის სტაბილური დინამიკა, როდესაც მშპ-ს ზრდა აღემატება საპროცენტო განაკვეთს, ხოლო მეორე გრაფიკზე გამოსახულია გალის არამდგრადი დინამიკა როდესაც საპროცენტო განაკვეთი მშპ-ს ზრდას აჭარბებს.

გალის მდგრადობის საგალუტო ფონდის მიერ ჩატარებული ანალიზისას მნიშვნელოვანია ეკონომიკის ზრდის ტემპი, ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და ბიუჯეტის ბალანსი. იგივე ანალიზი შეიძლება გავიმეოროთ საგარეო ვალთან მიმართებაში, ჩვენს დასკვნებს დაემატება მხოლოდ გაცვლითი კურსის ცვლილების რისკი.

რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდასა და რეალური საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა განაპირობებს გალის გადახდისუნარიანობის პირობას, რაც განსხვავებულ მდგომარეობაში აყენებს განვითარებულ და

განვითარებად ქვეყნებს. განვითარებული ქვეყნების ვალის რეალური საპროცენტო განაკვეთები, მათი ეკონომიკური სტაბილურობიდან გამომდინარე, საკმაოდ დაბალია, თუმცა დაბალია აგრეთვე მშპ-ს ზრდის ტემპიც. განსხვავებულ მდგომარეობაშია განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა, რომელთა საპროცენტო განაკვეთები შესაძლოა აღემატებოდეს განვითარებული ქვეყნებისას, თუმცა მათი მშპ-ს ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება განვითარებული ქვეყნებისას.

ამის გათვალისწინებით განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებს ხშირად ექმნებათ პრობლემები, რაც ფინანსურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ დაადასტურა. კრიზისის გამრვებასთან ერთად ევროპული სახელმწიფოების გარკვეული ნაწილი აღმოჩნდა ვალის მდგრადობის და გადახდისუნარიანობის პრობლემის წინაშე.

როგორც აღვნიშნეთ, ვალის მდგრადობისათვის უმნიშვნელოვანებია ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება და ეკონომიკის ზრდის ტემპი. თუმცა როგორც ეკონომიკური კრიზისის პერიოდში გამოიკვეთა, მნიშვნელოვნად გაიზარდა საბიუჯეტო დანახარჯების მოცულობა და შესაბამისად ბიუჯეტის დეფიციტიც. სავალუტო ფონდის რეკომენდაცია კვლავ მიმართულია ფისკალური პოლიტიკის მოწესრიგებისაკენ და გაზრდილი დეფიციტის შემცირებისაკენ. ამ მიდგომის “ნაკლოვანებად” შეიძლება მივიჩნიოთ ის დაშვებები, რომლებიც გულისხმობს: პოლიტიკის უცვლელობას, განხილულ მაკრომონაცემებს შორის მნიშვნელოვანი კავშირების უარყოფას, ვალის მდგრადობის ანალიზს მხოლოდ დინამიკის გათვალისწინებით (რადგან ეს ანალიზი განხილავს ვალს მდგრადად დინამიკაში ვალის მოცულობის გათვალისწინების გარეშე, რაც შოკების დროს შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს), შემდგომში ბიუჯეტის დანახარჯების ცვლილების აუცილებლობის არდაშვებას და ა.შ.

ამ დაშვებებთან ერთად შეიძლება გამოვყოთ შინაარსობრივი წინააღმდეგობაც. თუ განვიხილავთ ეკონომიკის გამოცოცხლების და მდგრადი განვითარების პოლიტიკებს, შეიძლება ისინი წინააღმდეგობაში მოვიდნენ. როგორც აღვნიშნეთ, მდგრადი განვითარებისათვის საჭიროა ეკონომიკური ზრდის ტემპმა გდააჭარბოს ვალის მომსახურების პროცენტს, ცნობილია, რომ სახელმწიფოს გაზრდილი აქტივობები ეკონომიკაში და გაზრდილი ბიუჯეტის დანახარჯები სწორედ ეკონომიკის გამოცოცხლებისათვისაა გამიზნული. თავის მხრივ, იმავე ანალიზზე დაყრდნობით ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა მნიშვნელოვანი პრობლემაა ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის.


ანტიკრიზისული პოლიტიკის მთავარი შედეგი უნდა ყოფილიყო რეცესიის დაძლევა ეკონომიკური ზრდის წახალისებით, თუმცა პოლიტიკის დაგეგმვისას პროგნოზული მაჩვენებლები ხშირად ზედმეტად ოპტიმისტური აღმოჩნდა. ევროპის კრიზისმა კიდევ უფრო გაართულა კრიზისიდან გამოსვლის პერსპექტივა და დამატებითი პრობლემები წარმოშვა მსოფლიო ეკონომიკაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საბერძნეთის მდგომარეობა, რომელიც საკვანძო საკითხად იქცა ევროპულ კრიზისში. სავალუტო ფონდის პროგრამის მიხედვით გამოყოფილი დახმარებები, რომლებიც გათვალისწინებული იყო ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ასამაღლებად და სირთულეების დასაძლევად, გულისხმობდა კონკრეტულ პროგრამათა პაკეტს, რომელიც უნდა გაეტარებინა ქვეყნის მთავრობას.

როგორც ვთქვით, ევროპის კრიზისის მთავარ პრობლემად დასახელდა ვალის კრიზისი და პროგრამათა უმრავლესობა სწორედ ამ პრობლემის გდაჭრისკენ იყო მიმართული. ზემოთგანხილული მიდგომის გათვალისწინებით საბერძნეთს უნდა შეემცირებინა ბიუჯეტის ხარჯები და ამით ხელი შეეწყო ქვეყნის ფინანსური მდგრადობის ამაღლებისათვის. ამის გათვალისწინებით იგეგმებოდა მშპ-ს ზრდის ტემპის ზრდა და ეკონომიკური გამოცოცხლების დაწყება. ამ პროცესებს ბიძგი უნდა მიეცა საბერძნეთის ავტორიტეტის გაუმჯობესებისათვის მსოფლიო ეკონომიკურ სარბიელზე, რაც ავტომატურად გამოიწვევდა საპროცენტო განაკვეთების შემცირებას ბერძნულ ვალზე. ამას მოჰყვებოდა ბერძნულ ფასიან ქაღალდებზე და ევრობონდებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება, რადგან ინვესტორებისათვის გახდებოდა ნაკლებ რისკიანი და უფრო მიმზიდველი.

მიუხედავად სავალუტო ფონდის მხრიდან პროგრამის სრულად დაფინანსებისა და საბერძნეთის მთავრობის მცდელობებისა, მოვლენები მაინც არ განვითარდა აღნიშნული სცენარით და საბერძნეთის საკითხი კვლავ უმწვავეს პრობლემად დარჩა.

### რეალური მთლიანი შიგა პროდუქტი 2000-2011წწ (2005წ=100)<sup>53</sup>



როგორც 2.2.2.4 გრაფიკზე ვხედავთ 2011 წლისათვის მთლიანი შიგა პროდუქტი რეალურ გამოსახულებაში ზრდას განაგრძობს. 2009 წლის ჩავარდნის შემდეგ ეკონომიკა თითქმის ძველი ტემპებით განაგრძობს ზრდას. კვლავ რჩება პრობლემები, რაც ძირითადად განვითარებული მსოფლიოს დაბალი ზრდით არის გამოწვეული. განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს საბერძნების კრიზისი, რომელიც უკვე ევროს კრიზისის სახელითაა ცნობილი და ევროპული ლიდერები ყველა ღონეს ხმარობენ, რომ იგი მთლიანად ევროპის კრიზისად არ გარდაიქმნას, რაც მსოფლიო ეკონომიკას კვლავ მძიმე რეცესიაში ჩააგდებს, ოდონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად კრიზისის ეპიცენტრი აშშ-დან ევროპაში გადმოინაცვლებს. აქედან გამომდინარეობს ის ფრთხილი განცხადებებიც, რომლითაც შეხვდნენ მსოფლიო ლიდერები 2012 წელს.

გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის თქმით, "ევროპისთვის მწარე გამოცდები გაგრძელდება, თუმცა კრიზისმა ევროპა უფრო ერთიანი გახდა, ვიდრე თდესმე იყო, რაც შეეხბა გერმანიას კარგი ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, 2012 წელი ჩვენთვის უფრო რთული იქნება, ვიდრე გასული წელი იყო.

<sup>53</sup> <http://www.imf.org/external/data.htm>

ვალის კრიზისის დამლევის გზა ხანგრძლივი და ციცაბო იქნება, მაგრამ ამ გზის ბოლოს ევროპა ისეთივე ძლიერი გახდება, როგორიც კრიზისის დასაწყისში იყო."<sup>54</sup>

იტალიის პრეზიდენტ ჯორჯო ნაპოლიტანოს განცხადებით "ახალგაზრდა თაობის მომავლის უზრუნველყოფა მსხვერპლის გაუდებლად შეუძლებელია,". მისი თქმით, ეკონომიკაში მკაცრი ზომების გატარებამ ეკონომიკური ზრდის ტემპს დიდი დარტყმა მიაყენა, რამაც ევროპის მასშტაბით ძლიერი საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია. მან იტალიელებს შეახსენა, რომ "გადებული მსხვერპლი ამაო არ იქნება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეკონომიკის ზრდის ტემპი კვლავ დაჩქარდება."<sup>55</sup>

2012 წლის ივლისში შეიცვალა საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზებიც.

ნახ 2.2.2.5

### მთლიანი შიგა პროდუქტის ფაქტობრივი და პროგნოზული მაჩვენებლები (2012 წლის ივლისი)<sup>56</sup>

	2010წ	2011წ	პროგნოზი 2012წ. აპრილი		განსხვავება 2012 წლის აპრილის პროგნოზთან	
			2012წ	2013წ	2012წ	2013წ
მსოფლიო	5.3	3.9	3.5	3.9	-0.1	-0.2
განვითარებული ქვეყნები	3.2	1.6	1.4	1.9	0	-0.2
აშშ	3	1.7	2	2.3	-0.1	-0.1
ევროსივრცე	1.9	1.5	-0.3	0.7	0	-0.2
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა	4.5	5.3	1.9	2.8	0	-0.1
რუსეთი	4.3	4.3	4	3.9	0	-0.1
ჩინეთი	10.4	9.2	8	8.5	-0.2	-0.3
ლათინური ამერიკა	6.2	4.5	3.4	4.2	-0.3	0.1
შუა აღმოსავლეთი და ჩრდილო აფრიკა	5	3.5	5.5	3.7	1.3	0

<sup>54</sup> <http://24saati.ge/index.php/category/news/world/2012-01-04/23876.html>

<sup>55</sup> <http://24saati.ge/index.php/category/news/world/2012-01-04/23876.html>

<sup>56</sup> <http://www.imf.org/external/pubs/ft/survey/so/2012/NEW071612A.htm>

როგორც 2.2.2.5 ცხრილიდან ჩანს 3 ოვეში გამოკვეთილი ტენდენციების მიხედვით შეიცვალა როგორც 2012 წლის, ისე 2013 წლის პროგნოზები. შეა აღმოსავლეთის და ჩრდილო აფრიკის გარდა ყველა რეგიონალური სიგრცისთვის პროგნოზი გაუარესდა. ყველაზე ნელი გამოცოცხლება განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებისათვის არის მოსალოდნელი და სამართლიანად არის მიჩნეული, რომ კრიზისის დაძლევაზე შეუძლებელი იქნება საუბარი მანმადგ, სანამ ევროპის და ამერიკის ეკონომიკები არ დაუბრუნდებიან განვითარებების ნორმალურ ტემპებს.

**თავი 3. პოსტსოციალისტური ქვეყნების და საქართველოს ახალ მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგზე თრიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა**

მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის გაცნობა და მისი კანონზომიერებების გაცნობიერება ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, რომელიც ანექსირებული იყო 2 საუკუნის განმავლობაში და არ წარმოადგენდა საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტს, არ ჰქონდა საშუალება დამოუკიდებლად ჩაბმულიყო მსოფლიო ეკონომიკაში და გამხდარიყო მსოფლიო საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი. განსაკუთრებით უარყოფითი გახლდათ ბოლო 70 წელი, როდესაც ქვეყნა საერთოდ მოწყვეტილი აღმოჩნდა რეალობისაგან, მოქმედებდა საბჭოთა სიკრცეში, რომელიც, თავის მხრივ, მკაცრად იზოლირებული გახლდათ მთელი მსოფლიოსგან.

ეს იყო არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტური ქვეყნების პრობლემა. სოციალისტური სისტემის რღვევასთან ერთად საჭირო გახდა იმ სისტემის კანონზომიერებების რეალობაში დანერგვა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე არსებული ქვეყნების ”აშკარად გამოცხადებული მტრების” ძირითადი წეობა იყო. ახალი სისტემა ნიშნავდა ძველი ურთიერთობების რღვევას, ახალი კავშირების გაცნობიერებას და მსოფლიო ასპარეზზე თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლას.

### **3.1 აღმოსავლეთ და ცენტრალური ეკონომიკური ურთიერთობა**

სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით ყველა ქვეყანამ თავისებური გამოცდილება დააგროვა ახალი სისტემის დანერგვისა და ახალ წესრიგში ჩართვის თვალსაზრისით. საინტერესო იქნება შედარებით განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და საქართველოს მდგომარეობასთან პარალელების გავლება. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ აღმოსავლეთ და ცენტრალური ეკონომიკური ისეთი ქვეყნები როგორიცაა პოლონეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, ხოლო პოსტსაბჭოთა ქვეყნები შეიძლება განვიხილოთ ბალტიის ქვეყნების მაგალითზე.

აღმოსავლეთ უკროპის აღნიშნული ქვეყნების მდგომარეობა და სასტარტო პირობები გარკვეულწილად განსხვავდებოდა სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისაგან. თუმცა მათი გამოცდილების გაზიარება და მათი სტრატეგიის ანალიზი იმ სივრცის მიმართ, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფით, მნიშვნელოვნად დაგვაახლოვებს ჩვენ მთავარ მიზანთან: შევისწავლოთ მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.

მნიშვნელოვანია, რომ ყველა ზემოთჩამოთვლილი ქვეყანა უკროკავშირის წევრია და თითქმის ერთდღოულად გახდნენ გაერთიანების წევრები. (პოლონეთი და უნგრეთი 2004 წელს, ხოლო ბულგარეთი 2007 წელს). ამ ქვეყნებისათვის შეიძლება განვიხილოთ 3 მნიშვნელოვანი პერიოდი:


- I.სოციალისტური სისტემის რღვევა (90-იანი წლები)
- II.უკროკავშირში გაწევრიანების დრო (2004-2007 წლები)
- III.მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი (2009 წლიდან დაწყებული )

მათ შორის მეორე და მესამე პერიოდი საკმაოდ ახლოს მდებარეობს იმისათვის რომ ეკონომიკაზე მოქმედი ეფექტები ერთმანეთისაგან განვასხვავოთ; ევროზონაში გაწევრიანებას დადებითი ეფექტი უნდა მოეხდინა ეკონომიკის განვითარებაზე, მაშინ როცა 2 წელიწადში დაწყებულ ეკონომიკურ კრიზისს საპირისპირო მიმართულებით უნდა ემოქმედა.

ეკონომიკური აქტივობის ყველაზე კარგი მაჩვენებელი მთლიანი შიგა პროდუქტია (მშპ), რომელსაც ხშირად ვიყენებოთ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად. საინტერესოა დავაკვირდეთ ამ სამი ქვეყნის მშპ-ს სტატისტიკურ მაჩვენებლებს. მაჩვენებლები აღებულია აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის, ეკონომიკური კვლევების სააგენტოს მონაცემებიდან, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებს. <sup>57</sup>

<sup>57</sup> <http://www.ers.usda.gov/Data/Macroeconomics/>

### მშპ-ს პროცენტული ცვლილება წინა წელთან შედარებით 1984-2012წწ



3.1.1 გრაფიკიდან კარგად ჩანს ის ძვრები რაც მოცემულმა ქვეყნებმა განიცადეს საანალიზო პერიოდის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ შედიოდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, სოციალისტური სისტემის რღვევაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მათ ეკონომიკურ აქტივობაზე. დადგებითი ეკონომიკური ზრდის ტემპი უკვე 1988 წლიდან შენელდა და რეცესიაში გადაიზარდა. უნგრეთის ეკონომიკურმა მაჩვენებელმა 1991 წელს -11.9 პროცენტსაც კი მიაღწია. 1992 წელს ამ ქვეყნებმა უკვე დაიწყეს გამოცოცხლება და თავი დაადგიეს ეკონომიკურ კრიზისს.


ამ პერიოდის განმავლობაში მათი ეკონომიკა მეტნაკლებად სტაბილურად იზრდებოდა და უმნიშვნელო რყევებით ხასიათდებოდა, თუ არ ჩავთვლით ბუღარეთის 1996-1997 წლების მკვეთრ ერთჯერად ჩავარდნას, რომელზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

უკვე 2008 წლიდან შეიმჩნევა ახალი რეცესიული პროცესები, რომელიც ემთხვევა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდს. აქ მნიშვნელოვანია და ბუნებრივიცაა ის ფაქტი, რომ ამ ქვეყნებისათვის მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისთან შედარებით უფრო უარყოფითი ეფექტი პქონდა ეკონომიკური სისტემის ცვლილების ეტაპს, როდესაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური კავშირები და საჭირო გახდა ახალ ეკონომიკურ სისტემასთან შეგუება.

საინტერესოა ამ ქვეყნების მშპ-ს ცვლილების ტენდენციას შევხედოთ პოტენციური მშპ-სგან გადახრის თვალსაზრისით. პოტენციური მშპ გულისხმობს ისეთ გამოშვებას, როდესაც რესურსები ეფექტიანად გამოიყენება, ეკონომიკაში არსებობს სრული დასაქმება (უმუშევრობა ემთხვევა უმუშერობის ბუნებრივ დონეს) და კაპიტალი და ტექნოლოგიები სრულად არის ათვისებული. ამ პირობებში გამოშვებული მშპ არის პოტენციური მშპ, ხოლო ამ წონასწორობიდან ნებისმიერი “გადახვევა” შეიძლება მოვისენიოთ, როგორც პოტენციური მშპ-სგან გადახრა. გადახრის სხვადასხვა მიმართულება მიუთითებს ეკონომიკაში არსებული რესურსების არაეფექტიან გამოყენებაზე და ახასიათებს მთლიან ეკონომიკას. პოტენციურ მშპ-ზე მეტ გამოშვებას ეწოდება “ინფლაციური გაპი”, ხოლო პოტენციურ მშპ-ზე ნაკლებს – “რეცესიული გაპი.” პოტენციურის მშპ-დან გადახრის ამ მიმართულებების ანალიზი შეიძლება გავაკეთოთ მარტივი, მოთხოვნა-მიწოდების მრუდების საშუალებით და ვნახოთ თუ რატომ არის ესა თუ ის სხვაობა რეცესიული თუ ინფლაციური.

### ნახ. 3.1.2

გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნა-მიწოდება




ნახ.3.1.2-ზე  $P$  აღნიშნავს ფასების დონეს,  $Y$  - მშპ-ს,  $AD$ -ერთობლივ მოთხოვნას,  $SRAS$  - მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდს, ხოლო  $LRAS$  - გრძელვადიანი მიწოდების მრუდს. ეკონომიკის გრძელვადიანი წონასწორობის დროს ეკონომიკა იმყოფება 1 წერტილში, ფასების დონე  $P_0$ -ია ხოლო წარმოება  $Y^*$ -ია (ე.წ. პოტენციური მშპ). როგორც ცნობილია, ეკონომიკური ბუნის პერიოდში

გაზრდილი მოთხოვნის პირობებში იწარმოება წონასწორულ მშპ-ზე მეტი, ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკაში რესურსები ჭარბად გამოიყენება (დასაქმებულები მუშაობები ზეგანაკვეთური საათებით, კაპიტალი ფუნქციონირებს ზედმეტი დატვირთვით და ა.შ.), ეკონომიკა გადადის 2 წონასწორობაში. შეზღუდული რესურსების ამგვარი არაეფექტური გამოყენება ბაზარზე აძვირებს მათ ფასს. გაძვირებული რესურსები, მოთხოვნის მრუდის უცვლელობის გათვალისწინებით, იწვევს მიწოდების შემცირებას და მოკლევადიანი მიწოდების მრუდის გადაადგილებას მარცხნივ. წარმოება უბრუნდება თავის გრძელვადიან წონასწორულ დონეს (წონასწორობა 3), რომელიც თავდაპირველი წონასწორობიდან მხოლოდ გაზრდილი ფასებით ანუ ინფალაციით გამოირჩევა.

### ნახ. 3.1.3

#### გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნა-მიწოდება



რეცესიული გაპი გულისხმობს მდგომარეობას, როდესაც წარმოება იმყოფება 1 წონასწორობაში (ნახ. 3.1.3), სადაც ეკონომიკაში იწარმოება პოტენციურ მშპ-ზე ნაკლები და რესურსები არაეფექტურად არის გამოყენებული, დიდია უმუშევრობის დონე და კაპიტალი არასრულად არის გამოყენებული. ამ მდგომარეობიდან ეკონომიკური მდგომარეობა შეიძლება ორი გზით იქნას გამოსწორებული. რეალურ წონასწორულ ფასთან შედარებით დაბალი ფასების გამო შესაძლებელია გაიზარდოს ერთობლივი მოთხოვნა და ეკონომიკა გადავიდეს მე-2 წონასწორობაში, ან გაიაფებული რესურსების პირობებში მოსალოდნელია გაიზარდოს

მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდება და ეპონომიკა გადავიდეს მე-3 წონასწორობაში. საბოლოო შედეგი კვლავ პოტენციურ რეალურ მშპ-სთან დაბრუნებაა, თუმცა დამოკიდებულია მოწესრიგების მხარეზე. თუ ეს მოხდა ერთობლივი მიწოდების გამო, ფასები შემცირდება, ხოლო ერთობლივი მოთხოვნის გაზრდა გამოიწვევს ფასების ზრდას.

ამრიგად, პოტენციური მშპ-დან გადახრის მიმართულებით შეიძლება ვიგარაუდოთ, ეპონომიკა რა მდგომარეობაში იმყოფება და მას რა ძალები რა მექანიზმებით მოიყვანენ წონასწორობაში. თუმცა პოტენციური მშპ-ს შეფასებისათვის უკვე მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენება შეგვიძლია, რომელთა სანდოობაც როგორც უშუალოდ მეთოდზე, ასევე დასამუშავებელი მონაცემების ხარისხზეცაა დამოკიდებული.

პოტენციური მშპ-ს შეფასებისას შესაძლებელია გამოვიყენოთ, როგორც სტატისტიკური ისე სხვა უფრო ზუსტი მეთოდები. სტატისტიკური ფილტრებიდან შეიძლება გამოვიყენოთ **Hodrick Prescott** და **Kalman** ფილტრები, ასევე ვექტორული ავტორეგრესიის და შედარებით ზუსტი საწარმოო ფუნქციის საშუალებით. რადგან ცნობილია რომ, მშპ სამუშაო ძალის და კაპიტალის ფუნქციაა და მხოლოდ ტრენდით პოტენციური დონის შეფასება არ იქნება აბსოლუტურად ზუსტი, თუმცა გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას მოგვცემს. სულ უფრო გართულებული მეთოდის გამოყენება მოითხოვს ზუსტ და დიდი მოცულობის ინფორმაციას, თუმცა მხოლოდ ტრენდზე დასაკვირვებლად გამოვიყენებოთ **Hodrick Prescott**-ის ფილტრს, რომელიც ყველაზე გავრცელებულია და ძირითადად აღნიშნული მეთოდის გამოყენების სიმარტივით აიხსნება.

ფილტრი აწარმოებს დროის დასაკვირვებელ ინტერვალზე თითოეულ დაკვირვებისათვის ფაქტიურ და პოტენციურ მშპ-ს შორის სხვაობის კვადრატების ჯამის მინიმიზაციას, პოტენციური მშპ-ს გარიაციის შეზღუდვის პირობით. პოტენციური მშპ-ს გარიაციის შეზღუდვა ახასიათებს ბიზნეს ციკლების შოკების შედეგად მშპ-ს დინამიკას.

როგორც აღვნიშნეთ, ფილტრი აფასებს პოტენციური მშპ-ს ისეთ დონეს, რომელიც ახდენს ქვემოთ მოცემული გამოსახულების მინიმიზაციას:

$$\min \sum_{t=1}^T (Y_t - Y_t^*)^2 + \lambda \sum_{t=2}^{T-1} [(Y_{t+1}^* - Y_t^*) - (Y_t^* - Y_{t-1}^*)]^2$$


სადაც  $Y_t$  არის მშპ-ს ფაქტიური მნიშვნელობა დროის  $t$  პერიოდში,  $Y_t^*$  არის მშპ-ს პოტენციური დონე დროის  $t$  პერიოდში,  $(Y_t - Y_t^*)$  არის გამოშვების გაპი,

ხოლო λ არის სიგლუვის პარამეტრი, რომელიც განსაზღვრავს თუ რამდენად ცვალებადია პოტენციური მშპ. რაც უფრო ნაკლებია λ, მით უფრო დიდია პოტენციური მშპ-ს მერყეობა და პირიქით. რადგან გვსურს, რომ ქვეყნების სტატისტიკას თვალი მივადევნოთ 90-იანი წლებიდან დღემდე, შესაძლებელია ვისარგებლოთ საერთაშორისო საგალუტო ფონდის საერთაშორისო ფინანსების სტატისტიკის კვარტალური მონაცემებით<sup>58</sup>. რადგან ზოგადად კვარტალური დროითი მწერივებისათვის მიღებულია რომ λ სიგლუვის კოეფიციენტი არის 1600, მართებული იქნება, თუ ნაშრომშიც კვარტალური მონაცემებისათვის სიგლუვის კოეფიციენტად 1600-ს გამოვიყენებთ.

როგორც ცნობილია, კვარტალური მონაცემებს ახასიათებს სეზონურობა, რომლის მოსახსნელადაც სხვადასხვა მეთოდები შეიძლება გამოვიყენოთ, ამისათვის შეგვიძლია შემოვიტანოთ დამატებითი ცვლადები, გამოვიყენოთ დინამიკური განტოლებები და ა.შ. თუმცა ჩვენს ნაშრომში კვარტალური მწერივების სეზონური შესწორებისათვის გამოვიყენებთ ე.წ. X12 მეთოდს, რომელიც ამერიკის ხაზინის მიერ დამუშავებული ერთ-ერთი ეფუძვიანი და უახლესი მეთოდია.

#### ნახ. 3.1.4

**უნგრეთის და ბულგარეთის მშპ (სეზონურად შესწორებული და პოტენციური)**




როგორც 3.1.4 გრაფიკიდან ჩანს აღნიშნულ ევროპულ ქვეყნებშიც შეინიშნებოდა იგივე მდგომარეობა, რაც მსოფლიო ეკონომიკისათვის იყო დამახასიათებელი. 1995 წლიდან ათი წლის განმავლობაში მშპ პოტენციურ დონესთან შედარებით უმნიშვნელო რყევებით ხასიათდებოდა. თუმცა უკვე 2005

<sup>58</sup> <http://www.imfbookstore.org/Default.asp?>

წლიდან სახეზეა ეკონომიკური ბუმი, რომელიც პოტენციური მშპ-სთან შედარებით გაზრდილ წარმოებას გულისხმობს. მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარეობდა ე.წ. “ინფლაციური ბაპი”, რომელიც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით დამთავრდა, ქვეყნის გამოშვების დონე დაეცა პოტენციურ მშპ-ზე ქვევით და ეკონომიკა გადავიდა რეცესიაში. თუმცა უკვე 2012 წლისათვის უნგრეთის ეკონომიკაში კვლავ ინფლაციური გაპი შეინიშნება.

ნახ. 3.1.5

### პოლონეთის მშპ (პოტენციური და სეზონურად შესწორებული)



განსხვავებული მდგრმარეობა იყო პოლონეთში რომლის მთლიანი შიგა პროდუქტი ამ პერიოდის განმავლობაში ნაკლები რყევებით ხასიათდებოდა. უმნიშვნელო იყო რყევა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდშიც, უმნიშვნელო იყო “ინფლაციური ბაპი” და “რეცესიული ბაპი” საერთოდ არ ფიქსირდებოდა.

ასეთივე, შედარებით სტაბილური განვითარების ტენდენცია ჩანდა ისტორიული მაჩვენებლებითაც, რომელიც დასაწყისში განვიხილეთ. ეს ყველაფერი გამოწვეული იყო იმ სწრაფი და ეფექტური რეფორმებით, რომელიც პოლონეთის მთავრობამ გაატარა ეკონომიკური ტრანსფორმაციის ეტაპზე. სწორად მიმართულმა პროცესებმა პოლონეთი კვლავ გახდა აღმოსავლეთ ევროპის ლიდერ სახლმწიფოდ, რაც ისტორიულად მისთვის უცხო არ გახდდათ.

1990-იანი წლების დასაწყისში დაიშალა რა საბჭოთა კავშირი და “ვარშავის პაქტის” ქვეყნები გავიდნენ საერთაშორისო ასპარეზზე, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მათ ფინანსურ ბაზრებზე, დასავლეთის ბანკები სწრაფად შემოვიდნენ ამ ქვეყნებში და შეიძინეს ამ ქვეყნებში არსებული ფინანსური


ინსტიტუტები. ეს ორმაგად მომგებიანი იყო მათთვის, ჯერ ერთი გაიხსნა მანამდე მათთვის დახურული ფინანსური ბაზარი და მეორეც, შესყიდვები განახორციელეს საკმაოდ დაბალ ფასად. სოციალისტურ ქვეყნებში, როგორც წესი, ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების ფასი (მათ შორის უძრავი ქონებისაც) არ ყალიბდებოდა თავისუფალ ბაზარზე და სახელმწიფოს მიერ შენარჩუნებული იყო ხელოვნურად, უმეტეს შემთხვევებში დაბალ ფასად. ასეთ მდგომარეობას დაემატა 90-იანი წლების გადასვლის მოვლენები და ამ ქვეყნებში აქტივების დირებულება კატასტროფულად შემცირდა.

როგორც აღვნიშნეთ, ამ მოვლენებით ისარგებლეს დასავლეთის ფინანსურმა ინსტიტუტებმა და აქტიურობა დაიწყეს ამ ბაზრებზე. უცხოური კაპიტალი შევიდა, როგორც ფინანსურ, ისე სხვა ბაზრებზე და მოხდა ამ ქვეყნების მსოფლიო ბაზართან მეტნაკლებად დაახლოება. ეს საბოლოოდ დამოკიდებული იყო თვით ამ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებზე, თუ რამდენად იხვეწებოდა სახელმწიფო ინსტიტუტები, როგორი იქნებოდა საგადასახადო კანონმდებლობა, როგორი ტემპით დაიწყებოდა და გაგრძელდებოდა პრივატიზაციის პროცესი და ა.შ.

90-იან წლებში გატარებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად დასტაბილურდა ეკონომიკური ვითარება, თუმცა ბულგარეთში პირველ წლებში მნიშვნელოვან ფინანსურ კრიზისებს პქონდა ადგილი, 96-97 წლებში განსაკუთრებით გამოიკვეთა ეს პრობლემა, რაც რეალური მშპ-ს მნიშვნელოვან კლებაში და პიპერინფლაციაში გამოიხატა. უკვე 1997 წელს დამტკიცდა ახალი ე.წ. სტაბილიზაციის პაკეტი, რომლის მიხედვითაც სხვა მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთად გატარდა უმნიშვნელოვანების მონეტარული რეფორმა: ეროვნული ბანკის მაგივრად ამოქმედდა სავალუტო საბჭო, რომლის მთავარი ფუნქციაც სავალუტო კურსის ფიქსირება და ამით ფინანსური შოკების თავიდან აცილება გახდდათ.<sup>59</sup> მიუხედავად იმისა, რომ ამ მონეტარული რეფორმის ეკონომიკური ეფექტიანობის დადებით შეფასებას ბევრი მოწინააღმდეგე ყავდა, მთავარი გამართლება სტაბილური ეკონომიკის შენარჩუნება და ევროზონასთან თანდათანობითი ინტეგრაციის მიღწევა დასახელდა. გატარებულმა რეფორმათა კომპლექსმა ქვეყნას საშუალება მისცა დაბრუნებოდა განვითარების ნორმალურ ტემპს და გამხდარიყო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი და წევრი.

<sup>59</sup> <http://www.ue-varna.info/materials/140.pdf>

**კვარტალური სამომხმარებლო ფასები (პროცენტული  
ცვლილება წინა წლის შესაბამის პერიოდთან)<sup>60</sup>**



ბულგარეთისაგან განსხვავებით შედარებით სტაბილურად ვითარდებოდა პოლონეთი და უნგრეთი, თუმცა ამ პერიოდის განმავლობაში ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისები არც ამ ქვეყნებისათვის იყო უცხო. ამ ქვეყნებში შედარებით ადრე დაიწყო სტაბილიზაციის ხელშემწყობი რეფორმები და უფრო ეფექტიანად განხორციელდა მათი უმრავლესობა, განსაკუთრებით აღსანიშნავია პოლონეთის რეფორმები, რომელიც მთელი მსოფლიოსათვის გახდა ცნობილი.


კრიზისის პერიოდში პოლონეთის გარდა ყველა ჩვენს მიერ განხილულ ქვეყნაში დაფიქსირდა მკვეთრი რეცესიული მოვლენები და მნიშვნელოვნად შემცირდა მთლიანი შიგა პროდუქტი. უკვე 2008 წლიდან, ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, დაიწყო ანტიკრიზისული ფისკალური პროგრამების შემუშავება.

როგორც ნაშრომის მეორე თავში ვნახეთ, ანტიკრიზისული პროგრამების და სხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე სახელმწიფოს სექტორის წილი და ბიუჯეტის ხარჯების მოცულობა მთლიან შიგა პროდუქტთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. ფისკალური სტიმულირების პროგრამების სიმცირეს და ამ პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხების რაოდენობის ნაკლებობას არც ჩვენს მიერ განხილული ქვეყნები განიცდიდნენ; არც კრიზისის

<sup>60</sup> [www.imf.org](http://www.imf.org)

პერიოდში და არც საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზების მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები მთლიან შიგა პროდუქტან მიმართებით მნიშვნელოვანი ცვლილებით არ გამოირჩეოდა. 2005-2012 წლებში ხარჯების მერყეობის ახსნა შეიძლება მთავრობის აქტიური პოლიტიკით, რომელიც აღნიშნულმა ქვეყნებმა ამ პერიოდში გაატარეს.

ნახ. 3.1.7  
სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები მთლიან შიგა პროდუქტან მიმართებით<sup>61</sup>



ბიუჯეტის ანტიციკლური პოლიტიკა ეფექტიანი იქნებოდა მაშინ, თუ მის პარალელურად მთლიან ეკონომიკაში მოხდებოდა მისი დამაბალანსებელი ცვლილებები. მთავრობის ხარჯების ზრდა გავლენას ახდენს მთლიან ეროვნულ დანაზოგზე, რომლებიც მთლიანი ინვესტიციების ტოლია, თუმცა ლია ეკონომიკაში ინვესტიციების დამატებითი წესარი საგარეო სექტორიდანაც მომდინარეობს და ყოველთვის მნიშვნელოვანია საერთო მაკროეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია, რათა ერთიანი მიზანი ეფექტიანად იქნას მიღწეული. როგორც ვიცით, ეროვნული ანგარიშების მეშვეობით შეგვიძლია გამოვსახოთ ინვესტიციებისა და დანაზოგების ზოგადი ფორმულა, სადაც ლია ეკონომიკისათვის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

$$GDP = C + I + (X - M) \quad (1)$$

<sup>61</sup> <http://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2013/01/weodata/download.aspx>

სადაც **GDP** არის მთლიანი შიგა პროდუქტი, **C** მოხმარება, **I** ინვესტიციები, **X** ექსპორტი და **M** იმპორტი. ამის შემდეგ შეგვიძლია მივიღოთ მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი (**GNDI**).

$$GNDI = GDP + Y_f + TR_f \quad (2)$$

$Y_f$  არის წმინდა ფაქტორული შემოსავლები,  $TR_f$  წმინდა ტრანსფერები. თუ მთლიანი ეროვნულ განკარგვად შემოსავალს წარმოვადგენთ მშპ-ს გაშლილი ფორმით, მივიღებთ შემდეგ ტოლობას:

$$GNDI = C + I + (X - M) + Y_f + TR_f \quad (3)$$

ამ ტოლობიდან სავაჭრო ბალანსს დამატებული წმინდა ტრანსფერები და წმინდა ფაქტორული შემოსავლები შეგვიძლია გამოვსახოთ როგორც მიმდინარე ანგარიშის ბალანსი:

$$(X - M) + Y_f + TR_f = CAB \quad (4)$$

მაშინ მივიღებთ ტოლობას:

$$GNDI = C + I + CAB \quad (5)$$

ჩვენ ვიცით, რომ დანაზოგები (**S**) ტოლია მთლიან ეროვნულ განკარგვად შემოსავალს გამოკლებული მოხმარება:


$$S = GNDI - C \quad (6)$$

თუ (5) ტოლობაში ჩავსვამთ (6) ტოლობას, ამით ჩვენ მივიღებთ ცნობილ დია ეკონომიკის ტოლობას, სადაც ინვესტიციების წყარო ან ეროვნული დანაზოგი ან მიმდინარე ანგარიშის დეფიციტია, ანუ

$$I = S - CAB \quad (7)$$

(7) ტოლობის თანახმად თუ ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების გამო მცირდება ეროვნული დანაზოგები, ეს მნიშვნელოვნად იმოქმედებს ინვესტიციების მოცულობაზე. ინვესტიციების დრამატული შემცირება შესაძლებელი იქნებოდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდის ხარჯზე, რაც მოკლევადიანი შოკების დროს მნიშვნელოვანი იარაღია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიუჯეტის ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა ამცირებს მთავრობის დანაზოგებს, რაც მთლიანი დანაზოგის ნაწილია, შესაბამისად მცირდება მთლიანი დანაზოგები, რაც სხვა თანაბარ პირობებში ამცირებს მთლიან ინვესტიციებს.

### მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (პროცენტულად მშპ-სთან)<sup>62</sup>



როგორც 3.1.8 გრაფიკზე ვხედავთ კრიზისამდე ყველა ქვეყანას მნიშვნელოვანი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ჰქონდა, ხოლო კრიზისის პერიოდში ბულგარეთში და უნგრეთში მიმდინარე ანგარიშის პროფიციტს ჰქონდა ადგილი. ამ დროს აღნიშნულ ქვეყნებს უნდა ჰქონოდათ ბიუჯეტის მნიშვნელოვანი პროფიციტი, რათა არ შემცირებულიყო ინვესტიციები და ამას კიდევ უფრო არ გაეუარესებინა ეკონომიკური და ფინანსური კრიზისით გამოწვეული უარყოფითი შედეგები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა განვიხილოთ ამ ქვეყნების საბიუჯეტო სტიმულირების პროგრამები, თუ რა პრობლემის გადაჭრა მიიჩნიეს მათ მთავარ პრიორიტეტად და რა მიმართულებით აირჩიეს ბიუჯეტის მართვა.

ბულგარეთში შემუშავდა საშუალოვადიანი საბიუჯეტო სტრატეგიის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა იმას, რომ შეენარჩუნებინა ეკონომიკური განვითარების კარგი ინდიკატორები და ხელი შეეწყო სტაბილური განვითარებისათვის. ამისათვის დაიგეგმა საშუალოვადიან პერიოდში (2008-2010წ)<sup>63</sup> ბიუჯეტის 3 პროცენტიანი პროფიციტი. (როგორც 3.1.9 გრაფიკიდან ჩანს ამ სამი ქვეყნიდან ყველაზე კარგი ბიუჯეტის მაჩვენებლები სწორედ ბულგარეთს ჰქონდა)

<sup>62</sup> <http://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2013/01/weodata/download.aspx>

ბულგარეთის ეკონომიკაში 2003-2004 წლებიდან ეკონომიკური ზრდა 6 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა, რომელსაც თან ახლდა საგარეო დეფიციტი და მაღალი ინფლაცია. ქვეყნის ხელისუფლების მთავარი მიზანი იყო პქონოდა განვითარების მაღალი ტემპები. მათ გაცნობიერებული პქონდათ, რომ მიმდინარე ფინანსური კრიზისი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა მსოფლიო ეკონომიკაზე, ამიტომ ბულგარეთის ფისკალური პოლიტიკა მიმართული იყო შეენარჩუნებინათ ინგესტორთა ნდობა და მაკროეკონომიკური სტაბილურობა. ფისკალური პოლიტიკა მიმართული იყო სტრუქტურული გაძლიერებისაკენ, ეკონომიკის მოქნილობის გაზრდისაკენ და მსოფლიო ეკონომიკური გამოწვევებისადმი დროული და ადექვატური რეაგირების მზადყოფნისაკენ.

ზემოთაღნიშნული პრობლემების და გამოწვევების საპასუხოდ ბულგარეთის მთავრობისათვის გასატარებელი რეფორმები მოიცავდა სამ მნიშვნელოვან საკითხს:

- შეენარჩუნებინათ მდგრადი ფინანსური ინდიკატორები საბიუჯეტო ხარჯების რესტრუქტურიზაციის მეშვეობით; ეს საშუალებას მისცემდათ ეპასუხათ საგარეო დისბალანსისათვის და მზად ყოფილიყვნენ კრიზისის გამწვავების შემთხვევაში საბიუჯეტო შემოსავლების კლებისათვის;
- შეენარჩუნებინათ საჯარო სექტორში ხელფასების ზრდის ტენდენცია, რათა ხელი შეეწყოთ საერთოდ ეკონომიკაში ხელფასების ზრდისათვის და კონკურენციისათვის ამ სექტორში;
- შემდგომში გაეუმჯობესებინათ საჯარო ხარჯების და საბიუჯეტო პროგრამების ეფექტიანობა. გაეძლიერებინათ ადმინისტრაციული შესაძლებლობები. მოქედინათ რეფორმები: სამუშაო ძალის და საქონლის ბაზარზე, განათლების და ჯანდაცვის სფეროებში, რათა გაეზარდათ პროდუქტიულობა და ხელი შეეწყოთ საგარეო დეფიციტის დარეგულირებისათვის.


2000-იან წლებში უნგრეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ეკონომიკური მდგომარეობა და ბევრ სექტორში შემცირდა დისბალანსი; 2006 წლიდან 2008 წლამდე მოხდა ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება 9.3 პროცენტიდან 3.5 პროცენტამდე. ამის მიუხედავად, უნგრეთი საკმაოდ დაუცველი შეხვდა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს, რადგან ამ პერიოდისათვის მას პქონდა საკმაოდ მაღალი მთავრობის ვალი.

ფინანსური კრიზისის საპასუხოდ, უნგრეთის მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქნა პროგრამა, რომლის ფინანსური მხარდაჭერისათვის დაიგეგმა 6.5 მილიარდი ევროს სესხის აღება ევროკავშირისგან. პროგრამა ითვალისწინებდა საბიუჯეტო კონსოლიდაციის გაგრძელებას და 2009 წლის შემცირებულ 2.6 პროცენტიანი მშპ-ს ზრდის პირობებში 2011 წლისათვის ბიუჯეტის დეფიციტის 2.2 პროცენტამდე შემცირებას. უკვე 2009 წლის დასაწყისში შეიცვალა იმავე წლის პროგნოზები და მშპ-ს პროგნოზული მაჩენებელი 0.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და ბიუჯეტის დეფიციტის შედარებით მაღალი მაჩვენებელი დაიგეგმა.

პროგრამის მიხედვით ფინანსური სისტემის მდგრადობა განპირობებული იქნებოდა სტრუქტურული რეფორმებით, გაგრძელდებოდა გრძელვადიანი ზრდა საბიუჯეტო პროგრამების მეშვეობით და შემცირდებოდა ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები. აღნიშნულიდან გამომდინარე უნგრეთის მთავრობის გეგმები შეიძლება განხორციელდებულიყო ამ საკითხების გათვალისწინებით:

- არსებული რისკების გათვალისწინებით, მთავრობამ დაგეგმა შეუქმნა შესაბამისი ბუფერი. გაეტარებინა ყველა ღონისძიებები რათა ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-სთან მიმართებით შეენარჩუნებინათ 3 პროცენტის ფარგლებში და საგარეო ვალი მშპ-სთან მიმართებით დაეყვანათ 60 პროცენტზე ქვემოთ;
- გაეუმჯობესებინათ ფისკალური პროექტების შესრულების უფასებიანობა, დამატებითი სტრუქტურული რეფორმებით მოქსდინათ საბიუჯეტო ხარჯების მოდერნიზაცია და გაეძლიერებინათ ფინანსური ბაზრის რეგულირება და ზედამხედველობა;
- უნგრეთმა დაგეგმა საჯარო ფინანსების გრძელვადიანი მდგრადობის გაუმჯობესება საპენსიო სფეროში რეფორმის გაგრძელებით.

### ბიუჯეტის ბალანსი (პროცენტულად მშპ-სთან)



რაც შეეხება პოლონეთს, მისი მთავრობა 2008 წელს 2009 წლისთვის ელოდებოდა იმას, რომ ფინანსური კრიზისი მნიშვნელოვნად აისახებოდა პოლონეთის ეკონომიკაზე: გაუარესდებოდა საერთაშორისო საგაჭრო ნაკადები, საგრძნობლად დაიკლებდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები და მნიშვნელოვნად შემცირდებოდა გარე დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა.

2008 წლის ბოლოს განახლდა პოლონური პროგნოზები და 2009 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა 2.5 პროცენტიანი დეფიციტის ფარგლებში იმის გათვალისწინებით, რომ ამ წელს მოსალოდნელი იყო ეკონომიკური ზრდის კარგი ტემპები. 2010 წლისათვის დაიგეგმა ბიუჯეტის ხარჯების იმ ნაწილის შემცირება და გაუქმება, რომელთა აუცილებლობა იმ დროისათვის ჯერ მკაფიოდ არ იყო ჩამოყალიბებული და დამტკიცებული.

პოლონეთმა დაგეგმა ფისკალური სტიმულირების პროგრამები, რომლებიც წაახალისებდნენ, როგორც მოკლევადიან ერთობლივ მოთხოვნას, ასევე ხელს შეუწყობდნენ გრძელგადიანი მიწოდების გამოცოცხლებას. ევროპის აღდგენის გეგმის (European Recovery Plan) შესაბამისად მიღებული რეკომენდაციების მიხედვით პოლონეთის მთავრობამ დაგეგმა ფისკალური სტიმულირების ისეთი პროგრამები, რომლებიც გაზრდიდა ინვესტიციებს ინფრასტრუქტურულ

<sup>63</sup> <http://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2013/01/weodata/download.aspx>

პროექტებში და შეამცირებდა საშემოსავლო გადასახადს, რასაც თავის მხრივ მოჰყვებოდა საგადასახადო ტგირთის შეამცირება.

ამ პერიოდში ევროპული სტრუქტურების ჩატარებული ანალიზის მიხედვით პოლონეთის მთავრობას მიეცა რეკომენდაცია:

- განეხორციელებინათ დაგეგმილი აღდგენის პროგრამები და 2009 წლისათვის შეენარჩუნებინათ ბიუჯეტის დეფიციტი 3 პროცენტს ქვემოთ;
- შეენარჩუნებინათ ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების სტრატეგია და პოლიტიკა 2010-2011 წლებში;
- გაეძლიერებინა ბიუჯეტის ფარგლებში ხარჯების ეფექტიანობის კონტროლი, გააუმჯობესებდა რა საჯარო ფინანსებთან დაკავშირებულ კანონმდებლობას და ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზაციას.<sup>64</sup>

2010 წელს სავალუტო ფონდის კვლევის შედეგად დაფიქსირდა, რომ პოლონეთი იყო ერთადერთი ევროპული ქვეყანა, რომელმაც 2009 წელს თავი დაადგია ეკონომიკურ რეცესიას. ქვეყანაში არსებულმა დიდმა ბაზარმა, იმან რომ ქვეყნის ეკონომიკა ექსპორტზე ნაკლებად იყო ორიენტირებული და ქვეყნის კარგად კაპიტალიზებულმა და მომგებიანმა საბანკო სისტემამ ამ ქვეყნისათვის მნიშვნელოვნად შეამსუბუქა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის უარყოფითი ეფექტები. უფრო მეტიც, პოლიტიკის გამტარებლებმა მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღეს იმით, რომ ამ პერიოდში მოახდინეს სწორი მანევრირება ნაკლები კრიზისამდელი დისბალანსით და მცურავი სავალუტო კურსის საშუალებით, გაატარეს რა ეფექტიანი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა.<sup>65</sup>

2008-2009 წლებში ბიუჯეტის დეფიციტი დაგეგმილი იყო შესაბამისად 2.75 და 2.5 პროცენტის დონეზე, თუმცა შემცირებული საბიუჯეტო შემოსავლებისა და მშპ-ს ზრდის ტემპის ფონზე დეფიციტი 2007 წელს 2 პროცენტიდან 2009 წელს 7 პროცენტამდე გაიზარდა.

მაშინ, როდესაც თავდაპირველად მთავრობა გეგმავდა შემოსავლების შემცირებით გამოწვეული პრობლემის დაბალანსებას, იმისათვის რომ 2009 წლისათვის საბიუჯეტო დეფიციტი შეენარჩუნებინა 18 მილიარდი ზლოტის ქვემოთ, რაც იქნებოდა ხარჯების პროცენტური შემცირება, წლის შუა პერიოდში მან შეცვალა გეგმა და ბიუჯეტის დეფიციტის ზღვარი გაზარდა 27 მილიარდ

<sup>64</sup> <http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference=IP/09/273>

<sup>65</sup> <http://www.imf.org/external/np/ms/2010/031510.htm>

ზლოტამდე. ამრიგად დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის და ავტომატური სტაბილიზატორების კომბინაციის საშუალებით 2008-2009 წლებში გამოყენებული იყო ანტიკლური სტიმულები. ეს იყო ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იმისა, რომ პოლონეთმა თავიდან აიცილა დიდი ეკონომიკური ვარდნა.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის და ფისკალური პოლიტიკის კომბინაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ მიუხედავად იმისა, რომ ანტიკრიზისული პროგრამების დაფინანსება გარკვეულ ხარჯებს მოითხოვდა და ზრდიდა როგორც ბიუჯეტის ხარჯებს, ისე დეფიციტს, ქვეყნები მაინც ერიდებოდნენ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდას, რაც ინვესტიციებისათვის კარგი ბიძგი იყო. ქვეყნებმა მიიჩნიეს, რომ კრიზისის დაძლევაში უმნიშვნელოვანესი როლი ნდობას და მაკროეკონომიკურ სტაბილურობას უნდა შეესრულებინა. მათი პოლიტიკის მიხედვით მნიშვნელოვანი იყო მოკლევადიანი სტაბილურობა, რისი მიღწევაც მათ საბიუჯეტო პროგრამათა ოპტიმიზაციით და ეფექტიანობის ზრდით შეძლეს. ამ ქვეყნებმა ბიუჯეტის დეფიციტის პარალელურად არ გაზარდეს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და უფრო მეტიც, 2011 წლისათვის ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება დაიწყეს მიმდინარე ანგარიშის დადებითი სალდოს პარალელურად.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ამ სამი ქვეყნიდან ყველამ და განსაკუთრებით პოლონეთმა, ღირსეულად შეძლო ეკონომიკური კოლაფსიდან თავის დაღწევა. რაც ამ ქვეყანაში სწორი და სწრაფი რეფორმების გატარებით იყო განპირობებული. 2000-იან წლებში მათმა სწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ მოამზადა ნიადაგი ევროკავშირში გაწევრიანებისათვის და გახდნენ მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვანი აქტიორები. ხოლო თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის განმავლობაში ევროპის ბევრი ქვეყნისაგან განსხვავებით შეძლეს ეფექტიანად გამოეყენებინათ ფულად-საკრედიტო და განსაკუთრებით ფისკალური პოლიტიკა. სწორ გადაწყვეტილებათა ერთობლიობამ შექმნა იმის საფუძველი, რომ აღმოსავლეთ ევროპის ეს ქვეყნები კიდევ უფრო მნიშვნელოვან ადგილს დაიმკვიდრებენ მსოფლიო ეკონომიკურ ასპარეზზე.


## 3.2 პოსტსაბჭოთა სივრცე

პოსტსაბჭოთა სივრცის განხილვისას ყველაზე საინტერესოა იმ წარმატებული ქვეყნების მაგალითის განხილვა, რომელთა განვლილი გზა და ეკონომიკური განვითარების ტენდენციები ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ამიტომ არჩევანი შევაჩერეთ ბალტიისპირეთის ქვეყნებზე, ყველაზე ევროპულ და მზარდ, ყოფილ პოსტსაბჭოთა წარმომადგენლებზე.

აქ უნდა განვიხილოთ ამ ქვეყნების განვითარების სტატისტიკური მაჩვენებლები დინამიკაში, იმ სამი გარდამტეხი ეტაპის გათვალისწინებით, რომლებიც ზემოთ იყო აღწერილი. ანალიზს აადვილებს ის გარემოება, რომ ეს სამი ქვეყანა ერთდროულად 2004 წელს გახდა ევროკავშირის წევრი.

ნახ. 3.2.1

**მშპ-ს პროცენტული ცვლილება წინა წელთან შედარებით 1984-2012წ<sup>66</sup>**



აქაც გამოკვეთილია ორი დრმა რეცესია, თუმცა აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით ორივე კრიზისი უფრო დრმა იყო. 90-იან წლებში არსებული ჩავარდნა უნდა აიხსნას იმით, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები იყვნენ უშუალოდ საბჭოთა კავშირის შემადგენელი რესპუბლიკები და ერთიან სახელმწიფოში უფრო მჭიდრო ეკონომიკური კავშირები


<sup>66</sup> <http://www.ers.usda.gov/Data/Macroeconomics/>


არსებობდა, მეტი ძალისხმევა იყო საჭირო მათთვის ახალ ეკონომიკურ წესრიგთან შეგუებისა და მისი “თამაშის წესებით” მოქმედებისათვის. უკვე 90-იანი წლების ბოლოს დაფიქსირდა ეკონომიკური აქტივობის მცირე დაქვეითება, რომელიც 1997 წლის აზის კრიზისის გამოძახილი იყო. თუმცა 2004 წლიდან ბალტიისპირეთის ეკონომიკური ისევ აღმავლობის ეტაპი დაიწყო, რაც 2008 წლიდან მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით და ლრმა რეცესიით დასრულდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ რეცესიის სიღრმეც მნიშვნელოვნად აღემატებოდა ზემოთგანხილულ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებს.

თუმცა საინტერესოა 2000-იანი წლების ეკონომიკური ზრდა ინფლაციური გაპი გახლდათ, თუ ეს გრძელვადიანი რეალური ეკონომიკური ზრდით იყო გამოწვეული. ამისათვის კვლავ გამოვიყენოთ Hodrick–Prescott–ის ფილტრით შესწორებული მშპ-ს მაჩვენებლები, რომელიც პოტენციური მშპ-ს დახასიათების უხეშ, თუმცა ყველაზე მარტივ მეთოდად მიიჩნევა.

ნახ. 3.2.2

### ბალტიისპირეთის ქვეყნების მშპ (პოტენციური და სეზონურად შესწორებული)





ამ მარტივი ანალიზიდანაც ჩანს, რომ მოცემული ქვეყნების ეკონომიკების ქცევა მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა, როგორც მთლიანად მსოფლიო, ისე ცალკეული განვითარებული ქვეყნების ეკონომიკების ქცევისაგან. 2008 წლიდან დაწყებული, ეკონომიკური კრიზისის პერიოდი, სადაც რეალური მშპ პოტენციურ დონეზე ქვემოთ მდებარეობს, კარგად ჩანს, როგორც ქვეყნის რეცესიული გაპი, ხოლო კრიზისამდელი ბუმი ინფლაციურ გაპად იქნას განხილული, რადგან რეალური მშპ პოტენციურ დონეს აღემატება. ამ დასკვნის გაცეთებისას არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოტენციური მშპ-ს ჩვენს მიერ გამოყენებული Hodrick-Prescott-ით შეფასების მეთოდი არაა სრულყოფილი. როგორც აღვნიშნეთ, მშპ კაპიტალის და სამუშაო ძალის ფუნქციაა, ხოლო მკვეთრი, სხვა ფაქტორებით გამოწვეული ეკონომიკური კლება შეიძლება ფილტრით მოსწორებული ტრენდის ფონზე ინფლაციურ ან რეცესიულ გეპად გამოჩნდეს.

მსოფლიო ეკონომიკაში ბალტიისპირეთის ქვეყნების ინტეგრაციის ტენდენციების გამოსაკვეთად კიდევ უფრო კარგი თვალსაჩინოება იქნება ამ ქვეყნების მაკროეკონომიკური მონაცემების დინამიკის ჩვენება მსოფლიო ინდიკატორების დინამიკასთან. როგორც მშპ-ს დინამიკამ აჩვენა მსოფლიო რეცესიის შესაბამისად შემცირდა ეკონომიკური აქტივობაც და დაიკლო რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა. რეალური სექტორის პარალელურად შეიცვალა მონეტარული ინდიკატორებიც.

როგორც ცნობილია საბანკო საპროცენტო განაპვეთების სიდიდე, მათი მოქნილობა და ეკონომიკური აქტივობის იმპულსების სწრაფი და ადექვატური მოძრაობა მიუთითებს ფინანსური სისტემის სიჯანსაღეზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინანსური სისტემის გამართული ფუნქციონირება კრიზისულ პერიოდებში, ადექვატურად რეაგირებს თუ არა იგი ეკონომიკურ კონიუნქტურის


ცვლილებაზე და რამდენად სწრაფად მოახდენს რეაგირებას ეკონომიკურ რეაგებზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება თვალი მივადევნოთ საბანკო სექტორს, საპროცენტო განაკვეთების “ქცევას” და შემდეგ ქვემოთ პარალელები გავაღოთ ქართულ საფინანსო სექტორთან.

როგორც ცნობილია, კრიზისის დაწყებასთან ერთად სწრაფად ეცემა წარმოების მოცულობა და უფრო სწრაფად მოხმარების სიდიდე. თითქმის ყველა ღრმა კრიზისის თანმდევი ფაქტორია ინფლაციის ტემპების შემცირება და ხშირ შემთხვევაში დეფლაციური პროცესებიც კი. ამ პერიოდში ეცემა აგრეთვე საპროცენტო განაკვეთებიც, რადგან ინფლაციის შემცირება საბანკო სექტორს საშუალებას აძლევს მიიღოს იგივე სიდიდის რეალური სარგებელი დაბალი საპროცენტო განაკვეთების საშუალებითაც. ამგვარი ქმედება შეიძლება ხშირად გახდეს მნიშვნელოვანი ბიძგი ეკონომიკური კოლაფსიდან თავის დასაღწევად. იაფდება რა საკრედიტო რესურსი, იზრდება საინვესტიციო პოტენციალი, რაც ეკონომიკური ზრდის წინაპირობა შეიძლება გახდეს.

განვითარებული ქვეყნების ფინანსური ბაზრები ამ მოსაზრებას ადასტურებენ; შეიძლება განვიხილოთ ამ ქვეყნების ფინანსური სისტემების ქცევა.

ნახ. 3.2.3

### პგარტალური საპროცენტო განაკვეთები 2007-2012 წლებში<sup>67</sup>



როგორც 3.2.3 გრაფიკიდან ჩანს, კრიზისის დაწყებასთან ერთად მსოფლიოს უმრავლეს განვითარებულ ქვეყნებში დაიწყო საპროცენტო განაკვეთების

<sup>67</sup> [www.imf.org](http://www.imf.org)

შემცირება (თუ არ ვაკონკრეტებთ უოველთვის იგულისხმება საპროცენტო განაკვეთები სესხე), რაც ბუნებრივი რეაქცია იყო რეცესიიდან და დეფლაციური პროცესებიდან გამომდინარე. ამ მხრივ გამონაკლისი არ აღმოჩნდა ბალტიისპირეთის ქვეყნები, სადაც მართალია დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაიწყო საპროცენტო განაკვეთების კლება. ბალტიის ქვეყნები ევროკავშირის წევრები არიან და საბანკო სექტორიც ამ სისტემის შემადგენელი სეგმენტია. მათი დამოკიდებულების ხარისხი განვითარებული ქვეყნების განვითარების ტენდენციებზე ცალსახად გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვა ნებისმიერ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში.

საინტერესოა განვიხილოთ ბალტიის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა და მდგომარეობა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფარგლებში, თუ როგორ უპასუხეს მსოფლიო ეკონომიკის ამ უდიდეს გამოწვევას და ამან რა ცვლილებები გამოიწვია მათ მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში.

ლატვია არის ის ერთ-ერთი ქვეყანა ევროპის განვითრებად ქვეყნებს შორის, რომელმაც კრიზისამდე და მის შემდეგ გაიარა ძალიან მკვეთრი ბუმის და დაცემის ეტაპები. Lehman Brothers-ის კრახთან ერთად ფინანსური ბაზარზე დაწყებული კრიზისი სწრაფად აისახა მის ეკონომიკაზე და წინა წლებში არსებული აღმავლობის ფაზა დრმა რეცესიაში გადაიზარდა. ერთ კვარტალში დრამატულად შემცირდა მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპი და დაიწყო საბანკო კრიზისი, როდესაც ლატვიის სიდიდით მეორე ბანკმა დახმარებისათვის მთავრობას მიმართა.

ლატვიამ თავისი ანტიკრიზისული პროგრამები ააგო ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმის გათვალისწინებით, რაც მას საშუალებას აძლევდა სწრაფად მიეღო დახმარება ევრო სივრციდან, იმის გათვალისწინებითაც, რომ მომავალში იგეგმებოდა ევროს დანერგვა. ფიქსირებულმა სავალუტო კურსის რეჟიმმა და ამ სტრატეგიამ შეძლო ის, რომ ქვეყანამ სწრაფად დაარეგულირა საგარეო შოკებით გამოწვეული დისბალანსი და უკვე 2009 წელს ეკონომიკის ზრდა დაფიქსირდა.

ქვეყანამ გაატარა საქმაოდ მკაცრი ფისკალური პოლიტიკა, შეამცირა ხელფასები და გაატარა რეფორმები, რომლებიც გახდა იმის საშუალება, რომ თავიდან აეცილებინა ბიუჯეტის დეფიციტის ზრდის ჯაჭვური ეფექტი და აემაღლებინა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა, ნომინალური გაცვლითი კურსის გაუფასურების გარეშე. მიუხედავად ამისა, რეცესია მაინც მნიშვნელოვანი იყო. პირველი რიგის გამოწვევებად კვლავ დარჩა უმუშევრობის მაღალი დონის

შემცირება, სოციალური დაცვის სისტემების გაძლიერება და ეკონომიკური დაცემის დაძლევა, რომელიც ძირითადად გამოწვეულია სავაჭრო სექტორში ბრუნვების შემცირებით.<sup>68</sup>

2008 წელს ცხადი გახდა, რომ მსოფლიო ეკონომიკას ეკონომიკური კრიზისის დიდი ტალღა გადაუვლიდა და ლატვიის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი რეცესიული პროცესები დაიწყებოდა. 2008 წლის ნოემბერში ქვეყნის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ კრიზისის ასაცილებლად საგარეო დაფინანსების აღება აუცილებელი იყო. 2008 წელს ქვეყანაში მოიწვიეს სავალუტო ფონდის მისია ფინანსური კრიზისის თავიდან ასაცილებლად. როგორც ფონდის ექსპერტები აცხადებდნენ, მდგომარეობა საკმაოდ კრიტიკული იყო და საჭირო იყო სწრაფი და რადიკალური რეფორმების გატარება. ფონდის პროგრამათა განხორციელებას აძნელებდა ის ბარიერებიც, რომ ნებისმიერი პროგრამის განხორციელებისას არსებული საკითხი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ევროკავშირის წესებთან, რაც ზრდიდა პროგრამის განხორციელებისა და მოქმედების ვადებს. არსებობდა დიდი რისკი, რომ ლატვიაში არსებული კრიზისი გავლენას მოახდენდა ბალტიისპირეთის სხვა ქვეყნებზე, რომელთაც აგრეთვე ფიქსირებული პქონდათ ეროვნული ვალუტა ევროზე და ბულგარეთზე, სადაც მოქმედებდა სავალუტო საბჭო.

2008 წლის დეკემბერში გამოცხადაა 7.5 მლრდ ევროიანი სამთავრობო პროგრამა, რომელთაგან 3.1 მლრდ დაფინანსებული იყო ევროკავშირის, 1.7 მლრდ – საერთაშორისო სავალუტო ფონდის, 0.4 მლრდ – მსოფლიო ბანკის და 1.8 მლრდ – ჩრდილოეთის ქვეყნების მიერ (ეს უკანასკნელი უფრო რეზერვის და ბუფერის როლს ასრულებდა იმ შემთხვევისათვის, თუ ევროკავშირის და სავალუტო ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროგრამები მიზანს ვერ მიაღწევდნენ).


როგორც აღვნიშნეთ, პროგრამათა სტრატეგიები ეფუძნებოდა ფიქსირებული სავალუტო კურსის შენარჩუნებას, რაც დია კაპიტალის ანგარიშის პირობებში და კრიზისის არსებობის დროს მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენდა, ამიტომ ამ პერიოდის განმავლობაში გაცვლითი კურსის პოლიტიკა მუდმივად დისკუსიის საგანი იყო და აზრთა სხვადასხვაობის საფუძველიც გახდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ძალისხმევა მიმართული იყო იმისაკენ, რომ ქვეყანას ბოლომდე გამოეყენებინა ყველა რესურსი, ვალუტის მერყეობის საზღვრის 15 პროცენტიანი

<sup>68</sup> "How Emerging Europe Came Through the 2008/09 Crisis". An Account by the Staff of the IMF's European Department. 2012y

გაფართოებით. ევროკავშირის მმართველებიც შეთანხმდნენ, რომ ლატვიისგან არ მოითხოვდნენ (ევროს მიღებასთან დაკავშირებით) მაასტრიხტის კრიტერიუმებით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს და ქვეყანას მისცემდნენ გალუტის გაუფასურების მეტ თავისუფლებას.

#### ნახ. 3.2.4

##### ბიუჯეტის ბალანსი (პროცენტულად მშპ-სთან)<sup>69</sup>



ყველაფრის მიუხედავად, ლატვია პვლავ ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმის ერთგული დარჩა, რადგან საერთო მოსაზრებით და ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ეკონომისტთა წრეებში მუსირებდა აზრი, რომ ტრანსფორმაციის პერიოდში ფიქსირებულმა კურსმა მნიშვნელოვანი სტაბილიზაციის ფუნქცია შეასრულა. უფრო მეტიც, დევალვაციას სხვა უარყოფითი ეფექტებიც ექნებოდა, რადგან კერძო სექტორში დავალიანების უმრავლესობა ევროებში იყო აღებული და ეროვნული ვალუტის გაუფასურება და შესაბამისად ევროს გამყარება მნიშვნელოვან პრობლემებს გააჩენდა საგარეო ვალის საკითხთან დაკავშირებით. მეორეს მხრივ, სავალუტო რეჟიმის უცვლელობის გადაწყვეტილება დამატებით პრობლემებს ქმნიდა პროგრამათა განხორციელებაში.

იმის გამო, რომ ქვეყანამ აღნიშნული კურსი აირჩია, საჭირო იყო შიდა პოლიტიკის გამკაცრება და რეალური კურსის გაუფასურება (Internal Devaluation).

<sup>69</sup> www.imf.org

ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით ფასების და ხელფასების პოლიტიკის მოწერიგება, შემზღვეველი ფისკალური პოლიტიკის გატარება, რომელიც შეამცირებდა ფასებს, გააუფასურებდა რეალურ გაცვლით კურსს და გაზრდიდა ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას. ამის გარდა, საჭირო იყო ფისკალური პოლიტიკის გამკაცრება ბიუჯეტის გაზრდილი დეფიციტის ფონზე. მიუხედავად იმისა, რომ ლატვიას არ ჰქონდა დიდი საგარეო ვალი, სწრაფად მზარდი ბიუჯეტის დაფინანსებას შეიძლება დიდი პრობლემები გაეჩინა და უარყოფითი გავლენა მოეხდინა ქვეყნის ფინანსურ სისტემაზე.

დაიგეგმა საჯარო სექტორში ხელფასების და პრემიების შემცირება, თუმცა პროგრამა ითვალისწინებდა სოციალური უსაფრთხოების ქსელის გაუმჯობესებულ მუშაობას, რათა დაებალანსებინა კრიზისით გამოწვეული ეფექტები. ამ სფეროს დაფინანსება გაიზარდა მთლიანი შიგა პროდუქტის 1 პროცენტით. მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სოციალური უსაფრთხოების ხელშეწყობა ითვალისწინებდა უმუშევრობის დაძლევის პროგრამებს, მინიმალური გარანტირებული შემოსავლის ზღვარის ზრდას და დარიბი მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფარვას.

გატარებული რეფორმების შედეგად ლატვიის ეკონომიკამ აიცილა მნიშვნელოვანი რეცესია. რომ არა დროული ფისკალური პოლიტიკა და სავალუტო ფონდის და ევროკავშირის დახმარებები, 2009 წელს ბიუჯეტის დეფიციტი 16 პროცენტამდე გაიზრდებოდა და მისი დაფინანსების პროგრამა ბევრ პრობლემას წარმოშობდა. მიუხედავად იმისა, რომ კრიზისის სიღრმე და შედეგები გაცილებით უარესი იყო, ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო, უკვე 2009 წლის ბოლოს ლატვიის ეკონომიკაში დაიწყო გამოცოცხლება და 2011 წელს ეკონომიკის ზრდამ 5 პროცენტს მიაღწია, რაც გამოწვეული იყო ექსპორტის და ერთობლივი მოთხოვნის მნიშვნელოვანი ზრდით. პრაქტიკამ აჩვენა, რომ რეალური სავალუტი კურსის გაუფასურების პოლიტიკამ, მიუხედავად მისი შეზღუდვებისა, შედეგი გამოიდო. 2008 წლის დეკემბრიდან 2010 წლის დეკემბრამდე ხელფასები საჯარო სექტორში შემცირდა 8 პროცენტით, სამუშაო ძალის ფასი დაახლოებით – 20 პროცენტით. ფასების კლებამ პიკს 2010 წლის პირველ კვარტალში მიაღწია და დაახლოებით 4 პროცენტი შეადგინა, თუმცა ამის შემდეგ ხელფასებმაც და ფასებმაც ზრდა დაიწყო, რაც იმის დასტურია რომ კონკურენტუნარიანობის ზრდის შემდეგ ხელფასების და ფასების კლებას თავისი შეზღუდვები გააჩნია და გრძელვადიან პერიოდში მათი შენარჩუნება ძალიან რთულია.

რაც შეეხება ესტონეთს, ხელისუფლების წრეებში უკვე 2008 წლის დასაწყისში დაიწყეს საუბარი, რომ ფინანსური კრიზისი შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხე ყოფილიყო ქვეყნის ეკონომიკისათვის და საჭირო იყო პრეგენციული ღონისძიებების გატარება. ამის პირველი ნიშანი 2008 წლის დასაწყისში საბიუჯეტო შემოსავლების დაგეგმილ მაჩვენებლებთან შედარებით დრამატული შემცირება იყო. აგრეთვე 2008 წლის იანვარში საერთაშორისო საგალუტო ფონდის და ესტონეთის ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე აკადემიური წრეების, ბაზრის მონაწილეების და პოლიტიკოსების მიერ შემაჯამებელ დასკვნაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ბალტიისპირეთი შესაძლოა დამდგარიყო დიდი პრობლემების წინაშე, რაც სასესხო ბაზარზე გაჩენილი წინააღმდეგობებით დაიწყებოდა. ბევრი საუბარი იყო იმის შესახებაც, რომ ქვეყნისათვის უნდა აეცილებინათ ე.წ. “პორტუგალიური ხაფანგი”, რაც ნიშნავდა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის კლების ფონზე გაჩენილ ეკონომიკის საშინაო და საგარეო დისბალანსს.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა ესტონეთის ეკონომიკაზე შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:<sup>70</sup>

**ფინანსური სტაბილურობის რყევა.** ეს თვალსაჩინო გახდა 2008 წლის დასაწყისში, როდესაც ერთ-ერთ უმსხვილეს უცხოურ ბანკში დადგა დეპოზიტების გადინების პრობლემა, ეს იმის ფონზე, რომ ამ ბანკს აგრეთვე შეეზღუდა ფინანსური რესურსის მიწოდება უცხოური პარტნიორის მხრიდან, რაც გამოწვეული იყო მსოფლიო ბაზარზე არსებული ფინანსური კრიზისით. ამას თან დაერთო მეზობელი ლატვიის პრობლემები, რომელიც დაფოლტის საფრთხის წინაშე იყო და ფიქსირებული სავალუტო რეჟიმის შენარჩუნების ფიონზე საერთაშორისო რეზერვების დაკარგვა ემუქრებოდა. მიუხედავად ამისა, ესტონეთის ფინანსური ბაზრის პრობლემები გაცილებით ნაკლები იყო ბალტიის სხვა ქვეყნებთან შედარებით.

**შიდა მოთხოვნა.** მას შემდეგ რაც მკვეთრად შემცირდა საგარეო დაფინანსება, ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა შიდა კრედიტების ზრდაზე. მან, თავის მხრივ, გარდა იმისა, რომ ფინანსურ ბაზარზე ნდობის კრიზისი გამოიწვია, შეამცირა ინვესტიციებიც და მოხმარებაც. შემცირდა სამთავრობო მოთხოვნაც, რაც გამოწვეული იყო მთავრობის ფისკალური ე.წ. “ქამრების შემოჭერის”

<sup>70</sup> “How Emerging Europe Came Through the 2008/09 Crisis”. An Account by the Staff of the IMF’s European Department. 2012y

პოლიტიკით. უმუშევრობის სწრაფმა ზრდამ, ხელფასების შემცირებამ, როგორც კერძო ისე საჯარო სექტორში და კერძო სექტორში არსებული ვალის მომსახურების პროცენტის ტვირთის ზრდამ კიდევ უფრო შეამცირა ერთობლივი მოთხოვნა.

**ექსპორტი.** ესტონეთის მთავარი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ ფინეთი, შვედეთი, ლატვია, რუსეთი და გერმანია, რომელთაც მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, უფრო მეტიც, ამ პერიოდში გამყარდა ესტონეთის გაცვლითი კურსი, რადგან მისმა ზოგიერთმა სავაჭრო პარტნიორმა 2009 წლის დასაწყისში გააუფასურა საკუთარი ვალუტა ევროსთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტის შემცირება თვალსაჩინო იყო (დაახლოებით 20 პროცენტი 2008 წლის პირველი კვარტლიდან 2010 წლის მეორე კვარტლამდე), რაც გამოწვეული იყო ჩრდილოელი მეზობლების ეკონომიკური კრიზისით, მისი წილი მშპ-ს შემცირებაში გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ერთობლივი მოთხოვნის შემცირებისა.

2008-2009 წლებში, კრიზისი გახდა რა თვალსაჩინო, ესტონეთის მთავრობის ძალისხმევა მიმართული იყო კრიზისის გამომწვევი მიზეზების და შედეგების წინააღმდეგ. საჭირო იყო დაკარგული საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის აღდგენა და ეროვნული ეკონომიკის გამოცოცხლება, რაც მათ ხელფასების და ფასების პოლიტიკის მოწესრიგებით გადაწყვიტეს. ევროსთან ფიქსირებული კურსის პირობებში ესტონეთმაც ლატვიის მსგავსად მიმართა ე.წ. შიდა მოწესრიგების პოლიტიკას, რასაც სჭირდებოდა არა მარტო ფისკალური პოლიტიკის გატარება, არამედ სამუშაო ძალის ბაზრის რეფორმირება, რათა გაზრდილიყო ამ ბაზრის მოქნილობა და სწრაფად მომხდარიყო პოლიტიკის ასახვა რეალობაში.


ამის გარდა, ანტიკრიზისული პოლიტიკის მიმართულებები იყო:

- I. საკანონმდებლო და მარეგულირებელი რეფორმები, რომელიც გაუმჯობესებდა საბანკო ზედამხედველობის და ფინანსური სტაბილიზაციის საკითხებს;
- II. სამართლებრივი ბაზის მომზადება და გაუმჯობესება, რომელიც საშუალებას მისცემდა ქვეყანას კრიზისის შემდეგ მოეხდინა კერძო ვალების რესტრუქტურიზაცია;
- III. სამუშაო ძალის დასაქმების აქტიური პოლიტიკა; და
- IV. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების მიმართვა ვაჭრობის სექტორისა და საინვესტიციო პროექტებისაკენ.

ესტონეთისა ხარჯების შემცირების პოლიტიკა 2009 წლის პირველ კვარტალში დაიწყო, უკვე იმავე წლის მაისში სავალუტო ფონდის მისიამ რჩევა მისცა ტალინს, რომ ხარჯების გარდა ყურადღება მიექციათ ასევე საგადასახადო შემოსავლებისათვის. გადასახადების საკითხი მწვავე შიდაპოლიტიკური დებატების საკითხი გახდა, მაგრამ იმავე წელს ქვეყნის მთავრობამ დაამტკიცა ახალი ბიუჯეტი, რომელშიც შემცირებული იყო დამატებული ლირებულების და აქციზის განაკვეთები.

ნახ. 3.2.5

### მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (პროცენტულად მშპ-სთან)<sup>71</sup>



ესტონეთის რეფორმები მიმართული იყო ორი მიზნის მიღწევისაკენ: გამოესწორებინა მდგომარეობა, როგორც ფინანსურ ბაზარზე, ისე რეალურ სექტორში. ეკონომიკური გამოცოცხლება დაიწყო 2009 წლის მეოთხე კვარტალში, ექსპორტმა დაიწყო ზრდა და გარკვეული პერიოდის ინტერვალით მას მოჰყვა ზრდადი ერთობლივი მოთხოვნა. როგორც ნახ. 3.2.1-ზე ვხედავთ 2010 წელს მშპ-ს ზრდის ტემპი 2 პროცენტი იყო, ხოლო 2011 წლისათვის 7 პროცენტს მიუახლოვდა. მიმდინარე ანგარიშის ბალანსის პროფილი შენარჩუნდა კრიზისის დაწყებიდან, რამაც მნიშვნელოვანი სტაბილიზაციის ფუნქცია შეასრულა, თუმცა როგორც ნახ. 3.2.5-ზე ვხედავთ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზების მიხედვით 2012-2013 წლებიდან ნავარაუდევია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდა, როგორც

<sup>71</sup> www.imf.org

დანაზოგების და ინვესტიციების ზრდის ხელმშემწყობი ერთ-ერთი ფაქტორი. გამოცოცხლების ფაზაში ნაკლებ სახიფათო იქნება 3-4 პროცენტიანი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი.

კრიზისმა აჩვენა, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით ესტონეთის ფინანსური ბაზარი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, რაც არსებული კაპიტალის და ლიკვიდობის მაღალი მოთხოვნებით და უცხოურ ფინანსურ ინსტიტუტებთან (რომელთაც უზარმაზარი დახმარებები მიიღეს საკუთარი ქვეყნის მთავრობებისგან და სწრაფად დაიწყეს გამოცოცხლება) განსაკუთრებით მჭიდრო ინტეგრაციით იყო გამოწველი.

მკაცრმა ფისკალურმა პოლიტიკამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საჯარო ფინანსების და ზოგადი მაკროეკონომიკური მდგომარეობა, რაც იმის წინაპირობა გახდა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ევროკავშირის მმართველი წრები უკვე 2010 წლის ბოლოს აცხადებდნენ, რომ ესტონეთს თავისუფლად შეეძლო 2011 წელს გამხდარიყო ევროზონის წევრი.<sup>72</sup>

ბალტიისპირეთის მესამე ქვეყანა ლიტვა კრიზისამდე რეგიონში ყველაზე დაბალი ზრდის ტემპით ხასიათდებოდა (ნახ. 3.2.1), თუმცა მთლიან შიგა პროდუქტთან მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ყველაზე დაბალი წილი ჰქონდა (ნახ.3.2.5). ფინანსური კრიზისის ნიშნები ლიტვაშიც უკვე 2008 წელს შეიმჩნეოდა, როდესაც შემცირდა კაპიტალის შემოდინება და გაიზარდა კაპიტალის გატანა ქვეყნის გარეთ.

ბუმის ეტაპი სწრაფად გადაიზარდა ეკონომიკურ რეცესიაში, რომელიც გამოწვია ერთობლივი მოთხოვნის შემცირებამ. ეს ტენდენცია გამოიკვეთა უკვე 2008 წლის მეოთხე კვარტალში, როდესაც ბანკები ცდილობდნენ, რომ მსოფლიოში მიმდინარე კრიზისის საპასუხოდ გაემკაცრებინათ ფინანსური სექტორისადმი მოთხოვნები, თუმცა საკრედიტო კრიზისმა და კრედიტების შემცირებამ, (კ.წ. credit crunch, როდესაც კრედიტის გაცემა მცირდება ფინანსური რესურსის არსებობის მიუხდავდ), რაც ძირითადად წარმართავდა ერთობლივი მთხოვნის ზრდას ბუმის ეტაპზე, მნიშვნელოვნად შეამცირა ერთობლივი მოთხოვნა.

უცხოურ მფლობელობაში არსებულმა ბანკებმა კრიზისის შედეგად მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადეს. დაკარგეს რა დეპოზიტორთა ნდობა იმის გამო, რომ მათ ქვეყნებში ფინანსური კრიზისი ძალებს იკრებდა და უამრავი ბანკი

<sup>72</sup> "How Emerging Europe Came Through the 2008/09 Crisis". An Account by the Staff of the IMF's European Department. 2012y

კოტრდებოდა. უკვე 2008 წლის დეკემბერში დაიკარგა მთლიანი დეპოზიტების 6.5 პროცენტი. დაუცა მომხმარებელთა და ინვესტორთა ნდობა ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით. გლობალური ვაჭრობის შემცირებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ერთობლივი მოთხოვნა. ლატვიის ძირითადი საექსპორტო ქვეყნები რუსეთი, ლატვია და ჩრდილოეთის ქვეყნები მნიშვნელოვან პრობლემებს განიცდიდნენ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენით, აქედან გამომდინარე 2008 წლიდან 2009 წლამდე ლიტვის ექსპორტი შემცირდა 22 პროცენტით.

კრიზისთან და მის შედეგებთან საბრძოლველად ლიტვის მთავრობამ დასახა სამოქმედო გეგმა, რომელშიც ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება. საკრედიტო ბაზარზე გაჩენილი პრობლემების საპასუხოდ, რომლებიც ძირითადად შვედური ბანკების ფილიალების პრობლემებით დაიწყო, ლიტვის ეროვნულმა ბანკმა ლიკვიდობის გასაზრდელად სავალდებულო რეზერვების ნორმა 6-დან 4 პროცენტამდე შეამცირა. უკვე კრიზისის დასაწყისიდან ლიტვის ეროვნული ბანკი აცხადებდა რომ ბანკები ინარჩუნებდნენ მოგებას, ყველაფერი კონტროლს ქვეშ ყავდა აყვანილი და ფინანსური მონიტორინგის საფუძველზე მისი მოთხოვნის შესაბამისად ბანკებს კაპიტალის აღექვაზურობის კოეფიციენტი უნდა გაეზარდათ 8-დან 10 პროცენტამდე, რაც თავის მხრივ დამუხრუჭებდა ფინანსური კრიზისის გავრცელებას.

საჭირო იყო მნიშვნელოვანი ფისკალური მოწესრიგება, რათა დაეფინანსებინათ სამთავრობო ხარჯები და ამისათვის მოეძიათ რესურსები. ფისკალური რეფორმების არგატარების შემთხვევაში 2009 წლისათვის ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-სთან მიმართებაში გაიზრდებოდა 16.5 პროცენტამდე. ერთი კვირის განმავლობაში შეიქმნა ახალი ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც უნდა შემცირებულიყო ხარჯები და გაზრდილიყო საგადასახადო შემოსავლები. კრიზისის პიკში, 2009 წლის ივლის-მაისში, აშკარა გახდა, რომ საბიუჯეტო მოწესრიგებამ 7 პროცენტს მიაღწია და როგორც 3.2.4 გრაფიკიდანაც ჩანს 2009 წლის ბიუჯეტის დეფიციტმა მშპ-სთან მიმართებაში დაახლოებით 9.2 პროცენტი შეადგინა.

მოწესრიგების ძირითადი სიმძიმე გადატანილი იყო ხარჯების მოწესრიგებაზე; ნათელი გახდა რომ, დანაზოგების და დაფინანსების წყაროების მოძიება პრობლემებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ 2009 წლის ბიუჯეტი ძრითადად მიმდინარე და არაევროპული კაპიტალის ხარჯვას დაეყრდნო. სამაგიეროდ ამან მისცა ქვეყნას დრო, რომ 2010 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას

უფრო გრძელვადიანი და სიღრმისული სტრუქტურული რეფორმები გაეტარებინა. 2009 წელს განხორცილდა სახელფასო რეფორმა და მნიშვნელოვნად შემცირდა სახელფასო ხარჯები, ანუ შემცირდა როგორც ზოგადად ძირითადი ხელფასები, ისე ბონუსების რაოდენობა და სიდიდე, გაიზარდა უხელფასო შვებულების ხანგრძლივობა და აგრეთვე მოხდა მომსახურე პერსონალის რაოდენობის ცვლილებაც. მთავრობამ ასევე განახორციელა სხვა სტრუქტურული რეფორმებიც, დადგენილი ხარჯების მისაღებ დონემდე მიყვანის მიზნით.

საბიუჯეტო მოწესრიგებაში აგრეთვე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გადასახადის განაკვეთების ცვლილებებმაც. დამატებული დირებულების გადასახადი გაიზარდა 3 პროცენტული პუნქტით და 2009 წელს 21 პროცენტს გაუტოლდა, თუმცა გაფართოვდა დღგ-ს დასაბეგრი ბაზაც გარკვეული შედაგათების გაუქმებით. ეს ნაწილობრივ გადაიფარა 2009 წლის დასაწყისში საშემოსავლო გადასახადის 2 პროცენტული პუნქტის კლებით, მაშინ როცა 2009 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა 5 პროცენტული პუნქტით გაზრდილ მოგების გადასახადის მიხედვით, თუმცა არსებობდა მოსაზრება, რომ ამას შეიძლება უარყოფითი ეფექტი მოეხდინა 2010 წელს ინვესტიციების დინამიკაზე.

ფინანსური კრიზისის პიკზე ყველა განვითარებადი ქვეყნისათვის თითქმის დაიხურა საერთაშორისო კაპიტალის ბაზარი, ამიტომ ლიტვის მთავრობამ აქტიურად დაიწყო ალტერნატიული დაფინანსების წყაროების მოძიება. 2008 წლის ნოემბერში ევროკავშირმა შეცვალა საკუთარი პოლიტიკა დაფინანსების მოძიებასთან დაკავშირებით და წევრ ქვეყნებს დართო ნება აედოთ დამატებითი სესხები სტრუქტურული და ერთობლივი ფონდებისათვის. ლიტვის მთავრობამ კარგად ისარგებლა აღნიშნული პროგრამით და ევროპული ფონდებისაგან ჯერ 2008 წელს 1.2 მილიარდი ევროს აღება მოახერხა, ხოლო 2009 წელს 1.75 მილიარდის. ეს ქვეყნას დაეხმარა შეენარჩუნებინა კაპიტალური ხარჯების მოცულობები კრიზისის პერიოდში. ლიტვამ აგრეთვე მოახერხა 1 მილიარდი ევროს მოცულობის მრავალწლიანი დაფინანსების მიღება ევროპის საინვესტიციო ბანკისაგან და შედარებით ნაკლები თანხების მოძიება ჩრდილოეთის საფინანსო დაწესებულებისაგან. ბოლოს მათ აგრეთვე გაყიდეს საწარმო “Mazeikiu”-ს აქციათა პაკეტი 245 მლნ ევროდ.

ამ ღონისძიებათა პაკეტი ქვეყნას დაეხმარა აეცილებინა საგალუტო და საფინანსო კრიზისები და ქვეყნას მიეღწია სტაბილურობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წელს ლიტვის სიდიდით მეტეთ ბანკები თავი ბანკროტად

გამოაცხადა, საბანკო სისტემა სტაბილური დარჩა. საბანკო სისტემის საერთო მოგება ორწლიანი ზარალის მიუხედავად უკვე 2011 წლისათვის დაუბრუნდა კრიზისამდელ დონეს. აგრეთვე ქვეყანამ შეძლო, რომ შეენარჩუნებინა ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი. როგორც კი მთავრობამ დაიწყო რეფორმების გატარება, ამან საშუალება მისცა შემდგომში აედო ევრობონდები უფრო მეტი ვადით და დაბალი პროცენტით. ევრობონდებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს, როგორც ბიუჯეტის დეფიციტის ორი მესამედის დაფინანსებაში, ისე საერთაშორისო რეზერვების ზრდაში, რომელმაც ქვეყნის ფინანსური სიტემის მიმართ საზოგადოებას ნდობა დაუბრუნა და საშუალება მისცა შეენარჩუნებინათ საგალუტო საბჭო.

პროგრამათა შედეგები მართალია მოკრძალებული, თუმცა ზრდისკენ იყო მიმართული და 2010 წლისათვის მშპ-ს 1.4 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა, თუმცა უკვე 2011 წლისათვის იგივე მაჩვენებელმა თითქმის 6 პროცენტს მიაღწია (იხ. ნახ. 3.2.1), სწრაფად მოწესრიგდა საგარეო დისბალანსიც და 2008 წელს არსებული 14.6 პროცენტიანი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, 2010 წელს 4.7 პროცენტიან პროფიციტი გადაიზარდა. (იხ. ნახ. 3.2.5)

მიუხედავად გამოცოცხლებისა, ქვეყანაში ჯერ კიდევ სახეზეა პრობლემები, კვლავ მაღალია უმუშევრობის დონე და არსებობს ევროპული კრიზისის გაღრმავების საშიშროებაც. აღსანიშნავია, რომ (როგორც 3.2.5 გრაფიკზე ვხედავთ საერთაშორისო საგალუტო ფონდის პროგნოზების მიხედვით) გადაიარა რა კრიზისის დაცემის ტალღამ და ეკონომიკამ სტაბილურად დაიწყო გამოცოცხლება, საჭიროა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ქონა, რათა იგი გახდეს ინვესტიციების დამატებითი წყარო, შემცირებული შიდა დანაზოგების ფონზე.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად ბალტიის ქვეყნებში გატარებული რეფორმებისა, ჩვენს მიერ განხილულ სამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანასთან შედარებით, ამ ქვეყნებზე უფრო მძაფრად აისახა კრიზისი და მის განვითარებად ეკონომიკას უფრო მეტი დარტყმა მიაყენა. მსოფლიო ეკონომიკის გავლენა შედარებით ნათელი აღმოჩნდა რეალურ სექტორზე თუ საფინანსო სექტორი შედარებით ნელა მიყვა მსოფლიო ტენდენციებს, მთლიანი შიგა პროდუქტი სწრაფად დაეცა და რეცესია უფრო ღრმა აღმოჩნდა, ვიდრე მსოფლიო და თუნდაც ევროკავშირის 27 ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი იყო. კრიზისის დაძლევის პროგრამებში გამოიკვეთა საერთო ტენდენცია. ბალტიის სამივე ქვეყანამ გადაწყვეტა შეენარჩუნებინა ფიქსირებული საგალუტო კურსი ევროსთან

მიმართებით, რამეთუ მათი მთავარი მიზანი იყო ევროზონასთან მიერთება და ევროპულ ეკონომიკასთან კიდევ უფრო მეტი ინტეგრაცია. შემცირეს საბიუჯეტო ხარჯები არა რომელიმე პროექტებზე უარის თქმით, არამედ სახელფასო ხარჯების შემცირებით და საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის ოპტიმიზაციით. ფისკალურ კონსოლიდაციასთან ერთად კრიზისს უპასუხეს საგადამხდელო ბალანსის პროფიციტით, რათა არ დაეკარგათ ინვესტორთა ნდობა და არ დაეშვათ საგარეო დისბალანსით გამოწვეული დამატებითი პრობლემების გაჩენა. საგადასახადო განაკვეთების ცვლილებებით შეცვალეს საგადასახადო წესის მიმართულება და შეეცადნენ ხელი შეეწყოთ ერთობლივი მოთხოვნის ზრდისათვის.


შეიძლება ითქვას, რომ ბალტიის ქვეყნებმა, ჩვენს მიერ განხილული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსად, მეტნაკლები წარმატებით მოახდინეს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაცია. ჩაერთნენ მსოფლიო წარმოების ერთიან პროცესში და გაითავისეს ის “თამაშის წესები”, რომლებიც ჩამოყალიბებულია მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის უმთავრესი აქტიორების მიერ. ბალტიის ქვეყნების მიერ გატარებულმა სწორმა და სწრაფმა რეფორმებმა მათ საშუალება მისცა გამოეყენებინათ შიდა თუ საერთაშორისო რესურსი და მეტნაკლებად შეერბილებინათ მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის უარყოფითი ეფექტები.

### 3.3 საქართველო

საქართველოს ეკონომიკაზე მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციების ზემოქმედების განხილვამდე ჯერ ზოგად ეკონომიკურ ვითარებას და ტენდენციებს გავეცნოთ, ხოლო შემდეგ შესაძლებელი იქნება სხვადასხვა მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდებით დავამზრდოთ ის კაგშირები და გავლენები, რომლითაც მსოფლიო ეკონომიკის კონიუნქტურის ცვლილება უშუალოდ უნდა აისახებოდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ პარამეტრებზე ან დავასაბუთოთ ის კონკრეტული შემთხვევები, როდესაც თეორიული ჭეშმარიტების მიუხედავად პრაქტიკული კაგშირები არ იკვეთება.

საქართველო, ისე როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნები, საბჭოთა კავშირის წევრი იყო და მათ მსგავსად სისტემის ოღვევა კატასტროფულად აისახა მის ეკონომიკაზე. განხილულ ქვეყნებს შორის ყველაზე ღრმა კრიზისში სწორედ საქართველო დაფიქსირდა. 1992 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპმა -45% შეადგინა, რაც ერთმნიშვნელოვნად ძალიან ცუდი მაჩვენებელი იყო. მოშლილ ეკონომიკურ კაგშირებს თან დაერთო ეროვნული მოძრაობის ფარგლებში გამართული მრავალათასიანი მიტინგები, ორი ლოკალური კონფლიქტი და სამოქალაქო ომი. ამ პერიოდის ეკონომიკური ვარდნა იმდენად ღრმა და ყოვლისმომცველი იყო, რომ ზემოთნაჩვენები ისტორიული მონაცემების მიხედვით 2011 წლის მშპ 1989 წლის მშპ-ს მხოლოდ 62%-ს შეადგენდა. ეს გახდავთ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. თუ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება 90-იან წლებში მეტნაკლები რყევებით ხასიათდებოდა, უკვე 2000-იანი წლებიდან დაიწყო აღმავლობის ეტაპი, რომელიც 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და აგვისტოს ომის გამო მნიშვნელოვნად გაუარესდა და 2009 წელს მშპ-ს ზრდამ -3.8% შედგინა.

### მშპ-ს პროცენტული ცვლილება წინა წელთან შედარებით 1984-2012წწ<sup>73</sup>



აღსანიშნავია, რომ თუ 90-იანი წლების ეკონომიკური რეცესია ყველაზე ღრმა საქართველოში იყო, იგივე არ ითქმის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის რეცესიის ტემპზე. 2008-2009 წლების ვარდნა საქართველოში ოდნავ უარესი იყო მსოფლიო მაჩვენებელზე და პოლონურ ზრდის ტემპზე, ხოლო ჩვენი მაჩვენებელი გაცილებით უკეთესი იყო დანარჩენ 5 ქვეყანასთან შედარებით. უკვე 2009 წლიდან კვლავ დაიწყო გამოცოცხლება და 2011 წელს 7%-იანი ზრდა დაფიქსირდა. როგორც ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ 2012-2015წწ ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტში არსებული პროგნოზებში ვკითხულობთ<sup>74</sup>: 2012 წელს რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი 5.0% იქნება, 2013 წელს 6.5%-მდე გაიზრდება, ხოლო 2014-2015წწ 7.0%-ს მიაღწევს და შენარჩუნდება. თუმცა მაინც აღსანიშნავია 2000-იანი წლების ზრდა, 2011 წელს 2000 წელთან შედარებით რეალური მშპ გაორმაგდა.

2000-იანი წლებიდან მნიშვნელოვნად იზრდებოდა საგარეო სავაჭრო ბრუნვა. ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა 2003-2004 წლებში (40% და 56%). 11 წლის განმავლობაში ერთხელ, 2009 წელს აღინიშნა ბრუნვის შემცირება და -27%-ით დაფიქსირდა. აქედან კვლავ დაიწყო გამოცოცხლების ტენდენცია და უკვე 2011 წელს ზრდამ 35% მეადგინა. ამ პერიოდში იზრდებოდა სავაჭრო დეფიციტიც და


<sup>73</sup> <http://www.ers.usda.gov/Data/Macroeconomics>

<sup>74</sup> <http://mof.ge/BDD>

1995 წელს -333 მლნ აშშ დოლარიდან 2011 წელს -4.8 მლრდ აშშ. დოლარამდე გაიზარდა. ამ პერიოდის დასაწყისში შედარებით სტაბილური იყო მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, თუმცა უკვე 2004 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა დეფიციტის სიღრმე და 2008 წელს თავის მაქსიმუმს -2.8 მლრდ დოლარს მიაღწია.

ნახ. 3.3.2

### მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (პროცენტულად მშპ-სთან)<sup>75</sup>



დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 1995 წელს ეროვნული გალუბის ლარის შექმნა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეკონომიკის სტაბილიზაციაში. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ეროვნული გალუბის შემოღებამდე ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობდა არანაირი მონეტარული პოლიტიკა მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკი უკვე 1991 წლიდან ფუნქციონირებდა. ქვეყანაში მიმოქცევაში იყო დოლარი და განსაკუთრებით დიდი რაოდენობით რუსული რუბლი, რომელიც ინერციით საბჭოთა კავშირის გამოცდილების გათვალისწინებით ასრულებდა მთავარი გალუბის ფუნქციას. რუსულ მხარეზე იყო დამოკიდებული ქვეყანაში გალუბის რეგულირება და ფულზე მოთხოვნის დაკმაყოფილება მხოლოდ რუსეთში განხორციელებული ექსპორტით იყო შესაძლებელი. ამ სიტუაციაში შეუძლებელი იყო მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა, თუმცა შეაღედური გალუბის, კუპონის გამოცდილების მიხედვით, ძალიან დიდი რისკი იყო ეროვნული გალუბის შემოღება და მყარ გალუბად გადაქცევა.

<sup>75</sup> [www.imf.org](http://www.imf.org)

ეროვნული ვალუტის შემოღების პარალელურად დაიწყო მნიშვნელოვანი ძვრები, ეროვნულმა ბანკმა შეიძინა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ის ფუნქცია, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბაზო ეკონომიკის ქვეყნებში. მან გარკვეული წარმატებით დაიწყო კერძო ბანკების ზედამხედველობის ფუნქციის შესრულება, ზომიერი გამონაკლისის გარდა მყარად შეინარჩუნა ვალუტის კურსი და მეტნაკლები წარმატებით ცდილობდა მონეტარული პოლიტიკის გამოყენებით ინფლაციის კონტროლს. როგორც ცნობილია, ამ ორი უკანასკნელი მიზნის ერთდროულად მიღწევა გრძელვადიან პერიოდში შეუძლებელია, ამიტომ უკვე 2009 წლიდან ეროვნული ბანკის მიერ ეკონომიკური სტაბილურობის მთავარ მაკროეკონომიკურ ინსტრუმენტად ინფლაცია გამოცხადდა და ბანკი გადავიდა საშუალოვადიანი მიზნობრივი ინფლაციის პოლიტიკაზე.<sup>76</sup>

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ცდილობს ხელი შეუწყოს ქვეყანაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას და მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ქვეყნის ანტიკრიზისული პოლიტიკის გატარებაში. ამის დამადასტურებელია ეროვნული ბანკის მზადყოფნა ჩვენს მიერ მეორე თავში განხილულ ბაზელის კრიტერიუმების პრაქტიკაში დანერგვასთან დაკავშირებით. 2008 წელს ეროვნული ბანკის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა ბაზელ II-ის კრიტერიუმების საქართველოში დანერგვასთან დაკავშირებით, რომელიც 2011 წლისათვის იყო დაგეგმილი.<sup>77</sup> თუმცა უკვე აღვნიშნეთ, რომ კრიზისის პერიდში კიდევ ერთხელ გადაიხედა ბაზელის კრიტერიუმები და დამუშავდა ბაზელ III-კიდევ უფრო გამკაცრებული მოთხოვნებით. საქართველოს ეროვნულ ბანკში ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა განახლებული ბაზელ III-ის დასანერგად, რაც ხელს შეუწყობს ფინანსური სიტემის გაჯანსაღებას და სტაბილურ განვითარებას.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს ურთიერთობა უკვე დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე დაიწყო და ქვეყანა შიდა თუ გარე პრობლემების მიუხედავად ცდილობდა გამხდარიყო საერთაშორისო საზოგადოების ღირსეული წევრი. 1992 წლის ივლისში საქართველო გაეროს 179-ე წევრი გახდა, რაც ორგანიზაციის ღირებულებების და პრინციპების აღიარებას გულისხმობდა. საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისი 1993 წლის

<sup>76</sup> <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=538>

<sup>77</sup> <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=752>

დასაწყისში გაიხსნა. ამ დროიდან მოყოლებული ქვეყნის განვითარების და მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოში ერთ გუნდად მუშაობს გაეროს მრავალი სააგენტო, ფონდი და პროგრამა. ქვეყანაში ზოგიერთ სააგენტოს, ფონდს და პროგრამას მუდმივი ოფიციალური წარმომადგენლობა აქვს, ზოგიერთი მათგანი კი ქვეყნის მხარდაჭერას ადგილობრივი წარმომადგენლობის გარეშე რეგიონული ოფისიდან ან გაეროს შტაბბინიდან ახორციელებს. გაეროს ის სააგენტოები, რომელთაც მუდმივი წარმომადგენლობა აქვთ, ქვეყანაში საქართველოს გაეროს სააგენტოთა ჯგუფში (UNCT) ერთიანდებიან. საქართველოს გაეროს სააგენტოთა ჯგუფს გაეროს მუდმივი კოორდინატორი ხელმძღვანელობს. ეს ჯგუფი საქართველოს მთავრობასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით მუშაობს საქართველოს მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად.<sup>78</sup>

1992 წლის 5 მაისს საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდში, 1992 წლის 25 ივნისს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში, 1992 წლის 8 ივლისს მსოფლიო ბანკში, 1992 წლის 31 ივლისს გაეროში, 1993 წლის 23 ოქტომბერს დსთ-ში (ეს ორგანიზაცია ოფიციალურად დატოვა 2009 წლის 19 აგვისტოს) გაწევრიანდა. 1996 წლის 22 აპრილს ხელი მოაწერა ევროკავშირთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის შეთანხმებას, ხოლო 1997 წლიდან მონაწილეობას იღებს რა ევრო-ატლანტიკურ პარტნიორობაში, მჭიდროდ თანამშრომლობს ნატოსთან. 1999 წლის 27 აპრილიდან საქართველო ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრია. მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება ამოქმედდა 2000 წლის 14 ივნისიდან.

საქართველოს მსოფლიო სიკრცეში ინტეგრირების ხარისხის შესაფასებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ გლობალიზაციის ეწ. KOF ინდექსი<sup>79</sup>, რომელიც არის აგრეგირებული მაჩვენებელი და მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს, ხოლო ამ სამი ინდექსის შეწოვის შედეგად გამოანგარიშებულია ერთიანი გლობალიზაციის ინდექსი. ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსს ერთიან ინდექსში აქვს 36%-იანი წილი, სოციალური გლობალიზაციის ინდექსს – 37%-იანი წილი, ხოლო პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსს 26%-იანი წილი.

<sup>78</sup> <http://www.unigeorgia.ge/geo/uningeorgia.php>


<sup>79</sup> [www.globalization.kof.ethz.ch](http://www.globalization.kof.ethz.ch)

საინტერესოა საქართველო განვიხილოთ ეკონომიკური და ერთიანი გლობალიზაციის კუთხით. ეკონომიკური გლობალიზაცია გამოანგარიშებულია ვაჭრობის, პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის შრომის ანაზღაურების პროცენტული შეფარდებით მიმდინარე მთლიან შიგა პროდუქტთან, აგრეთვე გათვალისწინებულია გადასახადები და ტარიფები საერთაშორისო ვაჭრობაზე, არასატარიფო ბარიერები და მიმდინარე ანგარიშის თავისებურებები.

რეტროსპექტული მაჩვენებლების გათვალისწინებით ორივე ინდექსის ზრდა დაიწყო 1996 წლიდან, როდესაც 1995 წელს ქვეყანაში მიღებულ იქნა კონსტიტუცია და მეტნაკლებად ჩამოყალიბდა სახელმწიფო ინსტიტუტები. მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ იზრდებოდა ორივე ინდექსი, თუმცა ეკონომიკური გლობალიზაციის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ერთიან ინდექსს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სოციალური და პოლიტიკური გლობალიზაციის კუთხით ნაკლები აქტიურობით გამოვირჩევით.

ნახ. 3.3.3


### მთლიანი და ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსი



რაც შეეხება 2009 წლის მდგომარეობას, ჩვენ მიერ განხილულ ინდექსებს შორის ყველაზე მეტი სხვაობა დაფიქსირდა. ერთიანი გლობალიზაციის ინდექსში განხილულია 187 ქვეყანა, რომელთა შორის საქართველო 69-ე ადგილზე იმყოფება.

ნახ. 3.3.4

### მთლიანი გლობალიზაციის ინდექსი (2009წ)




ამ მაჩვენებლით საქართველო რეგიონში აზერბაიჯანსა და სომხეთზე წინაა, ხოლო თურქეთსა და რუსეთს ჩამორჩება.

რაც შეეხება ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსს, ეს მონაცემი გამოთვლილია 148 ქვეყნისათვის, საქართველო ამ მაჩვენებლით რეგიონის ლიდერია და მსოფლიო სიაშიც 29-ე ადგილზე იმყოფება.

ნახ. 3.3.5

### ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსი



ეს ორი მაჩვენებელი გაანგარიშებულია სხვადასხვა რაოდენობის ქვეყნებისათვის და მათი შემადგენელი კოპონენტებიც განსხვავდება

ერთმანეთისაგან. მონაცემების სტატისტიკური დამუშავების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ერთიანი გლობალიზაციის ინდექსი საშუალოდან და მედიანიდან გადახრილია 0.34, მაქსიმუმიდან – 1.9, ხოლო მინიმუმიდან – 2.2 სტანდარტული გადახრით. რაც შეეხება ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსს, იგი საშუალო მაჩვენებლიდან და მედიანიდან გადახრილია 0.9, მაქსიმუმიდან – 1.3, ხოლო მინიმუმიდან – 3.1 სტანდარტული გადახრით. ეს ანალიზი კიდევ უფრო ამტკიცებს თავდაპირველ მოსაზრებას, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით საქართველო მნიშვნელოვნად აღემატება ქვეყნის საერთო გლობალიზაციის დონეს.

საქართველოს საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური კურსი ძირითადად მიმართულია ევროპული სივრცისაკენ, იგი მჭიდროდ თანამშრომლობს ევროკავშირის სტრუქტურებთან და ქვეყნის მთავარ საგარეო ვექტორად არჩეული აქვს ევროკავშირში და ნატოში ინტეგრაცია. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ევროპასთან ე.წ. “აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელშეკრულება”, რომელიც წარმოადგენს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ მიმართულების ნაწილს და მთავარი მიზანია ევროპული სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ პარტნიორ ქვეყნებთან, თუმცა მოცემული ინიციატივა უფრო შორს მიდის და ხსენებულ პარტნიორ ქვეყნებს ევროკავშირთან უფრო მეტად დაახლოების მიზნით კონკრეტულ პერსპექტივებს სთავაზობს.

საქარათველო მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. მისი პირველი მისია 1991 წელს შემოვიდა, რომელსაც გაცნობითი ხასიათი ჰქონდა, ხოლო 1992 წელს საქართველო გახდა ამ ორგანიზაციის წევრი. იგი იყენებდა და იყენებს ფონდის, როგორც ფინანსურ, ისე ტექნიკურ დახმარებებს, მისი საქმიანობა როგორც ბევრ ქვეყანაში, საქართველოშიც წარმოადგენდა განხილვის და კრიტიკის საგანს, თუმცა მისი როლი ქვეყნის განვითარების და მაკროეკონომიკური სტაბილურობის კუთხით ცალსახად დადებითია.

ფონდის ბოლო ორწლიანი პროგრამის შესახებ 2012 წლის 12 აპრილს გამოქვეყნდა სავალუტო ფონდის გებგვერდზე, რომელიც გულისხმობს საქართველოსათვის 385.6 მლნ ლარის გამოყოფას, რომლის ათვისებაც მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი. ახალი შეღავათიანი სესხი სარგებერვო დაფინანსების მექანიზმის (Stand-By Arrangement - SBA) და სარეზერვო-

საკრედიტო ხაზის (Standby Credit Facility - SCF) პროგრამების ფარგლებში მოხდება. საქართველომ საგალუტო ფონდთან SBA-ის ფარგლებში მაკროეკონომიკური მხარდაჭერის მიზნით განხორციელებული 33-თვიანი პროგრამა 2011 წლის ივნისში დაასრულა. ამ პროგრამის ფარგლებშიც საქართველოსთვის მთლიანად 900 მილიონ აშშ დოლარამდე გამოიყო. ახლა SBA-ის მექანიზმს დაქმატა სარეზერვო-საკრედიტო ხაზის (SCF) პროგრამაც, რომელსაც საგალუტო ფონდი იმ დაბალ შემოსავლიანი ქვეყნებისთვის იყენებს, რომლებმაც გარკვეულწილად უკვე მიაღწიეს მაკროეკონომიკურ მდგრადობას, მაგრამ პერიოდულად შესაძლოა კვლავაც აღმოჩნდნენ ფინანსური დახმარების საჭიროების წინაშე. ფონდის განცხადებით საქართველოს ეკონომიკა 2011 წელს მოსალოდნელზე უკეთ განვითარდა და 7%-ით გაიზარდა; ინფლაცია დაბალ, ერთნიშნა მაჩვენებელზე ჩამოვიდა; სახელმწიფოს ვალი მშპ-თან მიმართებაში 34%-მდე შემცირდა, ხოლო საერთაშორისო რეზერვები 2.8 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, თუმცა საშუალოვადიან გამოწვევებს შორის უმუშევრობის პრობლემასთან ერთად რჩება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირების აუცილებლობა, რომელიც 2011 წელს მშპ-თან მიმართებაში 11.8%-ს შეადგენდა.<sup>80</sup> ეს კარგად ჩანს ნახ 3.3.2-შიც, სდაც საერთაშორისო საგალუტო ფონდის რეკომენდაციით 2012 წლის შემდეგ უნდა დაიწყოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირება.

საქართველო საგალუტო ფონდის ფინანსურ დახმარებებთან ერთად მნიშვნელოვან სარგებელს იღებდა რეკომენდაციებისა და სხვა ტექნიკური დახმარებების სახით, თუმცა ცალკე აღსანიშნავია ფონდის ფარგლებში დამუშავებული სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტების ჩვენს ქვეყანაში დანერგვის და პრაქტიკაში განხორციელების სამუშაოები. ამ მხრივ შეიძლება გამოვყოთ SDDS (Special Data Dissemination Standard) და GFS (Government Finance Statistics) პროგრამები, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მსოფლიო ეკონომიკურ სივრცესთან კიდევ უფრო დაახლოებაში, საერთო წესებისა და სტანდარტების გაზიარების გზით.

საქართველო საერთაშორისო საგალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების სპეციალურ სტანდარტს (SDDS) 2010 წლის 17 მაისიდან მიუერთდა, როგორც მეორე თავშიც აღვნიშნეთ, სტანდარტი ძირითადად მოიცავს რეალური, ფისკალური, ფინანსური და საგარეო სექტორების მონაცემებს. მონაცემებს

<sup>80</sup> <http://www.imf.org/external/np/sec/pr/2012/pr12131.htm>


სტანდარტით დადგენილი პერიოდულობით და ვადებში გაავრცელებენ საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო და სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სტანდარტი უზრუნველყოფს დროული და სრული სტატისტიკური ინფორმაციის მისაწვდომობას და ამგვარად ხელს უწოდს თანმიმდევრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. სტანდარტის მოთხოვნების რეალიზება ხელს უწოდს, აგრეთვე, ფინანსური ბაზრების გამართულ ფუნქციონირებას.<sup>81</sup>

აღსანიშნავია, რომ სტანდარტში მონაწილეობას დიდ ყურადღებას აქცევენ ინვესტორები, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის ამაღლებისთვის და ზოგადად, ქვეყნის მიმართ ნდობის დამკვიდრებისთვის. საერთაშორისო სარეიტინგო ორგანიზაციები (S&P, Fitch, Moody's), ქვეყნების შეფასებისას ყურადღებას აქცევენ SDDS-ში მათ მონაწილეობას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, SDDS-ში მონაწილეობა არსებითად ამცირებს საპროცენტო განაკვეთებს სასესხო ვალდებულებების გამოშვებისას. სტანდარტების გამოყენება ხელს უწოდს ეროვნული ვალუტის ნომინალური კურსის სტაბილურობას. გარდა ამისა, საგარეო ვალის რესტრუქტურიზებისას პარიზის კლუბის წევრი ქვეყნები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სტანდარტში დებიტორი ქვეყნის მონაწილეობას.

საინტერესოა გაანალიზდეს საქართველოს მიერ 2009 წლიდან აღებულ საგარეო ვალზე არსებული შეწონილი საპროცენტო განაკვეთებიც, რაც ზემოთ აღწერილი SDDS-ის წევრობის უპირატესობის გათვალისწინებით კლებადი ან სტაბილური მაინც უნდა იყოს.

<sup>81</sup> [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=559&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=559&lang=geo)

### საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი საგარეო სესხებზე<sup>82</sup>



ნახ. 3.3.6-ზე გამოსახული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი დათვლილია წინა პერიოდში გაფორმებულ სესხებზე. როგორც ჩანს, 2009-2010 წლებში ეს განაკვეთი მნიშვნელოვნად მცირდებოდა, 2011 წლის მარტიდან უმნიშვნელოდ გაიზარდა და ივნისიდან კვლავ კლება დაფიქსირდა. ახალი სესხების ხელსაყრელი პირობებით აღება შეიძლება სხვადასხვა მიზეზებით ავხსნათ, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, SDDS-ის ხელმომწერი ქვეყნებისათვის ხშირად საპროცენტო განაკვეთი იკლებს პროგრამაში ჩართვის შემდეგ, რასაც საქართველოს მონაცემიც ადასტურებს.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის (Government Finance Statistics, GFS) თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწესრიგებაში. უკვე 90-იან წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დაიწყო სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის ახალ ვარიანტზე მუშაობა, რომელიც ქვეყნებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს კიდევ უფრო სრულყოფილად მისცემდა ფისკალური ანალიზის საშუალებას და ემყარებოდა ძველ, 1986 წლის სტანდარტს. დამუშავდა ახალი GFS 2001, რომელიც მთლიანად იზიარებდა ფონდის მიერ დამუშავებულ “ეროვნული ანგარიშების სისტემა 1993”-ის პრინციპებს. შესწორებული სტანდარტი აგრეთვე შესაბამისობაში მოდიოდა სხვა

<sup>82</sup> წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საერთაშორისოდ აღიარებულ მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებთან, რათა ხელი შეეწყო და კიდევ უფრო გაეძლიერებინა ფისკალური ანალიზის საშუალებები. საერთაშორისო სავალუტო ფონდი ყოველთვის ცდილობს, რომ SDDS-ს და სხვა სტატისტიკური სისტემების ხელმომწერ ქვეყნებს რეკომენდაცია გაუწიოს სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის ახალი სტანდარტების დანერგვისათვის. საერთო, პარმონიზებული სტანდარტები სულ უფრო ამარტივებს და ეფუქტიანს ხდის მაკროეკონომიკურ და ფისკალურ ანალიზს.

GFS 2001-ის დანერგვა საქართველოში ინტენსიურად 2008 წელს დაიწყო, ამ წელს სტანდარტის მიხედვით აღირიცხა ცენტრალური ბიუჯეტის მონაცემები, ხოლო 2009 წლიდან უკვე, როგორც ცენტრალური ისე ადგილობრივი ბიუჯეტები მთლიანად გადავიდნენ მონაცემთა კლასიფიკაციისა და აღრიცხვის ამ ახალ სტანდარტზე.<sup>83</sup> მისი პრაქტიკაში დანერგვის დღიდან პერმანენტულად მიმდინარეობს GFS 2001-ის განახლება და მეთოდების დახვეწა, ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობს ქართული მხარეც, ფინანსთა სამინისტროს ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტის სახით<sup>84</sup>. სულ უფრო და უფრო ინტენსიური ხდება სამუშაო ჯგუფის შეხვედრები და თუ დაგროვილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების მოცულობასა და ხარისხს გავითვალისწინებთ, შესაძლებელია მოხდეს მესამე, კიდევ უფრო სრულყოფილი სისტემის დამუშავება.

საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან გაწეული, როგორც ტექნიკური, ისე ფინანსური დახმარება, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ისეთი ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში, რომლებიც შესაბამისობაში იქნებიან საერთაშორისო ანალოგებთან, რაც, თავის მხრივ, აჩქარებს ჩვენი ქვეყნის დირსეულ ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში.

როგორც აღვნიშნეთ, ეროვნული ბანკის მეტნაკლებად წარმატებულმა ფუნქციონირებამ და ლარის სტაბილურობამ დადგებითი გავლენა მოახდინა საქართველოს ფინანსურ და მთლიანად ეკონომიკურ გარემოზე, თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, ქვეყანაში მაინც ვერ განვითარდა ძლიერი ფინანსური ბაზარი, რისთვისაც მხოლოდ ეროვნული ბანკის მუშაობა არ ქმარა და მას სხვა ობიექტური მიზეზებიც უნდა განაპირობებდეს. მხოლოდ არსებობს, თუმცა ეკონომიკაზე არავითარი გავლენა არ აქვს საქართველოს საფონდო ბირჟას, არ

<sup>83</sup> International Financial Statistics Yearbook 2009-2011

<sup>84</sup> <http://www.mof.ge/News/4946>

განვითარდნენ სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტები და ფინანსური ბაზრის უმთავრესი მონაწილეები მხოლოდ კომერციული ბანკები არიან.

აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკები არიან ის ინსტიტუტები, რომლებსაც ყველაზე მჭიდრო ურთიერთობები აქვთ უცხოურ მოთამაშეებთან, ქართული ბანკები გამოირჩევიან უცხოური კაპიტალის წილობრივი მონაწილეობის მაღალი დონით და ადგილობრივ ბაზარზე მათ მიერ საბაზრო პრინციპების თამაშის წესების დამკვიდრებას და ამ წესებით მოქმედებას ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამის გათვალისწინებით ბანკები არიან ის ინსტიტუტები, რომლებმაც, პირველ რიგში, უნდა დაიჭირონ მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციები და ამის მიხედვით მოახდინონ საკუთარი პოლიტიკის კორექტირება.

2010 წლის მონაცემების მიხედვით საქართველოს საბანკო სისტემა გამოირჩეოდა ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის. ამ ქვეყნებში მას აქვს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ნომინალური საპროცენტო განაკვეთი 25.6%<sup>85</sup>. საქართველო აგრეთვე გამორჩეულია საპროცენტო სპრედის სიდიდითაც (16.0%), რომელიც სესხებისა და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთების სხვაობაა.

საპროცენტო სპრედის მნიშვნელოვანი სიდიდე მიუთითებს საბანკო სექტორში არსებულ პრობლემებზე და/ან არაჯანსად გარემოზე. რადგან ასეთი დიდი სხვაობა მნიშვნელოვნად ცვლის კერძო და საბანკო სექტორის ალტერნატივებს საინვესტიციო პროექტების შეფასებისას.

შედარებით დაბალი დეპოზიტის განაკვეთი კერძო სექტორს ერთი შეხედვით უბიძგებს მიიღოს ინვესტირების გადაწყვეტილება, რადგან თავისუფალი თანხის ალტერნატიული დანახარჯი შედარებით დაბალია, მაგრამ ზოგადად ინვესტიციების ზრდას ხელს უშლის სესხის მაღალი პროცენტი.

საფინანსო სექტორის მხრიდან ინვესტირების გადაწყვეტილება ფერხდება უკვე სხვა მიზეზით. მათი ალტერნატიული დანახარჯი საკმაოდ მაღალია, ამიტომ მაღალი საპროცენტო განაკვეთი მათ უბიძგებს ფული პირდაპირ გაასესხონ და უარი თქვან იმ პროექტზე, რომელსაც გასესხების განაკვეთზე დაბალი მოსალოდნელი უკუგება აქვს (თუმცა ნორმალურ პირობებში მოსალოდნელი 25%-იანი უკუგების მქონე საინვესტიციო პროექტი საკმაოდ ხელსაყრელი გარიგება იქნებოდა).

ზემოთაღნიშნული მაღალი განაკვეთების და მაღალი საპროცენტო სპრედის მიხედვით ჩანს, რომ საკმაოდ მომგებიანია ქართულ საფინანსო ბაზარზე


<sup>85</sup> [www.imf.org](http://www.imf.org)

ფუნქციონირება. ეს სხვა თანაბარ პირობებში მრავალი ინსტიტუტისათვის სტიმული უნდა გახდეს და ალბათ საპროცენტო განაკვეთების კლებას უნდა ველოდეთ. მნიშვნელოვანია რა მდგომარეობაა საფინანსო სექტორის მოქნილობის კუთხით. ამის პირველი ინდიკატორი იქნება საპროცენტო განაკვეთების მოძრაობის დინამიკა კრიზისის განმავლობაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრიზისის დაწყებასთან ერთად დაეცა მსოფლიო საპროცენტო განაკვეთები, რომლებიც განსაზღვრავდნენ მთლიანი მსოფლიო საკრედიტო რესურსების საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებს. საინტერესოა მათ რა გავლენა ჰქონდათ ქართულ საბანკო სისტემაზე და აღმოჩნდა თუ არა ჩვენი საბანკო სისტემა ინტეგრირებული მსოფლიო ფინანსურ სისტემასთან.

ნახ. 3.3.7

### ნომინალური საპროცენტო განაკვეთი 2005-2012წწ<sup>86</sup>



როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2008 წლის IV კვარტლიდან, როდესაც ფინანსური კრიზისი უკვე რეალური გახდა და მსოფლიო ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ძვრები დაიწყო, საბანკო სექტორმაც ადექვატური რეაგირება მოახდინა და საპროცენტო განაკვეთების შემცირება დაიწყო. ეს შემცირებები მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური ქვეყნისათვის, არც ისე მაღალი საპროცენტო

<sup>86</sup> [www.imf.org](http://www.imf.org)

განაკვეთების პირობებში მათი განაკვეთები 2-ჯერ და ზოგ შემთხვევაში 3-ჯერაც კი შემცირდა, მაშინ როცა საქართველოს 26%-იანმა განაკვეთმა სულ უმნიშვნელო კლება განიცადა და ზოგ შემთხვევაში გაიზარდა კიდეც.

ამგვარი ანალიზი გვიჩვენებს რომ ქართულ საბანკო სისტემა არც თუ ისე ზუსტად იმეორებს მსოფლიო ფინანსური ბაზრების ტენდენციებს, ან შიდა პრობლემებთან გვაქვს საქმე, რომელიც ამ კავშირების პრაქტიკაში გამოვლინების სტიმულებს სპობს. ქართული და უცხოური საპროცენტო განაკვეთების ანალიზი შეიძლება ვცადოთ სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით და ვნახოთ კორელაციის კოეფიციენტები ქართულ საპროცენტო განაკვეთებსა და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში არსებულ განაკვეთებს შორის. ამისათვის ავიღოთ იმ სამი ქვეყნის საპროცენტო განაკვეთები, სადაც განთავსებულია მსოფლიოს უდიები ფინანსური ცენტრები და მათ შესაბამისად დიდი გავლენა აქვთ ამ ქვეყნის საპროცენტო განაკვეთებზე. ეს ქვეყნებია აშშ, ინგლისი და გერმანია. ამ ქვეყნების მონაცემები მეტნაკლებად გამოხატავენ მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციებს და საინტერესოა, რაოდენობრივი განსხვავებების მიუხედავად, არსებობს თუ არა მათსა და საქართველოს იგივე მაჩვენებელს შორის რამე კავშირი (კორელაცია).

მონაცემები აღებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური ვებგვერდიდან და წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის კვარტალურ მაჩვენებლებს. საქართველოს საპროცენტო განაკვეთების კავშირი ინგლისის და გერმანიის საპროცენტო განაკვეთებთან არც ისე თვალსაჩინოა, მიუხედავად იმისა, რომ კერძო და სახელმწიფო სექტორის საგარეო ვალების დიდ ნაწილს ევროპიდან მოძიებული სახსრები წარმოადგენს ინგლისთან ეს კოეფიციენტი 0.44, ხოლო გერმანიასთან კორელაცია საერთოდ უარყოფითი მაჩვენებლით ფიქსირდება და - 0.59-ს წარმოადგენს. ეს დამოკიდებულება მიანიშნებს, რომ არსებული კავშირები ძალიან სუსტია და მათ შორის დამოკიდებულებაზე და ურთიერთკავშირზე საუბარი საჭიროა. იგივე დამოკიდებულება არსებობს ქართულ და ამერიკის შეერთებული შტატების საპროცენტო განაკვეთებს შორის. კორელაციის კოეფიციენტი ამ ორ მონაცემს შორის 0.3 და საუკეთესო კორელაციის კოეფიციენტს ანუ კავშირს 0.89-ს, 13 “ლაგის” დროს აჩვენებს, ეს კვარტალური მონაცემებისათვის 2 წელზე მეტი დროა, რაც ჩვენთვის არარეალური და სრულიად უსარგებლო კავშირია.

როგორც დავინახეთ, კრიზისამდე და კრიზისის პერიოდში ქართული საპროცენტო განაკვეთები არ იმეორებდნენ მსოფლიო ტენდენციებს და ცვლილების საკუთარი, თავისებური მიმართულება გააჩნდათ. იგივე შეიძლება ითქვას მიმდინარე ანგარიშის ბალანსის ცვლილებაზეც. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის შემდეგ დეფიციტი მნიშვნელოვნად შემცირდა (3.3.2), მაინც არ მიუდრევია იმ დონისათვის, რაც ჩვენს მიერ ზემოთგანხილულმა ქვეყნებმა შეძლეს. 2009 წლისათვის დეფიციტის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რაც ძირითადად სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებით და კერძოდ, იმპორტის შემცირებით იყო გამოწვეული, თუმცა 2009 წლის შემდეგ მან კვლავ ზრდა დაიწყო. თუ სავალუტო ფონდის პროგნოზით ბალტიის ქვეყნებში მოსალოდნელი და სასურველია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის უმნიშვნელო ზრდა (ნახ.3.2.5), საქართველოს ეკონომიკური სტაბილიზაციისათვის დეფიციტის შემცირებაა ნავარაუდევი.


ძნელია გააანალიზო კრიზისის პერიოდში არსებული ფისკალური და ზოგადად მაკროეკონომიკური პოლიტიკა და ეს დაუკავშირო ანტიკრიზისულ პროგრამებსა და სტრატეგიას, რამეთუ ამავე პერიოდს დაემთხვა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგების წინააღმდეგ გასატარებელ დონისძიებებს დაემატა ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად თუ დანგრეული ინფრასტრუქტურის აღსაღენად თანხების გამოყოფის აუცილებლობა. 2008 წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში გამართულ დონორთა კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოსათვის 4.5 მლრდ. დოლარის გამოყოფის შესახებ, საიდანაც 2 მილიარდი გრანტი, ხოლო დანარჩენი კრედიტი უნდა ყოფილიყო. ამ თანხის დიდი ნაწილი უნდა დახარჯულიყო ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად და ომის შედეგების აღმოსაფხვრელად. ეს თავისთავად უდიდესი დახმარება იყო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რამაც მეტნაკლებად უმტკიცნეულოდ გამოიყვანა ქვეყანა რეცესიიდან. ამას მოწმობს 3.1.1 გრაფიკიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში ეკონომიკური ვარდნა ჩვენს მიერ განხილულ ქვეყნებს შორის მხოლოდ პოლონეთის ეკონომიკური ზრდის ტემპზე უარესი იყო.

ანტიკრიზისული პოლიტიკის ფარგლებში სახელმწიფომ გამოაცხადა ე.წ. “ქამრების შემოჭერის პოლიტიკა”, რომელიც გულისხმობდა ბიუჯეტის ხარჯების შემცირებას სახელმწიფო სტრუქტურების ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებით, თუმცა ამ პროგრამის გამოცხადების დღიდან არ წყდებოდა მისი

კრიტიკაც, რადგან საზოგადოების ნაწილი ფიქრობდა, რომ პროგრამის განხორციელება არაეფექტურიანად მიმდინარეობდა და არ ხდებოდა თანხების იმ ზომამდე შემცირება, რაც თავდაპირველად იყო დასახელებული.

ნახ. 3.3.8

### საქართველოს ბიუჯეტის ხარჯები და ბალანსი მშპ-სთან მიმართებით<sup>87</sup>



3.3.8 გრაფიკიდან ჩანს, რომ ყველაზე კრიზისული 2009 წელი იყო, როდესაც ბიუჯეტის ხარჯებმა და დეფიციტმა თავის მაქსიმუმს მიაღწია. ამის შემდეგ დაიწყო ამ მდგომარეობის გამოსწორება, თუმცა 2011 წლის დონე მნიშვნელოვნად აღემატება წინაკრიზისულ მაჩვენებლებს.

საპროცენტო განაკვეთების, ბიუჯეტის და საგარეო ეკონომიკური მაჩვენებლების საფუძველზე ვნახეთ, რომ მსოფლიოს და საქართველოს ეს მონაცემები ერთი მიმართულებით არ იცვლებოდა და მათ შორის კავშირი არც ისე მნიშვნელოვანი იყო. საინტერესოა გავარკვით რა გავლენა და კავშირი არსებობს მსოფლიო და ქართულ ფასებს შორის.

ჩვენი მთავარი მიზანია მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციების, კავშირებისა და გავლენის ჩვენება საქართველოს ეკონომიკაზე. ამისათვის ზოგად ეკონომიკურ მიმოხილვებთან ერთად ვიყენებთ მათემატიკურ-სტატისტიკურ მეთოდებსაც და მათ შორის, რეგრესიულ განტოლებებს. რეგრესიულ განტოლებების ამოხსნა ხორციელდება ჩვეულებრივ უმცირეს კვადრატო მეთოდით, რისთვისაც გამოიყენება ეკონომეტრიკული პროგრამა Eviews.

<sup>87</sup> <http://www.mof.ge/MacroEconomicBudget>


რეგრესიული ანალიზი შემდეგ ძირითადი ეტაპებს მოიცავს:

- იმ ფაქტორების გამოყოფა, რომლებიც არსებითად ზემოქმედებს რეზულტატურ ცვლადზე;
- მონაცემების დამუშავება და ანალიზისათვის მომზადება;
- ცვლადებს შორის რეგრესიული დამოკიდებულების მოდელის – რეგრესიის მოდელის აგება;
- შერჩევითი მაჩვენებლების სტატისტიკური მნიშვნელობის შეფასება.

ზეგავლენების და დამოკიდებულების ჩვენებისათვის რეგრესიული ანალიზი ერთ-ერთი საიმედო ხერხია, თუმცა ფასების დონეებს შორის ურთიერთკაფშირის ამ მეთოდით გაანგარიშება მართებული არ არის, რადგან თუ ქვეყანას გააჩნია ეროვნული ბანკი, აქტიური ინსტიტუტი, რომელიც ატარებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას და ქვეყანას არ გააჩნია ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი, ეროვნულ ბანკს საკუთარი პოლიტიკის საშუალებით შეუძლია მართოს ინფლაციური პროცესები და თავიდან აიცილოს ან შეარბილოს მსოფლიო ეკონომიკაში არსებული დეფლაციის თუ ინფლაციის იმპორტი, რეალურ სექტორზე მისი გავლენის მიუხედავად. ამას ადასტურებს ჩვენი განტოლებაც. როდესაც დამოუკიდებელ ცვლადად მსოლოდ ფასების ცვლილებას, დამოკიდებულ ცვლადად-საქართველოს ფასების ცვლილებას ავიდებთ და სხვა დამატებით ფაქტორებს განვიხილავთ, როგორც შემთხვევით ცვლადებს, მივიდებთ საკმაოდ გამართულ განტოლებას და კოეფიციენტების ტესტირებაც დადებით შედეგს მოგვცემს. ამის მიუხედავად, დიდ ეჭვს იწვევს შემთხვევითი რიცხვის (ე.წ. განტოლების ნაშთი) ტესტირება, რომელიც გვიჩვენებს, რომ შემთხვევითი რიცხვი სულაც არ გახლავთ შემთხვევითი და რაღაც კანონზომიერებას ემორჩილება.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ფასებზე მსოფლიო ფასების გარდა სხვა ცვლადები უფრო მეტ გავლენას ახდენენ და მათზე გავლენის შესასწავლად საჭიროა გავითვალისწინოთ ის სხვა დამატებითი ცვლადებიც, რომლებიც რეალურ სურათს მოგვცემს და ახსნის საქართველოს ინფლაციას უფრო მეტი სიზუსტით. აქედან გამომდინარე, უფრო საინტერესო იქნება ზოგადად კნახოთ მსოფლიო ფასების ცვლილების პარალელურად როგორ იცვლებოდა ქართული ფასების დონე.

### საქართველოს და მსოფლიოს ფასების ცვლილება 1997-2012<sup>88</sup>



ინფლაციის მონაცემები აღებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის გებგვერდიდან და წარმოადგენს წლის ფასების საშუალო დონის ცვლილებას წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან. მაგ.: 2001 წლის 12 თვის ინფლაციის (რომელიც გამოთვლილია როგორც ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან) საშუალო არითმეტიკულის ცვლილება 2000 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან. თუ შევისწავლით ამ მონაცემებს შორის არსებულ კავშირებს სტატისტიკური მეთოდებით, კორელაციის კოეფიციენტი  $0.44$ —მათ შორის არც თუ ისე მჭიდრო კავშირზე მიგვითითებს. ამას ადასტურებს 3.3.9 გრაფიკიც, სადაც ჩანს, რომ 1997 წლიდან 2008 წლამდე ფასები სხვადასხვა მიმართულებით და სიდიდით ირყეოდნენ. უკვე 2008 წლიდან, კრიზისის დაწყებისა და გაღრმავების მომენტიდან საქართველოს ფასების ცვლილება იმეორებდა მსოფლიო ფასების ცვლილების ტენდენციას. 2009 წელს თითქმის ერთნაირი ინფლაციის ტემპის შემდეგ ორი წლის განმავლობაში ორივე მონაცემს ზრდის ტენდენცია ჰქონდა, მაგრამ ზრდის ტემპა საქართველოში მნიშვნელოვნად გადააჭარბა მსოფლიო მაჩვენებელს. 2012 წელს დაფიქსირდა პირველი შემთხვევა, როდესაც ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს ჰქონდა უარყოფითი ინფალციის მაჩვენებელი და ფასების ზრდა ასე მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მსოფლიო ტენდენციას.

<sup>88</sup> [www.imf.org](http://www.imf.org)

შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში არსებულ ფასებზე მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვს მსოფლიო ფასების ცვლილებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარეობს ისეთი მნიშვნელოვანი რყევები, რომელთა დროსაც ყველა ქვეყანა მეტნაკლებად ერთნაირი პრობლემების გადაწყვეტით არის დაკავებული.

საინტერესოა განისაზღვროს არსებობს თუ არა სხვა საგარეო ეკონომიკური ფაქტორების ცვლილებების გავლენა საქართველოს რეალურ სექტორზე, მთლიან შიგა პროდუქტზე ან მის კომპონენტებზე.

უპირველეს ყოვლისა შეიძლება ვნახოთ თუ რა დამოკიდებულება არსებობს გაცვლით კურსსა და ექსპორტს შორის, ანუ ვიპოვოთ ექსპორტის ელასტიკურობის კოეფიციენტი. როგორც ცნობილია ვალუტის გაუფასურება იწვევს ექსპორტის წახალისებას და პირიქით. ვალუტის კურსი არის ის ეკონომიკური ინდიკატორი, რომელიც ერთ-ერთი პირველი რეაგირებს მსოფლიო ეკონომიკაში განვითარებულ მოვლენებზე. თუმცა ადგილობრივი ვალუტის კურსზე მხოლოდ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები არ ახდენენ გავლენას და მისი ცვლილება გარკვეულ პერიოდში შესაძლებელია ადგილობრივი პოლიტიკის შედეგიც იყოს. მიუხედავად ამისა, თუ გვეცოდინება მსოფლიოში ეკონომიკის მნიშვნელოვანი ცვლილება როგორ აისახება ჩვენს ვალუტის კურსზე, ჩვენი განტოლების შესწავლის შემდეგ ადვილად გავაკეთებთ დასკვნებს, თუ ის რა გავლენას მოახდენს რეალურ ეკონომიკაზე.

სრულყოფილი ანალიზისათვის მხედველობიდან არ უნდა გამოგრჩეს სხვა ფაქტორების გავლენაც, რომლებმაც შეიძლება ექსპორტის დინამიკაზე გავლენა მოახდინონ და მათგან ყველაზე რეალური ცვლადი შევიტანოთ ჩვენს განტოლებაში. საპროცენტო განაკვეთთან ერთად ექსპორტზე ყველაზე დიდი გავლენა განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკაში ადგილობრივ წარმოების შესაძლებლობებს ანუ ჩვენს შემთხვევაში მშპ-ს უნდა ჰქონდეს.

როგორც ცნობილია, დაკვირვებათა რაც უფრო მეტი რიცხვი გვექნება, მით უფრო გაიზრდება განტოლების შედეგების საიმედოობა. იმის გამო, რომ დამოუკიდებელ საქართველოში 1990-1994წ არსებული არასტაბილური გარემო არ იძლეოდა სტატისტიკური მონაცემების შეგროვების და განსაკუთრებით მათ საიმედოობის გარანტიას, უმჯობესია მონაცემები მხოლოდ 1995-1996 წლებიდან იქნას აღებული, აგრეთვე უმჯობესია ავილოთ კვარტალური მონაცემები. როგორც

ზემოთ აღინიშნა, კვარტალური მონაცემებს ხშირად სჭირდებათ სეზონურობის მოხსნა, რასაც ჩვენ ეწ. X12 მეთოდით ვაკეთებთ.

განტოლების საბოლოო ცვლადი გახლავთ საქართველოს ექსპორტი (xg) რომლის მონაცემებიც შეიძლება ავიდოთ საქართველოს სტატისტიკის სამსახურის ვებგვერდიდან<sup>89</sup>. ნომინალური ექსპორტის გამოსაანგარიშებლად ექსპორტის კვარტალური მონაცემები გაყოფილია მშპ-ს დეფლატორზე (py). მშპ-ს დეფლატორი აღებულია სტატისტიკის სამსახურის ვებგვერდიდან<sup>90</sup>. საანალიზო პერიოდში რეალური მშპ-ს გაანგარიშებისას გამოყენებული იყო ორი საბაზისო წელი, თავდაპირველად დაანგარიშებული იყო 1996 წლის მიხედვით, ხოლო დღეს უკვე 2003 წელია აღებული საბაზისო წლად. ამიტომ ერთიანი დეფლატორის გასაანგარიშებლად უმჯობესია საბაზისო წლად აღებულ იქნას 2001 წელი. რეალური ექსპორტის-xgr გაანგარიშებისათვის ნომინალური ექსპორტი გაყოფილია მშპ-ს დეფლატორზე, ხოლო შემდეგ მიღებული მონაცემი შესწორებულია სეზონურად (xgr\_sa).

$$xgr = \frac{xg}{py} \quad (1)$$

საქართველოს ნომინალური მთლიანი შიგა პროდუქტი აღნიშნულია y-ით და მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის სამსახურის ვებგვერდიდან<sup>91</sup>. რეალური მშპ-ს გამოსაანგარიშებლად ნომინალური მშპ გაყოფილია მშპ-ს დეფლატორზე(py). რეალური მშპ აღვნიშნოთ yr-ით.

$$yr = \frac{y}{py} \quad (2)$$

ამის შემდეგ რეალური მშპ შესწორებულია სეზონურად, აღნიშნულია yr\_sa-ით და უკვე გვაქვს გამზადებული მწკრივი, რომელიც შეიძლება განტოლებაში გამოვიყენოთ.

საქართველოს ეროვნული ბანკი აქვეყნებს ლარის გაცვლით კურსს სხვადასხვა ვალუტასთან მიმართებაში; რადგან საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა აღირიცხება დოლარებში, ამიტომ ჩვენს განტოლებაში ავიდებთ ლარი/დოლარი გაცვლით კურსს, რომელსაც აღვნიშნავთ er-ით. რეალური სავალუტო კურსის გამოსაყვანად ნომინალური გაცვლითი კურსი გამრავლებულია აშშ-ს ფასების დონეზე და გაყოფილია ქართულ მშპ-ს დეფლატორზე. აშშ-ს

<sup>89</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=136&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo)

<sup>90</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=118&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo)

<sup>91</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=118&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo)

ფასების ინდექსი (cpius) გამოქვეყნებულია Bureau of Labor Statistics<sup>92</sup> ვებგვერდზე. აღნიშნული ფასების ინდექსი გადავიყვანოთ ისეთ მწკრივში, სადაც 2001 წლის ფასების დონედ აღებულია 100.

$$err = \frac{er \cdot cpius}{py} \quad (3)$$

აღნიშნული მონაცემი შესწორებულია სეზონურად და მიღებულია სეზონურად შესწორებული რეალური ლარი/დოლარი საგალუტო კურსი (err\_sa).

დამუშავებული მონაცემების გამოყენებით შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახის განტოლება

$$xgr\_sa = c + \alpha \cdot yr\_sa + \beta \cdot err\_sa + U \quad (4)$$

პროცენტული ცვლილების გავლენის დასადგენად მონაცემები ავილოთ ლოგარითმის ქვეშ და პროგრამის მეშვეობით ამოვხსნათ რეგრესიული განტოლება, რომელსაც გარკვეული მანიპულაციების შემდეგ ექნება ასეთი სახე:

$$\log(xgr\_sa) = 2.34287731 \cdot \log(yr\_sa) + 0.873842799 \cdot \log(err\_sa) - 12.4689860 \quad (5)$$

ამ მონაცემებიდან გარკვეული დასკვნების გამოტანამდე, საჭიროა შევამოწმოთ რეგრესიული განტოლების პარამეტრების საიმედოობა-ნამდვილობა და შევამოწმოთ რამდენიმე მაჩვენებელზე დაკვირვებით. (იხ. დანართი 3).

რეგრესიული განტოლების შედეგებზე დაკვირვებისას პიველ რიგში შევეხოთ კოეფიციენტების მაჩვენებლებს. ორივე მაჩვენებლის კოეფიციენტს აქვს დადებითი ნიშანი, რაც გულისხმობს იმას, რომ მშპ-ს ზრდას და რეალური გაცვლითი კურსის გაუფასურებას დადებითი გავლენა აქვს ექსპორტის ზრდაზე. ორივე ცვლადის და თავისუფალი წევრის კოეფიციენტების ნულთან ტოლობის ალბათობა თითქმის ნოლია და არც მათი სტანდარტული შეცდომებია ისეთი დიდი, რომ 95%-იანი საიმედოობის ზღვარში დიდ ცვლილებებს ქონდეს ადგილი. თუმცა კოეფიციენტის ამ მარტივი ტესტირების გარდა საჭიროა სხვა მაჩვენებლებსაც შევეხოთ.

R კვადრატი 0.91-ის ტოლია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ცვლადის გარიაციის 91 პროცენტი ახსნილია, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. ამას ნათლად გვაჩვენებს ე.წ. რეგრესიის ნაშთის (Residual) გრაფიკზე დაკვირვებაც, საიდანაც ჩანს, რომ მოდელით ცვლილების დიდი ნაწილი ახსნილია. (იხ. დანართი 4).

<sup>92</sup> <http://data.bls.gov/pdq/SurveyOutputServlet>

დარჩენილი მაჩვენებლებიც მეტნაკლებად ნორმის ფარგლებშია მოთავსებული, მხოლოდ დარბინ-ვათსონის სტატისტიკის შედარებით დაბალმა კოეფიციენტმა შეიძლება დაგვაუჭვოს, რომ რეგრესიულ ნაშთს შეიძლება პქონდეს პირველი რიგის ავტოკორელაცია, ანუ განტოლების დაუკვირვებელი ნაწილი თავის თავთან იყოს კავშირში რაღაც პერიოდით (ლაგი), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენმა განტოლებამ ვერ მოიცვა სრული ინფორმაცია და დაკვირვების გარეთ დაგვრჩა ისეთი მნიშვნელოვანი ცვლადი, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა საბოლოო ანალიზზე.

შევამოწმოთ, რეგრესიის ნაშთი არის თუ არა შემთხვევითი რიცხვი. როგორც ცნობილია, შემთხვევით ცვლადს უნდა პქონდეს ნორმალური განაწილება, აგრეთვე საშუალო, მოდა, მედიანა, მინიმუმი და მაქსიმუმი.

ჩვენი განტოლების ამგვარი ტესტირებისას ვიღებთ შედეგს (იხ. დანართი 5), რომელზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეგრესიის ნაშთი ნამდვილად შემთხვევითი განაწილების და შესაბამისად შემთხვევითი რიცხვის ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს.

რეგრესიაში ე.წ. “მცოცავი საშუალოს” (Moving Average) დამატებით განტოლების შედეგები უმჯობესდება და საშუალებას გვაძლევს გავაპოოთ რეალური ანალიზი.

ამგვარი ცვლილების შედეგად მიღებულია ახალი განტოლება და ახალი ინდიკატორები, რომელთა საიმედოობა უნდა შედარდეს პირველ განტოლებისას და მათი ანალიზის შედეგად ამოვარჩიოთ უკეთესი.

ახალ განტოლებას ექნება შემდეგი სახე:

$$\text{LOG(XGR_SA)=2.295123*LOG(YR_SA)+0.827723*LOG(ERR_SA)-}\\ 12.083151+\text{MA(1)=0.525613,BACKCAST=1996Q1,ESTSMPL="1996Q1 2011Q3"]} \quad (6)$$

ახალი განტოლების შედეგები განსხვავებულ სურათს გვაძლევს (იხ. დანართი 6), სადაც პირველი და მეორე განტოლებების შედეგების შედარებიდან ჩანს, რომ შეიცვალა ცვლადების კოეფიციენტი, გაიზარდა მათი სტანდარტული შეცდომის სიდიდე, თუმცა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დარბინ-ვათსონის კოეფიციენტი და 1.91-ს გაუტოლდა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდა R კვადრატის სიდიდე და შემცირდა მთლიანი განტოლების სტანდარტული შეცდომა. რაც ნიშნავს იმას, რომ ახალი განტოლება ხსნის ცვალებადობის უფრო დიდ ნაწილს უფრო მაღალი სიზუსტით

ამ განტოლებაზე ჩატარებულმა სხვადასხვა მანიპულაციამ აჩვენა, რომ ერთი რომელიმე კომპონენტის გაუმჯობესების გამო შეცვლილი განტოლება მნიშვნელოვნად აუარესებს სხვა მაჩვენებელს. ამიტომ ალტერნატივათა შორის მისაღებია (6) განტოლება, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია დაგახასიათოთ საქართველოს ექსპორტი და მასზე მოქმედი ფაქტორები. განტოლების კოეფიციენტები შეიძლება დამრგვალდეს და დაყვანილ იქნას ასეთ სახეზე:

$$\text{LOG(XGR_SA)} = 2.29 * \text{LOG(YR_SA)} + 0.83 * \text{LOG(ERR_SA)} - 12.08 \quad (7)$$

ეს განტოლება შეიძლება წავიკითხოთ შემდეგნაირად: სხვა თანაბარ პირობებში საქართველოს მშპ-ს 1 პროცენტიანი ცვლილება იწვევს ექსპორტის 2.29 პროცენტით ცვლილებას, ხოლო სხვა თანაბარ პირობებში რეალური ლარი/დოლარი გაცვილითი კურსის 1 პროცენტიანი ზრდა ანუ გაუფასურება გამოიწვევს ექსპორტის 0.83 პროცენტიან ზრდას.

ერთი შეხედვით მშპ-ს ელასტიკურობის კოეფიციენტი თითქოს ძალიან დიდია და რეალობასთან შეუსაბამოდაც მოგვეჩენოს, თუმცა ეს შეიძლება ახასიათებდეს განვითარებად და მზარდ ეკონომიკას, რომლის აუთვისებელი საწარმოო შესაძლებლობები იძლევა იმის საშუალებას, რომ გაზრდილი მოთხოვნა ექსპორტზე ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილებების გარეშეც დაკმაყოფილოს.


შემდეგი ნაბიჯი იქნება კავშირის აღწერა მსოფლიოს და საქართველოს მთლიან შიგა პროდუქტს შორის. მსოფლიო მშპ-სთან ერთად შეიძლება განვიხილით თურქეთის მშპ, როგორც საქართველოს ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორის.

მონაცემები აღებულია საერთაშორისო საგალუტო ფონდის საერთაშორისო ფინანსური სტატისტიკის (**International Financial Statistics (IFS)**)<sup>93</sup> ბაზიდან. ცხადი სურათის დასანახად გამოიყენება კვარტალური მონაცემები, ხოლო სეზონურობის მოსახსნელად თითოეული მწერივი შესწორებულია ზემოთგანხილული X12 მეთოდით. მიღებული მონაცემებიდან გამოყვანილია მშპ-ს ინდექსი, სადაც 2005 წლის საშუალო უდრის ერთს. ამის შემდეგ გამოყვანილი გვაქვს მშპ-ს კვარტალური ზრდის ტემპი. კვარტალი შეფარდებულია წინა წლის შესაბამის კვარტალთან.

---

<sup>93</sup> <http://elibrary-data.imf.org/FindDataReports.aspx?d=33061&e=169393>

### კვარტალური მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპი



როგორც 3.3.10 გრაფიკიდან ჩანს, საქართველოს მშპ-ს ზრდის ტემპი თურქეთის ზრდის ტემპს უფრო იმეორებს, ვიდრე მსოფლიო მაჩვენებელს. მათ შორის კავშირის უკეთ დანახვისათვის მწკრივები დავამუშავოთ სტატისტიკური მეთოდებით და გამოვიანგარიშოთ საქართველოს მშპ-ს კორელაციის კოეფიციენტი, როგორც თურქეთის ისე მსოფლიო მთლიან შიგა პროდუქტან. აღნიშნული ანალიზი ამტკიცებს ამავე მოსაზრებას, რაც გრაფიკის პირველადი შეფასებიდან ჩანდა. კორელაციის კოეფიციენტი თურქეთთან (0.46) აღემატება მსოფლიო მშპ-სთან კორელაციის კოეფიციენტს (0.34). ეს ბუნებრივიცაა, რადგან საქართველოს ეკონომიკურ საქმიანობაში თურქეთს მნიშვნელოვანი აღგილი უკავია.

საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის მთავარ საზომად შეიძლება მისი მოხმარება გამოვიყენოთ. განვითარებად ქვეყნებში მოხმარებას სხვა ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვნად განაპირობებენ საზღვარგარეთიდან შემოსული დახმარებები ე.წ. ტრანსფერები. მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქართული სახელმწიფოს მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო იყო, როგორც სახელმწიფო ისე კერძო ტრანსფერები და მნიშვნელოვანია დავადგინოთ მათი კავშირი მოსახლეობის კეთილდღეობის ჩვენს მიერ აღნიშნულ კრიტერიუმთან. ტრანსფერები, თავის მხრივ, განსაზღვრავენ მთლიან ეროვნულ

განკარგვად შემოსავალს და მისი საშუალებით ახდენენ გავლენას მთლიან მოხმარებაზე.


კავშირის დასადგენად გამოყიდვებით რეგრესიულ განტოლებას და უმცირეს კვადრატთა მეთოდს. პერიოდად აღებულია 1997-2011 წელი, რაც მოიცავს დასაკვირვებულ 15 მონაცემს და რეგრესიული განტოლებისათვის შეიძლება იდეალური რაოდენობა არ იყოს, თუმცა ძირითადი ტენდენციის გამოხატვის საუკეთესო საშუალება იქნება.

მოხმარების სხვადასხვა თეორიის მიხედვით მოხმარება შემოსავლის ფუნქციად და აზრთა სხვადასხვაობა ძირითადად შემოსავლის სხვადასხვა ტიპსა და მოხმარების კონკრეტული მიზანის გადის. ჩვენ მოხმარებას განვიხილავთ, როგორც მთლიანი განკარგვადი შემოსავლის ფუნქციას. განტოლება ამ ორ ცვლადს შორის შევადგინოთ და ვიპოვოთ ელასტიკურობის კოეფიციენტები, აგრეთვე, თავის მხრივ, განვსაზღვროთ ტრანსფერებს და მოხმარებას და ტრანსფერებსა და განკარგვად შემოსავალს შორის კავშირები და ურთიერთობები.

ცვლადები აღებულია ფინანსთა სამინისტროს მონაცემებიდან და გამოყვანილია რეალური მონაცემების დროითი მწერივი, სადაც 2001 წელი აღებულია საბაზისო წლად.

ნახ. 3.3.11

მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი და მოხმარება 1997-2012წ<sup>94</sup>



<sup>94</sup> წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

განტოლების პირველადმა გარიანტმა (იხ. დანართი 7), როგორც მოსალოდნელი იყო კოეფიციენტის საიმედოობის მიუხედავად მთლიანი განტოლების რამდენიმე არასაიმედო პარამეტრი გვიჩვენა. მათ შორის აღსანიშნავია დაბალი დარბინ-ვათსონის კოეფიციენტი 0.57.

ცნობილია, რომ მიმდინარე მოხმარება შეიძლება იყოს, როგორც მიმდინარე შემოსავლის ისე წინა წლის შემოსავლისა და მოხმარების ფუნქციაც. დღევანდელი მოხმარება დამოკიდებულია იმაზე, თუ წინა წელს ჩვენ რამდენი მოვიხმარეთ და რა შემოსავალი მივიღეთ გასულ წელს. ამგვარმა გარდაქმნებმა და მონაცემთა შედეგების ანალიზმა მოგვცა ახალი განტოლება, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა განტოლებისაგან. მისი შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გაუმჯობესდა დარბინ-ვათსონის კოეფიციენტი და გაიზარდა რეგრესიის ნაშთის ნორმალურობის ალბათობა შემცირდა ელასტიკურობის კოეფიციენტიც, რაც ჩვენი აზრით რეალობასთან მიახლოებულ სურათს გვაძლევს.

როგორც ახალი განტოლება აღწერს (იხ. დანართი 8) საქართველოს მოხმარებას  $\text{LOG}(\text{CO})=0.65*\text{LOG}(\text{GNDI})+0.42*\text{LOG}(\text{CO}(-1))-0.84$ , იგი დამოკიდებულია მიმდინარე მთლიან განკარგვად შემოსავალზე და წინა წლის მოხმარებაზე. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გაიზარდა განკარგვადი შემოსავლის კოეფიციენტის სტანდარტული შეცდომის სიდიდეც და 95 პროცენტიანი საიმედოობის საზღვრებში შესაძლებელია ელასტიკურობის კოეფიციენტმა 0.45-0.85 ფარგლებში იმერყეოს (კოეფიციენტს პლუს-მინუს ორი სტანდარტული შეცდომა). კოეფიციენტი 0.65 ნიშნავს, რომ განკარგვადი შემოსავლის 1 პროცენტიანი ცვლილების შედეგად მოხმარება 0.65 პროცენტით იცვლება. მას შეიძლება მოხმარებისადმი მიდრეკილებაც ვუწოდოთ და მისი საკმაოდ მაღალი კოეფიციენტი კარგად აღწერს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას, სადაც შემოსავლის დიდი ნაწილი მიდის მოხმარებაზე.

ჩვენ იმდენად გვაინტერესებს მომხმარებლის ქცევის დადგენა, რამდენადაც გვინდა ვიპოვოთ კავშირი მოხმარებასა და საზღვარგარეთული ტრანსფერებს შორის. მთლიან განკარგვად შემოსავლებში ტრანსფერების წილი 1997-2012 წლებში საშუალოდ 6.7 პროცენტი იყო ხოლო, თვით ამ ტრანსფერებში კერძო გზავნილების წილი 85 პროცენტს შეადგენს. აქედან გამომდინარე კერძო გზავნილების წილი მთლიან განკარგვდ შემოსავალში საშუალოდ 5.7 პროცენტს უტოლდება. ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული მოხმარება მნიშვნელოვნად არ არის დამოკიდებული ამ საგარეო ფაქტორზე და

ტრანსფერების 1 პროცენტიანი ცვლილება მთლიანი მოხმარების ძალიან უმნიშვნელო ცვლილებას იწვეს.

ჩვენს მიერ განხილულ პოსტსოციალისტურ ქვეყნებს შორის მსოფლიო ეკონომიკაში ყველაზე კარგად ინტეგრირებული აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები არიან, მათი ეკონომიკური მაჩვენებლები მნიშვნელოვან სიახლოვეს ავლენენ საერთოევროპულ ინდიკატორებთან. მათი პოლიტიკა და პოლიტიკის ინსტრუმენტები აპრობირებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია. ისინი ყოველთვის იყვნენ ევროპის განუყოფელი ნაწილი და სწორი და ეფექტიანი რეფორმების წყალობით სწრაფად მოახდინეს მშობლიურ სივრცეში რეინტეგრაცია, რაც აგრეთვე შეიძლება ითქვას ბალტიისპირეთის ქვეყნებზეც. ბალტიის ქვეყნები და ჩვენს მიერ განხილული აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები ერთდროულად გახდნენ ევროპავშირის წევრები, პქონდათ თითქმის ერთნაირი ზრდის ტემპი, თუმცა მსოფლიო ეკონომიკის კონიუნქტურასთან კავშირით მაინც ჩამორჩებიან. კიდევ უფრო ნაკლები ურთიერთკავშირი იქვეთება საქართველოს შემთხვევაში, რაც გამოიხატება მსოფლიო და ქართულ მაჩვენებლებს შორის ნაკლები კორელაციით და ურთიერთგავლენით.

## დასკვნები და რეკომენდაციები

მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი მუდმივად ცვალებადი და პერმანენტულად განახლებადი მდგომარეობაა, რომელიც მისი სუბიექტების როლისა და მონაწილეობის მიხედვით იცვლება დროის გარკვეული მომენტისათვის. ჩვენს მიერ განხილული სამი მთავრი სუბიექტის, სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციების და ტრანსნაციონალური ორგანიზაციების ურთიერთობანამშრომლობის და ფუნქციათა მუდმივი გადანაწილების ფონზე ჩამოყალიბებული საერთო წესები აჩვენებენ იმ კონკრეტული სუბიექტის დომინანტურ მდგომარეობას, რომელსაც კონკრეტული მომენტისათვის მსოფლიო ეკონომიკის ცვლილების მთავარ ტენდენციას გამოხატავენ.

გამოიკვეთა, რომ მიუეხდავად იმისა რომ სახელმწიფო საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, XX საუკუნეში მნიშვნელოვნად შეიცვალა მისი ფუნქციები და მოქმედების არეალი. გლობალიზაციის გავლენით საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის შედეგად სახელმწიფოს გარკვეული ფუნქციები საერთაშორისო ორგანიზაციებმა და ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა შეითავსეს. ამ წინააღმდეგობების ფონზე სახელმწიფოს, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის როლი შეიცვალა, თუმცა ასეთმა ტრანსფორმაციამ არაერთგავროვანი გავლენა მოახდინა ყველა ქვეყანაზე და შეიძლება ვთქვათ, რომ კიდევ უფრო გაიზარდა სხვაობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. სახელმწიფოს როლის ცვლილების ანალიზის შედეგად ჩამოვაყალიბეთ ორი მთავარი დასკვნა, რომლებიც აერთიანებს გლობალიზაციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მთავარ არგუმენტებს.

- ტრანსნაციონალური კორპორაციები ბაზირებული არიან განვითარებულ ქვეყნებში და უმთავრესი ბრალდება მათ მიმართ ყოველთვის არის ის, რომ ისინი განვითარებად ქვეყნებში ახორციელებენ განვითარებული ქვეყნების პოლიტიკას.
- საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლებრივ საფუძველს კვლავ ეროვნული სახელმწიფოები ქმნიან, თუმცა განვითარებული ქვეყნები არიან ამ ორგანიზაციების პოლიტიკის გამსაზღვრელ წევრები. ამის გათვალისწინებით შეიძლება დაგასკვნათ, რომ გლობალიზაციის პროცესში არსებული ეს ფუნდამენტური წინააღმდეგობები შეიძლება განვიხილოთ,

როგორც განვითარებულ და განვითარებად სამყაროს შორის არსებულ წინააღმდეგობად. ამას ადასტურებს “ახალ მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგზე” მსჯელობის დაწყების მიზეზებიც, როდესაც ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნებმა ტრანსნაციონალური კორპორაციების უფლებების შეზღუდვა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მათი უფლებების გაზრდის მოთხოვნები წამოაყენეს.

ამგვარი წინააღმდეგობები ხშირად ხდება მნიშვნელოვანი დაპირისპირებების საფუძველი, რაც ხან ანტიგლობალისტების მშვიდობიან მსვლელობებში და ხან ტერორისტულ ქმედებებში გამოიხატება. ქვეყნები ცდილობენ დაიმკვიდრონ დირსეული ადგილი მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში და რაც მეტი წინააღმდეგობა ჩნდება ამ მიზნის მისაღწევად, მით მეტად არამშვიდობიანი ხერხებით ხდება ამ პრობლემების გადაჭრა. საერთაშორისო ტერორიზმი მნიშვნელოვნად ცვლის ეკონომიკური წესრიგის ფორმირების ვაქტორებს და დიდ საფრთხეს ქმნის მთლიანად მსოფლიოსათვის.

მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგზე, მისი სუბიქტების მოქმედების არეალის ცვლილებებთან ერთად უმნიშვნელოვანების ზემოქმედებას ახდენენ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები. მათი მნიშვნელობის და სიმწვავის მიხედვით იცვლება იმ თამაშის წესების და ინსტიტუტების შინაარსი და რაოდენობა, რომლებიც ქმნიან წესრიგის ჩარჩო პირობებს:

- 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის მნიშვნელოვანი შედეგი იყო ბრეტონ-ვუდსის სისტემის ორგანიზაციების ჩამოყალიბება (1944წ);
- სანაგობე შოკების შედეგების ანალიზის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებში დიდ როლს ასრულებდა “ვაშინგტონის კონსენსუსის” (1989) სახით ჩამოყალიბებული შეთანხმებათა პაკეტი;
- უკვე 2008 წლის მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში ყალიბდება აზრი, რომ საჭიროა მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, რაც ე.წ. “პოსტვაშინგტონისეულ კონსენსუსის”, “ახალი ბრეტონ-ვუდსის სისტემის” და სხვა თეზისებისა და პროგრამების სახით წარმოდგება.

ახალი სისტემის შექმნის ინიციატორთა უმთავრესი გზავნილებია: სოციალურად სამართლიანი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება, სახელმწიფოს როლის გაძლიერების აუცილებლობა და ამის გათვალისწინებით საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემის რეფორმირება.

კრიზისის საპასუხო პირველი ნაბიჯები იყო ახალი ბაზელ III-ის შემუშავება, მსოფლიო ლიდერების და განვითარებული ქვეყნების მთავრობების მიერ გამოცხადებული ეკონომიკური პროგრამები, ევროპული ანტიკრიზისული ინიციატივები და ა.შ. რომელთა შედეგად ძლიერდება ეკონომიკაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი და კრიზისების მართვისას ფისკალურ პოლიტიკას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

ამ ცვლილებების ფონზე პოსტსოციალისტური ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ანტიკრიზისული პოლიტიკის პალევამ საერთო ტენდენციები გამოკვეთა:

კრიზისის დასაწყისში:

- გაიზარდა ბიუჯეტის ხარჯები და ბიუჯეტის დეფიციტი;
- გაუარესდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი;

ანტიკრიზისული პოლიტიკის შედეგად:

- შემცირდა ბიუჯეტის დეფიციტი, საბიუჯეტო პროგრამების და ხარჯების ოპიმიზაციის მეშვეობით;
- შემცირდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და ზოგიერთ ქვეყნაში პროფიციტის მიღწევაც შეძლეს;
- შეიცვალა და გამკაცრდა ფინანსური სისტემის რეგულირების წესები;
- დაბალი ინფლაციის გათვალისწინებით შემცირდა საბანკო საპროცენტო განაკვეთები.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზმა საერთაშორისო ეკონომიკური ტრანსფორმაციის ფონზე სხვადასხვა შედეგები მოგვცა, რაც ქართული ეკონომიკის განვითარების თავისებურებით შეიძლება ავხსნაო. განსაკუთრებულად უარყოფითი როლი ითამაშა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა. თუ სხვა ქვეყნები 2008-2009 წლებში კრიზისის შედეგებს ფისკალური კონსოლიდაციით თუ ფინანსური სისტემის სრულყოფის საშუალებით ებრძოდნენ და კრედიტების დიდი ნაწილი ინსტიტუციური სრულყოფისკენ იყო მიმართული, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იყო ომის შედეგების აღმოფხვრისაგნ და კრედიტების და გრანტების დიდი ნაწილი ამ მიმართულებით და ზოგიერთი მიმდინარე ხარჯების დაფარვისათვის იქნა ათვისებული. საქართველოში კრიზისის წინააღმდეგ ნაკლებად იქნა გამოყენებული მონეტარული

თუ ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტები, რომლებმაც ჩვენს მიერ განხილული ქვეყნების ანტიკოროდნულ პოლიტიკაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს.

- სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოზე ყველაზე მძაფრად აისახა სოციალისტური სისტემის რდგვა და ვარდნის გამორჩეულად მაღალი ტემპები დაფიქსირდა;
- 90-იანი წლებიდან თანამედროვე ეპოქამდე საქართველოს ეკონომიკა სულ უფრო ნაკლებ დამოკიდებულებას ამჟღავნებს და იმავე ქვეყნებთან შედარებით ნაკლებად რეაგირებს მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენციებზე;
- არ გამოიკვეთა მნიშვნელოვანი კავშირი მსოფლიო და ქართულ ფასების დონეებს შორის;
- მსოფლიო მთლიან შიგა პროდუქტის ზრდას არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი გავლენა ქართულ მშპ-ს ცვლილებაზე;
- არ გამოვლინდა საქართველოს საპროცენტო განაკვეთებსა და მსოფლიო საპროცენტო განაკვეთებს შორის მნიშვნელოვანი კავშირი;
- მიუხედავად ფართოდ გავრცელებული მოსაზრებისა, ქართული მთლიანი მოხმარება არ აღმოჩნდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან გზავნილებზე დამოკიდებული;
- საქართველოს ექსპორტი ნაკლებ მგრძნობიარე აღმოჩნდა რეალური გაცვლითი კურსის ცვლილებაზე;
- ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო, სადაც მსოფლიო ეკონომიკურ სივრცესთან კავშირების ზრდა დაფიქსირდა, ეს იყო საგარეო ვაჭრობა, როდესაც იმპორტის განსაკუთრებულად მაღალი ზრდის ტემპის გამო მნიშვნელოვნად გაიზარდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი;
- მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს:
  - ✓ ქვეყანაში შედარებით დაბალი რეცესიული ტემპი დაფიქსირდა;
  - ✓ როგორც ზემოთგანხილულ, ისე სხვა განვითარებულ ქვეყნებისაგან განსხვავებით არ შემცირდა საბანკო საპროცენტო განაკვეთები.

კვლევის შედეგების ანალიზი მნიშვნელოვანი დასკვნების და რეკომენდაციების საშუალებას იძლევა. მსოფლიო ეკონომიკის საქართველოს

ეკონომიკაზე ნაკლები კავშირების და გავლენების არსებობა სხვადასხვა ეკონომიკური რეალობის დროს სხვადასხვა შედეგების მომტანია. ყოველივე ეს გარკვეული სიტუაციებიდან გამომდინარე შეიძლება დადგებითი მომენტიც აღმოჩნდეს და ხშირ შემთხვევაში მოსალოდნელია პრობლემები შექმნას ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის. ეკონომიკური კრიზისების ექსპორტირების თვალსაზრისით ნაკლები ინტეგრაცია დადებით კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ, თუმცა ეკონომიკის აღდგენის კონტექსტში ნაკლები კავშირები მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მიმდინარეობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინტეგრაციის და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის პროცესები (GFS 2011, SDDS), რომელთაც დადებითი გავლენა აქვს ქვეყნის განვითარების პროცესზე, საჭიროა კიდევ უფრო მეტი თანამშრომლობა და ინტეგრაცია საერთაშორისო სტრუქტურებში;
- ფინანსურ სისტემაში საჭიროა კონკურენტული გარემოს გაუმჯობესება, ეს გამოიწვევს ფინანსური ინსტიტუტების მრავალფეროვნების ზრდას, კიდევ უფრო მეტი უცხოური კაპიტალის შემოდინებას, რაც ქართული საპროცენტო განაკვეთების მოძრაობას მსოფლიო განაკვეთებთან მიაახლოებს და ერთმნიშვნელოვნად უბიძებს შემცირებისაკენ;
- რეგრესიულბა ანალიზმა გვიჩვენა რომ რეალური გაცვლითი კურის 1 პროცენტიანი ცვლილება იწვევს რეალური ექსპორტის მხოლოდ 0.83 პროცენტიან ცლილებას. აქედან გამომდინარე, რადგან რეალურ გაცვლით კურსს არც თუ ისე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მთლიან შიგა პროდუქტზე, გაცვლითი კურსის სტაბილურობის პოლიტიკის ნაცვლად მისასალმებელია მიზნობრივი ინფლაციის პოლიტიკა;
- საქართველოს აქვს მიმდინარე ანგარიშის მაღალი დეფიციტი, რომელიც მოკლევადიან პერიოდში პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან იგი იფარება კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშის დადებითი სალდოს მეშვეობით, თუმცა შეცვლილი მსოფლიო კონიუქტურის პირობებში შეინიშნება ინვესტიციური ნაკადების შემცირების ტენდენცია, რაც გრძელვადიანი მაკროეკონომიკური მდგრადობისათვის საფრთხის შემცველია და აუცილებელია მისი თანდათანობითი

შემცირება, რაც, თავის მხრივ, საერთაშორისო საგალუტო ფონდის რეკომენდაციებსა და პროგნოზებშიცაა ასახული.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ანზორ, ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია თბ 2005
2. ბული ჰედლი, ანარქიული საზოგადოება: წესრიგის საკითხში მსოფლიო პოლიტიკაში გამ-ბა “დიოგენე” თბ., 2008
3. გველესიანი რევაზ, “ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების წინააღმდეგობანი”, ჟურნ. “სოციალური ეკონომიკა” 2007წ, №4
4. გველესიანი რევაზ, გოგორიშვილი ირინა. ეკონომიკური პოლიტიკა. გამოცემლობა “უნივერსალი”, წიგნი I, თბილისი 2008 წელი
5. გველესიანი რევაზ, გოგორიშვილი ირინა. ეკონომიკური პოლიტიკა. გამოცემლობა “უნივერსალი”, წიგნი II, თბილისი 2009 წელი
6. გოგოხია რ. გლობალიზაციის ზოგიერთი პრობლემა, ეკონომისტთა IV რესპუბლიკური კონფერენციის კრებული თბ., 2001
7. გლობალიზაცია და საქართველოს განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები, შრომების კრებული. გამ-ბა “უნივერსალი” თბ., 2008
8. დავითაშვილი ზურაბ, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია თბ., 2003
9. დარუბაშვილი ნასყიდა. ეკონომიკური კრიზისი და მისი დაძლევის კონცეპტუალური მიმართულებებანი თბ., 1999
10. ეთერია ემირ, მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი: თეორიულ-ინსტიტუციური ასპექტები ჟურნ. “სოციალური ეკონომიკა” 2007, №2
11. ეთერია ემირ, გლობალიზაცია და რეგიონული ინტეგრაციის თეორიული ასპექტები, ჟურნ. “სოციალური ეკონომიკა” 2007, №5
12. თაკალანძე ლ. ტრანსნაციონალური კორპორაციები—ბიზნესის ელიტა, ჟურნალი “ეკონომიკა” 2006 №8
13. კვარაცხელია დემნა, გლობალიზაცია, სუვერენული სახელმწიფო, ეროვნული ეკონომიკა თბ 1999
14. კვარაცხელია დემნა. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ძირითადი ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში. ჟურნ. “სოციალური ეკონომიკა” 2007 მარტი-აპრილი
15. ლინდერტი პიტერ ჰ. საერთაშორისო ეკონომიკა. თბ, 2003
16. ლუკასი რობერტ, საბაზო ეკონომიკა თბ., 1997
17. მენქიუ გრეგორი, ეკონომიკის პრინციპები თბ 2000

18. მექაბიშვილი ელგუჯა, ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები გამოწვევები პერსპექტივები თბ., 2009
19. მექაბიშვილი ელგუჯა, მექაბიშვილი მარიამ, ეკონომიკის გლობალიზაციის მოდელები, ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა“ 2008წ, №3
20. მიტალი ლაკშმი, კისინჯერი ჰენრი, ჟურნალი „მსოფლიო 2009 წელს“
21. მოვსესიანი ა.გ ოგნივცევი ს.პ. მსოფლიო ეკონომიკა ტ I. თბ.; 2003
22. მსოფლიო ახალი წესრიგი და კავკასია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ტექნიკური უნივერსიტეტი თბ., 2009
23. პაპავა გ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბ. „ცისარტყელა“, 2000
24. რამიშვილი ბადრი, „ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკაში“ ჟურნალი სოციალური ეკონომიკა 2007წ. №11
25. რონდელი ალექსანდრე, საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 1996
26. სამუელსონი პოლ, ნორდპაუსი ვილიამ, ეკონომიკის ტ. 3-4 თბ., 2000
27. სანიკიძე გიორგი, კიდურაძე ნინო, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები გამ-ბა „მერიდიან“ თბ., 2001
28. ტომპსონი ჰერსტი, გლობალიზაცია თბ. 2005
29. ულრიხი ბეკი, რა არის გლობალიზაცია? თბ 2003
30. ურუშაძე მერაბ „გლობალიზაცია-გლობალური ტერორიზმის საფრთხე“ თბ 2007
31. ქოქიაშვილი ლ.- ინვესტიციების ბაზარი, თეორია, პოლიტიკა, პრაქტიკა
32. ღურწებაია კარლო, ეკონომიკური გლობალიზაცია და მსოფლიო სამეცნიერო წესრიგის კრიზისი, ჟურნ. „ეკონომიკა“ 2005წ №10
33. ყორდანაშვილი ლ. ოფშორული ბიზნესი. თბილისი 2003
34. ყორდანაშვილი ლ. საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. თბ. თსუ გამომცემლობა 1997
35. შენგელია ქეთევან, გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი თბ 2006
36. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. III ნაწილი, თბ. 2001
37. ჰაიეკი ფრიდრიხ ფონ, საბედისწერო თავდაჯერებულობა-სოციალიზმის შეცდომები თბ., 2000
38. Auebach, Alan, "How much should we rely on fiscal stimulus" presentation at the Symposium on fiscal stimulus organized by the Federal Reserve. 2008

- 39.Bernanke, Ben and Cara Lown "The Credit Crunch," Brookings Papers on Economic Activity. 1991
40. Blanchard, Oliver. The Economics of Post-Communist Transition. 1997
41. Blanchard and Perotti, "An Empirical Characterization of the Dynamic Effects of Changes in Government Spending and Taxes on Output," The Quarterly Journal of Economics, No. 4, 2002,
42. De Long, J. Bradford and Lawrence H. Summers, 1988, "How Does Macroeconomic Policy Affect Output?", Brookings Papers on Economic Activity, 1988
43. Eamonn Butler, An Economic Responsibility Act for Britain "The Wall Street Journal" 25 May 2010
44. Eggertsson, Gauti B., "Great Expectations and the End of the Depression", American Economic Review, 2008
45. Escolano Julio. A Practical Guide to Public Debt Dynamics, Fiscal Sustainability, and Cyclical Adjustment of Budgetary Aggregates. INTERNATIONAL MONETARY FUND. 2010 January
46. Ferguson, Roger. Should Financial Stability Be an Explicit Central Bank Objective? (Washington: Federal Reserve Board) 2002
47. Financial Globalization, International Monetary Fund, Washington DC, April 2007
48. Galí, Jordi, and Roberto Perotti, 2003, "Fiscal Policy and Monetary Integration in Europe," Economic Policy, Vol. 37 (October)
49. Giavazzi, Francesco and Marco Pagano, , "Non-Keynesian Effects of Fiscal Policy Changes: International Evidence and the Swedish Experience," Swedish Economic Policy Review, Vol. 3, 1. Spring, 1996.
50. Harry G. Johnson, The New International Economic Order. Graduated School of Chicago. paper #49
51. Financial Crises and Emerging Market Trade, International Monetary Fund 2009
52. Holger Steltzner. The new world order. "Frankfurter Allgemeine" 25 November 2010y
53. "How Emerging Europe Came Through the 2008/09 Crisis". An Account by the Staff of the IMF's European Department. 2012y
54. International Financial Statistics Yearbook 2009-2011
55. Krugman Paul R, Maurice Obstfeld- International Economics, Theory and Policy 2005
56. Laeven, Luc and Fabian Valencia, "Systemic Banking Crises: A New Database", IMF Working Paper. 2008

57. Mishkin, Frederic S. Over the Cliff: From the Subprime to the Global Financial Crisis, II  
Journal of Economic Perspectives, Vol. 25, No. 1 2011
58. Palmer J., "Can We Enhance Financial Stability on a Foundation of Weak Financial Supervision?" Revista de Estabilidad Financiera No. 17 2009
59. Rauchway, Eric, "The Great Depression and the New Deal: A Very Short Introduction", Oxford University Press 2008.
60. Rojer A. Kerin, Vijay mahajan and P. Rajan,- contemporary perspectives on strategic planning (Boston: Allyn&Bacon1990)
61. Strategies for Fiscal Consolidation in the Post-Crisis World, International Monetary Fund 2010
62. Trade and the Crisis: Protect or Recover, International Monetary Fund, April 2010
63. Tsibouris, George, Mark A. Horton, Mark J. Flanagan, and Wojciech S. Maliszewski, "Experience with Large Fiscal Adjustments," IMF Occasional Paper No. 246 (Washington: International Monetary Fund). , 2006
64. URUGUAY ROUND AGREEMENT; Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization; 1994 Article XII: Accession
65. Vreeland, James Raymond: The IMF and Economic Development. 2003
66. Weiss Thomas G. Sam Daws. Bretton Woods Institutions. Oxford University Press 2006
67. [www.amerikiskhma.com](http://www.amerikiskhma.com)
68. [www.bis.org](http://www.bis.org)
69. [www.data.bls.gov](http://www.data.bls.gov)
70. [www.ers.usda.gov](http://www.ers.usda.gov)
71. [www.europa.eu](http://www.europa.eu)
72. [www.finance.yahoo.com](http://www.finance.yahoo.com)
73. [www.financial.ge](http://www.financial.ge)
74. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
75. [www.globalautonomy.ca](http://www.globalautonomy.ca)
76. [www.globalresearch.ca](http://www.globalresearch.ca)
77. [www.government.gov.ge](http://www.government.gov.ge)
78. [www.g20.org](http://www.g20.org)
79. [www.imf.org](http://www.imf.org)
80. [www.imfbookstore.org](http://www.imfbookstore.org)
81. [www.mof.ge](http://www.mof.ge)

- 82. www.nbg.gov.ge
- 83. www.news.sky.com
- 84. www.tavisupleba.org
- 85. www.thefullwiki.org
- 86. www.ue-varna.info
- 87. www.unctad.org
- 88. www.ungeorgia.ge
- 89. www.waipa.org
- 90. www.worldbank.org
- 91. www.24saati.ge

## დანართი

დანართი.1

საერთო აქტივების მიხედვით 20 უმსხვილესი არასაფინანსო ტნკ (მდგრ. დოლარი)<sup>95</sup>

№	ტნკ-ს დასახელება	აქტივები		გაყიდვები		დასაქმებულთა რიცხვი	TNI	
		სულ	სი	სულ	სი			
1	General Electric Co	551585	751216	79705	150211	154000	287000	60.0
2	Royal Dutch Shell plc	271672	322560	230697	368056	82000	97000	77.1
3	BP plc	243950	272262	234313	297107	65926	79700	83.7
4	Vodafone Group Plc	224449	242417	63069	71315	65729	84990	86.1
5	Toyota Motor Corporation	211153	359862	140319	221604	118362	317716	53.1
6	Exxon Mobil Corporation	193743	302510	254219	341578	52643	83600	67.1
7	Total SA	175001	192034	143047	186061	57686	92855	76.7
8	Volkswagen Group	167773	266426	130030	168046	210000	388000	64.8
9	EDF SA	165413	321431	33737	86311	54924	158842	41.7
10	GDF Suez	151984	246736	70167	111891	103865	211413	57.8
11	Telefonica SA	140882	173403	54409	80446	232114	269047	78.4
12	E.ON AG	135272	204277	57005	122997	49989	85105	57.1
13	Chevron Corporation	124411	184769	109720	189607	32000	62000	58.9
14	ArcelorMittal	124392	130904	71290	78025	198896	262832	87.4
15	Enel SpA	121415	224548	54538	95289	40930	78313	54.5
16	Siemens AG	114648	139939	99825	111095	277000	405000	80.1
17	Nestlé SA	113574	118818	103154	105209	271605	281000	96.8
18	Anheuser-Busch InBev NV	108440	114342	32193	36297	104126	114313	91.5
19	Eni SpA	106638	176189	67180	130494	45967	79941	56.5
20	Deutsche Telekom AG	104342	170780	46560	82677	103230	252494	52.8

<sup>95</sup> [www.unctad.org](http://www.unctad.org) world investment report, 2011

**მსოფლიოს უმსხვილესი ფინანსური ტრანსნაციონალური კომპანიები (მდნ  
დოლარი)<sup>96</sup>**

#	ფინანსური ტნკ	აქტივები	დასაქმებ უდები	ფილიალები			
		სულ	სულ	სულ	უცხოური ფილიალების რაოდენობა	ბაზირების ქვეყნების რაოდენობა	I.I.
1	Citigroup Inc	1 913 902	260 000	935	664	77	71.0
2	BNP Paribas	2 670 738	205 348	967	694	66	71.8
3	HSBC Holdings PLC	2 454 689	302 327	1059	747	63	70.5
4	Allianz SE	835 301	151 338	685	540	52	78.8
5	Societe Generale	1 513 127	160 704	482	319	60	66.2
6	UBS AG	1 410 480	64 617	493	479	40	97.2
7	Assicurazioni Generali Spa	564 633	85 368	433	364	45	84.1
8	Deutsche Bank AG	2 547 065	102 062	751	571	49	76.0
9	Unicredit spa	1 242 353	162 009	1090	1012	39	92.8
10	Axa	977 927	102 957	801	692	40	86.4
11	Credit Suisse Group AG	1 105 049	50 100	284	244	34	85.9
12	Credit Agricole SA	2 280 053	87 520	436	259	46	59.4
13	Banco Santander SA	1 627 311	178 869	528	407	34	77.1
14	Swiss Reinsurance Company	228 403	10 362	160	155	27	96.9
15	ING Groep NV	1 784 390	107 106	956	539	46	56.4
16	Dexia	757 498	27 148	247	201	30	81.4
17	Morgan Stanley	807 698	62 542	244	183	32	75.0
18	The Bank Of Nova Scotia	517 599	70 772	139	118	27	84.9
19	Muenchener Rueckversicherung AG	315 916	46 915	520	261	44	50.2
20	BPCE/Natixis	1 401 348	46 259	347	189	39	54.5

<sup>96</sup> [www.unctad.org](http://www.unctad.org) world investment report, 2011

დანართი. 3

### განტოლების შედეგები

Dependent Variable: LOG(XGR\_SA)

Method: Least Squares

Date: 01/17/13 Time: 16:45


Sample (adjusted): 1996Q1 2011Q3

Included observations: 63 after adjustments


Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
LOG(YR_SA)	2.342877	0.110325	21.23616	0.0000
LOG(ERR_SA)	0.873843	0.145603	6.001555	0.0000
C	-12.46899	0.890807	-13.99740	0.0000
R-squared	0.910250	Mean dependent var	5.811652	
Adjusted R-squared	0.907258	S.D. dependent var	0.582421	
S.E. of regression	0.177368	Akaike info criterion	-0.574730	
Sum squared resid	1.887568	Schwarz criterion	-0.472676	
Log likelihood	21.10401	Hannan-Quinn criter.	-0.534592	
F-statistic	304.2602	Durbin-Watson stat	0.970376	
Prob(F-statistic)	0.000000			

დანართი. 4

### განტოლების შემთხვევითი ცვლადი



### რეგრესიის ნაშთის განაწილება



### განტოლების შედეგები

Dependent Variable: LOG(XGR\_SA)  
 Method: Least Squares  
 Date: 03/05/13 Time: 14:34  
 Sample (adjusted): 1996Q1 2011Q3  
 Included observations: 63 after adjustments  
 Convergence achieved after 8 iterations  
 MA Backcast: 1995Q4

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
LOG(YR_SA)	2.295123	0.142767	16.07597	0.0000
LOG(ERR_SA)	0.827723	0.186800	4.431069	0.0000
C	-12.08315	1.150966	-10.49827	0.0000
MA(1)	0.525613	0.109751	4.789141	0.0000
R-squared	0.931687	Mean dependent var	5.811652	
Adjusted R-squared	0.928213	S.D. dependent var	0.582421	
S.E. of regression	0.156048	Akaike info criterion	-0.815917	
Sum squared resid	1.436712	Schwarz criterion	-0.679845	
Log likelihood	29.70137	Hannan-Quinn criter.	-0.762399	
F-statistic	268.2237	Durbin-Watson stat	1.914055	
Prob(F-statistic)	0.000000			

### განტოლების შედეგები

Dependent Variable: LOG(CO)

Method: Least Squares

Date: 10/04/12 Time: 15:01

Sample: 1997 2011

Included observations: 15

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
LOG(GNDI)	0.978064	0.002322	421.2379	0.0000
R-squared	0.903355	Mean dependent var	8.920893	
Adjusted R-squared	0.903355	S.D. dependent var	0.263935	
S.E. of regression	0.082052	Akaike info criterion	-2.098598	
Sum squared resid	0.094254	Schwarz criterion	-2.051394	
Log likelihood	16.73948	Hannan-Quinn criter.	-2.099101	
Durbin-Watson stat	0.574504			

### განტოლების შედეგები

Dependent Variable: LOG(CO)

Method: Least Squares

Date: 04/01/13 Time: 16:28

Sample (adjusted): 1998 2011

Included observations: 14 after adjustments

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
LOG(GNDI)	0.655603	0.100612	6.516123	0.0000
LOG(CO(-1))	0.424190	0.099919	4.245356	0.0014
C	-0.839463	0.390024	-2.152336	0.0544
R-squared	0.982800	Mean dependent var	8.930383	
Adjusted R-squared	0.979673	S.D. dependent var	0.271229	
S.E. of regression	0.038670	Akaike info criterion	-3.480115	
Sum squared resid	0.016449	Schwarz criterion	-3.343174	
Log likelihood	27.36081	Hannan-Quinn criter.	-3.492791	
F-statistic	314.2766	Durbin-Watson stat	1.644550	
Prob(F-statistic)	0.000000			